დავით გაბუნია

# ცისა და მიწის ოთხი ხეივანი

## პ ო ე ზ ი ა

წიგნი
III

## ფერიცვალების ველი



დავით ჭაბუნია

# ცისა და მიწის
# ოთხი ხეივანი

პოეზია

## წიგნი III
## ფერიცვალების ველი

ერთი წავა და სხვა მოვა
ცოცხლასა საბალნარისა.

*შოთა რუსთაველი*

მაინც კი ლამაზი არის,
მაინც სიცოცხლით ყვავისა.

*ვაჟა-ფშაველა*

გამომცემლობა „უნივერსალი"
თბილისი 2013

© დ. გაბუნია, 2013

გამომცემლობა „უნივერსალი", 2013
თბილისი, 0179, ი. ჭავჭავაძის გამზ. 19, ☎: 2 22 36 09, 5(99) 17 22 30
E–mail: universal@internet.ge

ISBN 978-9941-17-921-1

# წინათქმა

მხოლოდ და მხოლოდ დროის მონაცვლეობა განაპირობებს სიცოცხლის მრავალფეროვნებასა და სილამაზეს დედამიწაზე! განახლების გარეშე, ის ჭეშმარიტად დაკარგავდა აზრს და შემოდგომის ფოთლებივით გახუნებას ვერ აიცდენდა და სამუდამოდ შეწყვეტდა არსებობას!

არისტოტელე ამბობს: „სიცოცხლე მოძრაობას მოითხოვსო.“ დიდი ილია ჭავჭავაძე ფილოსოფიურად დამუხტული სიტყვებით მიმართავს თერგს: „მოძრაობა და მხოლოდ მოძრაობაა, ჩემო თერგო, ადამიანის სიცოცხლისა და ძალის მომცემი!“ გენიალურმა შოთა რუსთაველმა თავის სწორუპოვარ აფორიზმში: „ერთი წავა და სხვა მოვა ტურფასა საბაღნაროსა“, ფილოსოფიურ ენაზე რომ ვთქვათ, ცხოვრების განმსაზღვრელი პოსტულატი მოგვცა.

აქედან გამომდინარე მესამე წიგნს დავარქვი: „ფერიცვალების ველი.“ ამ ველზე ხდება ყოველივე ის, რაზედაც ამბობს დიდი ვაჟა-ფშაველა: „სადაც პირიმზეს ახარებს, იქვე მთხრელია ზვავისა, მაინც კი ლამაზი არის, მაინც სიტურფით ყვავისა“.



12. 07. 09.
მოსკოვი

# ფერიცვალების ველი

## ლირიკა

## ტყე

ტყეს თოვლის ქურქი ჩაუცვამს,
ცა ვეღარ
　　　　　　　　ახელს თვალს!
ტყეს თოვლის ქურქი ჩაუცვამს
თითქოს თბილად
გრძნობს თავს!..
მზეს ჟამმა ვნება დაუცხრო,
ნიმფა კვლავ
　　　　　　　　ზღაპარს თხზავს!..
ტყეს თოვლის ქურქი ჩაუცვამს,
დუმს და სითეთრეს სვამს!..

22. 01. 45.
ბანძა

* * *

ჟამით გაძარცულ მინდორზე ქარმა
აათამაშა ფოთლები მკრთალი...
თითქოს იღვრება ზეციდან ქარვა
და ავსებს იგი
ბილიკებს მთვარის...
შემოდგომურმა დარეკა ზარმა!
მხოლოდ ნისლების ტბორი დგას ირგვლივ,
ქანაობს ჩემ წინ შიშველი ალვა,
ო, მაგრამ აღარ
შრიალებს იგი!

17. 11. 46.
სოხუმი

## ჯვარი

*იმერხევში (დღეს თურქეთის საზღვრებშია)*
*გარდაცვლილ 100 წლის დედაკაცს ჭაღა—*
*რა ნაწნავში ჩაწნული ჯვარი უნახეს*

შენ თმაში ჯვარი გიპოვეს, როცა შეჩერდა გული,
შენ თმაში ჯვარი გიპოვეს
ჩაწნული სიყვარულით!..
შენ თმაში ჯვარი გიპოვეს, როგორც სამოთხის საშვი,
შენ თმაში ჯვარი გიპოვეს,
ო, მაგ ქათქათა თმაში!
ის საუკუნე ატარე და უჩვენებდი არვის
და მხოლოდ ჩუმად კოცნიდი
იდუმალ შუქზე მთვარის!..
ის სიყვარულით ატარე, ჰოი, რამდენი მალე!
და განძი უძვირფასესი
საფლავში ჩაიტანე!

20.03.12
თბილისი

* * *

ეს ზამთრის ქარი ჩემს ბაღს ისევ აფორიაქებს!
დავდივარ, ვწუხვარ, მაგრამ,
უკვე ვერაფერს ვშველი!

მზე ვერ ამოდის და მის რხევას შუქს ვერ მიაფენს,
ცახცახებს იგი, როგორც მინდვრად
დამფრთხალი შველი!..

ცა ენატრება ვარსკვლავების შუქით ნაფერი,
ვერ გამიგია, ღმერთი დღემდე,
რატომ ვერ სწყალობს?!

ო, ის მისტირის ვარდფურცლობის დღეებს გაფრენილს,
რატომ აშფოთებ ო, ამ ჩემს ბაღს,
მითხარი ქარო!

12. 02. 48.
სოხუმი

* * *

იწყებს შეტევას ზამთარი შმაგი,
გაურბის სული ამ მგლისფერ ქარებს!..
პორტში გემები გლეჯენ ბაგირებს
და რა ულონოდ
ირხევა მთვარე!..
ზღვაზე კივილით გარბის ზღვაური,
ცახცახებს სივრცე მთელი სხეულით!..
მზე ღრუბლის ტევრში ვერ მოგზაურობს
და მოითენთა
გზააბნეული!..
იწყეს ჩიტებმა ფრენა გუნდ-გუნდად
მტრედები ისევ ეძებენ საფარს!
ზამთარი თავის ფორმით ბრუნდება
და ქარი არხევს
ნისლების ფაფარს!..

24. 12. 49.
სოხუმი

## ᲘᲛ ᲓᲦᲔᲡ!

შენ მარტო იდექი ზღვასთან,
ო, მარტო იდექი იმ დღეს!
უცქერდი ტალღების ხასხასს,
თვალებით ამბობდი იმდენს!..
მათრობდა ხატება შენი,
შორიდან გიცქერდი დიდხანს...
მაგ სულის სიმაღლე, მერი,
იმ ერთმა საღამომ მითხრა!..

15. 05. 50.
სოხუმი

* * *

ო, ისევ, ჩამოიქროლეს ამ შემოდგომის ქარებმა,
არ ვიცი, თუ რას ფიქრობენ
შენი ცისფერი თვალები!..
ცვივა ფოთლების ლაშქარი, მზე კალთას ვეღარ აფარებს,
ის აღტაცება სად გაქრა
და ვარდფურცლობის ზღაპარი?!

04. 10. 52.
სოხუმი

## დრო და სიყვარული

ცას მოლურჯოს გადაეკრა ლიბრი და ქანაობს ალვის
რტოზე მთვარე,
დრო კი ისევ თეთრონივით მიქრის,
მე დავეძებ მაგ საყვარელ თვალებს!..
მე დავეძებ შენს უნაზეს ღიმილს, ხავერდოვანს, მზის
ღიმილის სადარს!
დავდივარ და ვეღარ ვმალავ ტკივილს,
შორეულო, სად გეძებო, სადა?!
ხან სუნთქვა ვარ ზამბახებით სავსე, ხან მივარღვევ
ღრუბლებსა და ქარებს,
მე დავცალე შინდისფერი თასი
და ყველა გზა შენკენ მიმაქანებს!..
ნისლის ფარდა სივრცეს აეფარა, გეძებ მარად, არ
მშორდება ფიქრი!..
დრო კი სადღაც თეთრონივით მიქრის
და ქანაობს ალვის რტოზე მთვარე...

28. 05. 51.
ბანძა

## საფლავი ტყვეობაში

როგორ გაუძელ ამდენი ხნის ტყვეობას, დაო!
ზღვა ეხეთქება ნაპირს
ისევ აურზაურით!..
დროო მრისხანევ! დღენიადაგ მე შენთან ვდაობ...
და ჟამს ვაწყდები დაუნდობლად,
როგორც ზღვაური!..
დაო ძვირფასო! მაპატიე, რომ ველარ შევძელ,
ამდენი წელი, შენს დარდიან
საფლავთან მოსვლა!
ქართული მიწა დაამსგავსეს სისხლიან მეწყერს
და ბოროტებამ ერთიანად
კეთილი მოსრა!..
ამდენი ხანი შენს საფლავთან არავინ მოდის!
რაც მოხდა იმას,
შენი სული უცქერის ზიზღით!..
ისევ ირხევა თანაგრძნობით ობოლი ტოტი
და ჩიტუნების სევდიანი
გალობა ისმის!..

03. 04. 96.
მოსკოვი

* * *

დაისი ფერთა მორევში ცურავს
 და მაინც ჭარბობს ფერები ძოწის.
ჩვენ ვაცქერდებით საოცარ სურათს
და აღტაცებით
ერთმანეთს ვკოცნით!..
მზე ჩადის შორს, შორს, რიალით ფერთა,
 დღე წვება უკვე და პერანგს იცვლის...
ჩვენ გაშლილ ზღვაზე მივცურავთ ერთად,
მაგრამ საითკენ? —
არავინ იცის!..

24. 06. 52.
სოხუმი

## ქარს

არ შეარხიო პატარა ტოტი, ძლიერო ქარო!
ნიავმა კიდევ უმღეროს ნანა...
არ შეარხიო პატარა ტოტი, ძლიერო ქარო!
ო, არ დასცვივა
ფოთლები სანამ!
არ შეარხიო პატარა ტოტი, ძლიერო ქარო!
არ ჩაუყარო
ჯერაც ნორჩი
სიცოცხლე წყალში!..
არ გესმის ჩემი? გსურს გაიხარო? —
დაქროლე მაშინ!..

20. 07. 54.
სოხუმი

* * *

ხეს სწყდება ფოთლების წყება ათასი
ლამაზი ფერის,
რამდენი სიცოცხლე ქრება,
იტაცებს დინების ჩქერი...
სული კი იდუმალ კრთება, მიცურავს
ბინდები ხშირი...
დაღლილი ფერები წვება
და ასე მიდიან წლები!..

12. 10. 56.
სოხუმი

* * *

ქარი ქრის ცივი და ფოთლების მორევში ვცურავ,
ვიხსენებ დღეებს ვარდფურცლობის
და როგორ ვწუხვარ!..
ვუცქერ ბუნების გახუნებულ და მძიმე სურათს,
შეხედე, როგორ დაელეწა
ტოტები მუხას!
შორს მოჩანს მთები უნაპირო ნისლის მოსევით,
ო, ეს მდინარე, რამ გახადა
რუხი და მდორე?
ხეები ქარში ცახცახებენ უსამოსელოდ!
მიაქვს ფოთლები მოყვითალო
მოვარდნილ მორევს!..

25. 11. 57.
ბანძა

## ყორანი

რა გინდა ჩემგან, რას დამჩხავი, შავო ყორანო?
ჩემს ცას ზარივით რად ჰკიდია
შენი ხარხარი?!
საიდან მოდის ეს ავი ხმა გაუგონარი,
ალბათ შენა ხარ იმ ყორანის
ერთი ბახალა, —
ჩემს დიდ წინაპარს, რომ მისდევდა
ყეფით ტრამალზე!..

24. 09. 58.
ბანძა

## გამოჩნდება ის გზები

მზე ზაფხულის ტრამალებს ისევ დაემშვიდობა,
გულო, ველარ დამალე
სევდა უამინდობის!..

წუხელ შენი ღიმილი, იცი, როგორ ვინატრე?
მინდა კიდევ ცოტა ხანს
აღარ გაუჩინარდე!

განა დიდხანს იქნება ეს ვერხვი და ის თელა?
ო, ეს ჟამის ქარები
რამდენ რამეს გათელავს!

რა იქნება, რა არა, — იცი რამდენს დაობენ?
მზე ზაფხულის თამამად
ამოაშრობს ჭაობებს!..

გამოჩნდება ის გზები, — მწვერვალების დიდება
და ღიმილის ხავერდი
სივრცეს წაეკიდება!..

08. 04. 59.
ბანძა

* * *

კვლავ შემოდგომის ხმაურობს ქარი,
მე ისევ მარტო დავდივარ ბაღში!..
მიწას ედება ღიმილი მკრთალი
და შორს ღრუბლები
მიდიან მარშით!..
დღე ვარდფურცლობის დავტოვე სადღაც,
ბუნება ისევ სამოსელს იცვლის!..
შორს დარჩა ის ცა ლურჯი და სადა
და ვარდისფერი
ღიმილი სივრცის!..
ისევ ირხევა ნაძვის ხე კართან,
ჟამმა დამღალა, ძვირფასო, ფიქრით!..
მზემ აიკეცა უეცრად კალთა
და მიიმალა
ჰორიზონტს იქით!..

15. 10. 60 .
ბანძა

## ირხევა მინდვრად ბალახი

ირხევა მინდვრად ბალახი, მზე გაზაფხულის იცინის,
ო, ერთხელ კიდევ მანახა
შენი თვალების ციმციმი!..
მოღელავს ჟამის მდინარე, მოაქვს ნაკადი ფერების,
იქნებ ხვალ გაუჩინარდეს,
ო, ეს მთები და ველები?!
მე კი დაღლილს და დამაშვრალს ო, როგორ
მტკივა ნაისრი!
მზე სხივებს მოათამაშებს,
მიდის მდინარე თავის გზით!..

10. 05. 59.
ბანძა

## ვინ გადო ხიდი?!

თამაშობს ქარი მოყვითალო ფოთლებში ისევ,
დგანან ხეები გაძარცული ო, ჟამთან შეხლით!..
მთიდან ბარისკენ ჩამოეშვა კვლავ რუხი ნისლი,
რა გულსაკლავად იმზირება
ბებერი ვერხვი?!
მზე დაბერდა თუ მასაც ჟამმა უცვალა ფერი?
მდინარე, სადღაც ნაღვლიანი დუმილით მიდის!..
ვინ ჩაჰკლა ასე უჩვეულოდ ის აღმაფრენა?
სიცოცხლესა და სიკვდილს შორის
ვინ გადო ხიდი?!

17. 10. 59.
ბანძა

* * *

აჰა, საცაა, ეს ჩემი გზა გაწყდება, ვიცი!
დაილუქება ბაგეები
დუმილით მკაცრით!..
ვერ მივადევნებ მერე მზერას ვარსკვლავთა ციმციმს,
ვერ გადავიტან მერე ლექსად
ნანახს და განცდილს!..
რტოებს სიცოცხლის ამიკაფავს სიკვდილი ბასრი,
ვეღარ გავყვები სიშორეში
ტალღების რონინს!..
ვერც იმ მოძახილს გავიგონებ: დალიე, მასვი,
და დამთავრდება სამუდამოდ
ეს ჩემი როლი!..
ვეღარ ავყვები სიმღერებით ყვავილთა ლაშქარს,
ვეღარ დამათრობს იადონი
გალობით წრფელით!..
გამითავისებს საბოლოოდ: რღვევა და დაშლა
და დამადგება ცისარტყელა
შვიდივე ფერით!..

14. 04. 08.
თბილისი

## ცისფერი ლოკატორი

ლიცლიცებ ღამით მთვარის შუქზე და შენს სიღრმეში
ირხევა ლანდი მარტოსული
და იდუმალი!..
იკივლებს ქარი! აიმღვრევი, დარეკავ ზარებს!..
დაცხრება ქარი და ვარსკვლავებს
დაიბნევ გულზე...
მოდგება ჟამი უბოლოო ფოთლების ცვენის
და ნაცრისფერი ღრუბლების დენა
შეგაკრთობს ისე, როგორც ლოტოს
სექტემბრის ქარი!..

20. 08. 59.
სოხუმი

## იყო

იყო დიდგორი! იყო მარაბდა!
იყო მარტყოფი და ბასიანი!
ერის სული რომ გაამარადა
და ის აზიდა
ცამდე სიალით!..

იყო ფარნავაზ! იყო ვახტანგი!
იყო დავითი! იყო თამარი!
გზას უნათებდნენ ერის მომავალს,
როგორც პლანეტას
მზე აღმავალი!..

02. 08. 60.
მოსკოვი

## წუთისოფელი

დღემ დაუშვა ფარდა, კვლავ აჩრდილებს იწვევს,
მე სიკვდილის გარდა
სხვა რა დამავიწყებს, —

მაგ საოცარ თვალებს! ღელვას ულამაზესს,
სადღეგრძელოს დავლევ
მზის ბადაგით სავსეს!..

გავშლი მინდვრად სუფრას და ღიმილით მოვფენ,
მადლი ქვეყნის უფალს
და ამ წუთისოფელს!..

14. 04. 60.
სოხუმი

* * *

ო, რა ჭრელია სოფელი, ღმერთო!
	ასეთი იყო, რაც გვახსოვს მუდამ!..
აქ ყვავ-ყორნები ჩხავიან ერთობ,
მაგრამ მტრედებიც
დაფრინავს გუნდად...
თუ მოუნდება ის ბადაგს გასმევს,
	თუმც, არც სამსალას მორთმევა უჭირს!
ხან უმიზეზოდ ძელზედაც გაგსვამს,
რომ გაწყევლინოს
ეს ზეცა ლურჯი!
ხან მოგალობე სამოთხეს უმზერ,
	ხან წააწყდები მხეცების ბუნაგს!..
ხან მოგადგება ტკივილი გულზე
და კარუსელი ბრუნავს
და ბრუნავს!..

22. 08. 60.
მოსკოვი

## ფერიცვალების დარეკავს ჟამი!..

ფერიცვალების, როცა ჩუმად დარეკავს ჟამი,
ღრუბლის ნარღვევზე გამოაჩენს
მზე შინდის თასებს!
და ჩემს კერაზე ლურჯი ფერფლი დარჩება ღამის,
ო, იმ დღეების უჩვეულო
ღელვებით სავსე!..
ფერიცვალების, როცა ჩუმი დარეკავს ჟამი,
ფარული ცრემლი მოაწვება
მაგ ცისფერ თვალებს!..
და ჩემს საფლავზე მუხლს მოიყრის ამაყი ქარი
და ჩემს მინდორზე ქალწულივით
გაწვება მთვარე...

01. 08. 60.
სოხუმი

## სად მიიჩქარი?

სად მიიჩქარი ნეტავი, რომ ტოვებ მინდორს, ლაფაროს,
ამას გთხოვ მხოლოდ დამინდე,
სევდა არ შემომაპარო!..
ვლოცულობ, რომ არ ჩამიქრეს ამ მთების თეთრი ლამპარი,
სად მიიჩქარი ნეტავი,
ჩემი ბავშვობის ზღაპარო?!

05. 08. 60.
სოხუმი

* * *

ნოემბრის ბოლოს ჩამოდის თოვლი
და მე ქუჩაში მივდივარ მარტო!..
ნოემბრის ბოლოს ჩამოდის თოვლი
და მოგონება
ბავშვობის მათრობს!..

ნოემბრის ბოლოს ჩამოდის თოვლი
და მე გავცქერი ფიფქების რიალს!..
ნოემბრის ბოლოს ჩამოდის თოვლი,
ო, როგორც მაშინ,
ძვირფასო ლია!

ნოემბრის ბოლოს ჩამოდის თოვლი
და გული ზამთრის ჩიტივით კვნესის!..
ნოემბრის ბოლოს ჩამოდის თოვლი
და თოვლში მხოლოდ
შენი ხმა მესმის!..

30. 11. 80.
მოსკოვი

## მე შენმა ტრფობამ დამღალოს!

მე შენმა ტრფობამ დამღალოს და ყვავილების თოვამ,
მე შენმა ტრფობამ დამღალოს
და მაგ ბაგეთა თრთოლვამ!..
მე შენმა ტრფობამ დამღალოს და გაზაფხულის გზებმა,
მე შენმა ტრფობამ დამღალოს
და მაგ თვალების გზნებამ!..
მე შენმა ტრფობამ დამღალოს, როგორც მზის სხივმა სივრცე,
მე შენმა ტრფობამ დამღალოს,
როგორც ქარი ღლის ცირცელს!..
მე შენმა ტრფობამ დამღალოს მთვარის ქათქათა ვერცხლმა,
მე შენმა ტრფობამ დამღალოს
და ბაგეების ცეცხლმა!..
მე შენმა ტრფობამ დამღალოს, თოვამ ყვავილის ხიდან,
მე შენმა ტრფობამ დამღალოს,
სხვა არაფერი მინდა!..

28. 10. 60.
სოხუმი

## ბევრი ვედავე

მე გუშინ შენი საფლავი რომ მოვინახულე,
ერთად შემეხსნა, მეგობარო,
                    ყველა იარა!..
მე ჩავძახოდი! შენ კი აღარ შემეხმიანე,
სამარის ლოდზე
მიცოცავდა მხოლოდ ხვიარა...
მოლზე ცეკვავდა ასკინკილას ორი ბეღურა,
თუმც შენს საფლავთან
                    მდუმარებას ბევრი ვედავე!..
მე მარტოდ შთენილს შემოდგომის ზეცა მეხურა
და დრო მიცქერდა ალმაცერად,
როგორც კენტავრი!..

06. 04. 61.
ბანძა

* * *

აწი ვერასდროს გავხდებით, ლალი,
მე ოცდაორის და შენ კი ოცის!
ვერც სიყვარულით ვიქნებით მთვრალი
და ვერც დაგიღლი
ბაგეებს კოცნით!..
მხოლოდ ჩინარებს შერჩება ხსოვნა
და მდინარეზე დაღვრილ ტირიფებს!..
ალბათ, ის ჟამში ვერასდროს მოვა
და მთვარეც ნისლს
ვერ მოიშილიფებს.

06. 10. 64.
სოხუმი

## ჭალარა ტყე

შევდივარ მარტო ჭალარა ტყეში,
                    უკვე გალობა შეწყდა!
ღელე ბავშვობის რა ჩუმად ტირის,
ვუცქერ ფერების შერწყმას!..
იმ დღეთა წყება რა შორს გაცურდა?
                    ტყეს მოსდებია თრთვილი!..
ჩემი ოცნების გზები დასრულდა
და ვარდფურცლობის დილა!

17. 10. 69.
ბანძა

## სინანული

*ვაჰ, დრონი, დრონი...*
*ა.ჭავჭავაძე*

ვდგავარ მდინარის პირას, ვუცქერ ვარსკვლავთა რონინს,
შორს დარჩა ჩემი დილა,
ვაჰ, დრონი, დრონი!..
ჩემი ხომალდი მიდის და ცა იმღვრევა ბროლის,
ჟამის ქანაობს ხედი,
ვაჰ, დრონი, დრონი!..
მე ისევ ვფიქრობ შენზე, დასრულდა ჩემი როლი!
ეს არის, რაც კი შევძელ,
ვაჰ, დრონი, დრონი!..

19. 06. 67.
სოხუმი

## ფერიცვალების ველი

ფერიცვალების ველზე ვდგავარ, სად ყველაფერი
იცრემლება და იცვლის
ფერებს დაუსაბამოდ!..
შეხედე, ბაღში შემოდგომის ნიავი მღერის,
გვიახლოვდება, მეგობარო,
ბლანტი საღამო!..
დრო მიდის ღელვით და შენ უკვე ვერაფერს შველი!
მზე გაზაფხულის
სიშორეში ეშვება რიდით!..
ფერიცვალების ჩვეულებრივ ირხევა ველი
და ჩვენში უკვე
სატკივარი შემოდის დიდი!..

29. 08. 70.
სოხუმი

* * *

შენ ღამით ჩუმად აღავლენ ლოცვას,
სული ირხევა ბინდების ზღვაში...
და ცა მაღალი გიგზავნის კოცნას,
რომ უხილავთან
დაეძებ კავშირს...
ზღვაზე ზღვაური ხმაურობს ისევ,
ჩერდები წყალზე შეტყორცნილ ხიდთან!
ჯებირს ეხლება ტალღები მქისედ
და მოირხევა
ფოთლები ხიდან...

19. 11. 70.
სოხუმი

* * *

ჩვენ, მეგობარო, ვარდფურცლობის ნექტარი შევსვით
და სიყვარულით ვირხეოდით
ხავერდზე მთვარის!..

დაკეცეს ფრთები იმ დღეებმა, ო, გული კვნესის!..
და ბილიკებზე შემოდგომის
ხმაურობს ქარი!..

დრომ მოაზღვავა მოყვითალო ფოთლების კრთომა,
მივდივარ დარდით გათანგული
და როგორ მიმძიმს!..

ამ ხეივანში აწ იგი ვერასდროს მოვა!
შევყურებ ცაზე ვარსკვლავების
სევდიან ციმციმს...

20. 10. 72.
სოხუმი

* * *

აქ, კბოდეს ისევ ეხლებიან ტალღები მლაშე,
ვიხსენებ დღეებს გაფრენილებს! —
ტკივილი მიკლებს!..
ო, ის ჟამია, რომ ქვითინებს, ძვირფასო, იქნებ?
თავზე მემსხვრევა შემოდგომის
ცა მოგანგაშე!..
რა დამავიწყებს იმ ჩვენს ღიმილს ფერებში მცურავს!..
მთვარე სარკმელთან სევდიანი
ღამეებს მითევს...
და მე კი სივრცის გახუნებულს გავცქერი სურათს,
რომელიც უკვე მწუხარების
ფერებში მითრევს!..
მე უკვე ვხედავ, ამაოა ცდა გადარჩენის!
ყოფნა-არყოფნის
ულმობელი ტკივილი მარხევს!..
აჰა, სხეული დასარღვევად მიიღე ჩემი,
რადგან ყველაფერს ეკარგება
ფორმა და სახე!

22. 10. 72.
სოხუმი

* * *

რატომ ატირდით, ვარდებო!
თავი რად ჩაგიქინდრიათ?
რატომ ატირდით, ვარდებო,
თუმც სატკივარი დიდია!

რატომ ატირდით, ვარდებო!
რად გაურბიხართ ნიავქარს?
ლამის გადიქცეთ დარდებად,
რომ შლის ზამთარი იალქანს!..

რატომ ატირდით, ვარდებო!
ზაფხულმა ფრთა რომ დაკეცა?
რატომ ატირდით, ვარდებო,
როცა ნიავი გაგექცათ?!

24. 10. 72.
მოსკოვი

## ეს გაზაფხული წავიდა!..

ეს გაზაფხული წავიდა, სივრცე ვერ უძლებს სიურჩეს,
და ვერ ვივიწყებ წამითაც
შენი თვალების სილურჯეს!..
ეს გაზაფხული წავიდა, ვარდის პერანგი გაცვითა,
ეს გაზაფხული წავიდა
და სივრცე თითქოს გაცივდა!..
სევდამ შეცვალა სიცილი და რა ტკივილი მათოვა
შენი თვალების ციმციმი
დრომ სადღაც გაიმარტოვა!..
ეს გაზაფხული წავიდა და მზე დაღმართზე ეშვება...
ეს გაზაფხული წავიდა
და ქარი მეუხეშება!..
ეს გაზაფხული წავიდა, ცა გადასერა არწივმა...
ეს გაზაფხული წავიდა,
სული მინდორს ჰგავს ნაწვიმარს!..
ეს გაზაფხული წავიდა, სივრცე ვერ უძლებს სიურჩეს,
და ვერ ვივიწყებ წამითაც
შენი თვალების სილურჯეს!..

28. 06. 62.
სოხუმი

## რომისკენ მიდის!..

შენ რუბიკონთან ერთადერთმა გაინაპირე
და, კეისარო, ხუთი წუთი
იფიქრე მხოლოდ!..

სურვილი შენი ჩვეულებრივს გაცსდა ნაპირებს,
“წილნაყარია,”—ო, რა მტკიცედ
წარმოთქვი ბოლოს!

შენ რუბიკონთან მხოლოდ ხუთი წუთი იფიქრე
და არასოდეს უნახიხართ
ასეთი მშვიდი!

შენ რუბიკონთან ზუსტად ხუთი წუთი იფიქრე,
მერე შესძახე: “რომ ყველა გზა
რომისკენ მიდის!..”

05. 12. 72.
მოსკოვი

## რას ერჩი, ქარო?

ჩამოღვრილ ფოთლებს რას ერჩი, ქარო?
რომ ჰყრია გზაზე განაფითრები!..
ჩამოღვრილ ფოთლებს რას ერჩი, ქარო?
შურისძიებით
რატომ ითრები?!

ჩამოღვრილ ფოთლებს რას ერჩი, ქარო?
მათ სატკივარი ყოფნით, მოეშვი!
ჩამოღვრილ ფოთლებს რას ერჩი, ქარო ?
რომ იხრჩობიან
ცრემლის მორევში!..

ჩამოღვრილ ფოთლებს რას ერჩი, ქარო?
რომ გაუხუნდათ ჟამი დიდების!
ჩამოღვრილ ფოთლებს რას ერჩი, ქარო?
რად ემუქრები
გაბედითებით!..

11. 09. 79.
მოსკოვი.

## წავიდა ის დრო!..

აწი ვერასდროს ვერ აგვინთებს ფანჯრებს დილის მზე,
ვერც მაგ თვალები მიმიხმობენ
ტრფიალით მთვრალი!

ვეღარ გავივლით აწი ერთად მთვარის ბილიკზე,
მიინავლება ეს დღეები
ჩუმი და მკრთალი!..

ო, ჩაქრა ჩვენთვის საუკუნოდ მზე გაზაფხულის!
ვერც ატმის ტოტი გაგვიღიმებს
იმავ სინაზით!

რა შორს გაცურდა ის დღეები, ასე ზღაპრული!
და ვირეკლებით უღიმღამოდ
ჟამის მინაზე!..

14. 09. 73.
მოსკოვი

# დრო

დრო, ისე მიქრის, რომ ვერაფრით ვერ დაეწევი
და გადაღლილი უცქერ
მხოლოდ უიმედობით!..
ხან უხმოდ მიდის, ხან ბობოქრობს როგორც მეწყერი,
მას არ აშინებს ზღვის სიურჩე,
მთა და ფერდობი!..
მიდის ჭენებით, არ თხოულობს ვინმეს შეწევნას,
ის აღარ ისმენს არასოდეს
ხვეწნას მედროვის!
დრო, ისე მიქრის, რომ ვერაფრით ვერ დაეწევი,
თუნდაც დარახტე საიმედოდ
შენი თეთრონი!

25. 09. 79.
მოსკოვი

* * *

უკვე გაიყო ჩვენი გზა, ასე მოუნდა მერმის!
უკვე გაიყო ჩვენი გზა
და მას ვერ შეცვლის ვერვინ!
უკვე გაიყო ჩვენი გზა და მე მედება ცეცხლი!..
უკვე გაიყო ჩვენი გზა
და მას ვერავინ შეცვლის!
უკვე გაიყო ჩვენი გზა, მიდის სხვადასხვა მხარეს!..
უკვე გაიყო ჩვენი გზა,
ეს ცა, მზეცა და მთვარეც!
უკვე გაიყო ჩვენი გზა, ო, ეს დღეცა და ხვალეც!
და მე არ ვიცი რა ვუყო, —
ამ დემონს მოხარხარეს!

29. 09. 79.
მოსკოვი.

## მთაწმინდა

ჩამოთოვა მთაწმინდა და თოვლი შლის იალქნებს,
ჩამოთოვა მთაწმინდა
და ჩემს ფიქრებს მიარხევს...
ჩამოთოვა მთაწმინდა, არ ქრის ქარი უჟმური
და მიმწუხრზე ფიფქების
ისმის მხოლოდ ჩურჩული...
სივრცე ნაზად ირხევა, თოვლი მოდის ულევი,
საფლავები ივსება
თეთრი თაიგულებით...
ჩამოთოვა მთაწმინდა და მე ღელვა მედება
და გავცქერი ბუნების
ამ დიდ შემოქმედებას!..

12. 12. 70.
თბილისი

## ნამოსახლარი

სამასი წელი გავიდა, რაც ეს ამბავი მოხდა!..
დაიქცა გლეხის ოჯახი,
სახლი ნაგები კოხტად!
მშობლები ხუთი შვილით გზას გაუყენეს ღამის...
იხსენებს მთვარე ბებერი
ბავშვების მოთქმა—ბღავილს!..
და აქ თავადი დასახლდა შემოიმტკიცა ეზო,
გაყიდა გლეხის ოჯახი
სრულიად უმიზეზოდ!
სამასი წელი გავიდა, სოფლის იცვალა რუკა!
თუმც ის ოჯახი სულ მალე
გადიქცა ცეცხლის ლუკმად!..
სოფლად დაირხა თქმულება სიმამაცეზე გლეხის,
მას, ტყვეობიდან გაქცეულს,
ათას ჭირ-ვარამს შეხლილს,
დაუწვავს ო, ის ოჯახი, თუმც ნაკვალევი არ ჩანს!
და ის სახლ-კარი დღემდე
ნამოსახლარად დარჩა!..

16. 10. 81.
ბანძა

# ავტოპორტრეტი

*რაღაც ამაზე ღრმა, უფრო მეტი!..*
*გალაკტიონი*

მთვარიან ღამეში ფიქრების ზღვაურით, —
ის იყო ჩვეული
ქარსა და ქარაფებს!..

უყვარდა ტალღების შეხლა და ხმაური,
უფრთხოდა არავის!
უკრთოდა არაფერს!

ცხოვრობდა ამ ქვეყნად, ვით პოეტს შეჰფერის,
არ სურდა სიცოცხლე
ლექსების გარეშე!

უცქერდა მწვერვალებს ნისლებით შეფერილს
და ხეტიალობდა
მთვარიან ღამეში!..

08. 05. 63.
სოხუმი.

## მდინარის პირას

მდინარის პირას კიპარისთა ჩრდილები კრთიან...
მდინარის სულში ირწევიან
მწვანე რტოები...
მდინარის პირას სავსე მთვარე ამოდის გვიან, —
მუქი ტყეებით და
მდუმარე სამრეკლოებით...
ღამის ლანდები უჩვეულოდ როკავენ წყებად
და თეთრი ფრთებით
ეხებიან იდუმალ სიმებს!..
ო, შენს თვალებში საოცარი სინაზე წვება
და სული ჩემი უერთდება
ვარსკვლავთა ღიმილს!..

16. 05. 63.
სოხუმი.

* * *

*მ–ს*

შენ ნორჩი იყავ მაშინ, ო, ის თვალები მახსოვს!
ჰგავდი ატმის რტოს გაშლილს, —
ცისკრის სხივებით ნაქსოვს...

მზე ირწეოდა ზღვაზე, ნისლის არხევდა რიდეს,
შენი ღიმილით სავსე,
ტრფობას ვერ განვერიდე!

წლებს ჭაბუკობის გავცდი, დღეთა მივარღვევ მორევს,
მაგრამ იმ წლების ღელვა,
მაინც ვერ მოვიშორე!..

17. 05. 62.
სოხუმი.

# მიახლოვდები

რატომ გგონია საყვედური დავიმსახურე?
შენდამი წყენაც არ
მქონია ბეწვისოდენი!
მე ცის სიღრმიდან ახლაც შენი ლანდი დამყურებს,
რომელიც ჩემში აურაცხელ
ტკივილს მოდენის!..
შენ თუ გაშინებს წარმავალი ჩემი ხატება,
რად გეჩვენება უიმედოდ
ჩემი საგანი?
და ისევ, როცა შენი ხილვა მომენატრება,
მიახლოვდები უცნაური
ღელვით, კანკალით!..

19. 07. 62
ბანძა

## პოეტის გული

სულს უჩვეულო მოედო თრთოლვა!..
მოუხმო ისევ
                    იდუმალ ძალებს!
ჩამოდიოდა თებერვლის თოვლი
და იდგა თეთრი
შრიალი გარეთ!..
სტრიქონებს უხვად გრძნობები ასვა,
იყო შუაღამის
                    სიჩუმე სრული!..
და, როცა ბოლო წერტილი დასვა,
ო, რა უეცრად
შეჩერდა გული!

05. 08. 68.
მოსკოვი

* * *

მე ვხედავ, როგორ ჭკნება ყვავილი ატირებული
ცივი ქარებით!..
გიახლოვდება ჟამი ბღავილით
და მებრალება
შენი თვალები!..
მე მესმის ხიდან ყორნის ჩხავილი და იდუმალი
ჩქამი ტოტების!..
მე ვხედავ, როგორ
ჭკნება ყვავილი!..
მე ვხედავ, როგორ ცვივა ფოთოლი!..

15. 09. 63.
სოხუმი.

* * *

დრო მიდის და შენს ნაფეხურებს მივყვები ბინდში,
მზე ჩაიძირა ოქროსფერი
ფოთლების ცვენით...
და მოიისფრო ცის ხავერდზე ჯერ არ ჩანს მნათი,
რომელიც ჩემსკენ გადმოიხრება,
როგორც სინათლის თეთრი მდინარე
შებურვილი ნისლის ყვავილით...
დრო მიდის!.. და მე დაკარგვის შიშით ფერნამკრთალევი,
ხელს ვუჭერ მაგრად
იმედის ფოთოლს,
რომ არ დამასწროს ჟამის მოქცევამ
და არ წარმტაცოს ყველაფერი
ქარმა კივილით!..

23. 09. 63.
სოხუმი

* * *

ცა უჩვეულოდ ლურჯი! გზა კი საოცრად შორი,
მზე ხატავს სივრცეს ფუნჯით,
მივალთ მე და შენ ორი!
ჩიტი წყაროსთან გალობს, ფეთქავს ფერები შინდის!
დგანან ხეები ალვის,
ისმის შრიალი მშვიდი!
ჟამის წკარუნობს სიმი და სულს ღიმილით ათრობს!..
ცა არხევს ოქროს წვიმას
და ყვავილები გვათოვს..!

22. 04. 64.
სოხუმი.

* * *

ო, ეს გული რამდენ ტკივილს იტევს
და დევს თოვლი ბაღში ფენა-ფენად...
ფრთები მხრებზე მიჰყინვიათ ჩიტებს,
რტოდან რტოზე
უჭირთ გადაფრენა!
ეს მდინარე იცვამს ჯავშანს ბროლის,
კვლავ უბერავს მთიდან ქარი ზენა!..
მაგონდება ის დღეები შორი
და მთებს თოვლის
ეფინება მზერა!..

02. 02. 67.
თბილისი

* * *

სიხარულისთვის არ მოვსულვართ მარტო მიწაზე,
მიჰბაძე იმას, ვაჟკაცურად
ვისაც უვლია!..
ილხინე, მაგრამ ტკივილებიც უნდა იწამო,
თუ ილხენ მარტო, —
ეს შენი გზა დაღუპულია!

შეხედე ზეცას, თუ როგორ ცვლის ტაროსს, ავდარი,
სად ჩიტი გალობს,
იქ, ხომ ხშირად ნისლის ბურია!..
მიაყურადე, ხშირად ტირის ია პატარა,
შეხედე კარგად, იცრემლება
ბაღში ტუია!..

10. 06. 64.
სოხუმი.

## არხევს იდუმალ სიმებს

ირხევა ცაზე ცხრათვალა და შუქს ყოველმხრივ გზავნის,
მისდევს ბილიკზე სატანა
ნათელ ნაფეხურს მგზავრის...
რტოზე ზის ჩიტი პატარა, არხევს იდუმალ სიმებს!..
ხან ქროლვით მიდის სოფელი,
ხან მიაბიჯებს მძიმედ!..
შეხედე, სულმა მედგარმა რამდენ ქარიშხალს სძლია!
კვლავ გალობს ჩიტი პატარა
და ფრთებს ატოლებს ნიავს!..

22. 03. 64.
სოხუმი

# წელი გაივლის მრავალი

საჩუქარს ცა გვიგზავნიდა, ვუცქერდით ფიფქთა რიალს,
წავიდა თეთრი სიზმარი,
ო, იმ დღეების, ლიაǃ..
წელი გაივლის მრავალი, ჩაგვიქრობს ცეცხლის ალებს
და მთვარე ამომავალი
ლურჯ კალთას დაგვაფარებსǃ..

დემონი არარაობის ჩვენს სილამაზეს დაშლის
და მოვა სულ სხვა თაობა:
ცეკვით, სიმღერით, ტაშითǃ..

17. 07. 64.
სოხუმი

## რად მექცა სიზმრად?

რად მექცა სიზმრად წლები ბავშვობის?
        მდინარის პირას ვჩერდები დიდხანს!
დამთავრდა უკვე ო, ის ლაშქრობა,
რა სურს ბუნებას,
რომ ამით მითხრას?

ერთობ მივენდე რიტმსა და რითმას
        და გული კვლავაც ძლიერად მიცემს!
მდინარის პირას ვჩერდები დიდხანს,
მაგრამ დროის ვერ
ვაჩერებ მრიცხველს!

მეც ფაუსტივით შევძახო მინდა:
        დროო შეჩერდი! საითკენ ილტვი?
რად იცრემლება გვირილა მინდვრად?
რად კვნესის ჩემი
ბავშვობის ჩიტი?!

14. 06. 06.
ბანძა

## გაიარა ჩქარა!

გაიარა ჩქარა ჟამმა სიჭაბუკის, —
მივყიოდით მზეს და სილამაზეს თუკი,
ის მინდვრები, მთები ნისლებს დაუფარავთ,
ვერ იშორებს გზიდან
ქარი ღრუბლის ფარას!
სადღაც ბინდში მოიისფრო მწვერვალები ჩანან
და მინდვრებზე შემოდგომის ქარებს დააქვთ ჩალა...
ვხედავ ჩიტებს რტოზე მუხის, სადღაც ცისკენ მზირალთ...
დამეღალა გზებზე მუხლი,
ლოდზე ჩუმად ვზივარ!..
და მეღვრება ბინდი ღამის... ვარსკვლავთ მრიცხველს ვგავარ,
მიაქვს ღელეს სადღაც შლამი და იცვლება ჰავა!..
გაიარა ჩქარა ჟამმა სიჭაბუკის, —
მივყიოდით მზეს და სილამაზეს თუკი,
ის მინდვრები, მთები, ნისლებს დაუფარავთ,
ვერ იშორებს გზიდან
ქარი ღრუბლის ფარას!

09. 10. 64.
ბანძა

* * *

ზღვაზე დადგა შუქის კალო, მზე მაღლობზე ადის...
მიაქვს სადღაც მოყვითალო
ქარს ფოთლები ჭადრის...
გულზე ეს რა სევდა მაწევს!..
ვერ ვიშორებ ტკივილს,
ნეტავ საით მიბარბაცებს
ამ ღრუბლების ტივი?
იმ შორეულ მწვერვალებთან ქარი ისევ დაობს,
კვლავ ამხედრდა სული მედგრად
და შორს მიქანაობს!..
ზღვაზე დადგა შუქის კალო, მზე მაღლობზე ადის...
მიაქვს სადღაც მოყვითალო
ქარს ფოთლები ჭადრის...

14. 10. 63.
სოხუმი

## სახელად გაზაფხულს დაირქმევს!

თოვლი ძლივს მიფორთხავს ფერდობზე, ო, როგორც
დაჭრილი ფრინველი!..
მე მხოლოდ გაზაფხულს ვენდობი,
სად შენი ღიმილი მიმელის!..
ენძელა ამოდის სიცილით, გაიხდის
ქათქათა სამოსელს,
მზე მინდვრად
ჭიხვინებს კვიცივით
და სულის სიმაღლეს ამოსწევს!..
საცაა, მერცხალიც შემოვა და ჭალებს ჭიკჭიკით აიკლებს...
და ჟამი კვლავ აფერადდება,
სახელად გაზაფხულს დაირქმევს!

03. 03. 64.
სოხუმი

## ძეგლი

შენ გაიარე მოკლე გზა უკვე ბრძოლებით დიდით!..
წელში მოდრეკა კი არა,
არ მოგიხრია თითიც!

შენ გაიარე მოკლე გზა პოეტმა შეუპოვრად
და დღეს არავის არ უჭირს
მიწაზე შენი პოვნა!

შენ გაიარე მოკლე გზა! ბედის იყავი ურჩი!
მთა გაიხადე საყრდენად
და ცა გახურავს ლურჯი!..

15. 01. 65.
სოხუმი

* * *

*ჩემი მამიდაშვილის ხსოვნას*

ვერ გამიგია ამ სამყაროს რა ძალა მართავს?
მიდის დღეები შემოდგომის
და ტკივილს მისევს!..

შენთან, ძმობილო, საუბარი კვლავ მომენატრა,
მინდა მუნჯურად გესაუბრო
ისევ და ისევ!..

გავყვეთ ღიმილით შორს, ჭალისკენ მიმავალ შარას,
რომ ერთხელ კიდევ გავიხაროთ
ზაფხულის მოსვლით!..
ჟამმა, იმ დღეთა სილამაზე, რაც უნდა შალოს,
იმ ზღაპრულ დღეებს
ჩვენი ყრმობის, —
ვერაფრით მოშლის.

30. 10. 08.
მოსკოვი

## ჩემი საუნჯე

შენი თვალების მრისხანება ვერ დამამუნჯებს!
და ვერც ღიმილით მოისყიდი
გულს და გონებას!
არ გამაჩნია ქვეყანაზე მე სხვა საუნჯე,
მხოლოდ ლექსია ერთადერთი
ჩემი ქონება!
შეხედე, ირგვლივ ყველაფერი იცვლის კალაპოტს!
დღეს, ვისაც აქებ,
ვერ აცდება ის ხვალ გინებას!
მხოლოდ სივრცეებს უდაბურებს ლექსი გააპობს,
დროის ქარიშხალს უმკლავდება
ლექსის დინება!..

09. 07. 65.
ბანძა

* * *

შეღამებისას იწყება ღელვა, ამოვარდება მრისხანე ქარი!
ფოლადის ზარებს ნანგრევებზე
დაამსხვრევს ელვა,
ქანაობს შიშით ცა მინანქარის!..
შეღამებისას ირევიან შავი ლანდები
და იმსხვრევიან თეთრი სვეტები!..
გავცქერი სივრცეს, ხომალდს ისევ აგვიანდება
და მოჩანს მხოლოდ
მოცახცახე სილუეტები!

12. 07. 65.
სოხუმი

## უცნობ ქალიშვილს

ელავდნენ თვალები მოლურჯო მშვენებით
და მთვარე წუხელის ცის სარკმელს ფერავდა...
როდესაც სივრცეებს ოცნებით შეები,
მე ვიგრძენ, ძვირფასო,
ზღვა რატომ ღელავდა!..
ელავდნენ თვალები, ვით ძველი ელადა
და ველზე დაქროდნენ ფერადი ქარები,
ლაჟვარდი დაათვრე ლამაზი თვალებით
და ვიგრძენ, ძვირფასო,
ზღვა რატომ ღელავდა!..
ჯერ ხომ არ გინახავს მცხეთა და გელათი,
კახური მტევნები მზის შუქზე ნაფერი!..
მე წუხელ ფიქრების გავშალე აფრები
და ვიგრძენ, ძვირფასო,
ზღვა რატომ ღელავდა!..
წამოდი გაჩვენებ მამულის სანახებს,
წამოდი გაჩვენო ალაზნის ველები!..
ძვირფასო, რუსთველის სამშობლოს განახებ,
დაგატკბობს უზომო
სიუხვე ფერების!..
ეს არის სამშობლო გრძნეული მედეას,
ცა ამორძალების თვალებით შრიალებს!..
თაღებს რომ ატმების ხანძარი ედება
და გრძნობით ბოლომდე
რომ ცლიან ფიალებს!..
ელავდნენ თვალები მოლურჯო მშვენებით

და მთვარე წუხელის ცის სარკმელს ფერავდა...
როდესაც სივრცეებს ოცნებით შეები,
მე ვიგრძენ, ძვირფასო,
ზღვა რატომ ღელავდა!..

12. 08. 65.
სოხუმი

* * *

გზები ვერ გავიადვილე, ო, რა ტკივილი ვზიდე!..
სულო, სიმს ნუღარ ატირებ,
უნდა იმღერო კიდევ!

ბლავის ფერდობზე ნახირი, მიდის ზარების რეკვით,
ისმის ბიჭუნას ძახილი,
მისდევს წკავწკავით ლეკვი...

27. 08. 65.
სოხუმი

## საღამო ზღვაზე

აწყდება ჯებირს ტალღები მძიმედ
და ნაწილ-ნაწილ იმსხვრევა მერე,
ცაზე ღრუბელი მიცურავს მცირე
და ათამაშებს
ჩრდილებს და ფერებს...
აწყდება ჯებირს ტალღები მძიმედ,
როგორც ცის გუმბათს ფიქრები ჩემი...
ო, სული ისევ მოუხმობს იმედს
და შლის თამამად
იალქნებს გემი!..
ზღვა ღელავს — მიწის ამაყი სული!
და კივის სივრცე მღვრიე და ცივი!..
მზე ჩადის... ტოვებს ტყვიისფერ დუმილს
და მეწამული
ცახცახებს სხივი!..

14. 09. 65.
სოხუმი

## ნათიას

შენს შემდეგ კვლავ ვინ გაუღიმებს გულთეთრა ლოტოს?
შენს შემდეგ კვლავ ვის
გაიტაცებს მუსიკა ქარის?
მდინარის პირას სიოს ფრთებზე ირხევა ტოტი
და ბალახებში ფეხშიშველა
მიცურავს მთვარე...
ცათა ყვავილებს მოციმციმე მოსწყდება ნამი,
ქათქათა გულზე დაეცემა
მთვლემარე ლოტოსს...
აფრა გაშლილი მდინარეზე მიცურავს ნავი
და სიოს ფრთებზე
გაზაფხულის ირხევა ტოტი...

04. 05. 66.
სოხუმი

* * *

კვლავ ირხევიან რტოები ვაშლის,
მე კი იმ დღეებს ვეფერო მინდა!
ამიტომ ადრე შევდივარ ბაღში,
ამიტომ ადრე
გავდივარ მინდვრად...

რამ დამავიწყოს იმ დღეთა წყება,
ნაყოფი ფერთა ცვივა რიალით!..
თუმც შემოდგომის ნისლები წვება
და თან სამოსელს
იცვლის ნიავი!..

მივდივარ, მძაფრი ტკივილი მიმაქვს,
რომ ნაკვალევი წარსულის არ ჩანს!
მე ისევ ჩემი ჭალისკენ მივალ,
სადაც ბავშვობის
პერანგი დამრჩა!

12. 09. 02.
ბანძა

## ჩინარი

შენ, ასე რატომ გაფითრდი მოახლოებით ზამთრის?
შენ, ასე რატომ გაფითრდი,
დგახარ ყვითელი ლანდი!

შენ, ასე რატომ გაფითრდი? — იქნებ ტკივილით, დარდით!
ერთობ შეწყვიტე შრიალი,
უკვე ცრემლებიც დაგდის!..

ო, ასე რატომ გაფითრდი შიშით ყინვის და ქარის?
შენ, დედოფალო მაისის,
მიჯნურო მზის და მთვარის!..

14. 10. 66.
სოხუმი

* * *

მიახლოვდება დღეები ზამთრის, მიახლოვდება თოვლი
და წვიმა!..
ელავს სივრცეში თვალები აფთრის და
უჩვეულო ტკივილი მიმაქვს!..
რად კვნესის ცაზე ბებერი მთვარე, ან საით მიდის
ღრუბელი ცივი?..
და მოაქვთ ქარებს, და მოაქვთ ქარებს,
და მოაქვთ ქარებს სურნელი თივის...
დავდივარ მარტო... დავდივარ გარეთ, ედება სივრცეს
სინესტე ჭალის,
და მოაქვთ ქარებს, და მოაქვთ
ქარებს,
და მოაქვთ ქარებს
ფოთლები მჭკნარი!..

22. 11. 66.
სოხუმი.

* * *

ამურმა მშვილდი მოზიდა, ხელი არ უცახცახებს,
ამურმა მშვილდი მოზიდა,
როგორ აოცებს მნახველს!

ხელი მოსხლიტა, ისარმა გაიზუზუნა მკაცრად
და, როცა ტყორცნა სამიზნეს,
სული კეთილი დაცხრა!...

25. 12. 66.
ბანძა.

## რატომ მომაგონდი?!

ცის კიდურზე ენთო ლურჯი შუქი მთვარის,
დავდიოდით ზღვის პირს
სიყვარულით მთვრალი!..

და მოჰქონდა ნიავს ფერთა თრთოლვა მხოლოდ
და სიმების წკრიალს
არ უჩანდა ბოლო!..

და ოცნების ჩიტი ფარფატებდა ახლოს,
მერე ჟამი რღვევით
გამოსცილდა მაღლობს!

და გადაწვა ქარში ო, ის ატმის ტოტი,
დრო-ო სანატრელო!
რატომ მომაგონდი?!

21. 06. 67.
ბანძა.

## ზღვამ შეარხია ფაფარი

ზვირთმა დალეწა სადგური, ზღვამ შეარხია ფაფარი,
ხვალ ქალაქს გაანადგურებს
და სამუდამოდ დაფარავს!

სული ვერ იტანს ამ გუგუნს და გული ბოღმას ნაგუბარს!
ხვალ ამ ბაღნარსაც წალეკავს
და მთა-გორებსაც დაღუპავს!

ჩახერგავს გზებს და ბილიკებს და უარესსაც აპირებს!
პირს ჩაუშავებს პირიმზეს
და მზესაც გაინაპირებს!..

29. 06. 67.
სოხუმი.

* * *

ვის გაუვლია უვნებლად ამ წუთისოფლის ბილიკზე?
რომ არ დასძლიოს ცდუნებამ,
　　　　რომ არ ატირდეს პირიმზე?!
ზეცა თუ მოიღრუბლება, შენ რითი უნდა უშველო?
გრიგალს ვერ გადაუდგები,
სეტყვაც წამოვა უშენოდ!..
ამ ზღვას რით დააშოშმინებთ, თქვენ ვარსკვლავებო, ციერო,
თუ კი ზვირთები მოხშირდა,
　　　　რას უზამთ სამაგიეროს?!
ვის გაუვლია უვნებლად ამ წუთისოფლის ბილიკზე?
რომ არ დასძლიოს ცდუნებამ,
რომ არ ატირდეს პირიმზე?!

12. 07. 67.
სოხუმი.

* * *

თრთოლვით ამოდის მთვარე და შლის ქარვისფერ ათრებს,
თრთოლვით ამოდის მთვარე
და შუქს იდუმალს გვაფენს!..
ჩვენ კი მივდივართ ზღვისკენ... ღამე ფრთებს არხევს მწვანეს,
გული ძალუმად ფეთქავს
და ვეღარ დავაწყნარე!..

ცელქი ამური ტყიდან კვლავ უხმოდ გვითვალთვალებს
და ვარსკვლავები ლურჯი,
გრძნობით ახელენ თვალებს!..
და ტირიფების შრიალს ღამის სინაზე ათრობს,
მთვარე ამოდის დიდი
და ზღვას ნათელი ათოვს!..

02. 08. 67.
სოხუმი.

* * *

გუშინ მღეროდა ზღაპრულად, დღეს კი ფოთლები ცვივა,
წასულა გემი ზაფხულის
და მე ტკივილი მიმაქვს,
სული ვერ დღესასწაულობს, თვალებზე ნისლი გაწვა,
მღვრიე მდინარე ხმაურობს,
ცა არხევს ელვის ბაწარს...
ნისლმა დატბორა მინდორი, არ ჟღერს სიმები ქნარის!
შეხედე, ჟამმა იდროვა,
ისმის ხივილი ქარის!..

21. 09. 67.
სოხუმი.

## მიდის წუთისოფელი!..

ჩვენ მოვედით შორიდან იდუმალი ბილიკით,
სივრცე გამოვიარეთ
ქარიშხლებით ნაცემი!..

კვლავ ჯიუტად მივდივართ, გზას უდაბურს მივიკვლევთ,
გვქონდა ჟამი აღმასვლის,
გვქონდა ჟამი დაცემის!

ისევ მივექანებით, ქაოსი არ გვაშინებს,
რწმენის შუქი გვამხნევებს,
ციდან ჩამორხეული...

ჩემი ქროლვა მარადის სივრცეს დავუკავშირე,
პოეზია გამხდარა
ჩემი სულის რჩეული!

ალბათ გამიხსენებენ ჟამთან მოთარიკავეს,
რომ კიოდა ღამეში
ზარი დაუნდობელი!..

ტკივილს გულში დაგროვილს უკვე ველარ ვიკავებ,
ისევ მღვრიე თვალებით,
მიდის წუთისოფელი!..

10. 01. 68.
სოხუმი

## შრიალით გაფრინდა მაისი

ჩიტების ჟღურტული არ ისმის,
ნიავმაც ლურჯი ფრთა დაკეცა!
შრიალით გაფრინდა მაისი
და მაინც შენს
ღიმილს დავეძებ!..
დავეძებ მაგ თვალთა ნათებას,
ძვირფასო, ტრფობისთვის გაჩენილს!..
დავეძებ ბავშვობის ნატერფალს,
აქ, ზღვასთან
ქვიშაზე დარჩენილს!..

03. 07. 68.
სოხუმი.

## მოდის ის!..

მოდის ის! მოდის ის! ფერების სიმრავლით
და მოედინება,
ვით ჭრელი მდინარე!..
მე სულში მეღვრება მგ ზავრს მარტოდ მიმავალს,
ო, ჩუმი ქვითინი
დაღლილი სიმების!..

მოდის ის! მოდის ის! დაყურსულ მიდამოს,
ო, რაღაც ფარული
ტკივილის ფერი აქვს!
მოდის ის! მოდის ის! მოდის ის!
გაფრინდა ზაფხულის ფერია!..

10. 08. 68.
სოხუმი.

## გულს კვლავ შემორჩა ის გზნება!

ვეღარ დავძლიე ის გზები, რამდენი დამრჩა სავალი?
სივრცე გუგუნით იმსხვრევა,
ქარი ხმაურობს ტრამალის!

გულს კვლავ შემორჩა ის გზნება და ვებრძვი
ქარებს მობერილს,
ვეღარ დავძლიე ის გზები
და სივრცე დაუნდობელი!..

14. 12. 68.
ბანძა.

## ვერ ვთქვი

ვერ ვთქვი თქვენი ქება, ჩემო მზე და მთვარევ,
ვერ ვთქვი თქვენი ქება,
ღელვით დავიღალე!..

ვერც იმ გოგოს თვალებს, რომ მათრობდა ერთობ,
ვერ ვუპოვე ცალი,
რა შეგცოდე, ღმერთო?!

განთიადზე ციმციმს ო, ამ წყაროსთვალის,
ვერც ატმების სიცილს,
ვერ მოვაბი თავი!

ვერც ვარსკვლავთა ცვენას, ვერც ზღვის ლამაზ ბგერებს,
ვერც ჩიტების სტვენას,
ვერ ვუპოვე ფერი!

ვერ ვთქვი თქვენი ქება, ჩემო მზე და მთვარევ,
ვერ ვთქვი თქვენი ქება,
ღელვით დავიღალე!

01.04. 69.
სოხუმი

## ის მოდის დაუნდობელი

არ ვიცი თუ რა მოელის, რეკავს და რეკავს დრო ზარებს!..
ის მოდის დაუნდობელი,
ის მოდის, როგორც მოზარე!..
არ ვიცი თუ რა ბრალი აქვს, ეს რა ფერები მოსავენ!
ტირის მინდორზე ბაია
და იცრემლება სოსანი!..
აჟღერე ჩანგი, მგოსანო, მზეს და სიცოცხლეს უმღერე,
რომ სიყვარულის ქარებმა
დალეწონ ჟამის უღელი.

28. 04. 69.
ბანძა.

* * *

საქანელაზე ქანაობს გოგონა ცისფერთვალება
და შუქს ათოვებს
მზე ციდან...
ეს სილამაზე ვერ ნახო, ნამდვილად დაგენანება,
მოდის ნათელი
ზეციდან!..

12. 05. 69.
ბანძა.

## დრო

ისე, როგორც სურნელება მაჭრის, მალე გავა
წლები სიყმაწვილის!..
დრო ყველაფერს
სხვანაირად განსჯის,
დრომ მიუზღო ყველას
თავის წილი!
მან არ იცის შებრალება ლაჩრის, თვალები აქვს
ველურივით ცივი!
დრო ყველაფერს
სხვანაირად განსჯის,
დრომ მიუზღო ყველას
თავის წილი!
ის არავის არ უკარგავს გარჯას, ყველგან ღვარძლის
ამოთხარა ძირი!
დრო ყველაფერს
სხვანაირად განსჯის,
დრომ მიუზღო ყველას
თავის წილი!
ის უკეთურს არ შემოსავს ფარჩით და მედროვის
აღარ ისმენს ყივილს!
დრო ყველაფერს
სხვანაირად განსჯის,
დრომ მიუზღო ყველას
თავის წილი!
ასჯერ ზომავს და ერთხელ კი გაჭრის, სად მზე იწვა
იქ დატბორა წვიმით!..

დრო ყველაფერს
სხვანაირად განსჯის,
დრომ მიუზღო ყველას
თავის წილი!
ის არასდროს აღარ არის უქმად, ველურივით
თვალები აქვს ცივი!
და ის მხოლოდ
თავის ჩანგზე უკრავს!..
დრომ მიუზღო ყველას
თავის წილი!..

21. 05. 69.
ბანძა.

## შუქი მოდიოდა...

ის ზღვა იყო ღელვის, როგორ გაირინდა?
ჟამის სივერაგე ვეღარ აირიდა!
შუქი მოდიოდა ზღვიდან, ჰაერიდან,
ქარებს განთიადის
აღარ დაერიდა!
ღრუბლებს მოარღვევდა ქროლვით არ ნახულით,
ისევ მოაგონდა ო, ის გაზაფხული!..
დროთა მძაფრი რხევა სულს არ ავიწყდება, —
როგორ გამოსტაცა
ლექსმა დავიწყებას!..

06. 10. 69.
სოხუმი.

## მეტამორფოზა

ვერ შევეჩვიე მაგ შენს მუდამ დემონურ ღიმილს,
მე კი დავდივარ უხმოდ
და გული რატომ ყვირის?!
ხან შემესხმება ფრთები, მიმაფრენს თეთრი რაში,
ხან ქარის ფრთებზე ვდგები,
სივრცეს მივარღვევ საშიშს!..

ხან სიმაღლეთა მიღმა დავეხეტები სადღაც,
ხან კლდის ქიმი ვარ სალი
და მზის ჩუქურთმა მადგას!..
ხან კი მიჭირავს სტვირი, შიგ ცის ნაჭერი ფეთქავს,
ხანაც მეხვევა ნისლი
და როგორ მიჭირს ხედვა?!
ხან ბალახი ვარ ლორთქო, მასველებს დილის ცვარი,
ხან კი მინდორზე ვწევარ
და მათრობს შუქი მთვარის!..
მე, რაც ვიხილე ქვეყნად არ ღირსებია ძე კაცს!
ჩემში მზეები კივის,
ჩემში სამყარო რეკავს!..
ვერ შევეჩვიე მაგ შენს მუდამ დემონურ ღიმილს!
მე კი დავდივარ უხმოდ
და გული რატომ ყვირის?!

05. 07.70.
ბანძა.

## ო, ეს ბილიკი!

ო, ეს ბილიკი სად იწყება არავინ იცის!
არავინ უწყის სად
დარეკეს ზარი პირველი!
ამ უამრავი ღელვისა და ფერების იქით,
დაფარულია ფერფლით
გზები პირველყოფილი...
არავინ იცის პლანეტების გაჩენის წუთი,
სიმაღლეები კვლავ იწყება
სიმაღლის იქით...
უსასრულოა კიდეები დროის და სივრცის
და სფეროების
ხეტიალი ნისლოვანებში...
დროის ეკრანზე ქანაობენ მხოლოდ ლანდები,
სადაც ნისლი და
უდაბური ღელავს მორევი...
ხმაურით ცვლიან ლანდები ლანდებს
და ოკეანის სიღრმეებში
ქრებიან ისევ...
ო, ეს ბილიკი სად იწყება არავინ იცის!

06. 09. 70.
სოხუმი.

# ისევ მოდის...

ისევ მოდის ღამე ბნელი, სად იყავ და სად იარე?!
ეს ცხოვრება ულმობელი,
როგორც უნდა გატრიალებს!..
ისევ მოჩანს ანძა ძველი და ზღვას ღელვა ემატება,
სულო, რამდენს გაუძელი,
ახლა რაღა გემართება?!
ამ წყალს საით მიაქვს ნეშო? — ალბათ უნდა გამორიყოს,
ქარი ისე დათარეშობს,
თითქოს ქვეყნად მარტო იყოს!
წამების გზას მიადვილებს, სულიც აღარ კარგავს გზნებას!
შეხედე, ამ ღრუბლის ფთილებს
ცას მიკვრია მედუზებად!
იქით გემი მოჩანს მომცრო, ზარის ხმაზე აფრას გაშლის,
შენ მოგწონს, თუ აღარ მოგწონს,
ცხოვრებასთან რჩები ვალში!..
ისევ მოდის ღამე ბნელი, სად იყავ და სად იარე?!
ეს ცხოვრება ულმობელი,
როგორც უნდა გატრიალებს!..

10. 09. 70.
სოხუმი.

## ქამი არხევს

სული მისი შევავედრე უფალს, ქამი არხევს
ბედისწერის ფურცელს,
ვხედავ სივრცეს
სილამაზე ღუპავს,
შეხედე, ზღვაც
ახმაურდა უცებ!..

დარდით ბევრჯერ მომექუფრა შუბლი,
დრო მიდის და
რამდენ რამეს ვუძლებ!

კვლავ ბობოქრობს ეს ზვირთები
ღრუბლის
და ქარებმაც
აიწყვიტეს უკვე!..

19. 09. 70.
სოხუმი.

## შემოდგომის მზე

მზე გაიხლართა მაღალ ბალახში ო, როგორც ბავშვის
თოთო სხეული!
და მოყვითალო სექტემბრის ქარი
მოაწვა სივრცეს ანაზდეულად!..

ფოთლები ისევ სწყდებიან ტოტებს, ცა იდუმალი
თვალებით მიმზერს!..
მე ვეძებ ქვეყნად
ყველაფრის მოტივს,
მე ვეძებ ქვეყნად ყველაფრის მიზეზს!..

20. 09. 70.
ბანძა.

## ეპიტაფია

მე შებრალებას არ ვთხოვ არავის,
არ დამირხიოთ მწუხრის ზარები!
მქონდა ცხოვრება შეუბღალავი,
ქოხზე მეკიდა ფართო კარები!..
მე შებრალებას არ ვთხოვ არავის,
ეჰ, მეც მხიბლავდა ეს ცა მზიანი!..
მიყვარდა მინდვრად ლურჯი კარავი
და ბალახებში ქროლვა ნიავის!..
მე შებრალებას არ ვთხოვ არავის,
ო, ასეთია ჟამის ტრიალი!..
ახლა მტვერი ვარ, კაცი კი არა,
მე ბალახი ვარ ახლა შრიალა!..

26. 09. 70.
ბანძა.

* * *

ახლა ამ სახლში არავინ ცხოვრობს
და შემაზრზენი დუმილი სუფევს!..
ახლა ამ სახლში არავინ ცხოვრობს,
ქცეულა ეზო
სიყვითლის გუბედ!..
ახლა ამ სახლში არავინ ცხოვრობს,
მიიზლაზნება მინდორზე ნისლი...
ახლა ამ სახლში არავინ ცხოვრობს
და არც ჩიტების
ჟივჟივი ისმის!

16. 10. 02.
ბანძა.

## ელოდება გაზაფხულის ნიავს

ჩემს მინდორ-ველს მორევია თვლემა,
        დაღლილ ფოთლებს გულზე აფენს ქარი...
შენი მზერა ისევ აინთება,
როგორც ცათა ლაჟვარდები მთვარით...
ღრუბლები კვლავ ჩამოსულან დაბლა,
        შლიან მთებზე შეღამების ძაძებს...
მზეს შეხედე, გაუხუნდა კაბა
და სახეზე რა ნაღველი აწევს!..
ტყე ქარიშხალს ერთობ გაუძარცვავს
        და ნადავლი ტრამალებში მიაქვს...
შორს, კორტოხზე დგას პატარა ფაცხა,
ელოდება გაზაფხულის ნიავს!..

15. 10. 70.
ბანძა.

## ოცი წლის მერე

მე უპასუხოდ დაგტოვე მაშინ და ახლა ვწუხვარ
ოცი წლის მერე!
შენ გული გქონდა,
ძვირფასო, ბავშვის
და ცისარტყელას არხევდი ფერებს!..
ვერ დავაფასე ხალასი გრძნობა და ჩემში, როცა
ქარები დაცხრა!
მიგზავნის წლები
სევდიან ნობათს
და იწყებს სულის სიმები ცახცახს!..
ახლა იმ ბაღში დავდივარ მარტო, მაცვივა ხმელი
ფოთლები ჩქამით
და იმ საოცარ
გაზაფხულს ვნატრობ,
უკვე ექსპრესის სიჩქარით ჩავლილს!..
მიდის საწუთროს მდინარე ჩქარი და მიაქანებს
აფრიან ხომალდს...
შემოდგომური
შრიალებს ჩალა
და გრძნობს სხეული იდუმალ კრთომას!..
მე უპასუხოდ დაგტოვე მაშინ და ახლა ვწუხვარ
ოცი წლის მერე!
შენ გული გქონდა,
ძვირფასო, ბავშვის
და ცისარტყელას არხევდი ფერებს!..

28. 10. 70.სოხუმი.

## საიდან?

აწი ვერ მიუალერსებ და ვეღარც დაელოდები!
ცრემლი მოგადგა თვალებზე
და ბილიკს ვეღარ შორდები!..

აწი ვერ მიუალერსებ, არც გათრობს შუქის ციმციმი!
ვინ აკაკუნებს კარებზე? —
მესმის ფარული სიცილი!..

გულის არცერთი კედელი არ დარჩა გაუბზარავი!
მესმის თრთოლვა და ვედრება,
საიდან? — არ ჩანს არავინ!..

14. 11. 70.
ბანძა.

# თოვლი ეფინა ბაღებს

გაოცებული იდგა! გაოცებული ვნახე!
მინდორზე თოვლი იდო,
თეთრად ყვაოდა ბაღი!..

შემოღამების სევდა გადაჰფენოდა მთვარეს,
სივრცეს თვალებით ხევდა
ზღვა ლურჯად ბობოქარი!..

თოვლი ფარავდა მინდორს... თოვლი ეფინა ბაღებს...
გაოცებული იდგა!
გაოცებული ვნახე!..

12. 02. 71.
სოხუმი.

## როგორ გადავრჩი მიკვირს!

სული დაღალა ღელვამ, როგორც
ავდარმა ტოტი,
შენ მეჩვენები, დედა!
თუ შენი ლანდი მოდის?!
ნისლი დაცურდა ციდან, ვით
სერაფიმის ფრთები,
მე შენი ნანა მზრდიდა
და წინაპრების ხმები!..
მაგრამ დაეშვა ფარდა, როგორც
ღრუბელი ურჩი,
მხოლოდ ზვირთები ჩანდა
და დამსხვრეული ბურჯი!
მერე ცხოვრება მცდიდა, როგორ
გადავრჩი, — მიკვირს!
სეტყვა მიშენდა ციდან
და გრიგალების რიგი!..

სული დაღალა ღელვამ, როგორც
ავდარმა ტოტი,
შენ მეჩვენები, დედა!
თუ შენი ლანდი მოდის?!

14. 03. 71.
ბანძა.

## მზე მიცურავდა...

ტყე ივსებოდა აკაციის თეთრი მტევნებით
და ჩვენ ბავშვები
მის ნაპირზე ვთრთოდით ხალისით!..
ხსოვნას იმ დროზე აღტაცებით ავედევნები,
რომ აღვადგინო ყოველივე
თავის ხარისხით!..
ხმები ხოხბების გადუვლიდა რხევით ლანდშაფტებს
და ცა გვეფინა ვარდფურცლობის
თეთრი რტოებით!..
ცვრიან ბალახში მიცურავდა მზე ფეხშიშველი
და ჩვენ გვათრობდა
სილამაზის უსაზღვროებით!..

23. 09. 09.
მოსკოვი.

## მიდის გაქანებით!..

ლაჟვარდს ეფერება სული მეოცნებე,
სივრცეს განაბული უსმენს რადარები!..
მზერა მოქანცული
ასფალტს ენარცხება,
გარბის ლიანდაგზე
ჩრდილი მატარებლის...
დრო კი დაჭიმული არის მავთულივით
და გზა იკარგება კვამლში მანქანების...
სივრცეს ქვა—ბეტონის
არღვევს სართულები...
ჟამი უჩვეულო
მიდის გაქანებით!..
ყვითელ სილუეტებს ქარი აქანავებს,
კვამლი იგრაგნება თავზე ქალაქების!..
რა შორს მოვიტოვეთ
გზები საქარავნე,
და დრო უჩვეულო
მიდის გაქანებით!..

09. 07. 71.
სოხუმი.

## კვდებოდა ყვავილი

მინდორზე კვდებოდა ყვავილი, მიდამო
იცვლიდა სამოსელს!
შორიდან ისმოდა ჩხავილი,
ცამ მთებზე ღრუბელი ჩამოსხა...
მინდორზე კვდებოდა ყვავილი, ეძებდა ცის
ლაჟვარდს თვალებით!..
მინდორზე კვდებოდა ყვავილი
და ქროდა ზეფირი თავნება!..
მინდორზე კვდებოდა ყვავილი, მან გზები
ოცნების დახურა!
მინდორზე კვდებოდა ყვავილი
და ჩუმად ტიროდა სამყურა!..

24. 07. 71.
სოხუმი.

## ფოთოლს

ასე რამ გაგაუხეშა, რა სენი შემოგეპარა?
ასე რამ გაგაუხეშა,
                                        თუკი ხავერდი გეფარა?
რად წარიკვეთე ნუგეში, თუ ის აჩრდილი იცანი?
ასე რამ გაგაუხეშა,
ან ფერი რატომ იცვალე?
შენ ხომ გიყვარდა ნიავთან: ტრთოლვა,
                                        გალობა, მოლხენა?
შეხედე, როგორ იავდრა,
ქარი მოვარდა ოხერი!..
საცაა, კიდეც მოსწყდები, ეს დროთა
                                        ბრუნვა გაოცებს!..
გაფრინდა ჟამი ოცნების,
ო, ის წარსული დალოცე!..

28. 08. 71.
ბანძა.

* * *

ფრთებს დამაფარებს საღამო მშვიდი
და თან იდუმალ
ფიქრებში გამხვევს!..
ჩემს წინ კიპარისს ნიავი არხევს,
შორს ლაჟვარდებში
მიცურავს მთვარე...
მაოცებს სივრცე ფერიცვალების
და სხივთა ღვარით
ზეცის თავანი,
ვერ მიპოვნია სულის სავანე,
თუ შენ გეძებენ
ჩემი თვალები?!

12. 09. 71.
სოხუმი.

## მოგონებებში სძინავს

ნისლი მოედო ქედებს, ქარები ველარ ხევენ!
კვლავ ვინღა შემახვედრებს
იმ თვალებს შუქის მფრქვეველს?!

კვლავ ვინღა გამაგონებს ხმას უკვდავების სადარს?
ო, ის დღეები ბროლის
იყო ჩუმი და სადა!..

იგი აქ იყო წინათ! საით წავიდა მერე?
მოგონებებში სძინავს
ხსოვნის უნაზეს ფერებს!..

16. 09. 71.
სოხუმი.

## დედას

მე მენატრება შენი ხელები, შენი ხმა — სუნთქვა
თეთრი აპრილის!..
მე მენატრება შენი ხელები,
ჩემი ბავშვობის
თბილი ნაპირი!..
მე მენატრება ის ცისარტყელა და ჩემი სოფლის
მწვანე ბორცვები,
მე მენატრება ციცინათელა
და იდუმალი
ფრთები ოცნების!..
მე მენატრება სოფლის ბალახი, ცა დაცხრილული
ოქროს ისრებით!..
ჩემი ბილიკი ერთხელ მანახა
და როგორ წვება
მთაზე ნისლები...
მე მენატრება მთვარის ასული და აკაციის
თეთრი მტევნები!
მომაგონდება ჩემი წარსული
და შენი ლანდი ამედევნება!..

19. 04. 72.
სოხუმი.

# ო, თქვენ რომ არა!

*ნანას და გოჩას*

თქვენს სულში თეთრი აპრილი ყვავის
და თვალებში კი ზეცა ციმციმებს!..
ო, როგორ გავხართ მინდვრის ორ ყვავილს
დილის მზეზე რომ
უყვართ სიცილი!..
თქვენა ხართ ჩემი სიცოცხლის სიმი
და უსასრულო სივრცე თვალების!..
გიცქერთ და სული ვერ მალავს ღიმილს
და გული ბევრჯერ ნაიარევი!
ო, თქვენ რომ არა, ჩემი სტრიქონი
ვერ გაუძლებდა ამდენ ჭალიკონს!
ახლა რამდენიც უნდა იქროლონ,
ჩემო გოჩა და ჩემი ნანიკო!
ახლა რამდენიც უნდა იქროლონ,
თუნდაც მეკვეთონ გაბოროტებით!..
არ წაიშლება ჩემი სიმღერა,
არ დაიმსხვრევა ჩემი ტოტები!
ჩემი კაცობის თქვენ ხართ ნაყოფი,
რა უნდა ჩემთან სევდას არყოფნის?
მე ახლა თქვენით ვარ კმაყოფილი
და საგზლად ცოტა რამე მეყოფა!..
ო, თქვენ რომ არა, ალბათ დღეების
ვერ გავუძლებდი ზარს და მოვარდნას!..
მე მშველის თქვენი თითო ხელები
და გზას მიარღვევს
ჩემი ხომალდი!..

24. 04. 72. ბანძა.

* * *

ცხოვრება ისევ მიდის ნელი სვლით,
დავხეტიალობ ბილიკზე მარტო...
ვერ იქნა, ფრთები ვეღარ შევისხი
და სულის ტკივილს
ვერავის ვანდობ!
სადღაც სუსტი ხმით რეკავს საათი
და მზე ამოდის სხივით ულევით!..
ცხოვრება ისევ მიდის ტაატით,
ო, როგორც თივით
სავსე ურემი...

17. 08. 72.
ბანძა.

## ფოთოლცვენა

ზღვის მოქცევის ჟამს შენ ისევ გავსებს
ლურჯი შუქით სექტემბრის მთვარე
და აყურადებ ფოთოლცვენის
იდუმალ შრიალს,
როგორც ბუნების
სევდიან აკორდს!..

03. 09. 72.
სოხუმი.

* * *

რა დამავიწყებს იმ ღამეს და იმ თვალების კრთომას,
ნოემბრის სუსხი სისინებს,
                        იწყო ბუნებამ კვდომა...
რა დამავიწყებს იმ ხანას, იმ ლაჟვარდოვან თვალებს?
მზე უხმოდ გადაიხარა,
მიდის შორეულ მხარეს...

10. 11. 72.
ბანძა.

## ზარების ექო

სიზმარეულ ჩვენებიდან შენ გამოდიხარ,
როგორც ნისლიდან
ნეკერჩხლის ტოტი...
და იდუმალი სველი თვალებით მზერას მიაპყრობ
ვეებერთელა მოლურჯო ვარსკვლავს...
ცივი წვეთები გეცემა უხმოდ
და სულში რეკავს
შორეული ზარების ექო!..

14. 03. 73.
ბანძა.

## ალვის ხე

ლამაზო ხეო, შენს მწვანე ფოთლებს, კვლავ აშრიალებს
აპრილის ქარი!..
მეც მინდა შენი სიმწვანე მქონდეს —
გადაფერილი მზითა და მთვარით!..
ლამაზო ხეო, დამფოთლე ჩრდილით, სანამ მსუსხავი
ქარები მოვა!
კვლავ მაგრძნობინე სიმღერა დილის,
თორემ ამავსებს სეტყვა და თოვა!..

26. 04. 73.
სოხუმი.

## დაგენანება

მე ვერაფერი ვერ გავიგე დღეთა რიალის,
არაფერს ვამბობ, ლამის
ღელვით ენა დამებას!
ვერ გამიგია, ვინ შემიხსნა მე ეს იარა?
ან გული ნეტავ როგორ უძლებს
ამდენ წამებას?!
რატომ ბობოქრობს ულმობელი მღვრიე მორევი?
ო, ის დღეები რატომ მექცა
უკვე ზმანებად?!
საით გაიქცნენ ჩემი ყრმობის ნიამორები, —
მოიგონებ და სულ
უბრალოდ დაგენანება!..

02. 06. 73.
სოხუმი.

## თუ დაბრუნდება ისევ?!

დაჰკრა სიცივემ, სივრცეს უცებ ეცვალა ფერი!
აღარც ნიავი ცელქობს,
აღარც ტოროლა მღერის!

დაჰკრა სიცივემ, ჩიტებს ვხედავ მოწყენით მზირალს!..
ყველაფერს ხედავს ამას
ჩემი პატარა ცირა!..

და მეკითხება: მამა, მალე ზამთარი მოვა?
იქნება მერე წვიმა?
იქნება მერე თოვლი?

მზე გაზაფხულის თრთოლვით თუ დაბრუნდება ისევ,
საითკენ წავა თოვლი?
საითკენ წავა ნისლი?

12. 11. 73.
სოხუმი.

## ჩემი სახლი

ქარი გადაღლილ რტოებს კედლებს მდუმარეს ახლის,
ო, რა ტკივილებს ტოვებს
ჩემი პატარა სახლი?!
ისევ ქანაობს ნისლი ჩემი ფიქრების ფერი!..
ისევ ქანაობს ნისლი
და ხავსიანი ჭერი!..
და იცრემლება ჭერქვეშ პატარა შუქი მკრთალი,
კედელზე დედის სურათს
აღარ შორდება თვალი!..
მიახლოვდება ისევ შავი აჩრდილი მამის,
რამდენ ტკივილებს მისევს,
ო, ეს აპრილის ღამე?!
სილუეტები თეთრი... სილუეტები შავი...
ქარებს გადააქვთ ნისლი
და შორს ღრუბლები შავი...

09. 04. 74.
ბანძა.

## გული იქითკენ მიიწევს...

მე იმ წლებს ვეღარ ვივიწყებ და იმ
უნაზესს შეხებას,
გული იქითკენ მიიწევს
სად შრიალებენ ვერხვები!..

მე მხოლოდ იმ დროს ვენდობი და მაგ
თვალების ნათებას,
ისევ ხასხასებს ფერდობი
შუქის ფერადი სანთლებით!..

მე იმ ჟამს ღელვით ვიგონებ აპრილის
სხივით ნათოვარს,
აღმართზე ბევრი ვიქროლეთ,
ახლა დაღმართზე მარტო ვარ!..

მე იმ წლებს ვეღარ ვივიწყებ და იმ
უნაზესს შეხებას,
გული იქითკენ მიიწევს,
სად შრიალებენ ვერხვები!..

12. 04. 74.
სოხუმი.

## მზე ამოვიდა!

მოათამაშებს ნაპირისკენ ზღვა ისევ ტალღებს
და შენს თვალებში ცისკრის
თეთრი სხივები ფეთქავს!..

მზე ამოვიდა! აშრიალდა ჩიტების ბაღი
და სულს ანაზებს იდუმალი
გალობა ფერთა!..

მზე ამოვიდა! ნისლის რხევით ივსება ხევი
და ღამეს მთვარის სევდიანი
დაემსხვრა ანძა!

მზე ამოვიდა! და ცის ბილიკს აუყვა რხევით
და არხევს ველზე ყვავილების
მეწამულ ხანძარს!..

02. 05. 74.
სოხუმი.

* * *

დაეძებ და ვერ პოულობ მაინც და გულისთქმას
არ აკარებ ნიავს!
მზე მინდორზე აშრიალებს მაისს
და ის სივრცე სულში
რჩება ღიად!..
დროის ქროლვას ყველაფერი მიაქვს,
მაგრამ ხსოვნა ვერ
დასძლია ვერა!
ჟამი ისევ მიაქროლებს მერანს
და ის სივრცე მაინც
რჩება ღიად!

07. 05.74.
სოხუმი.

## დამშვიდობება გაზაფხულთან

უკანასკნელად დავუკოცნე დედოფალს ხელი
და განშორებამ სულში
მწარე სევდა ჩაღვარა!..
ორივეს შეგვრჩა მწუხარებით თვალები სველი,
ორივეს ერთობ მოგვათოვა
თმაში ჭაღარამ!..
მინელდა სულში ჭაბუკური ცეცხლი ღვთიური,
მაგრამ თვალები ძველებურად
ისევ მიელავს!..
გულს შერჩა მაინც სიყვარული ამქვეყნიური
და განშორებამ ტრფობა
უფრო გააძლიერა!..

19. 06. 75.
სოხუმი.

## წყარო

ცა შემოდგომის ირღვევა და ისმის
ირმის ბღავილი,
ცოტა ხანს კიდევ იმღერე,
ჩემო ოცნების ყვავილო!

ტყეს გავცქერ შიშით ატანილს, რამდენი
რამე გამანდო!..
მოღელავს წყარო პატარა
და მიდის უმისამართოდ!..

25. 08. 74.
ბანძა.

## წარსულის რკალები

ტყეთა შორეულ შრიალს ერთვის სიმღერა ღელის,
მე გულზე გადამივლის
ლურჯი ყანების ღელვა!..

წავალ და თავთუხების ჩავიკარგები ზღვაში,
სადაც ბინული ხვნეშის,
როგორც სიზმარში ბავშვი!

ნუ ეფარები, ნისლო, ჩემი წარსულის რკალებს!
იყოს შრიალი ისლის,
ტყეში ხმაური ქარის!..

28. 06. 74.
ბანძა.

* * *

წუხელ მთვარის ამოსვლამ სული გამიცისკროვნა,
თვალზე ცრემლი გადმოსხა
და წარსულში მისროლა!..
ტირიფების შრიალი ზღვასთან ახლოს მესმოდა
და მაისის ნიავი, —
ნეტავ რაზე კვნესოდა?!

11. 09. 74.
სოხუმი.

# ზღვა

ხან მშვიდი ხარ, ზღვაო, ხან კი უდაბური,
სიმბოლო ხარ მარად
                    წუთისოფლის ბრუნვის..!
ხან ბობოქრობ, ერთობ ხდები ულმობელი!!
როცა გაწევს ღამე
პირქუში და ბნელი!..
ხან ფრთხილი ხარ ძლიერ და ხან უშიშარი,
არ გაშინებს სივრცე
                    უმთვარო და შავი!..
ხან მღვრიე ხარ, ზღვაო, ბოღმით დანაღმული,
ებრძვი გრიგალ–ქარებს
და საშინლად ღმუი!..
ხან ურჩი ხარ მეტად, მედგრად ყალყზე დგები
და ხავსიან ჯებირს
                    მკერდით ეხეთქები!..
ხან მშვიდი ხარ, ზღვაო, ხან კი უდაბური,
სიმბოლო ხარ მარად
წუთისოფლის ბრუნვის!..

19. 09. 74.
სოხუმი.

## პოეტი

არ გაგიხუნდეს სიტყვის ქსოვილი,
არ დაგიბერდეს გრძნობა ფხიზელი!
აინთე სივრცე მოოქროვილი,
ციდან ცხრათვალა
ტრფობით გიმზერდეს!..
გახდი სიმაღლე აუღებელი
და გქონდეს სულში წვდომის უნარი,
რომ არ წაგექცეს მუხა ბებერი
გრიგალ-ქარებში
ნაგუგუნარი!..
ლექსი რას ვარგა ნაუცბათევი
და მოფარფატე, როგორც ფანტელი,
გიყვარდეს ფიქრი ღამენათევი
და ენდე სიტყვას
გრძნობით დატენილს!..
როცა გიზგიზებს ცეცხლი ვეება
და გარღვევს ბოღმა აუტანელი!
ურჩხულს შიშველი ხელით შეები,
ოღონდ გადარჩეს
შენი მთა-ველი!
თუნდაც მოგაწყდეს ჟამი განგაშით,
როგორც აწყდება ხმელეთს ზვირთები,
ოღონდ მოისხი ფრთები საქარე,
შუქს რომ ტკივილით მოეზიდება!..
არ გაგიხუნდეს სიტყვის ქსოვილი,
არ დაგიბერდეს გრძნობა ფხიზელი!

აინთე სივრცე მოოქროვილი,
ციდან ცხრათვალა
ტრფობით გიმზერდეს!..

22. 09. 94.
ბათუმი.

* * *

უკვე ცრემლები დამდის, ნეტავ რა ვუთხრა გამჩენს?!
როგორ ამიკლო დარდმა,
მაგრამ ვერავინ ამჩნევს!

რწმენის სანთელი ჩაქრა და შუქი ველარ მოდის!
როგორ ღელავდა ადრე,
ო, ეს ცისფერი ტოტი!

19. 10. 74.
სოხუმი.

## მხოლოდ იმ ერთზე ილოცე!..

იმღერე, სანამ ფეხმარდი ღვარცოფი მოგივარდება,
რომ თაობებმა შემდგომშიც
იგრძნონ ღელვა და ნათება!..
უჩვენე დროის ტილოზე რა ღვარმა გადაიარა,
მხოლოდ იმ ერთზე ილოცე
და შეუხვიე იარა!..
იქროლონ ჟამის რაშებმა, რომ უყვართ თავის აშვება,
შორს მოჩანს ღრუბლის ბანაკი,
მზე ქარებს ეთამაშება!..

27. 10. 74.
სოხუმი.

# ამ კაკლებქვეშ...

აქ წევს ჩემი მონადირე ძაღლი,
რომ იკლებდა ცას და მიწას ყეფით!..
აქ წევს ჩემი მონადირე ძაღლი,
ძაღლი არა — ეს
ძაღლების შეფი!
აქ წევს ჩემი მონადირე ძაღლი,
ავსულებს არ აკარებდა უბანს!
აქ წევს ჩემი მონადირე ძაღლი,
რომ შეარქვა
მამაჩემმა — ტრუბა!
აქ წევს ჩემი მონადირე ძაღლი,
ზამთარ-ზაფხულ მუდამ იყო გარეთ!
აქ წევს ჩემი მონადირე ძაღლი,
რომ სიბერემ
ამიტირა მწარედ!..
აქ წევს ჩემი მონადირე ძაღლი,
ოცი წელი უერთგულა პატრონს!
აქ წევს ჩემი მონადირე ძაღლი,
მამაცი და
მუდამ უღალატო!
აქ წევს ჩემი მონადირე ძაღლი,
ის არავის არ უნახავს ჩუმი!
აქ წევს ჩემი მონადირე ძაღლი,
სიკვდილმა რომ
შეაჩვია დუმილს!..
აქ წევს ჩემი მონადირე ძაღლი,

და ხეები ირხევიან ირგვლივ...
აქ წევს ჩემი მონადირე ძაღლი,
ამ კაკლებქვეშ
განისვენებს იგი!..

17. 11. 02.
ბანძა.

## ფერიცვალება

შეხედე, ფერიცვალებას, ო, რა ტკივილი ახლავს!
ის მზე ფერდობზე ჩამოჭკნა,
ის ყვავილებიც გახმა!..
შეხედე, არწივს ღრუბლებში, რომ უჭირს
ფრთების გაშლა!
ბევრი იქროლა მან ალმა,
ნუთუ ამაოდ დაშვრა?!
შეხედე, ზამბახს ბაგეზე ღიმილი შემოაშრა
და ნისლს იფარებს სახეზე,
ვით შემოდგომის თავშალს!
ო, დღემდე ჩემთვის ბევრი რამ გაუგებარი რჩება!
შეხედე, ყინვის მკლავებში
ეს ნაკადული შრება!..

26. 11. 74.
სოხუმი.

## ღამე ბუხართან

ვზივარ ბუხართან და ცეცხლის ალი
ირეკლავს ჩემი ბავშვობის სიზმრებს...
ირხევა ქარში ხეები ალვის
და ციდან ლურჯი
ვასკვლავი მიმზერს...
ვზივარ ბუხართან და ფიქრი ჩემი
მიარღვევს უხმოდ შორეულ სამანს...
შორს, ცაზე მთვარის მიცურავს გემი
და განვლილ დღეებს
ცრემლებით ვნამავ!..
ვზივარ ბუხართან და მტანჯველ სევდას,
ვერ იქნა, ვეღარ ვაძლევ სადინარს!
მე მარად შენი ხატება მსდევდა
და ბევრჯერ კიდეც
ცრემლი მადინა!..
თუმცა თავის გზით მიდის ყოველი,
ხან ოხვრით, ხანაც დაუნანებლად!..
კვლავ კივის სული დაუდგრომელი
და მიდის ზავთით
ჟამი თავნება!..
ვზივარ ბუხართან და ცეცხლის ალი
ირეკლავს ჩემი ბავშვობის სიზმრებს...
ირხევა ქარში ხეები ალვის
და ციდან ლურჯი
ვარსკვლავი მიმზერს!..

25. 12. 74. ბანძა.

## ო, მეტი სინათლე!

ო, მაგ სულს სინათლე არ ყოფნის შორეთის,
თუ გინდა ლაჟვარდში
ასი მზე აენთოს!..

ეს ასე სჩვევიათ სულმაღალ პოეტებს,
სიმართლე, ხომ ყველას
ესა აქვს საერთო!

მზე ეთამაშება სულს მაღალს, რაინდულს,
ის ათოვს გუმბათებს
ქუჩებს და მოედნებს!..

„სინათლე, ო, მეტი სინათლე!“
ჟამს ფერიცვალების, —
ბრძანებდა გოეთე!

12. 07. 75.
სოხუმი.

## სევდიანი ჩქამი...

მოვინახულე ჩემი სახლ-კარი, ჩემი
                    ცისფერი ღელე!
სადაც ბავშვობის
ჩრდილი კანკალებს,
          როგორც ბეღურა სველი!..
ვნახე ვენახი ქარით აშლილი, ჭასთან
                    ნატეხი დოქის!
აქეთ მოიწევს
მამის აჩრდილი, —
          კიდეც გამოსცდა ბოგირს...
გადაფერდილი ვნახე მესერი, ქარით
                    ნარბევი ტოტი!..
მე ულმობელი
ფიქრი მესევა,
          თითქოს ყორანი მკორტნის!..
აქ ღამურების ისმის სისინი და
                    სევდიანი ჩქამი!..
ეზოს ედება
ხავსის სისველე,
          როგორც ნაყოფი ჟამის!..

17. 07. 75.
ბანძა.

## გახსოვს, ის ნავი პატარა?!

კვლავ მოსაგონრად იმ დღეთა, მოვიდა წვიმა აპრილის,
გახსოვს, ის ნავი პატარა
და ზღვის მოლურჯო ნაპირი?!
იმ ჟამს ვერ ვუსაყვედურებთ, ვერც გაზაფხულის ნათებას,
საით გაფრინდა, არ ვიცი,
ო, ის ლამაზი ხატებიბა?!
არც თოლიების ხმა ისმის, არც მზის ხვიხვინი ქვიშაზე,
დრომ თან წაიღო ნადავლად
იმ დღეთა ყველა ნიშანი!..
არც წყაროს თვალი გვეძახის, არც იმ ვერხვების შრიალი!..
მოვიდა ჟამი დაისის
მკრთალი ლანდების რიალით!..
აქ, არც ის ნავი ირხევა, არც ზღვა ხმაურობს კბოდესთან,
არც ის ჩიტები გალობენ,
ჩვენ რომ გვიყვარდა ოდესღაც!..
კვლავ მოსაგონრად იმ დღეთა, მოვიდა წვიმა აპრილის,
გახსოვს, ის ნავი პატარა
და ზღვის მოლურჯო ნაპირი?!

12. 04. 76.
სოხუმი.

## ისევ მოქრის ზღვაური

მე შენს შუქში გავები, არ მწამს სხვა სასწაული!
შენ ხარ ჩემი ღვთაება,
ჩემი დღესასწაული!..
ისევ მოქრის ზღვაური და მზე ზღვაზე ეშვება
და შორს ზვირთთა ხმაური
როგორ მენუგეშება!
ცაო, უფაქიზესო, დღეო, არ დავიწყების!
თითქოს შენ ხარ მიზეზი,
რომ თავიდან ვიწყები!..
მე შენს შუქში გავები, არ მწამს სხვა სასწაული!
შენ ხარ ჩემი ღვთაება,
ჩემი დღესასწაული!..

21. 04. 76.
სოხუმი.

* * *

ისე ირწევა ძეწნა ღელესთან, როგორც ქალწული მორცხვი,
აეფარება მთვარე ალვის ხეს
და შიშველ მკლავებს კოცნის!..
ნისლი მიცურავს მთვარის ბილიკზე, ტანს აბრეშუმის არხევს,
ახლა სიზმრებში სძინავს პირიმზეს,
მოდი ზღაპარი ნახე!..
იღვრება სხივი ზეცის სარკმლიდან და შუქის დგება ტბორი
და ვარსკვლავების ფერად ხავერდზე
სივრცე ციმციმებს ბროლის...
ო, იმ დღეების ღელვა ლამაზი ხსოვნამ ვერ მოიშორა!
და სიშორიდან შენი თვალების
სილურჯე ისევ ჟონავს!..

08. 06. 76.
ბანძა.

## ლურჯი ყვავილი

მიდიან წლები!.. და მე არ ვიცი, ასე უეცრად,
რად შესწყდა ცაში საგანთიადო ზარების რეკვა?!
მიდიან წლები!.. და მე არ ვიცი, რად გაიტაცეს
ქარებმა იქით, შენი ბავშვობის
მოხასხასე მწვანე ფოთოლი?!
მიდიან წლები!.. და მე არ ვიცი, ჩემს ცისფერ სულში
რას ჩურჩულებს ასე ნიადაგ, —
შენი ხსოვნის ლურჯი ყვავილი?!

12. 06. 76.
ბანძა.

# თითქოს სხვა მზე ანთია!

ძველებურად ვერ ვხვდები დღეთა ცვალებადობას,
სიზმრად მექცა წარსული,
დრომ არ იცის დანდობა!

ძველებურად ვერ ვხედავ, არც მაქვს ნახვის სურვილი!
თითქოს სხვა მზე ანთია
და მკლავს სულ სხვა წყურვილი!..

მეგობარო, მომწყინდა, ცოტა ღვინო დამისხი!
ხედავ, მიახლოვდება
ფოთოლცვენა დაისის!..

ძველებურად ვერ ვხვდები დღეთა ცვალებადობას,
სიზმრად მექცა წარსული,
დრომ არ იცის დანდობა!

12. 08. 76.
ბანძა.

## დაცარიელდა!

დაცარიელდა ჩემთვის სოფელი,
საით წავიდნენ ო, ის ბიჭები?!
დაცარიელდა ჩემთვის სოფელი
და სულში მძიმე
სევდა იჭრება!..
დაცარიელდა ჩემთვის სოფელი,
ჩამოიშალა მუხის რტოები!..
დაცარიელდა ჩემთვის სოფელი
და ვდგავარ
კაცი განმარტოებით!..
დაცარიელდა ჩემთვის სოფელი
და გული სევდას ნიადაგ იწოვს!..
დაცარიელდა ჩემთვის სოფელი
და გახდა იგი
ცივი და ვიწრო!
და დროს თვალებში ვუცქერ ამაზრზენს,
რომ ჩამომგლიჯა ყველა ტიტული!
და კვლავ ქანაობს ზეცის თავანზე
მზისა და მთვარის
ორი ფიტული!..

21. 11. 02.
ბანძა.

* * *

ო, შენი შხამით მოწყლულია ჩემი იარა
და თვალებიდან ბინდის ფერი
მოჟონავს სევდა!..
სად არის ჩემი ზეცა კრიალა,
სად არის ჩემი ადგილის დედა?!
სად არის ჩემი კაკლის ხის ჩერო
და მოწითალო ხარის ბღავილი?
სად არის ჩემი ლერწამის ღერო,
ჩემი ცხოვრების თეთრი ყვავილი?!

07. 10. 76.
სოხუმი.

## გამოვეთხოვე

გამოვეთხოვე გაზაფხულის მღელვარე დღეებს,
იმ ჭალებს, წყაროს და
ხატულა პატარა კორდებს!
არავინ იცის, რა უზომო სიმდიდრე გვქონდა,
არავინ იცის, — ეს თქვენს გარდა,
გელა და კოტე!

სადა ხართ ახლა? — ჩაიარეს ზვირთებმა უკვე!..
თვალები სივრცეს
ძველებურად კვლავ ველარ კაფავს!
ვხედავ ბალახით დაფარულა ბავშვობის შუკა,
სიჩუმის წრეში უხმოდ ვდგავარ
და ცრემლებს ვყლაპავ!..

რამ დაუკარგა სიხასხასე ხეებს და ეზოს,
რად არ იგრძნობა
უჩვეულო სურნელი მიწის?
ო, ეს ფოთოლი რა უმწეოდ ცახცახებს ხეზე,
აჰა, საცაა, ქარს გაჰყვება
ფარფატით ისიც!..

29. 10. 76.
ბანძა.

* * *

არავარ ბედის მორჩილი, თუნდაც
წამება მერგოს!
ჩემს გულში თქვენი ძალაა,
ჩემო მტკვარო და თერგო!..

არა ვარ ბედის მორჩილი, დღეო
ამაოდ ავობ!
ჩემს სისხლში შენი ღელვაა,
მთიდან მომსკდარო ზვავო!..

არა ვარ ბედის მორჩილი, დრო მიხმობს სანაქებო!..
ჩემს სულში თქვენი სევდაა,
კავკასიონის მთებო!..

11. 11. 76.
სოხუმი.

* * *

ნისლი ეხვევა მაღალ მწვერვალებს,
საგაზაფხულო ნისლების რიდე...
მიექანება წყალი მღელვარე
და მდინარეზე ქანაობს ხიდი...
თვალი აწყდება შორეულ ლანდებს
და მოქანავე ნათურებს ცაზე...
თვალი აწყდება შორეულ ლანდებს
და ღელავს სული
ტკივილით სავსე!..
ჟამის სიურჩეს გაურბის თრთოლვით
და სადღაც ცისფერ ბილიკებს მისდევს...
მაღალ მწვერვალებს ეხვევა ნისლი,
მაღალ მწვერვალებს
ეხვევა თოვლი...

22. 11. 76.
სოხუმი.

## ეს გზა საით მიდის?!

ეს გზა საით მიდის, რომ იტაცებს მზერას?
ეს გზა საით მიდის,
ვერ გავიგე ჯერაც!

ეს გზა საით მიდის, ხავერდს აფენს მთვარე,
ეს გზა საით მიდის,
ანდა რომელ მხარეს?!

10. 06. 77.
სოხუმი.

* * *

ისმის ვარსკვლავთა ქშენა, მზე სადღაც მიქანაობს...
ვერ გადურჩები შენაც
ფერიცვალების ქაოსს!..

სადღაც მიფრინავს ყანჩა, ეძებს შლამსა
და ჭაობს,
ტყეს გაუხუნდა ფარჩა,
მიწას — ხასხასა ხაო!

ისმის ზარის ხმა ისევ, სივრცე ქარებთან დაობს!..
ვერ გადურჩები შენაც
ფერიცვალების ქაოსს!..

11. 10. 77.
სოხუმი.

## მარტოობა

მარტო ვარ, ო, როგორ მომწყინდა უშენოდ!
ზღვა ღელავს, ვდგავარ და
მზის ჩასვლას ვუცქერი...

ტალღები იმსხვრევა ლოდებზე შიშინით
და მთაზე ღრუბლებს ძლივს
გადააქვთ მუცელი...

სივრცეში ოცნების ლანდები ქანაობს,
ეკვრიან ცახცახით
ერთმანეთს ტოტები.

მარტო ვარ, ო, როგორ მომწყინდა უშენოდ
და მე ვგრძნობ, რომ ისევ
შენ მიახლოვდები!

09. 11. 77.
სოხუმი.

## აღმოსავლეთით, როცა ინათა!..

ცა გაძარცული თავზე მახურავს, მესმის გუგუნი
ქარში ჩინართა!..
მე მეგონა, რომ მოდის აპრილი
და მოსახვევში გაუჩინარდა!..

მე მეგონა, რომ მოდის აპრილი, აღმოსავლეთით
როცა ინათა!..
მე მეგონა, რომ მოდის აპრილი
და დედამიწა თოვლში გმინავდა!..
მე მეგონა, რომ მოდის აპრილი და ვუგალობდი
მიწის ბინადართ!
მე მეგონა, რომ მოდის აპრილი
და ყველაფერი გადაყირავდა!..

30. 03. 78.
სოხუმი.

## დამთავრდა, მორჩა!

შეხედე, ო, რა ნაღვლიანი დგანან ვერხვები!..
ვერც შემოდგომის მზე აღვიძებს
ყვავილებს კოცნით!
აწი, ერთმანეთს იმ გრძნობით ვერ გადავეხვევით,
ვერ იზეიმებს სიყვარულით
სული და ხორცი!..

რატომ შეირხა წამწამებზე წვეთები ცრემლის?
სადღაც სიღრმეში
ჩვენი ყრმობის მწვერვალი მოჩანს!..
რა ფერმკრთალია ზამთრის პირას მზე ალმაცერი ?
ო, ის დღეები აღტაცების
დამთავრდა, მორჩა!..

25. 11. 02.
ბანძა.

## ᲘᲩᲥᲐᲠᲔ!

ის მოვა და ჩემზე გეტყვის, დაფარავს
                    ცრემლები თვალებს!
მე შენგან რა მინდა მეტი, —
იჩქარე, მზე ჩადის მალე!..

მე შენგან რა მინდა მეტი, მაგ სათნო
                    ღიმილის გარდა!
საცაა გაწყრება ბედი,
ცხოვრება დაუშვებს ფარდას!..

გაცურდა სივრცეში გედი და ცრემლი
                    მოედო თვალებს!..
ის მოვა და ჩემზე გეტყვის,
იჩქარე, მზე ჩადის მალე!

02. 06. 78.
სოხუმი.

## მიდის გუგუნით

დღე მოითენთა, მზე კი ივლისის ცაზე
გუგუნით მიდის
და მიწას ოფლი
გადასდის პირზე,
არსად სიო და ბინდი!
დღე მოითენთა, მზე კი ძლიერად ცეცხლოვან
ისრებს ისვრის,
ცხელი ქარები
ტოვებენ მიწას,
ო, რა გუგუნი ისმის!..
ყველგან ივლისის ბუღი თარეშობს, მდინარის
ჩქამიც მიწყდა!
ვდგავარ უდაბურ
სიმხურვალეში
და გმინავს ხმელი მიწა!..
ცეცხლი ედება ტანზე მდინარეს, შეწყდა
თამაში ფერთა,
ვერხვიც დადუმდა
და დუმს ჩინარიც,
ზღვა რა ულონოდ ფეთქავს!
სივრცე მზის ალით გადაინისლა, ვდგავარ
ტკივილით სავსე,
დღე მოითენთა
და მზე ივლისის
მიდის გუგუნით ცაზე!..
20. 07. 78. სოხუმი.

* * *

აწი ვერასდროს ვესტუმრებით ხეივანს მთვარის!
ვერ დაგვირხევენ გაზაფხულის
ნიავს რტოები!
და ღამის ჩიტის უჩვეულო გალობით მთვრალი,
ვერ ავინთებით
სიყვარულის უსაზღვრობით!..
ვერც ბაგები დაგველღლება, ძვირფასო, კოცნით!
ვერ იმღერებენ აწი ჩვენთვის
მინდვრის ფერები!
მხოლოდ დარჩება ის ცისფერი ლამაზი ბორცვი,
ტირიფის თმების მწვანე
წვიმით დანასველები!..

14.04.09
მოსკოვი

## მე იგი ვნახე მარტო

გაფითრებული ვნახე, გახუნებული კაბით,
მან ცხოვრებასთან თითქმის
გაწყვიტა ყველა ძაფი!
გაფითრებული ვნახე, შუქი ქრებოდა თვალთა!
ერთ დროს პატარა თაკო!
ერთ დროს ლამაზი თამთა!

ო, რამ მოთენთა სისხლი და თრთოლვა აბრეშუმის!
ყველას ათრობდა ჩუმი
სათნო ღიმილი მისი!
როგორც ქვიშაში წყარო, ისე უმწიკვლოდ დაშრა!..
მე იგი ვნახე მარტო,
მე იგი ვნახე შარშან!

იყო ფოთლების ცვენა... შუქი ქრებოდა თვალთა!..
ერთ დროს პატარა თაკო!
ერთ დროს ლამაზი თამთა!

12. 08. 78.
ბანძა.

## ო, სიყვარულო!

შეუტიე და გაარღვიე ო, ეს კედლები!..
შეათამაშე სივრცეებში
ფრთები არწივის!..
თუ საჭიროა, მაგ გულიდან სისხლიც აწვიმე,
რომ საუკუნემ იგრძნოს
შენი სულისკვეთება!..

ეს რა ჟამი დგას დანასავით ცივი, პრიალა!
ეს რა ჟამი დგას
სულის, ხორცის, გაჩანაგების!..
ვინ აჟღარუნებს თერმობირთვულ ზემძლვარ იარაღს,
რომ ჩამოგვექცეს საუკუნოდ
თავზე თაღები?!

ეს რა ჟამი დგას, რა სასტიკი მესმის ხივილი,
ნუთუ მას მართავს
უჩინარი ხელი განგების?!
ო, სიყვარულო გეძებ, მაგრამ ვერ მოგიხილე,
ო, სიყვარულო გეძებ,
მაგრამ ვერ მოგაგენი!..

21. 08. 78.
ბანძა.

## მზე თამაშობდა მაისის

აქ ჩაირბინა ბავშვობამ, როგორც მდინარის ტალღამ,
მზე თამაშობდა მაისის,
იქ — ლაჟვარდებში მაღლა...
გული რაღაცას მიზეზობს! ვდგავარ მდინარის ახლოს,
გაუდაბურდა ის ეზო,
ის გზა, ის ტყე და ახო!..
და კვნესის ჩიტი ფერმკრთალი, რაღაც უცნაურ ხმაზე!
მზე ვნახე შიშით შემკრთალი
ჩემი ბავშვობის ცაზე!..

04. 10. 78.
ბანძა.

## თოვლი

რა საოცარი რხევით ჩამოდის თოვლი
ახალ წლის ღამით!..
ვინ შეხსნა ყველა
კარი სამოთხის,
რომ სივრცე თეთრად ყვავის!..

მოჩანს ქალაქის თეთრი ხედები, გავცქერი
თოვლის ციმციმს!..
ვთვრები ბუნების შემოქმედებით
და მოგონება მიმძიმს!

მე ის დღეები აღარ მასვენებს, თუმც
ქრიამული მიწყდა!
თოვლი ბავშვობის
დღეებს მახსენებს,
ო, მარად დაუვიწყარს!

31. 12. 78.
სოხუმი.

## ისევ მოვდივარ!

კვლავ ვრჩები ჟამით განაოცები, მზემ გაზაფხულის
ისევ ინათა!..
მე გამიფრინდა ჩიტი ოცნების
და ლაჟვარდებში
გაუჩინარდა!..

შენთან შეხვედრა ისევ მომინდა! სულმა ბავშვობა
ისევ ინატრა!..
ნუთუ სიბერის ჟამი მოვიდა? —
ისევ მოვდივარ
იმ ძველ ჩინართან!..

14. 03. 79.
სოხუმი.

* * *

ეს ღრუბლის ფთილა ფრთაშავი, ნეტავი, საით ილტვის?
რამდენ ქარიშხალს გადურჩა,
ო, ეს ყვავილი მინდვრის!
დრო უმოწყალოდ ახუნებს ამ ბაღებს მოხასხასეს,
კვლავ მდინარის პირს დავდივარ
და სული მიწუხს! — რაზე?!

15. 08. 79.
სოხუმი.

## ბრუნავს!..

ჩემს მაღალ ალვებს ქარები ღუნავს,
ცაზე ღრუბელი
მიცურავს წვიმის...
ეს დედამიწა ბრუნავს და ბრუნავს
და ჩემში უფრო
აღვიძებს ტკივილს!..
ციდან იღვრება სევდა ზარების
და გუმბათები
გუგუნებს ცივი!..
მე ქარიშხალში გავდივარ გარეთ
და ვისმენ მწარე
წყევლას და ტკივილს!..
ქვეყნად ზეცა და მზე უნდა გწამდეს,
ნუთუ არ გვეყო
ცრემლი და გლოვა?!
ეყოფა მიწას ხანძარი ცამდე
და სისხლიანი
მხედრების ქროლვა!..
ჩემს მაღალ ალვებს ქარები ღუნავს,
ცაზე ღრუბელი
მიცურავს წვიმის...

ეს დედამიწა ბრუნავს და ბრუნავს
და ჩემში უფრო
აღვიძებს ტკივილს!..

22. 08. 79. ბანძა.

## იყო დღეები მწვანე

მისდევს წამები წამებს: ღელვით, ქვითინით, რხევით,
იყო დღეები მწვანე, —
ცვივა ფოთოლი ხმელი!..

შუქი მოაწყდა სივრცეს იმ შორეული ქნარის,
შუქი მოაწყდა სივრცეს
და იალქნების ქარი!..

მისდევს დღეები დღეებს... ჟამის ტრიალებს მაქო,
შენ საუკუნის დელგმამ
აღარ დაგაფრთხოს, ჩანგო!

მზეს ჯანღი ჩამოშორდა, ისევ ხმაურობს ფესვი,
ვინ ამოაშრობს შოთას?
რა გაახუნებს შექსპირს?

მისდევს წამები წამებს: ღელვით, ქვითინით, რხევით,
იყო დღეები მწვანე, —
ცვივა ფოთოლი ხმელი!..

12. 09. 79.
სოხუმი.

## ჩვენ მივდიოდით

იმ დღეს რამდენი ვიხეტიალეთ და იყო
სივრცე ერთნიშნიანი,
ჩვენ მივდიოდით
და ნაფეხურებს
ავსებდა თოვლი
თეთრი შრიალით!..
შემოვიარეთ ყველა უბანი, რამ დამავიწყოს
შენი ხატება?!
და შუქს გვაღვრიდა
ციდან უფალი
და ჩვენ ვიგრძენით
სხვა შემართება!..

22. 12. 79.
სოხუმი.

## წასულან თებერვლის ქარები

მოფრინდნენ ფერადი ჩიტები და ჩემი
ატმის ხის ტოტები
მზის ჩუმი სხივებით ინთება,
საცაა, აპრილიც მოდგება!..

ირხევა სიმები მთრთოლვარე, მომართეს
ცისფერი ქნარები,
მზე არხევს ოქროსფერ ოლარებს,
დატოვეს მინდვრები ქარებმა...

ჩურჩულებს ყვავილი სიამით... თვალებზე
ციმციმებს ცრემლები!..
მთებიდან მოცურდა ნიავი,
მზეც მოდის და თავზე ევლება...

მე ტრფობის ჟრუანტელს მივენდე, ვირწევი
ოცნების ბილიკზე...
და გული მევსება იმედით,
რომ ისევ მიღიმის პირიმზე!..

20. 03. 80.
ბანძა.

## აქ რა გინდოდა, ბიჭო?!

სევდა დაფენილ მაღლობს ღრუბლის ეხება კიდო,
აქ რა გინდოდა, ბალღო,
აქ რა გინდოდა, ბიჭო?!

და გათანგული ეჭვით წყარო ჩურჩულებს ახლოს...
აქ რა გინდოდა, ბალღო,
აქ რა გინდოდა, ბიჭო?!

არც ყეფა ისმის ძაღლის, აღარც სახლი და ღრიჭო,
აქ რა გინდოდა, ბალღო,
აქ რა გინდოდა, ბიჭო?!

სევდა დაფენილ მაღლობს ღრუბლის ეხება კიდო,
აქ რა გინდოდა, ბალღო?!
აქ რა გინდოდა, ბიჭო?!

11. 08. 80.
სოხუმი.

* * *

რა სწრაფად მიფრინავს დღე ბედნიერების,
ფოთლები შეყვითლდნენ,
მინდვრები ხუნდება!..

მიქრიან დღეები, ტკივილს ვერ ვერევი,
და სივრცეს სერავენ
ჩიტები გუნდებად...

მოცურავს მთებიდან ღრუბელი მოშავო,
წყლის პირას ვდგავარ
და ფიქრებით ვიღლები!..

კვლავ აშრიალდება მინდორზე შროშანი,
ო, მაგრამ, ძვირფასო,
ჩვენ აღარ ვიქნებით!

28. 08. 80.
სოხუმი.

## ო, მომანიჭე!

ღმერთო მაღალო! მაჩუქე შუქი და მომანიჭე
ჩანჩქერივით თრთოლვა უშრეტი!..
მე ლურჯი ფრთებით გადავცურავ ჟამის სივრცეებს,
რომ ვაგრძნობინო დედამიწას
ჩემი ტკივილი და შიში ჩემი,
რომ არ ჩაქრეს მზე მეწამული და ბნელმა
აღარ მოიცვას სული!..
ყვავილს ვატარებ სიყვარულის მე მარადიულს,
მინდა მოვფინო შუქი მისი და სურნელება
ამ გვალვიან უჟამურ ველზე!..
ო, მომანიჭე ჩანჩქერივით თრთოლვა უშრეტი!..

20. 04. 81.
სოხუმი.

## არ შეჩერდე!

ო, ვინ ჩივის ისევ უგზოობას? მთებს ნისლები
მოხვევია სქელი,
მზეს მერცხლები მიჰყვებიან მწყობრად
და ცრემლებით თვალები
აქვთ სველი!..

ყველაფერი ეთხოვება ყრმობას ბალახები ქვითინებენ
ველის...
და ყვავილებს შეჰპარვიათ ჭკნობა,
ჩიტს გალობით გადაღლია ყელი!

ჩუმი ოხვრით მიდის სადღაც ღელე... ო, ვინ ჩივის
ისევ უგზოობას?
არ შეჩერდე, არ მოგედოს ობი,
თორემ რამე ეშველება მერე?!

19. 08. 81.
სოხუმი.

## არხევს სევდიან ნაძვებს

აქ სიჩუმეა ახლა, ის ხმები აღარ ისმის!
აქ სიჩუმეა ახლა
და შემოდგომის ნისლი!..

აქ სიჩუმეა ახლა, მხოლოდ ჟღურტულებს წყარო,
აქ სიჩუმეა ახლა და
მამღვრევს უმოწყალოდ!..

აქ სიჩუმეა ახლა, ვემშვიდობები მინდვრებს,
აქ სიჩუმეა ახლა, —
გზა საცალფეხო მიდევს!..

აქ სიჩუმეა ახლა, გულს სიმძიმილი აწევს!
მხოლოდ ნიავი მწუხრის
არხევს სევდიან ნაძვებს!..

27. 10. 81.
ბანძა.

* * *

აჰა, ნოემბრის ბოლოს, მოდის ფანტელი ხშირი,
მთა ნისლით შეიბოლა,
ჩემი ალვის ხე ტირის!

მიდის დღეების წყება და მე ვიღლები ფიქრით!
და გული რატომ მწყდება,
როცა იღვრება ფიფქი?!

28. 11. 81.
სოხუმი.

## ო, ის ვერასდროს მოვა!

გზები დაფარა თოვლმა, სივრცე
მოუცავს დუმილს!..
ის კი ვერასდროს მოვა
იდუმალი და ჩუმი!

სული ფარულად ოხრავს, მდის
ჭრილობიდან სისხლი!..
გულს კი მოაწვა ბოღმა
და შეღამების ნისლი!..

ხსოვნის ილვრება სიმი, ეს რა
სიმძიმე მაწევს!
სადღაც ჩიტუნა წივის,
ქარში ცახცახებს ნაძვი!..

გზები დაფარა თოვლმა, სივრცე
მოუცავს დუმილს!..
ო, ის ვერასდროს მოვა
იდუმალი და ჩუმი!

07. 12. 81.
სოხუმი.

## დაველოდები

დაველოდები გაზაფხულის მოსვლას მიწაზე,
როცა აპრილი საფირონის
თვალებს მანახებს!

ამ ცის და მიწის სილამაზე შენით ვიწამე
და ვეფერები სიყვარულით
ყრმობის სანახებს!..

დაველოდები გაზაფხულის მოსვლას მიწაზე,
ცა ნაზამთრალი
ლაჟვარდებით დაიფერება...

მზის მხურვალება დედამიწის სახსრებს დაივლის
და იმღერებენ უჩვეულოდ
ჩემი ველები!..

24. 02. 82.
ბანძა.

* * *

სიმი ცისფერი ვარხიე და ღრმა
ჭრილობა გამეხსნა,
ბევრჯერ შევთხოვე სახიერს,
რომ ბოროტისგან დავეხსენ!

მთვარე არხევდა მიმოზებს და ზღვას
სინაზეს აღვრიდა
და რწმენის სხივი იდუმალ
მეფინებოდა მაღლიდან!..

23. 04. 82.
სოხუმი.

## მიქრიან ჟამის ცხენები

მასველებს შენი ცრემლები, გზაზე ჩამოწვა ღამე,
მიქრიან ჟამის ცხენები,
სივრცეს თვალებით სვამენ!..
მასველებს შენი ცრემლები, ქარს დაეღალა მუხლი,
მიქრიან ჟამის ცხენები:
თეთრი, შავი და რუხი...
რა უსაზღვროა ჭენება... სად ჩერდებიან ბოლოს?
მიქრიან ჟამის ცხენები,
ო, უგზო-უკვლოდ მხოლოდ...

02. 07. 82.
ბანძა.

## კიდევ პატარა ხანი!

კიდევ პატარა ხანი და ყვავილების თრთოლვას
დაშლის გრიგალი ჟამის
და რა დარჩება ბოლოს?!

კიდევ პატარა ხანი — ჩიტი უგალობს მაისს!..
მიწას დარჩება ტანი,
სული? — ვინ იცის — საით?!

04. 07. 82.
ბანძა.

## ფერიცვალების ქარები

რა ვუთხრა მე შენს განაჩენს და მაგ
უმადურ თვალებს?
იქნება რამე გადურჩეს
ფერიცვალების ქარებს?!
რა ვუთხრა მე შენს განაჩენს, მზე
დაამსგავსე მთვარეს!
იქნება რამე გადურჩეს
ფერიცვალების ქარებს?!

ვარსკვლავებს ბოლო არ უჩანს, კვლავ
ტრფობით ვუთვალთვალებ!..
იქნება რამე გადურჩეს
ფერიცვალების ქარებს?!

11. 07. 82.
ბანძა.

## ახლოვდება საღამო

ძველი სევდა მეწვია, ისევ გამინაპირა,
ახლოვდება საღამო და
მზე ჩასვლას აპირებს!..

იქნებ ვღელავ ამაოდ, ვერ ვამართლებ
მოლოდინს
და გზა გაუკაფავი,
ვერ გავკაფე ბოლომდის!

ცას შეხედე, უსაზღვროდ შლის
ღრუბლების მარაოს,
სად მზე სივრცეს ათრობდა,
იქ ნისლები ქანაობს!..

მინდვრებს ქარმა დაჰქროლა და ფრთებს
სივრცეს მიახლის,
ძველი მუდამ გახსოვდეს,
გქონდეს გრძნობა სიახლის!..

ფოთლებს ფერმკრთალს, დაღალულს,
ქარი სადღაც მიაფენს...
ეს ვარსკვლავი მაღალი,
ხედავ, როგორ კიაფობს!..

სიცოცხლეს, ხომ სიკვდილის ლანდი მუდამ დაჰყვება,
სულს, იმ დღეთა დიდება
მარად ეამაყება!

ძველი სევდა მეწვია, ისევ გამინაპირა,
ახლოვდება საღამო და
მზე ჩასვლას აპირებს!..

01.08. 82.
ბანძა.

* * *

სულს სევდის მღვრიე ზღვა უვლის, ცა მოჩანს
ძალზე მკრთალი,
ხან დაუბერავს ზღვაური,
ხან ჩრდილოეთის ქარი!..

მე სივრცეს ვემარტოები და სილუეტებს ღამის,
ირხევა წყება რტოების,
ისმის ტალღების ჩქამი!..

02. 03. 84.
სოხუმი.

## ჩემი ბაღი

ჩემი პატარა ბაღი ყვავის მდინარის პირას,
როცა ტკივილი დამღლის,
მე აქ მოვდივარ ხშირად...
ჩემი პატარა ბაღი არის ზღაპრული ფერის!
ხშირად ავდარი ამღვრევს
და მაინც მუდამ მელის!..
ბევრჯერ დაჰბერავს ქარი სავსე თოვლით
და სუსხით,
ის კი მდინარის პირას
ახალ გაზაფხულს უცდის!..

02. 10. 84.
სოხუმი.

## ჟამი ფერიცვალების

მოჩანს მღვრიე ქარებთან სივრცე შენატოტები,
ყრია ხმელ ბალახებში
უსიცოცხლო ტოტები!..

და გუგუნებს ბუნების ულმობელი მოტორი,
ყრია ხმელ ბალახებში
უსიცოცხლო ფოთოლი!..

შესევიან ღრუბლები სივრცეს, როგორც ჰუნები,
მოსწოლია მიდამოს
ჟამი უდაბურების!..

სული ერთვის დინებას — ღელვით, წვით და წამებით,
ასე მოდის ტკივილით
ჟამი ფერიცვალების!..

04. 10. 84.
სოხუმი.

## თქვენს ნაბიჯებს ვიხსენებ!

*ნანას და გოჩას*

თქვენს ნაბიჯებს ვიხსენებ და ბავშვობის წლებს,
ვგრძნობ თვალებში სისველეს
და ღმერთი მყავს მწედ!..
თქვენს ნაბიჯებს ვიხსენებ, იმ ვარდისფერ გზას,
სული ვეღარ ისვენებს,
ღელავს ფიქრის ზღვა!..
მინდა გული მიხურდეს, ვით თიბათვის თვე,
წარსულს მკერდში ვიხუტებ,
ვშლი ოცნების ფრთებს!..
ცას ფერი აქვს ისრიმის, დრომ იცვალა ზნე!..
გულს კი ეხალისება
ვარდფურცლობის მზე!..
თქვენს ნაბიჯებს ვიხსენებ და არაფერს სხვას!
თქვენს ნაბიჯებს ვიხსენებ,
იმ ვარდისფერ გზას!..

15. 04. 86.
სოხუმი.

## ტრაგედია

ანგელოზი საქანელას მოსწყდა
და უეცრად ჩაქრა მზერა ბავშვის!..
ბალახები ლორთქო, სისხლით მორწყა,
დგას უსაზღვრო
მწუხარება სახლში!..

მე ის ხსოვნა ულმობელი მომსდევს,
როცა ფიქრებს საწუთროზე გავშლი!..
საქანელა შერჩენილი ტოტზე,
გუშინ ისევ
ქანაობდა ქარში!..

10. 04. 92.
სოხუმი.

* * *

შენს დუმილს ახლა არავინ არღვევს, ო, ლამაზი
ფიფქების გარდა!
ქათქათა შუქით ინთება ბაღი
და ლოდი ასე ჩუმი
და სადა!
ირხევა პალმა ჭაღარა ფრთებით, ვერ გამიხუნეს
ტკივილი წლებმა!
მე ცრემლიანი საფლავთან ვდგები
და ბორცვზე თოვლის
სიჩუმე წვება...
და ხმით ფარულით მანიშნებს
სკვინჩა, რაღაც შორეულ იდუმალ ამბავს!..
ჩამქრალა ო, ის ვარსკვლავი ხვიჩა,
და გამვლელს უხმოდ
აუწყებს დაფა:
დაბადების და სიკვდილის თარიღს და ამას იქით
არაფერს ამბობს.
აქვე დგას მცირე მაგიდა მრგვალი
და ირგვლივ მკაცრი
დუმილი სახლობს!..

27. 11. 86.
ბანძა.

## ჩემო ანგელოზებო!

ჩემო ანგელოზებო! იჭიკჭიკეთ, იხარეთ
და გულიდან ძირძველი
სევდა გადამიყარეთ!..

დღეს ღამე ცვლის, ღამეს დღე, მიდის წუთისოფელი...
ხან გრიგალი გუგუნებს
შმაგი, დაუნდობელი!..

ხან მზე გვათოვს ცხრათვალა, სიყვარულით გვალაღებს!
ხან ღრუბელი მრისხანე
აშლის მთებზე ბანაკებს...

მოვარდება ქარ—წვიმით და ზღვაც ახმაურდება...
წავა ახალგაზრდობა,
აღარ დაგვიბრუნდება!

მიქრის ჩვენი პლანეტა დასერილი ტრასებით...
მიქრის, როგორც შურდული
და ცა მებაასება!..

ერთი იწყებს სიმღერას და მეორე ამთავრებს,
გაზაფხულს ცვლის—ზაფხული,
შემოდგომას —ზამთარი...

შეხედე ცის კაბადონს, ო, რა შუქი რიალებს!..
მოდი ჩემთან, ძვირფასო,
ნუღარ დაიგვიანებ!

მზეს ყვავილი უცინის და თვალები ელავენ!..
შეხედე, რა ლამაზად
იალქნებს შლის მენავე!..

მერცხლები მზეს მისდევენ და მიქრიან გუნდებად...
წავა ასე ეს ჟამიც,
აღარ დაგვიბრუნდება!..

ჩემო ანგელოზებო! იჭიკჭიკეთ, იხარეთ
და გულიდან ძირძველი
სევდა გადამიყარეთ!..

27. 10. 86.
სოხუმი.

## მე ვერკინები არარაობას

სიმაღლეები თავბრუდამხვევი და ვარსკვლავების
ჩუმი გალობა...
როგორც მაღალ ღმერთს კოჭლი იაკობი, —
მე ვერკინები არარაობას!..
ღრუბლის მკლავებზე მთვარე ნებივრობს,
მთებზე შრიალებს თოვლის მანდილი...
შორს ბოროტების მკაცრი ჯებირი
და ნაკვალევი მოჩანს ნადირის!..
მესმის, შორს, სადღაც რეკენ ზარები,
ქვეშ კი წარმავალ ფერებს ვუყურებ,
მაღალ ვარსკვლავებს დავემგზავრები,
სად საუკუნე ცვლის საუკუნეს!..
სიმაღლეები თავბრუდამხვევი და ვარსკვლავების
ჩუმი გალობა...
როგორც მაღალ ღმერთს კოჭლი იაკობი, —
მე ვერკინები არარაობას!..

02. 02. 87.
სოხუმი.

* * *

ხედავ, ზღვა როგორ გაჩუმდა? ცას თვალები
აქვს სველი,
ნიავი აღარ ფაჩუნობს,
მხოლოდ ჩურჩულებს ღელე...

ზის ბუჩქზე ჩიტი ფრთაჭრელი, უცქერს
ჩამავალ მნათობს,
ცაზე კრთის ღრუბლის ნაჭერი
მოხეტიალე მარტოდ...

ისმის შორიდან ხავილი, უკვე ჩამოწვა ბნელი
და სულში სევდა ყვავილობს
შემოღამების ფერი!..

26. 07. 87.
სოხუმი.

* * *

ურიცხვი ჰკიდია ცას წვიმის ზონარი,
ქარებმა ფოთლებით
მინდორი მოჰფინეს...
რატომ ვერ იშორებ ამ დარდებს ონავარს,
მითხარი, რაზე ხარ
შენ უკმაყოფილო?!
კვლავ სივრცეს მოარღვევს გრიგალი ორფერის,
ბუნებას ბეგარა
ამგვარად დაედო!..
მიდის მზე... სივრცეში მიაფრენს ფაეტონს,
დუღს, ბრუნავს ცხოვრება
და მიდის სოფელი!..

12. 09. 87.
ბანძა.

## შეირხა ტოტი

სიკვდილს ამ ქვეყნად, მეგობარო, ვერვინ აიცდენს!
ნუ მივეცემით ამის გამო
წუხილს და სევდას!..
დამშვიდდი სულო! გულის ჯანყი უნდა დავიცხროთ,
ვშორდებით სოფელს სამუდამოდ,
ვინც გვშობა დედამ!
დავდივართ ზღვის პირს... მიმოდიან გემები ზღვაზე...
ჭაბუკურ დღეებს
სიამაყით ვიხსენებთ ისევ!..
შეირხა ტოტი შემოდგომის... შეშფოთდი რაზე?
რატომ აცურდა მაგ თვალებში
ცრემლი და სივრცე?!

09. 10. 87.
სოხუმი.

## უკვე წარსულად იქცა!..

მინელდა ხმა განთიადის, რა შემრჩა? —
რწმენა ციცქნა!
ჩემში, რაც იყო დიადი
უკვე წარსულად იქცა!..

ცა მოჩანს შემოღამების და ზღვა
საოცრად ღელავს!..
გზას კვლავ მივიკვლევ წამებით,
მხოლოდ უშენოდ, ლელა!

13. 12. 87.
სოხუმი.

## სხვა გზას შევიფერებ

დღეებს გაუხუნარს მე რა დამავიწყებს!
სული ქარში ბრუნავს,
სხვა ცხოვრებას ვიწყებ!..
ვტოვებ დაუვიწყარ გაზაფხულის ფერებს
და სხვა გზნებით სავსე
სხვა გზას შევიფერებ!..
სულ სხვა ღელვა ითრევს ჩემში ყველა უჯრედს,
არ მგონია სული
ტკივილს გადაურჩეს!
ცრემლებს ვეღარ ვიშრობ, რომ გზას ვხედავ მრუდეს!..
და ყოველ დღე ვშიშობ
მზე არ გამიხუნდეს!

13. 01. 88.
ბანძა.

* * *

მზეო, სხივებით დამითვრე ჩემი
ენძელა პატარა!..
ამინთე სივრცე ოცნების
და ცხრა მთა გადამატარე!..

მიცურავ, მიედინები მარადის მოსხივმფინარე,
შემომაშველე, დედაო,
შუქის ულევი მდინარე!..

შენი ბაჯაღლო თვალებით დამცეცხლე,
მომინადირე!
და სიხარულის ცრემლებით
ო, ერთხელ კიდევ მატირე!..

10. 04. 88.
ბანძა.

## მოგონება მაწვიმს!..

დამჩხავლა და გადაფრინდა ყვავი,
დამჩხავლა და გადაფრინდა შორად...
ლაწვი ცრემლით დაუსველდა ყვავილს
და ფარული მაგრძნობინა ჟრჟოლა!..
ნუთუ დადგა განშორების ჟამი?
შეღამების ბინდი მოსავს მწვერვალს...
გულს ნაღველი მოეძალა შავი,
სულს მოედო უცნაური ღელვა!..
მზე ჩადის და ბალახებში ვწევარ
და ბავშვობის მოგონება მაწვიმს!..
მე ვიხსენებ ყოველივე წვრილმანს,
რასაც აზრი აღარ აქვს აწი!
დამჩხავლა და გადაფრინდა ყვავი,
დამჩხავლა და გადაფრინდა შორად...
ლაწვი ცრემლით დაუსველდა ყვავილს
და ფარული მაგრძნობინა ჟრჟოლა..!

17. 05. 88.
ბანძა.

## ნუ გეშინია, ხეო!

ო, ეს ალვის ხე ჩემი, როგორ მოღალა ქარმა?!
ზღვაზე გამოჩნდა გემი,
ყრია ფოთლების ქარვა...

მარტო ვიყავი დღემდე, ახლა, მე მარტო არ ვარ,
ნუ გეშინია, ხეო,
თუნდაც იკივლოს ქარმა!

22. 10. 88.
სოხუმი.

## ვდგავარ გაზაფხულის მიღმა

რხევა ფანჯარასთან ტოტის, თეთრი კედლები და ჭერი,
აქვე ჩამოღვრილი ფოთლის
კრთოდა მოყვითალო ჩქერი...
ცაზე ვარსკვლავები თრთოლვით ნისლებს იშორებდნენ მღვრიეს,
მე იმ სიყვარულის მჯერა
სულს რომ შეაშფოთებს ძლიერ!..
იყო უცნაური რხევა მთვარით დათოვლილი ბაღის,
ხსოვნას აღტაცება მოაქვს
და შუქს ყვავილივით მაღვრის...
ვდგავარ გაზაფხულის მიღმა, ვეძებ იდუმალთან კავშირს,
მარტო ხეტიალი მიყვარს
ზღვის პირს მოშრიალე ქარში...
შენთან განშორება მიმძიმს, ჟამი ნისლის პერანგს მაცმევს!..
იწყებს ლაჟვარდები ციმციმს,
სულ სხვა გაზაფხულის მაცნე!..

25. 10. 88.
სოხუმი.

## ო, ეს რა დრო გასულა?!

ბაღში ხეებს შემორჩათ ხსოვნად ის შეხვედრები!..
უკვე ის მზე არ მოჩანს, —
არც ცა ლურჯი ხედებით!

ო, ეს რა დრო გასულა? — სივრცე მეუცხოება!
როგორ შემოძარცულა
ჟამით ჩემი ცხოვრება?!

10. 11. 88.
სოხუმი.

## დის საფლავზე

შენს საფლავზე ვნახე ია ამოსული
და თვალები ჩუმი
ცრემლით დამისველდა!..
შეღამების აქ სიჩუმე იდგა სრული,
გული მწარედ დამიკორტნა
ჟამის სევდამ!..
ვიდექ მარტო... ცა იხსნიდა ნისლის მანდილს,
მომაგონდა ის ბილიკი
და ის დილა!..
კვლავ შეირხა საოცარი შენი ლანდი,
მოგონებამ ო, რა
მწარედ ამატირა!..

14. 05. 89.
სოხუმი.

## მაინც მოჩანდა ნათელი

ვინ დამიმსხვრია ჩემი ცა — ზეცის
ხასხასა ნაჭერი!
ვინ დამიფლითა
ეს გული
დემონის შავი კლანჭებით?!
ჩაქრა მზის უხვი ნათება, მერე ავდარიც მოვარდა!..
მაინც მოჩანდა ნათელი,
ვით იალქანი ხომალდის!..

30. 05. 89.
სოხუმი.

## სანახები გატრუნულან ირგვლივ

შენ სიკვდილი დაგეწია უკვე, მეც საცაა
დამეწევა ვიცი!
ჟამს გარდასულს ახლა გუნდრუკს ვუკმევ,
ვერ ვივიწყებ მაგ თვალების ციმციმს!..

სანახები გატრუნულან ირგვლივ და ეს გული
უცნაურად ხვნეშის!..
ვინ დამიწნავს ყვავილების გვირგვინს,
წყაროს წყალს ვინ მომაშხეფებს პეშვით?!

შეეჩვია მარტოობას სული და, ძვირფასო, მე
არ ვიცი, როგორ?!
ვერ ვივიწყებ თვალებს ოქროცურვილს
და ბაგეებს მოალერსეს, გოგო!

შენ სიკვდილი დაგეწია უკვე, მეც საცაა
დამეწევა ვიცი!
ჟამს გარდასულს ახლაც გუნდრუკს ვუკმევ,
ვერ ვივიწყებ მაგ თვალების ციმციმს!..

23. 06. 89.
სოხუმი.

## არ ვიცი თუ რა მომელის!

სულს სევდა შემოეჩვია და მომავალი მაშინებს!
მე შენთან ყოფნა მერჩია,
კვლავ ვხედავ სიზმრებს საშინელს!..

ვეება შავი ფრინველის ლანდმა
გზებს გადაუარა!..
არ ვიცი, თუ რა მომელის,
არ ვიცი, ჩემო ლუარა!

09. 10. 89.
სოხუმი.

## ო, ის ზღაპრული დღეები!..

რომანტიკული დღეები ჩემი ცხოვრების
გაფრინდა!..
ეს რა ტკივილი მოზღვავდა,
როცა ჩემი ცა გაფითრდა!..
მზე ღრუბლის მოაჯირიდან ხან გადმოდგება,
ხან — არა,
და ქარიშხალმა გაცვითა
ჩემი ცის ლურჯი კამარა!

ბალი უმწეოდ მიცქერის და თვალზე
ცრემლი მედება!..
სული კი სივრცეს აწყდება,
როცა მზე გადიფერდება!..
ჩემი ცისფერი მდინარე ოხვრით
შორს მიემართება
და ის ზღაპრული დღეები
მექცა სევდად და ლანდებად!..

12. 11. 89.
ბანძა.

* * *

გამომაღვიძა ცამ მაისის ლურჯი წვიმებით,
მიახლოვდება შორეული
შენი ხატება!..

მოგონებებმა ამიჟღერეს ხსოვნის სიმები
და სულმა იგრძნო
იდუმალი გამონათება!..

ო, მახსოვს ზამთრის გრიგალებით ცა დაზაფრული,
ძვირფასო, შენი გადარჩენა
ღმერთმა ინება!

კვლავ აღტაცებით მავსებს ჰანგი საგაზაფხულო
და სული თრთოლვით უერთდება
ცისფერ დინებას!..

29. 04. 90.
ბანძა.

## საუბარი ყვავილებთან

*სამარეს ჩემსა რომ გარს ნისლი მოეცვას,*
*იგიცა შესწიროს ციაგმან ლურჯსა ცას!*
*ნ. ბარათაშვილი*

თქვენი ეშხით გამახარეთ, დღენი გამიხანგრძლივეთ,
როცა მოვკვდე, დამაღვარეთ,
თქვენი ცრემლი მაწვიმეთ!..
თქვენს მკლავებზე დამაძინეთ, არ შემხედოთ ირიბად!
თქვენი თრთოლვით გამაცილეთ
ამ პატარა ბინიდან!..

იმ ასულის ქორფა თვალებს და თქვენს ალერსს მივენდე,
უკანასკნელ გზაზე თქვენი
ცრემლიც დამაიმედებს!..
ცისფერ ნისლთან დამაწყვილეთ, სული ცისკენ მიიწევს,
თქვენს კალთაში დამიწვინეთ
და ნუ გადამივიწყებთ!

რომ ვფანტავდი გრძნობას ულევს, ის დღეები წავიდა!..
ჩემს საფლავთან იჩურჩულეთ,
სხვა სამოთხე არ მინდა!

17. 05. 90.
სოხუმი.

## მთვარის სიჩუმე

ეს ლურჯი ღამე, მეგობარო, ტკივილს ვერ მიქრობს
და მე არ ვიცი, ძვირფასო, რა ვქნა!
ო, დავიღალე უსაშველო ღელვით და ფიქრით
და ჭაბუკობის შორეული
ოცნება გაქრა!..

სული გაურბის მარტოობის მდუმარე კედლებს
და ჟამი ისევ მიმიზნებს ლახვარს!..
მოჩანს მთვლემარე ქალაქის ხედი,
რომელსაც მთვარის
უჩვეულო სიჩუმე ახლავს!..

28. 07. 90.
სოხუმი.

## დამილოცნიხართ!

შვილებო, დამილოცნიხართ! რა ახლოს მესმის
ზარის ხმა!..
მინდორზე, სად მზე მკოცნიდა,
კრთის და ცახცახებს ალვის ხე!..

საწუთროს ბევრი ვედავე, არც ვგრძნობდი
თუ რა მელოდა!..
გზას მინათებდა მხედარი,
მოსული სულ სხვა სფეროდან!..

სივრცეს გრიგალი მოკივის, იწყეს ცახცახი
ლოდებმაც!
გზა მოჩანს ვიწრო თოკივით,
არ შველის მოთქმა — გოდება!

შვილებო, დამილოცნიხართ! რა ახლოს მესმის
ზარის ხმა!..
მინდორზე, სად მზე მკოცნიდა,
კრთის და ცახცახებს ალვის ხე!..

16. 09. 90.
ბანძა.

* * *

ეს რა გრიგალი მოვარდა მძარცველი
მთების, ველების!..
კვლავ გაზაფხული მოვა და
კვირტები დაიბერება!..

კვლავ აინთება: ენძელა, ვარდი, ყაყაჩო, პირიმზე
და გაზაფხულის ხელწერა
დარჩება ჟამის ბილიკზე!..

მოვა და მთვარე დახედავს სადმე კუთხეში სამარეს,
მიმეძინება ნახევრად, —
დაღლილს ქარებით ტრამალის!..

კვლავ იხმაურებს მთა-ბარი მზის შუქზე
ლურჯი აფრებით,
მე გულს ამ მიწას ვაბარებ,
სულს, ვინ დაიჭერს გაფრენილს?!.

01.10. 90.
სოხუმი.

## თოვლის მუსიკა

რად მიყვარს ასე ხეტიალი მდინარის პირას
როცა ფიფქები სიშორიდან
ჩამოდის ხშირი?
იწყება თოვა და მე ვტოვებ ჩემს მყუდრო ბინას,
მეძახის გარეთ
თეთრი რხევით
ცაგადაშლილი!..

მე ყველგან დამსდევს გარდასული დღეების ხსოვნა,
როცა ირხევა დატვირთული
თოვლით რტოები!..
მერი ძვირფასო! ო, ის ჟამი კვლავ ვეღარ მოვა
და ვხედავ ხსოვნას,
რომ ამაოდ
ვემარტოები!..

მიდის მდინარე და იღვრება თოვლის ლივლივი,
ირხევა ისევ უჩვეულოდ
ცა ანათრთოლი!..
არ ვიცი ასე მარტოსული სანამდე ვივლი
და ვუსმენ მხოლოდ
ამ სევდიან
მუსიკას თოვლის!..

22. 02. 99.
თბილისი.

* * *

შენი ლამაზი თვალების ტრფობით ო, ერთხელ კიდევ
აღვავლენ ლოცვას!
არ დაივიწყო ის წლები ყრმობის,
მე არ ვიქნები, ძვირფასო, როცა!

აქ, ახლა მხოლოდ სიჩუმე სუფევს, მიიზლაზნება
ღრუბელი შავი,
ყველგან ყვითელი
ფოთლების გუბე,
ყველგან ფერმკრთალი ფოთლების შვავი!

ფერიცვალების ზარების რეკვა ჩემში უზომოდ
მოდენის ტკივილს!..
კვლავ ზღვის გავცქერი
მოლურჯო ეკრანს
და მიმღვრევს ფიქრებს დუმილი ცივი!..

14. 10. 90.
სოხუმი.

## შეხედე!

შეხედე, შენ ამ სიყვარულს ო, რა ტკივილი ახლავს!..
ის მზე ფერდობზე ჩამოჭკნა,
ის ყვავილები გახმა!..

შეხედე, არწივს ღრუბლებში, რომ ფრთების უჭირს გაშლა,
ბევრი იქროლა მან აღმა,
ნუთუ ამაოდ დაშვრა?!

შეხედე, ზამბახს ბაგეზე ღიმილი შემოაშრა!
ტირის, იფარებს სახეზე
ნისლის ქათქათა თავშალს...

ო, დღემდე ჩემთვის ბევრი რამ გაუგებარი რჩება!
შეხედე, ყინვის მკლავებზე
ეს ნაკადული შრება!..

შეხედე, შენ ამ სიყვარულს ო, რა ტკივილი ახლავს!..
ის მზე ფერდობზე ჩამოჭკნა,
ის ყვავილები გახმა!..

26. 10. 90.
სოხუმი.

## დაბრუნება ბავშვობასთან...

სარკმელს ცისკარი მოაწვა და ღამეს გამოვერიდე,
სარკმელს ცისკარი მოაწვა,
გული სიხარულს ვერ იტევს!..
რამდენი ფიფქი ირხევა... ფიქრით
წარსულში გავიჭერ...
რომ ისევ გადავეხვიო
ჩემი ბავშვობის ძმაბიჭებს!
ბიჭებო! ჯოხის თეთრონებს ისევ
მოვახტეთ გავაზე
და ჩვენი სოფლის შუკები
ყიჟინით გავალამაზოთ!..
და თავი აღარ დავზოგოთ, ვიქროლოთ
შეუჩერებლად,
დავწყვიტოთ მოსართავები
ამ ბედაურებს ჭენებით!
სარკმელს ცისკარი მოაწვა და ღამეს გამოვერიდე,
სარკმელს ცისკარი მოაწვა,
გული სიხარულს ვერ იტევს!..

12. 12. 90.
სოხუმი.

## თოვლიანი დღეების ელეგია

დათოვლილი ნაძვები დგანან, როგორც სანთლები
და ქათქათა ბილიკით
                    სადღაც მივემართები!..
მივდივარ და გზა და გზა ფიფქი მეთამაშება,
გაფრენილან, შორს სადღაც,
ო, იმ დღეთა რაშები!..
თოვლის ლამაზ ხავერდში ცა და მიწა ციმციმებს,
მახსოვს, იმ დღეს, ძვირფასო,
                    ეჰ, რამდენი ვიცინეთ!..
გზაზე თეთრი ნიავი, როგორ გვეფერებოდა
და შენს ლამაზ ბაგეზე
ფიფქი, როგორ დნებოდა!..
თუმცა გავჭაღარავდი, მაინც იქით მივიწევ,
ო, ეს გზა და ბილიკი
                    ვეღარ გადავივიწყე!..
გაფრენილან ის წლები, უკვე ვეღარ ვეწევი,
დამსდევს ჟამის მაცილი,
უხმოდ თვალის ცეცებით!..
იქნებ, სადმე ამ თოვლში შენს ლანდს შევხვდე ეგების!
და ზღაპრული სიცილით,
                    ისევ შემომეგებო!..
დათოვლილი ნაძვები დგანან, როგორც სანთლები
და ქათქათა ბილიკით
სადღაც მივემართები!..

01. 01.91.

სოხუმი.

## აქ რა რჩება?!

რა ვიწროა ჩვენი ხედვის არე და რა ვრცელი —
ეს სამყარო ჭრელი!..
ვიღაც რეკავს შეღამების ზარებს
და ინთება ვარსკვლავების ჭერი!..

რა ხიბლი აქვს იდუმალის პოვნას და სივრცეში
გაქროლებას მერნის!..
აქ რა რჩება? — სიყვარულის ხსოვნა
და ქაღალდზე ნაფეხური მელნის...

ჟამის ტალღა მოქანაობს მღვრიე, მემუქრება და
საომრად მიწვევს!..
ვერ იქნა და ვეღარ გავარღვიე
ტკივილებით დანაღმული სივრცე!..

12. 03. 91.
სოხუმი.

## გაქრა ის ელვარება!

აღარ განმეორდება, რაც კი ერთხელ წავიდა,
აღარ განმეორდება
ის არასდროს თავიდან!

გაქრა ის ელვარება, გაჰყვა ჟამის ხეტიალს,
გაზაფხულის ბილიკი
ზამთარს ჩაუკეტია!..

იმ ღაწვების სიმკრთალეს მზე ვერ ააფერადებს,
მე შენ გეძებ, ძვირფასო, —
რა შორია შენამდე!..

ისევ მარტო მივდივარ ამ უდაბურ ბილიკზე,
ვხედავ, მზისკენ შებრუნდა
ერთხელ კიდევ პირიმზე!

ჩაიქროლეს ტალღებმა ცისარტყელას ფერებით,
ის ნიავი არ მოვა,
აღარ მოგვეფერება!

 აღარ განმეორდება, რაც კი ერთხელ წავიდა,
 აღარ განმეორდება
ის არასდროს თავიდან!

07. 04. 91.
სოხუმი.

* * *

ბავშვობის ბაღში იმ დღეს დიდხანს ვიხეტიალეთ,
ხან ატმის რტოებს მოეფარე,
ხანაც ლიანებს!..

ამოიოხრე, — ვერ მოვალო აქ ხელმეორედ, —
და შენი ოხვრა
ხეებმაც კი გაიმეორეს!..

22. 04. 91.
ბანძა.

## გზა ჩანს უსაზღვროების

ცა მთიებით მოოჭვილი მავსებს იდუმალებით,
მაგ თვალების მოჩანს ჭრილი
მფეთქავ ცისფერ ალებით!..

მზემ მაისის გამიღიმა შენი ეშხით, დიანა!
როცა უკვე ჭაბუკობის
გავცდი მერიდიანებს!

ის ტკივილი, რაც კი ვზიდე, იყო თურმე დროებით!
სული ერწყმის ცისფერ ზვირთებს,
გზა ჩანს უსაზღვროების!..

08. 05. 91.
სოხუმი.

# მშვიდობით, მერი!

ამ ბულბულის ხმას მალე უკვე ველარ მოვისმენთ,
ვერც აყვავებულ ბაღებს ვნახავთ,
ასე სანუკვარს!..
შემოღამება შემოდგომის ბინდებს მოგვისევს
და გაზაფხული იმავ ხმაზე
ვეღარ დაუკრავს!..

და მთვარიანში ვერც ტირიფებს ავეფარებით,
ვერც სიმთა წკარუნს,
უჩვეულოს, მივაყურადებთ...
ვერც ვარსკვლავები შემოგვხედავს მწვანე თვალებით,
მშვიდობით, მერი,
ხელმეორედ გაზაფხულამდე!..

20. 06. 81.
სოხუმი.

## ჩაიღვენთები ხსოვნის სანთლებად...

დრო მოვა და შენც სცენიდან გახვალ,
თუმცა ცხოვრება ისევ ენთება!..
ჟამი მოწამლულს გაძგერებს ლახვარს
და ერთიანად მოითენთები!

დრო მოვა, შენი ვარსკვლავი ცაზე
ღრუბლის მორევში შეწყვეტს ნათებას!..
შენ წახვალ მძაფრი ტკივილით სავსე,
ჩაიღვენთები ხსოვნის სანთლებად!..

დრო მოვა, მინდვრის ბალახი სველი
საფლავს მდუმარედ მოგიხავერდებს...
და იჩურჩულებს ნიავი ველის,
რომ სიყვარული
აღარ დაბერდეს!

26. 10. 91.
სოხუმი.

## მახსოვს!..

მახსოვს, ო, ის ქუჩები მზით და მთვარით ნაფერი
და ზღვა განაყუჩები
ქროლვით თეთრი აფრების!..
მახსოვს, მე იმ თვალების მზერის უნაპირობა
და ცა ფერიცვალების
შემრჩა, როგორც ჭრილობა!

31. 10. 91.
სოხუმი.

* * *

მოვდივარ სახლში, თუმცა უკვე არავინ მელის,
გავცქერი მინდორს შემოდგომის
მდუმარედ გაშლილს!..
საით წავიდა უჩვეულო ის აღმაფრენა,
მხოლოდ რტოები სევდიანად
ქანაობს ქარში!
ჩემს ბებერ მუხას შესევია მთვლემარეს მუმლი,
არც ძაღლის ყეფა,
არც მამლების ყივილი ისმის!
აქ ყველაფერი რა ულმობლად მოუცავს დუმილს
და ლამის არის გამეყინოს
ძარღვებში სისხლი!..
ნუთუ ყველაფერს ჟამი უცვლის პირველ ქმნილ იერს
და არაფერი რჩება
ქვეყნად ხელშეუხებლი?!
მე მენატრება ჩემი ყრმობის დღეები ძლიერ
და ალუბლის რტო
გაზაფხულის ქარით ნარხევი!..

25. 11. 94.
ბანძა.

* * *

მთელი დღე თოვდა გუშინ, დღესაც ჩამოდის თოვლი!
სევდა შემოდის გულში,
ისევ ფარული თრთოლვით!..
კვლავ იმ ზმანების ტყვე ვარ,
ცა ჩემს ვედრებას ისმენს!..
სულს არ ედება თვლემა,
არც შეღამების ნისლი!
მოათამაშებს ქარი თოვლის უნაზესს ფიფქებს,
ეს სიყვარულით მთვრალი
შენი სულია იქნებ?!

29. 12. 91.
ბანძა.

* * *

ჩემი ბაღი ფიფქებს დაუფარავს,
 მე კი სიტყვებს ისევ ვაწყობ სიმზე!..
თოვლი მთიდან ჩამოვიდა ბარად,
ფანტელებად მოსდებია სივრცეს!..
თოვლი მოდის, სივრცე თეთრად გაიშალა,
 გული ისევ აღტაცებით მიცემს!..
ისევ კივის ქარიშხალში ქარიშხალა
და მიარღვევს კვლავ
შორეულ სივრცეს!..

12. 01. 92.
სოხუმი.

## მაშინ ვიყავით სამი

თოვლი მოვიდა ღამით, გადაათეთრა არე,
მაშინ ვიყავით სამი,
ო, როგორ თოვდა გარეთ!..

ქარი არხევდა მუხას, შუქი ღელავდა სულში,
თითქოს ეს იყო წუხელ,
თითქოს ეს იყო გუშინ!

შევხვდით ახალ წლის დილას, ჩვენ უჩვეულო
თრთოლვით!..
ცეკვავდა თეთრი ცირა
და მოდიოდა თოვლი!..

ახლა შემოვრჩით ორი, ო, ამ სევდიან ფერებს,
სულს არხევს ხსოვნა შორი,
ისიც გაქრება მერე!..

31. 01. 92.
ბანძა.

* * *

თებერვალი მიეფარა თვალებს, მოვდივარ და
ზღვასთან მიყვარს დგომა,
ცის და მიწის სადღეგრძელოს დავლევ,
ჰა, საცაა გაზაფხულიც მოვა...
თებერვალი მიეფარა თვალებს და
ფერადი მეფინება ნისლი...
სიყვარულის სადღეგრძელოს დავლევ,
რომ ძარღვებში
ამიჯანყდეს სისხლი!..

23. 02. 92.

## ბაღის კართან

გაზაფხულის ეს პირველი დღეა, მზე აცურდა
ცაზე ვარდისფერი...
ბაღის კართან
გელოდები, თეა!
ბაღის კართან, საყვარელო, გელი!
გაზაფხულის ეს პირველი დღეა, ცას ფირუზის
თვალები აქვს სველი!
ბაღის კართან გელოდები, თეა!
ბაღის კართან გაზაფხული მღერის!..

25. 02. 92.
სოხუმი.

## შენი თვალები!

შევედი ბაღში და ხეები შემომხვდნენ თრთოლვით,
რტოები ოდნავ ირხეოდნენ
ფერადი თოვლით...

წამწამებს ცრემლი მისველებდა იმ დღეთა გამო!
ბაღი იცვამდა გაზაფხულის
ხასხასა სამოსს!..

ჩემი ბავშვობა კარგად ახსოვს აქ ყოველ კუნჭულს,
დავდივარ ჩუმად, თითქოს ვისმენ
შორეულ ჩურჩულს...

იდუმალია კავშირები სულთა ერთობის,
გახსოვს?! ხავერდი გადვირბინეთ
ღელვით ფერდობის...

ცას კი ხატავდა გაზაფხულის მზე აკვარელით,
შენი თვალები იყო თბილი
და საყვარელი!

მზე აქ მივსებდა შინდისფერით ქათქათა თასებს
და მის ჩასვლასაც აქ შევხვდები
ტკივილით სავსე!..

29. 02. 92.
ბანძა.

## რა მოუვიდა?!

რა მოუვიდა შევარდენს, რომ სწყვეტს სივრცესთან კავშირს?
ჩანს ვეღარ გაინავარდებს
ის შეუპოვრად ცაში!..

რა მოუვიდა შევარდენს, სივრცეს სერავდა კენტად,
რომ ზეცას მოსწყდა, შევატყვე, —
რა მოუვიდა ნეტავ?!

იქნებ გრიგალმა დალეწა? ეხეთქებოდა მუდამ...
მიწაზე მძლავრად დაეცა,
მაგრამ სივრცე ხომ დუმდა?!

22. 10. 92.
სოხუმი.

## ვერხვის სიკვდილი

ისევ ირხევა სიშორიდან შენი ხმის ექო
და გავცქერ ცაზე
უთავბოლოდ ღრუბლების ყიალს...

მე ამის მნახველს მქონდეს რისი იმედი, ვერხვო,
ო, როცა ჩემ წინ
შენი ტანის
ნამსხვრევი ყრია?!

ეხეთქებოდი ჭექა-ქუხილს, ელვას და ქარებს
და არც გიგრძნია,
რომ ფერები იალქნებს ხრიან!..

დაიმსხვრევიან ვარსკვლავებიც,
მზეცა და მთვარეც,
სანამ სივრცეში
განახლების
ქარები ქრიან!..

25. 10. 92.
ბანძა.

## საუბარი მთვარესთან

ჩემი მესაიდუმლე, მთვარევ, მხოლოდ შენა ხარ!
წუხელ ფიქრში წასულმა,
ეჰ, რამდენი გეძიე!..

ვნახე ქვეყნად ყოველი, მე რაც უნდა მენახა,
ჩემი ღელვა — ტკივილი
შენ გაგანდე ზეციერს!..

ბევრჯერ გაუფერულდა ჩემი სულის ხავერდი,
ბევრი ვიხეტიალე,
ბევრი ვნახე სიავე!..

ჩემი სულის სიმები შენ ერთს შემოგავედრე
და მინდორი ბავშვობის
ცრემლით მოვაიავე!..

მეც ვარხიე ღამეში შენი თეთრი ოლარი...
და შორეულ ზარების,
როცა რეკვა მიწყნარდა,

ის თვალები ვიწამე შუქს რომ ანთებს მომავლის
და ჩემს ხსოვნას შემორჩა
თრთოლვა დაუვიწყარი!..

26. 10. 92.
ბანძა.

## ᲓᲦᲔᲡ ᲨᲔᲜᲘ ᲛᲖᲔ ᲛᲔᲤᲔᲠᲔᲑᲐ

ცა და მიწა მოვიარე, ხიდიც გავიარე ბეწვის,
ვხედავ მამულს მგლოვიარეს
და ამიტომ გული მეწვის!..

შორს კივილით ქარი დგება და ფერს იცვლის
ზეცა დილის,
დღეს შენი მზე მეფერება
და სული კი მაინც ტირის!..

შემოდგომის სევდა მათოვს, გადავცქერი
ღელვით რიონს,
გუშინ შევხვდი მე აქ ლადოს
და დღეს ვხვდები გალაკტიონს!..

02. 11. 92.
ქუთაისი.

* * *

კვლავ ცისკრის გედი აცურდა და ხარბად ვსუნთქავ ოზონს,
შენზე მარადის ვლოცულობ,
ო, ფუძის ანგელოზო!
ცა იასამნისფერი
და ჩემი კოხტა ეზო,
ცეცხლი და კვამლი კერიის, რამ შემაყვარა ეგზომ?!
რამდენ წამებას ვუძლებ,
როცა არა ვარ ახლოს!
აქ არის ჩემი ფუძე
და ჩემი სამოსახლო!
მზე შემოდგომის ჩადის, მიდის ჩურჩულით წყარო,
მიაქვს ფოთლები ჭადრის,
შორს, სადღაც უმოწყალოდ...

24. 11. 92.
ბანძა.

## სამოთხეა ჩემი სულის

ფეთქავს ჟამის თეთრი ფრთები და მე ვეღარ
ვმალავ სურვილს!
მთები თეთრად ანანთები
სამოთხეა ჩემი სულის!..

ფეთქავს სივრცე და ფანტელებს მოვდივარ და
მხრებზე მაფენს...
სიყვარულით ვუცქერ ცას და
მიწას ერთობ მოქათქათეს!..

ფეთქავს სივრცე, სერაფიმებს ფრთებით დააქვთ სილამაზე,
დამავიწყეს წლები მძიმე
და დღეები ცრემლით სავსე!..

თოვს და ის დღე მენატრება, ჩემთან შენი
ლანდი მოდის...
ო, იმ ხსოვნით სული თბება
და ცა კრთება შემოდგომის!

ფეთქავს ჟამის თეთრი ფრთები და მე ვეღარ
ვმალავ სურვილს!
მთები თეთრად ანანთები
სამოთხეა ჩემი სულის!..

29. 11. 92.
ბანძა.

## რა შორს დარჩა?!..

რა შორს დარჩა ის წლები და ბავშვობის იგავი?
სულ სხვა ღელვა იწყება,
მოქრის ჟამის გრიგალი!..

რა შორს დარჩა ის გზნება და იმ დღეთა ნათელი?
დღეს კი სივრცე ივსება
თოვლის კორიანტელით...

რა შორს დარჩა ის ღელვა და იმ დღეთა ყიჟინა!..
და ჩამესმის ჩიტების
სევდიანი ჟივჟივი!..

რა შორს დარჩა ის მდელო და ნიავის ქილიკი?
დღეს სხვა ცეცხლით ვინთები,
მივალ სულ სხვა ბილიკით!..

რა შორს დარჩა პირიმზე და ის თეთრი კოშკები...
ისევ გარბის ბილიკზე
გოგო ოქროს ქოშებით!..

რა შორს დარჩა, ის წლები და ბავშვობის იგავი?
სულ სხვა ღელვა იწყება,
მოქრის ჟამის გრიგალი!..

01. 01.93.
ბანძა.

## მარის

ეს დღეები ასე, ნეტავ საით ილტვის?!
რტოზე ზის და წივის
ზამთრის თეთრი ჩიტი!..

მოდის თოვლი უხვად და ეღვრება მინდორს,
სული მუდამ შენზე
მოგონებას ითხოვს!..

დეკემბერი გაქრა, იანვარიც მიდის,
თოვლმა გადაფარა
მინდორი და ხიდი!..

ჩემს წინ გაძარცული ხე ქანაობს შინდის...
რტოზე ზის და წივის
ზამთრის თეთრი ჩიტი...

15. 01. 93.
ბანძა.

# იფარფატე, თოვლის თეთრო ფიფქო!..

იფარფატე, თოვლის თეთრო ფიფქო
და ბავშვობა მომაგონე ჩემი!..
იფარფატე, თოვლის თეთრო ფიფქო, შენ ხარ ჩემი
სულის გადამრჩენი!

იფარფატე, თოვლის თეთრო ფიფქო, დამიბრუნე ის
დღეები წრფელი!..
იფარფატე, თოვლის თეთრო ფიფქო,
თორემ ტკივილს ვეღარ გავუძელი!

იფარფატე, თოვლის თეთრო ფიფქო, იფარფატე, მხოლოდ
ამას გვედრი!
იფარფატე, თოვლის თეთრო ფიფქო,
დამიბრუნე ჩემი თეთრი ბედი!..

იფარფატე, თოვლის თეთრო ფიფქო და ბავშვობა
მომაგონე ჩემი!..
იფარფატე, თოვლის თეთრო ფიფქო,
შენ ხარ ჩემი სულის გადამრჩენი!

09. 02. 93.
ბათუმი.

## სხვა ხმაზე მღერის ნიჟარა

თვალს მიეფარა ის ჟამი და ის ბილიკიც მწვანე,
სივრცე ქვითინით ივსება
და გული მტკივა მწარედ!..
ო, რამ ჩააქრო ის გზნება და ის სინაზე მთვარის?
გულს მიფლეთს შხამის ისრები
და ცა საოცრად მკრთალი!..
ცახცახებს ჟამი მშიშარა, გზებზე სიბნელე სუფევს,
სხვა ხმაზე მღერის ნიჟარა,
ცრემლით სავსე აქვს უბე!...

03. 03. 93.
ბათუმი.

* * *

ეს რამდენი ღვარა სისხლი, კვლავაც
რამდენს მოილევს!..
საქართველო შეეწირა
ამ ყივჩაყის ოინებს!

12. 03. 93.
ბათუმი.

* * *

მე შენს შუქჩამქრალ თვალებს რომ ვხედავ,
ტანჯვა — წამებით
ეს გული იწვის!..
ო, ვინ ჩაგიქრო სიცოცხლე მხედარს
და ვინ ამეფა
სიკვდილი ბილწი?!
ცხოვრების ზვირთებს უტევდი მედგრად
და გრძელ სიცოცხლეს
არაფრად თვლიდი!
ქედზე მამულის უღელი გედგა
და არაფერი არ გწამდა ფლიდის!

რამდენჯერ ჟამის შეასკდი დელგმას,
არ გაიკარე
სიკვდილის შიში!
ცაზე ღრუბელი მიცურავს ლეგა
და ოკეანე ბობოქრობს გიჟი!..

მე შენს შუქჩამქრალ თვალებს რომ ვხედავ,
ტანჯვა-წამებით
ეს გული იწვის!..
ო, ვინ ჩაგიქრო სიცოცხლე მხედარს
და ვინ ამეფა
სიკვდილი ბილწი?!

03. 04. 93.
სოხუმი.

## მზე ჩადის მშვიდად

ისევ მოვიდა გაზაფხული და მწვანე მინდვრებს
რა სიხასხასე და რა ნედლი
სურნელი ახლავს!..

მზე ჩადის მშვიდად, შეღამების მოირღვა ბინდი,
მე მაგ ღიმილის და თვალების
მომინდა ნახვა!

და მოუთმენლად შენთან უკვე შეხვედრას ველი,
შენი თვალების სილაჟვარდე
მოარღვევს სამანს!..

ცასა და მიწას საოცარი ეძლევა ფერი,
რომ მთვარის შუქი
სიყვარულით გვათოვოს ცამან!..

ზღვა რა სინაზით ათამაშებს ტალღების წყებას,
ნაპირთან უკვე ეს რამდენი
ირხევა ნავი!..

ბაგეები კი ვერ მალავენ, ძვირფასო, ვნებას
და ფეხაკრეფით მიმოდიან
ლანდები ღამის...

24. 04. 93.
ბათუმი.

## ბულბული

რა არის ქვეყნად უცვლელი, რას გლოვობს
ორი ლურჯი ცა?
ყვავილს დასცვივდა ფურცელი
და ბაღი სევდამ მოიცვა!..

გაქრა დღეები ფერადი და რა უეცრად
აცივდა?
ვის უგალობოს ბულბულმა,
როცა ყვავილი დასცვივდა?!

ჩემი ცა როგორ გაფითრდა, რომ ქარმა
სივრცე მილეწა!
ბულბული ოხვრით აფრინდა
და სადღაც გადაიხვეწა!..

20. 05. 93.
თბილისი.

## მზერა მავედრებელი

მზერა მავედრებელი, ახლაც მაფორიაქებს!..
თავზე მთების ბებერის
ქარი ღრუბლებს მიაფრენს...
მზე ამოდის ცხრათვალა და მე მუხლებს მოვიდრეკ,
მოლზე დილა ფართქალებს,
დღე მაისის მოვიდა!..

მთა ფერებით მოირთო, ზღვა გამოდის სიზმრიდან!..
სული სივრცეს მოითხოვს,
ცა ოცნებით მიზიდავს!..
დღე არაფერს იშურებს, სხვა სინაზით ინთება!..
ამ ბაღს მოშარიშურეს
ახსოვს გადაფითრება!

გულს მრავალჯერ დაკოდილს შუქი მოეძალება,
როგორც ბოლო აკორდი,
როგორც ფერიცვალება!..
მზერა მავედრებელი, ახლაც მაფორიაქებს!
თავზე მთების ბებერის
ქარი ღრუბლებს მიაფრენს...

21. 05. 93.
ბათუმი.

## გზები დასრულდა!

ვერ აისრულე რაც გსურდა და რა უსაზღვროდ ეწამე?
საწუთროს გზები დასრულდა
და ცას ქარები წეწავენ!..
რა ვუყო ნაღველს ულმობელს, ამ ტკივილს რითი ვუშველო?!
გზა ველარ გადავუღობე
ამ ზვირთებს, ბიჭო, უშენოდ!

არც გაზაფხული მახარებს, არც თოვლის თეთრი ფანტელი,
დამცქერის ზეცა მაღალი,
ვით შენი სულის ნათელი!..

ნუთუ დასრულდა ოცნების გზები მწვანე და ფრიალო!
სულო, სად გაიტყორცნები, —
საითკენ უნდა იარო?!
ვერ აისრულე რაც გსურდა და რა უსაზღვროდ ეწამე?
საწუთროს გზები დასრულდა
და ცას ქარები წეწავენ!..

03. 06. 93.
სოხუმი.

## სანათა

ო, ეს ზღვაური მაშორეთ, დაუნდობელი რამ არის!
დავცქერ და როგორ მაკრკოლებს
ო, ეს ლოდები სამარის?!
მზე ისევ ტოვებს ასპარეზს და მთვარემ ამოანათა,
დადის და გმირთა საფლავზე
კვლავ სანთლებს ანთებს სანათა!..

17. 06. 93.
სოხუმი.

## ზღვასთან

აქ სიჩუმეა ახლა და ფოთოლცვენის ჩქამი,
აქ სიჩუმეა ახლა
და შემოდგომის ჟამი!.
აქ სიჩუმეა ახლა და ზღვა ირწევა ლურჯი,
აქ სიჩუმეა ახლა
და სულს საოცრად უჭირს!..
აქ სიჩუმეა ახლა და ხე ირხევა ალვის,
აქ სიჩუმეა ახლა,
ცვივა ფოთოლი ქარვის...
აქ სიჩუმეა ახლა და მზე დაისის ღუის,
აქ სიჩუმეა მხოლოდ,
ხმა ისმის მოლაღურის!..
აქ სიჩუმეა ახლა, ბალახს ედება თრთვილი,
აქ სიჩუმეა ახლა,
მოდის სურნელი თივის...
აქ სიჩუმეა ახლა, ნისლი ქანაობს ზღვაზე,
აქ სიჩუმეა ახლა,
ო, რა ტკივილით სავსე!..

13. 08. 93.
ბათუმი.

## საით გამიფრინდა?

ვუცქერ მე შენს გაფითრებულ სახეს და არ ვიცი,
საყვარელო, რა ვქნა?!
ო, ეს გული ველარ მალავს ნაღველს,
ნუთუ, სულო, ის ნათელი ჩაქრა?!

ქარი ისევ ალუბლის რტოს არხევს, ის დღეები
საით გამიფრინდა?
ვუცქერ მე შენს გაფითრებულ სახეს
და, ძვირფასო, ვერაფერი მითქვამს!

26. 08. 93.
ბანძა.

## მზე ჩადის!..

მე განშორების ცრემლები დამდის და სადღაც ბილიკს
დავეძებ ქარში!
დაგლეჯილია ეს გული დარდით
და მაინც არ სწყვეტს
მიწასთან კავშირს!..
მე განშორების ტკივილი მკაწრავს, მაცლის ნიადაგ
ფერსა და იერს!
მზე ჩადის... გზაზე საღამო გაწვა
და შემოდგომის
ფერები მღვრიე!..
მე განშორების სახმილით ვიწვი, სულმა არ იცის
რა არის მოლხა!
მოჩანს ცისფერი ბილიკი ვიწრო
და ვიღაც ჩუმად
დადის და ოხრავს!..

02. 09. 93.
ბათუმი.

## მიჟინების თვე

განშორების ჟამი მოდის, ვერ ვიკავებთ ცრემლს!..
მივდივართ და წუთისოფლის
მღვრიე ტალღა გვცემს!..
მზე მაისის თუ გვათრობდა მოსეირნე წყვილს!
ახლა სული მწარედ ღელავს
და საშინლად წვიმს!..

მთვარის ფერი მოსდებია მინდორ-ველს და მთებს
და მოსულა ტკივილებით
მიჟინების თვე!..
ის ტირიფი მდინარესთან რა საოცრად კრთის,
ჟამი გვიმზერს ალმაცერად,
როგორც ვეფხვი კლდის!..

შეღამების ქარი ქრის და არხევს ყვითელ რტოს,
როგორ გვსურდა, მაგრამ
ვეღარ გავექეცით დროს!
საით მივალთ, რომელი გ ზით, ვესტუმრებით — ვის?
სული ტირის უჩვეულოდ,
ჩუმად ცრემლსაც ღვრის!..

მთვარის ფერი მოსდებია მინდორ — ველს და მთებს
და მოსულა ტკივილებით
მიჟინების თვე!..

05. 09. 93.
ბათუმი.

## როდის უნდა დასრულდეს?!

ჟამს არ უყვარს მუდარა, სულს მთვლემარეს
ამარცხებს!
ზღვა ღელავს და უთვალავ
ზვირთებს მოაბარბაცებს!..

ცა სად გაქრა ლურჯთვალა და დღე რატომ
ქვითინებს?
ეს რა გვიყო ურჯულომ,
სანამ უნდა ვითმინოთ?!

ვდგავარ, ღელვით გავცქერი ჰორიზონტზე
დასულ მზეს!..
ჟამი ნგრევის, დაცემის, —
როდის უნდა დასრულდეს?!

24. 09. 93.
სოხუმი.

# დიალოგი სიკვდილთან

ჟამის სამი გავიარე ხიდი, მეოთხეზე — გული
რატომ კრთება?
ყველაფერი ნუთუ ერთ მხრივ მიდის,
ყველაფერი ნუთუ ბოლოს ქრება?!
ზვირთი ისევ ეხეთქება კიდეს, ალბათ ქარით
სივრცეც ჩაიხევა!..
ზამთარია, აღარ გაგიკვირდეს,
ამ ფიფქების საოცარი რხევა!..
შენ, სიკვდილო, რამდენი გაქვს ცოდვა და ლანდების
მოაცურებ წყებას!..
ამ აღმართზე შეიცადე ცოტა,
პოეტი ვარ, ნუღარ გავიწყდება!
გაზაფხულის მეხოტბე ვარ მარად, ნუთუ სიმი
სიყვარულის წყდება?
იქნებ ლექსი გამომადგეს ფარად,
რომ გადურჩეს სული დავიწყებას?!
ჩვენ ოდითგან გავჩენილვართ მტრებად, შენ ფერი გაქვს
მეტად საზიზღარი!
ვიგერიებ შენს ურჩ შემოტევას
და ჩვენს ჭიდილს აღარ აქვს ზღვარი!..
ჟამის სამი გავიარე ხიდი, მეოთხეზე — გული
რატომ კრთება?
ყველაფერი ნუთუ ერთ მხრივ მიდის,
ყველაფერი ნუთუ ბოლოს ქრება?!

23. 10. 93.

ბათუმი.

* * *

ზამთრის ქარები დაღლილან ქროლვით,
მზემ კვლავ დატოვა
ცა უპატრონოდ!..
ჩამოდის თოვლი,
ჩამოდის თოვლი
და ყველგან თეთრი ფერი ბატონობს!..
მზე ღრუბლებს უშენს ამაოდ ისრებს,
მოჩანს ქუჩები
ყინვით ნატორი!..
და მოლოდინში
ქარების ისევ, —
დგას მუხა, როგორც გლადიატორი!

20. 12. 93.
ბანძა.

## ისევ დარეკა ზარმა!

ო, ეს ბინული დაშრა, ჟამმა დალეწა მუხაც,
ცა შავს იხურავს თავშალს
და სდის ცრემლები უხვად!..

ისევ დარეკა ზარმა და ტალღას ტალღას ახლის,
ისევ დაჰქროლა ქარმა
ხეებს საშინლად დაღლილს!..

02. 02. 94.
ბათუმი.

## ᲕᲘᲜ ᲛᲝᲛᲘᲙᲚᲐ?!

ვინ მომიკლა გაზაფხულის ჩიტი, ჩემ სარკმელთან
რომ გალობდა ტკბილად?
ვინ მომიკლა გაზაფხულის ჩიტი,
ასე ვინღამ ჩამიქუფრა დილა?!

ვინ მომიკლა გაზაფხულის ჩიტი, გულზე ეს ვინ
დამახალა ტყვია?
ვინ მომიკლა გაზაფხულის ჩიტი,
ჭრილობა, ვინ შემატოვა ღია?!

ვინ მომიკლა გაზაფხულის ჩიტი, გულო, მითხარ,
რამდენ რამეს იტან?!
ვინ მომიკლა გაზაფხულის ჩიტი,
ქვითინებენ გულსაბა და ტიტა!..

ვინ მომიკლა გაზაფხულის ჩიტი, შხამის ისრებს
გულზე ვინღა მახლის?!
ვინ მომიკლა გაზაფხულის ჩიტი,
ასე ვინღამ დამიდუმა ბაღი?!

ვინ მომიკლა გაზაფხულის ჩიტი, სულს ტკივილი
სანამ უნდა ჰკბენდეს?!
ვინ მომიკლა გაზაფხულის ჩიტი
და ვაწყდები წუთისოფლის კედლებს!..

30. 03. 94.
ბათუმი.

## ბევრი გავიდა წელი

ბევრი გავიდა წელი, არ მახსოვს იყო როდის?!
თვლემდა ბალახი სველი,
ტყიდან კიოდა ჭოტი...
იდგა შრიალი გზაზე, ჩუმი შრიალი ქარის,
მთვარე ეკიდა ცაზე,
ვით ანთებული კვარი!..
ტყე იშორებდა ნისლებს, იყო საღამო ხანი...
და ირხეოდა ისევ
შენი ლამაზი ტანი!..
მერე ის მხარე გახდა უდაბური და ცივი,
მხოლოდ ცეკვავდა დიდხანს
ფოთლებზე მთვარის სხივი...

08. 04. 94.
ბანძა.

# ᲠᲐ ᲡᲐᲝᲪᲠᲐᲓ ᲣᲙᲠᲐᲕᲡ!..

*ნანას და გოჩას*

ოცდახუთი — მოიტოვეთ უკან და ოცნების კვლავ
იშლება ფრთები!..
გაზაფხული ათას ხმაზე უკრავს
და მე თქვენი სიყვარულით ვთვრები!..
ისევ ეტრფით სათაყვანო ცისფერს! და მე კი თქვენს
დღეგრძელობას ვნატრობ!
ჩემს ვედრებას ცა მაღალი ისმენს,
თუმც ჭაღარა შემოდგომის მათოვს!..
ოცდახუთი — მოიტოვეთ უკან, მოჩანს თეთრი ნაკვალევი
მთვარის...
სულს მითრთოლებს მარად გაუხუნარს
ფოთოლცვენის მოყვითალო ქარი!..
როცა მოვა განშორების წუთი, არ ჩავიქნევ
ხელებს უიმედოდ,
მოვალ, როცა ამწვანდება თუთა
და სიმღერით მოვედები ფერდობს!..
ჩემი სული მერცხალივით იფრენს აქ, თქვენს გვერდით და
სულ თქვენთან ახლოს!..
მხოლოდ ჩემი სხეულია მყიფე
და მონახავს ისიც სამოსახლოს!
ჩავიშლები, როგორც წყალში კბოდე, თქვენ იცოცხლეთ,
მე არაფერს ვნაღვლობ!
ოღონდ ჟამმა გული დამიკოდა
წუთისოფლის ზღვართან მისულს ახლოს!..

ოცდახუთი — მოიტოვეთ უკან და ოცნების კვლავ იშლება
ფრთები!..
გაზაფხული ათას ხმაზე უკრავს
და მე თქვენი სიყვარულით ვთვრები!..

05. 05. 94.
ბათუმი.

## ᲡᲘᲨᲝᲠᲔᲖᲔ ᲛᲔᲝᲪᲜᲔᲑᲔ ᲑᲐᲕᲨᲕᲘ

ჟამს გარდასულს შენ ამაოდ უხმობ, ხედავ ნისლებს
აფრებივით გაშლილს...
და ზღვის პირად
დააბიჯებ უხმოდ სიშორეზე მეოცნებე ბავშვი!..
ნაპირისკენ მოირხევა ტალღა... ვარსკვლავების
ზეიმია ცაში...
დადიხარ და იცქირები მაღლა, —
სიშორეზე მეოცნებე ბავშვი!..
შეეჩვიე შეღამების დუმილს... სევდამ ბევრჯერ
მოგიქცია რკალში...
ზღვის ნაპირას
დგახარ ახლა ჩუმი, —
სიშორეზე მეოცნებე ბავშვი!..
შემოდგომის ნიავი ქრის რბილი და ათასი ფიქრი
ბრუნავს თავში!..
შენ გასცქერი მთვარის
ცისფერ ბილიკს, —
სიშორეზე მეოცნებე ბავშვი!..
გეფერება მთვარის შუქი თბილი... ზღვაზე დაქრის
თოვლის ფერი რაში...
რა ხარ ახლა? გარდასულის ჩრდილი, —
სიშორეზე მეოცნებე ბავშვი!..

შენ ტკივილი მხოლოდ სივრცეს ანდე, ეძებ უხმოდ ცის და
მიწის კავშირს...
და შორეულს ეფერები ლანდებს, —

სიშორეზე მეოცნებე ბავშვი!..
ჟამს გარდასულს შენ ამაოდ უხმობ, ხედავ ნისლებს
აფრებივით გაშლილს...
და ზღვის პირად
დაბიჯებ უხმოდ, —
სიშორეზე მეოცნებე ბავშვი!..

10. 06. 94.
ბათუმი.

## იქცა არარად ქვეყანა

არ იყო სასაყვედურო გზები განვლილი
ბრძოლით,
და მაინც აღარ დაინდეს
კაცი, ღმერთების ტოლი!

იქცა არარად ქვეყანა, დაასახიჩრეს
ერთობ!
გმინავდა ყველა სართული,
ო, ეს რა ვნახე, ღმერთო!

ახლა სიბნელე ფათურობს... მზეც კი
ვერაფერს გახდა,
ქარი აკივლებს მავთულებს
და წეწავს ჟამის ფარდას!..

18. 08. 94.
ბანძა.

* * *

ქარმა დალეწა ბაღი ხეხილის და კივის სივრცე
თმაგაწეწილი!..
რტოზე ზის ჩიტი ფრთამოტეხილი
და გულსაკლავად ზეცას შესწივის..!

მე ვხედავ მხარეს შიშით ატანილს!.. ჟამმა შეცვალა
სივრცის პროფილი
და კვნესის მწარედ ჩიტი პატარა, —
ცისფერთვალება ჩემი დობილი!..

14. 09. 94.
ბათუმი.

## ქარმა ააწიოკა

ცის გახუნდა დარბაზი, მზე ღრუბლებში
კიოდა!..
ო, ის სივრცე ლამაზი
ქარმა ააწიოკა!..

მიდის გზებით ხვეულით... მოჩანს სულ სხვა
ხედები...
შიშით უკრთის სხეული, —
უკან რომ იხედება!..

ის მზის თვალებს დაეძებს და კლავს
ბრძოლის წყურვილი!..
ქარმა ის ტყე დალეწა, —
ის მთაც ოქროცურვილი.

08. 10. 94.
ბათუმი.

## მიდის ღამე

მიდის ოხვრით ღამე გრძელი და მე სანთელს ვანთებ,
გულზე მაწევს დარდი ძველი
და ზარს რეკავს მნათე!..
მიდის ოხვრით ღამე ლურჯი, გავცქერ მთვარის პროფილს,
სულს რატომღაც სუნთქვა უჭირს
შენგან უარყოფილს!
მიდის ოხვრით ღამე ბერწი, ვხედავ ღრუბლის ზვინებს,
კვლავ იღვრება შუქი ვერცხლის
და ფიქრს მიაღვილებს!..
მიდის ოხვრით ღამე გრძელი და მე სანთელს ვანთებ,
გულზე მაწევს დარდი ძველი
და ზარს რეკავს მნათე!..

14. 10. 94.
ბათუმი.

## ისევ მოდის

ისევ მოდის ჟამი ყრმობის და სითეთრე თრობის
და მიბრუნებს წლებს ბავშვობის, —
ეს პირველი თოვლი!
გავცქერ სივრცეს მოციმციმეს და ბარს თეთრად მოსილს,
თეთრ მინდორზე ცეკვავს ცირა
თოვლის ანგელოზი!..

მივდივარ და მხრებზე ორი თეთრი მტრედი მაზის,
მე ვერ მივცემ დავიწყებას, —
იმ წლებს სილამაზის!..
ისევ მოდის ჟამი ყრმობის და სითეთრით თრთობის
და მიბრუნებს წლებს ბავშვობის, —
ეს პირველი თოვლი!..

12. 02. 95.
ბათუმი.

## ო, შენში რეკავს!..

შენ ყრმობის დღეებს იხსენებ ახლა და მეგობრების
ანთებულ თვალებს!..
როცა ჭაღარა ფოთლების ნახვაც,
ო, შენში რეკავს სევდიან ზარებს!..

ვარდისფერ ბილიკს იხსენებ ახლა და აბაშის წყლის
სანუკვარ ჭალას!..
მოვა ჟამი და უეცრად წახვალ
და ალტაცების ჩაკვდება ძალა!..

იჩქარე, რომ თქვა სიტყვის მაგიით, რასაც გრძნობ, იმის
მცირედი მაინც!
დარჩება შენი ყრმობის ნაპირი,
იმ იდუმალი ლანდებით ღამის!..

22. 08. 98.
მოსკოვი.

* * *

ყველაფერზე მირჩევნია ჩემი კუთხე–ეზო!
მე ვიცი, რომ ის ჩემია,
მიტომ მიყვარს ეგ ზომ!
კვლავ ბავშვობის წყარო მიხმობს, გალობს
სულ სხვა ხმაზე!..
და ზღაპარში გადამიყვანს
ცის სინაზით სავსე!..
ის პატარა მახსოვს ხიდი და ალვები გზაზე,
ხე ბებერი იდგა შინდის,
წუხდა, ნეტავ რაზე?
აქ მხვდებოდა ცისფერთვალა ნაწნავებით
გრძელით,
მიდიოდა ცაზე მთვარე
სიმღერებით ძველით!..

26. 08. 95.
ბათუმი.

## ხმა სამარიდან!..

დავცქერ საფლავის ქვას კრძალვით, კრთიან სევდიანი
სანახები!..
— ღმერთო, მომანიჭე ძალა
ქვიდან ამოზრდილი ბალახების!..

ფეთქავს ფორთოხლების ჭალა, — ეს რა სხივი მოდის
განახლების?!
— ღმერთო, მომანიჭე ძალა
ქვიდან ამოზრდილი ბალახების!..

შუქი მიღმიური მსჭვალავს, სულმა შვება იგრძნო
ამაღლების!..
—ღმერთო, მომანიჭე ძალა
ქვიდან ამოზრდილი ბალახების!..

25. 10. 95.
ბათუმი.

* * *

იქცა არარაობად — ის სახლი და
ის ეზო!..
ვხედავ სივრცეს ნაომარს
და ცა ისევ მიზეზობს!..

ხენი ქართან დაობენ... გავცდი მზეს და
ზღვის სეზონს,
იქცა არარაობად: —
ის ცა, ის გზა, ის ეზო!..

14. 11. 95.
ბათუმი.

# ზამთარი

მთები დაზნიქა თოვლმა, ზღვა ნაპირს ზვირთებს ახლის,
მთები დაზნიქა თოვლმა
                    და აცახცახდა ბაღი!..
მიწყდა აფრების ფეთქვა და ჩაქრა შუქის წყარო,
ქარი კი ფოთლებს ფერკმრთალს
მიდენის უმოწყალოდ!..
მთები დაზნიქა თოვლმა, დაჭკნა ფერები მინდვრის,
ო, ეს ნისლები თეთრი,
                    ნეტავი, —საით მიდის?
სივრცე მოუცავს სევდას და დუმს უდაბნო თეთრი,
ასიათასი გედი
მთების კალთებზე ფეთქავს!..
მთები დაზნიქა თოვლმა, ზღვა ნაპირს ზვირთებს ახლის,
მთები დაზნიქა თოვლმა
და აცახცახდა ბაღი!..

14. 12. 95.
ბათუმი.

## მხარზე მტრედი შემაფრინდა

ფიფქებს ისევ ატრიალებს ზამთრის ქარი თავხედი,
დრო კი მიქრის სატიალე
და რაღაცას მაყვედრის!..
ატრიალებს ფიფქებს ქარი და მე ავყევ ზმანებას,
მოსვლა მატარებლის ჩქარის
მაცნეს ღამის ზარებმა!..
გრძნობას ვცვეთდი, როგორც ხანჯალს და
ვუძლებდი წამებას!..
რამე დამრჩა? —
მასაც ვხარჯავ,
ვერვინ შემედავება!
გაზაფხულის გავცდი მინდვრებს, მზის საოცარ ნათებას!
მხარზე მტრედი შემაფრინდა,
ანგელოზის ხატება!
ფიფქებს ისევ ატრიალებს ზამთრის ქარი თავხედი,
დრო კი მიქრის სატიალე
და რაღაცას მაყვედრის!..

10. 01. 96.
ბათუმი.

# მამალი

მამალი ისევ მოუხმობს დილას,
ზღვა არის ჩუმი, ცა ძლიერ წყნარი!
მამალი ისევ მოუხმობს დილას
და სახლთან ახლოს
ბუტბუტებს წყარო...
მამალი ისევ მოუხმობს დილას,
ცა ვარსკვლავებით ირხევა ნელა...
მამალი ისევ მოუხმობს დილას
და დუმს ნაძვები
ცვარ-ნამით სველი...
მამალი ისევ მოუხმობს დილას,
მიიზლაზნება სივრცეში ღამე...
მამალი ისევ მოუხმობს დილას
და ვარსკვლავები
სიჩუმეს სვამენ...
მამალი ისევ მოუხმობს დილას
და ქრება მთვარის ლურჯი ღიმილი!
მამალი ისევ მოუხმობს დილას
და ცის დალეწა
ბჭენი ყივილით!..
ცისკარი მთებზე ეშვება რბილად...
ზღვა არის ჩუმი, ცა- ძლიერ წყნარი...
და მტრედისფერი შემოდის დილა
და სახლთან ახლოს
ბუტბუტებს წყარო...

30. 09. 96. ბათუმი.

## მიცურავს ფერებში ქალაქი

შეხედე, ცა როგორ თეთრდება!.. ზღვას ფერი
საოცრად ეცვალა!
აქ დილა მაისის თენდება
და სარკმელს
ფრთა გაჰკრა მერცხალმა...
შეხედე ფერების ნიაღვარს და თვალებს
ოცნებით ნათევარს,
ასეთი ცა აღარ მინახავს
და სივრცის
ამგვარი ნათება!..
შეხედე, ვარდების ხეივანს... უსმინე
ჩიტების გალობას!..
ურიცხვი სიცოცხლე ზეიმობს,
მზე აღარ
იშურებს წყალობას!..
იფერთხავს ცვარს ტანზე ბალახი და ციურს
მიელტვის ზმანებას!..
და ცურავს
ფერებში ქალაქი
დილის მზე რომ მოეძალება!..
შეხედე, ცა როგორ თეთრდება!.. ზღვას ფერი
საოცრად ეცვალა!
აქ დილა მაისის თენდება
და სარკმელს
ფრთა გაჰკრა მერცხალმა...

06. 05. 96. ბათუმი.

## დაუბრუნდა

დაუბრუნდა ძველ ბუდეს, იმ მდინარეს, იმ ჭალას,
მინდვრებს მთვარით შებინდულს, —
სიყვარულმა იძალა!

დაუბრუნდა იმ მიწას, იმ ნატვრას და ნათებას!
ველარ გადაივიწყა
შენი თეთრი ხატება!..

დაუბრუნდა ძველ შარას, სხვა ხიბლით რომ იზიდავს,
შუქი ჩამოიშალა
იმ ბავშვობის სიზმრიდან!..

25. 09. 96.
ბანძა.

## სამი ბულბული

*ვანო სარაჯიშვილის, ზურაბ ანჯაფარიძის,*
*ჰამლეტ გონაშვილის მარადიულ ხსოვნას!*

სამი ბულბული გალობდა აპრილში ატმის რტოზე,
ადრე გაფრინდნენ ისინი, —
წესით დადგენილ დროზე!
სამი ბულბული უმღერდა ღირსებას ცის და მიწის,
აქსოვდა ხმაში სამივე
ცის ხავერდოვან ციმციმს!..

სამი ბულბულის სიმღერა ათრობდა გულებს ტრფობით!
სამი ბულბულის გალობას,
ო, როგორ შევნატროდით!..
და უგალობდნენ ისინი ცას მარად შუქით მოსილს,
სამი ბულბული გალობდა
თუ სამი ანგელოზი?!

მერე კი ჟამის ქარებმა ჩამოიქროლეს უნდოდ,
ო, ის ატმის რტო გაძარცვეს
და სივრცე გადახუნდა!..
სამი ბულბული გალობდა აპრილში ატმის რტოზე,
ადრე გაფრინდნენ ისინი, —
წესით დადგენილ დროზე!..

15. 10. 96.
თბილისი.

* * *

კვლავ ჩამიქროლეს ქარებმა ახლოს,
რა შორს გაფრინდნენ დღეები რწმენის!..
ჩემში იმდენი ტკივილი სახლობს,
რომ მე ამ ქვეყნად
მოსვლასაც ვწყევლი!
აჰა, დაღმართზე ვეშვები უკვე,
განაწამები ათასჯერ ბედით!..
ცხოვრებამ დღემდე იმდენი მითხრა, —
რა უნდა მითხრას
ამაზე მეტი?!

11. 11. 96.
თბილისი.

## სხვა რამეზე ვწუხვარ!

აქ თოლია წივის და ქარი ქრის ცივი,
ხან ჩამოდის წვიმა,
ხან ფიფქები ცვივა...

ზღვას ზღვაური ამღვრევს, თოვლი მოდის უხვად,
მე სხვა სევდა მაწევს,
სხვა რამეზე ვწუხვარ!

დღეს ნოემბრის თორმეტს, თოვლს აქ
რაღა უნდა?
თოლიები თოვლში
დაფრინავენ გუნდად...

12. 11. 96.
ბათუმი.

## რად შეჩერდა საათი?!

*დევნილი კაცის ყველა საათი*
*მარადისობის ტოლია თითქმის!*
*რაფაელ ალბერტი*

არ მთავრდება ღამე ურჩი და ულმერთოდ მაწამებს..!
ტკივილს ველარ გადავურჩი,
ცრემლი სწყდება წამწამებს!..

გარეთ შუქი ჩაქრა ყველა, ცას ღრუბელი ედება,
სულო, მითხარ, რატომ ღელავ,
ან რა გეიმედება?

მხოლოდ ერთი მიზანი მაქვს, მაგრამ გზას
ვერ მივაგენ!
ჩემს მამულში ხიზანი ვარ
და სულს მიფორიაქებს!..

იქ კი სისხლი კვლავ იღვრება და დრო
მიდის ტაატით,
ვინ დააბა ეს ისრები,
რად შეჩერდა საათი?!

არ მთავრდება ღამე ურჩი და ულმერთოდ მაწამებს!..
ტკივილს ველარ გადავურჩი,
ცრემლი სწყდება წამწამებს!..

14. 11. 96.
ბათუმი.

## ზამთრის სურათი ზღვის პირას

ზღვის სივრცეში თოლიები ფრენენ და ნაპირზე
ბაღს გაძარცულს ათოვს...
ირგვლივ წვება
თოვლი ფენა–ფენად
და სითეთრე სულს
სინაზით ათრობს..!
ზღვა მღელვარე ნაპირს უტევს მედგრად და ნაძვები
ლანდებივით დგანან...
ისევ დადის აქ
ადგილის დედა
და სევდიან ბაღს
უმღერის ნანას!..
მზე მაისის სიშორეში დარჩა... ვეღარ გვაღვრის
ხავერდოვან სხივებს!
ცა ყივილით
გადასერა ყანჩამ
და დეკემბრის
ქრის ქარები ცივი!
ჩიტები კი მოფრინავენ გუნდად... და გედები
ტბის ხავერდზე სხედან...
ცა იმ დღეთა
როგორ გამიხუნდა
და ღვრის ბაღი
ბედურების სევდას!..
14. 12. 96. ბათუმი.

## დაბრუნდება?!

ჩამოთოვა მთებიცა და სერებიც
და სივრცეში ზამთრის
ქარი ნავარდობს...
ვდგავარ უხმოდ და ცრემლები მერევა,
ის დღეები დაბრუნდება? —
არასდროს!
ხეტიალობს ცაზე რუხი ღრუბლები,
გული ისევ სიყვარულით ინთება!..
ის თვალები ნუთუ დამელუპება? —
გადურჩება სული გაბედითებას?!
ეს ცხოვრება ველარ შევალამაზე,
აწი ვინღა მომიშუშებს იარებს?
მოვა ბევრჯერ
მწუხარებით ამავსებს,
ამატირებს გაზაფხულის ნიავი!..
ჩამოთოვა მთებიცა და სერებიც
და სივრცეში ზამთრის
ქარი ნავარდობს...
ვდგავარ უხმოდ და ცრემლები მერევა,
ის დღეები დაბრუნდება? —
არასდროს!

27. 12. 96.
ბათუმი.

## მივდივარ ქუჩაში

რამდენჯერ გათეთრდა, იმდენჯერ გაშავდა
მოსკოვის ქუჩებში თოვლი.
ვიხსენებ მე შენთან შეხვედრას შარშანდელს
და ზეცას ვარსკვლავთა ხომლით...

მივდივარ ქუჩაში და ქარი ამაზრზენ
ფრთებს ძლიერ უხეშად მახლის!..
მე მახსოვს დღეები საოცრად ლამაზი
და შენი ცისფერი სახლი!

რა სწრაფად ვშორდები ოცნების მწვერვალებს
და ტოტებს ნიავით ნარხევს?!
თუ წლებმა ჩამიქრეს თვალები ელვარე,
ეს ჩემი წამება, — ნახე!

რამდენჯერ გათეთრდა, იმდენჯერ გაშავდა
მოსკოვის ქუჩებში თოვლი,
ვიხსენებ მე შენთან შეხვედრას შარშანდელს
და ზეცას ვარსკვლავთა ხომლით...

11. 03. 97.
მოსკოვი.

## ტირიფის ძირას

ტირიფის ძირას გულაღმა ვწევარ,
მთვარე ამოდის თეთრი...
დრო მიდის ოხვრით, ვით ბედისწერა
და ყრუ დინებას ერთვის...

ტირიფის ძირას ვწევარ გულაღმა,
სიო ბალახში მღერის...
სულს ტრფობის ცეცხლი გადაუნახავს,
შენ არ მოდიხარ, მერი!

09. 06. 97.
ბათუმი.

## მეფისტოფელი

რტოებს მაისის ნიავით ნარხევს,
ურჩი ქარები
წეწავენ ისევ!..
ცხოვრებამ ბევრჯერ დაჰკარგა სახე
და ახლაც ერთობ
ტკივილებს მისევს!..

ჟამი არყოფნის ნისლებში მახვევს,
ვერ უძლებს სივრცე
ქარებს მობერილს!..
წუხელ ფაუსტის საფლავზე ვნახე,
ისევ ცეკვავდა
მეფისტოფელი!..

22. 06. 97.
მოსკოვი.

## როგორ გამძარცვეს წლებმა?!

შენი ლამაზი სული ღმერთს შევავედრე იმ დღეს,
მერე გავხედე ყრმობის
მწვანით დაფარულ მინდვრებს...
ცის ციფერბლატზე ენთო ლურჯი ვარსკვლავი ორი,
სულში მირხევდა სიმებს
იდუმალება შორი!..
ვერ იშორებდა ხსოვნა გაფრენილ დღეთა წყებას,
ავტირდი, რომ უმოწყალოდ, —
ასე გამძარცვეს წლებმა!..

14. 08. 97.
ბანძა.

* * *

საით წახვედი ასე უეცრად სიყვარულის და
ვარდის ღიმილი?!
სიცოცხლეს ფრთები ვინ დაუღეწა
და ვინ მოაგდო ქარის კივილი?!
რად ჩაქრა შუქი ზეცის, რატომ აცრემლდა
ჩუმად გვირილა?
სულს ყოფნის მარად
ხსოვნად ტირილად, —
შენი ხატება ეკატერინა!..

02. 09. 97.
მოსკოვი.

* * *

მენატრება ის წვიმა შენს თმებში რომ გალობდა!..
მახსოვს, მზეს რომ აპრილის
ჩვენთან მოუხაროდა!..

რა საოცრად შევნატრი იმ ქათქათა ფანტელებს,
მაგ თვალებში, რომ კრთოდა,
როგორც თეთრი სანთელი!..

მენატრება ის წყარო და ალუბლის ტოტები,
შენ, რომ თრთოლვით მანახე,
ოდნავ შენაშფოთები!..

მენატრება, ძვირფასო, შენი ნაზი ხელები
და დავდივარ შორს, სადღაც,
ჟამით განახელები!..

08. 09. 97.
მოსკოვი.

* * *

ნოემბერი მოვიდა და ცა ზარებს არისხებს!..
დგას ბექობზე ობოლი და
მკრთომარე ალვის ხე!..

ის გაძარცვეს მთლიანად ფოთლებისგან
ქარებმა!
ტანიც დაუზიანეს,
ნახავ, დაგენანება!

13. 09. 97.
მოსკოვი.

## რად იცრემლები?!

რად იცრემლები, ჩიტუნავ, როცა
ბუნება ყვავის?
ზეცას ფირუზის
ფერი აქვს
და არა მინდვრის ყვავის!
რად იცრემლები, ჩიტუნავ, როცა
ბუნება მღერის?
მიწას ზურმუხტის
ფერი აქვს
და არა მწიფე ქერის!
რად იცრემლები, ჩიტუნავ, როცა
ზაფხული მიდის?
ო, ვინ აგკიდა პატარას
ტკივილი, ასე დიდი?!

15. 09. 97.
მოსკოვი.

# ეპიტაფია

წავიდა ის დრო, ახლა უკვე ვერაფერს შევცვლით!
წავიდა ის დრო, მზეს რომ
თრთოლვა მოჰქონდა ჩვენთვის!..
წავიდა ის დრო, მთვარე შუქს რომ გვაღვრიდა ვერცხლის,
წავიდა ის დრო და შორეულ
დინებას ერთვის!..

კვლავ მოვა ჟამი და ცა ღელვით მოიხსნის ნიღაბს,
შეკრთება ქარით კიპარისთა
მოლურჯო რიგი!..
ვიძინოთ მშვიდად ბედნიერი დღეების მიღმა,
ვიძინოთ მშვიდად
სევდიანი დღეების იქით!..

17. 09. 97.
მოსკოვი.

## შემოდგომის სურათი

ხესთან ვდგავარ და ფოთლები ჩამოდიან
ტრიალით,
კარზე მოდგა შემოდგომა,
თუ სიკვდილი ტიალი?!

დაერია ხეებს ქარი უსულო და ავყია,
თოვს ფოთოლები ფერი მთვარის
და შუქს არხევს ნაღვლიანს!..

ყველაფერი ბრუნვას ჟამის, როგორ
ემორჩილება?
და სიცოცხლე ფრთებით შავით
სადღაც მიაქვს დინებას!..

21. 09. 97.
მოსკოვი.

* * *

დრო განშორებას შენთან მაყვედრის და მომეძალა
გულზე ნაღველი!..
ო, მე არ ვიცი, საით წახვედი,
ასე ლამაზი და საყვარელი?!

ცა შემოდგომის ცრემლით მასველებს, დე, დამასველოს,
არც მენაღვლება!
მე მგზნებარებით ისევ სავსე ვარ
და სულს მოუნდა კვლავ განახლება!..

25. 09. 97.
მოსკოვი.

## ყვავების ორკესტრი

დავდივარ მოსკოვის ქუჩებში, აქ ფოთოლცვენაა ხშირი,
დავდივარ მოსკოვის ქუჩებში,
მზე ღრუბლებს ეფარვის დილის!
დავდივარ მოსკოვის ქუჩებში, აქ გუშინ ვიღაცა მოკლეს!
დავდივარ მოსკოვის ქუჩებში
და ვისმენ ყვავების ორკესტრს!..

დავდივარ მოსკოვის ქუჩებში და მამულს ვიხსენებ ღელვით!..
დავდივარ მოსკოვის ქუჩებში
და გული მემსხვრევა დევნილს!..
დავდივარ მოსკოვის ქუჩებში, აქ შემოდგომაა მოკლედ!
დავდივარ მოსკოვის ქუჩებში
და ვისმენ ყვავების ორკესტრს!

26. 09. 97.
მოსკოვი.

## როგორ მომწყინდა?!

როგორ მომწყინდა ეს მარტოობა
და ქუჩა-ქუჩა დავეხეტები...
როგორ მომწყინდა ეს მარტოობა,
ნუთუ არ დგება ჟამი შეტევის?!
როგორ მომწყინდა ეს მარტოობა
და ცას გავცქერი ჩუმი ვედრებით...
როგორ მომწყინდა ეს მარტოობა
და ტკივილებით სივრცეს ვედები!..
როგორ მომწყინდა ეს მარტოობა
და მომრავლება ქვეყნად ცოდვების!..
როგორ მომწყინდა ეს მარტოობა
და ჟამი სავსე ყალბი ნოტებით!..
ჩემი ტკივილი ვერვის გავანდე,
არ ვიცი, ხვალე თუ რა მომელის!
ბევრჯერ მესროლეს ჭაბუკს ქამანდი
და მომკიოდა დრო ულმობელი!..
როგორ მომწყინდა ეს მარტოობა
და ავბედითი ჟამის ხლართები!..
როგორ მომწყინდა ეს მარტოობა,
რომ მადევს მხრებზე ლომის თათებით!..
როგორ მომწყინდა ეს მარტოობა,
და ქუჩა-ქუჩა დავეხეტები...
როგორ მომწყინდა ეს მარტოობა,
ნუთუ არ დგება ჟამი შეტევის?!

21. 10. 97.
მოსკოვი.

# მოსკოვში

აქ მოსკოვში ყოველ ხეზე თითო ყვავი
მაინც ზის,
ეს იანვრის დღეებია,
თუ დღეები მაისის!
და იკლებენ ცას და მიწას უსაშველო
ჩხავილით,
დაბოღმილნი შეგხედავენ,
როცა ახლოს ჩაივლი!
თოვს... და თოვლმა ყველაფერი ო, რა
თეთრად შეღება!..
და ყვავები არც კი გრძნობენ
ტანზე ფიფქთა შეხებას!
ოდნავ ფერიც არ უცვლიათ, ისე
შემოათენდათ,
ყვავი ყვავად დარჩა მაინც,
თუმც ქალაქი გათეთრდა!

22. 10. 97.
მოსკოვი

## ნუთუ?!

გნახე და გულზე დამეცა თითქოს
ათასი ლახვარი!
მზე გაზაფხულის გაგექცა
და გიტევს ჟამი მსახვრალი!..

სულს მიგლეჯს ღელვა რამხელა! გულს
ვერაფერი ახარებს!
ნუთუ შენც უნდა
დაგერქვას —
სახელად ნამოსახლარი?!

24. 10. 97.
ბანძა.

## ილოცე საქართველოზე!..

ვარდი გალობდეს მდელოზე და მზის იდგამდეს
გვირგვინს!..
ილოცე საქართველოზე, —
ყველგან — გარეთ თუ შიგნით!..

ქამმა დემონთან გაომა, ის იყო შენი მოცილე
და სულს გრიგალთან ნაომარს
მზე ისევ ააღორძინებს!..

27. 10. 97.
მოსკოვი.

## დამიბრუნეთ გაფრენილი წლები!

დამიბრუნეთ გაფრენილი წლები
და ის დილა, რომ
მოჰგავდა ციცარს!..
დამიბრუნეთ გაფრენილი წლები,
თორემ გული
ცრემლის ტბორად იქცა!..
დამიბრუნეთ გაფრენილი წლები
და თვალები
გაზაფხულის მწვანე!..
დამიბრუნეთ გაფრენილი წლები,
თორემ გული
ატირდება მწარედ!..
დამიბრუნეთ გაფრენილი წლები,
სურნელება ვარდების
და დაფნის!..
დამიბრუნეთ გაფრენილი წლები
და ის ბაგე სავსე
მუდამ თაფლით!..
დამიბრუნეთ გაფრენილი წლები,
დრო, შორეულ
ღრუბელივით თეთრი!..
დამიბრუნეთ გაფრენილი წლები,
დამიბრუნეთ ჩემი
თეთრი გედი!
დამიბრუნეთ გაფრენილი წლები
და ის გზები უსაზღვრო და ფართე,

დამიბრუნეთ გაფრენილი წლები,
რომ ბოლომდე
სიყვარულით დავთვრე!..
დამიბრუნეთ გაფრენილი წლები,
მომაშორეთ
სამოსელი ზამთრის!
დამიბრუნეთ გაფრენილი წლები,
თორემ გული
დამემსხვრევა დარდით!..

28. 10. 97.
ბანძა.

## პირველი თოვლი

შენ დგახარ ჟამით გულდაკოდილი და შელახული
ქარით, წვიმებით,
თუმც დაიღალე
უკვე ლოდინით,
არ დაგწყვეტია სულის სიმები!
თავი ვერავის ვერ შეაყვარე, დუღს შენში
გრძნობა გასაკვირველი!..
დაბერდი, მაგრამ
მაინც გახარებს,
როცა ჩამოდის თოვლი პირველი!..

04. 11. 97.
მოსკოვი.

* * *

ეს ჩემი ბაღი გამიძარცვეს ჟამის ქარებმა
და რა უეცრად გაუხუნდა
მთვარეს ემალი ?
დრო, სადღაც მიქრის, რა ჯიუტად მიექანება,
უმისამართოდ ვხეტიალობ
ღამის მთევარი !
ო, ისევ მიდის ეს მდინარე, ღელვით, განგაშით,
ვერც ეს ღრუბლები შევაჩერე
აქეთ დაძრული !
ჩემს ამოოხვრას, უკვე არვინ უწევს ანგარიშს
და იცრემლება ბაღი
ფოთლებშემოძარცული !...

* * *

სანაპიროს კვლავ აწყდება წყალი მლაშე,
ზღვის სივრცეში
შეტყორცნილი მოჩანს ხედი!
შემოდგომის ქარი ფოთლებს ათამაშებს,
ვცდილობ, მაგრამ
ტკივილს ვეღარ განვერიდე!..

სიშორეში წლებს გაფრენილს ვეფერები,
მეჩვენება რხევა
შენი დალალების!..
დავდივარ და გული დარდით მებერება
და დავცქერი
საფლავის ლოდს დანანებით!..

22. 11. 91.
სოხუმი.

* * *

ჩემს ბაღში ახლა მუხლებამდე ფოთლები ყრია...
გუშინ რა მშვიდად შრიალებდნენ
რტოებზე ხეთა!
ო, მათი კვნესა ბილიკებზე გადააქვს ნიავს
და მესმის ირგვლივ
მომაკვდავი ფოთლების ფეთქვა!
გაძარცულ ხეებს ნაიარევს უხვევს არავინ!
ვარიდებ მზერას ცრემლიანებს
და გული მტკივა!..
მედება ახლა მე ეს სევდა დაუფარავი
და ვუსმენ ჩიტებს
შემოდგომის ტოტიდან მწივანს!..

24. 11. 97.
ბანძა.

## ჩემო პლანეტავ!

რა ლამაზი ხარ, ჩემო პლანეტავ, შენი მთებით და
შენი მთიებით?
რა ლამაზი ხარ,
ჩემო პლანეტავ,
რომ არ გთელავდეს
გადამთიელი?!
ო, მაგ მშვენებას შეუდარებელს მეორედ
ვინღა გაიმეორებს?
რა ლამაზი ხარ,
ჩემო პლანეტავ,
რომ საჭე აღარ
ეპყრათ დემონებს?!
ისევ დაცურავ შენ მზის გარშემო და უთვალავი
ფერით ინთები!..
რა ლამაზი ხარ,
ჩემო პლანეტავ,
რომ არ ფეთქავდნენ
თერმობირთვები?!
რა ლამაზი ხარ, ჩემო პლანეტავ, და ვეძებ შენთვის
სიტყვებს საკადრისს!
რა ლამაზი ხარ,
ჩემო პლანეტავ,
რომ არ გსდიოდეს
სისხლის ნაკადი!..

26. 11. 97.
მოსკოვი.

* * *

ჩემი ბავშვობის ჩიტები გაფრინდნენ, მაგრამ საით?
დავდივარ ბაღში ნოემბრის,
ამაოდ ვუხმობ მაისს!
შეხედე, ერთი ფოთოლიც
აღარ შემორჩათ ტოტებს
და ჩემი ზეცის თავანზე
ღრუბლები მიაბოტებს...
ქარი ქრის!..
და მე ცრემლებით სავსე მაქვს თვალთა უპე,
დრომ სილაჟვარდე მიქცია
მკვდარი ფოთლების გუბედ!..

27. 11. 97.
ბანძა.

* * *

ხმა სიშორიდან ისევ მოდის ჩუმი ვედრების,
ჟამი კვლავ მინდვრებს
უმოწყალოდ აცლის სალებავს!..
საით გაფრინდნენ ჩემი ყრმობის თეთრი მტრედები,
შევდივარ ბაღში, თუმცა მიძძიმს
კარის გაღება.
ვერ უძლებს სული მოზღვავებულ ტკივილის დელგმას,
გავცქერ ხეივნებს უდაბურებს,
ყორნის ნაყეფარს!..
სადღაც მიქრიან ეს ღრუბლები ცივი და ლეგა,
და მიფარავენ ცას შერჩენილ
მთვარის ნახევარს.

29. 11. 97.
ბანძა.

# ისევ მოდის ზამთარი

ისევ მოდის ზამთარი, მზე შორდება მიდამოს,
ისევ მოდის ზამთარი,
რომ ქარებთან ვიდავო!..

ჩიტი მზის სხივს დაეძებს შეპყრობილი იჭვებით,
სად წავიდნენ ნეტავი,
ჩემი ყრმობის ბიჭები?!

ყრია სადღაც უმიზნოდ შურდული და ისარი,
ისევ მოდის ზამთარი,
მოდის დილა სისხამი!..

მშობლიური ჭალები კვლავ იცვლიან სამოსელს,
სივრცეს ისევ მოაწვა
ფანტელების ქაოსი!..

ისევ მოდის ზამთარი, მზე შორდება მიდამოს,
ისევ მოდის ზამთარი,
რომ ქარებთან ვიდავო!

30. 11. 97.
ბანძა.

## შეღამება

დალალებზე ტირიფის ფართფატებდა ჩიტი...
შუქი კრთოდა ირიბი,
ფერი ჰქონდა შინდის!..

ხიდზე ვიდექ, მდინარე ცის არხევდა სიმებს...
ირეკლავდა ჩინარი
ჩამავალ მზის სხივებს...

თვალით გავეთამაშე ჩქერებს მოკამკამეს.
ვერცხლისფერი მანდილით
მოდიოდა ღამე...

12. 12. 97.
მოსკოვი.

## თქვი!

მიაყურადე დროის ხმას და თქვი სათქმელი ბოლომდე!..
გულმა ტკივილი მოისხა? —
სული არ გააბოროტო!

ცის სიხასხასეს შეხედე, ღრუბლის მოიხსნა ფარაჯა,
სიცოცხლის სადარაჯოზე —
მზე გაზაფხულის მარად ჩანს!..

17. 12. 97.
მოსკოვი.

# მთვარე

ნეტავი საით იჩქარის, ან ღამეს ვისთან ათევდა?
ფრთებს შლის თოვლის ფერს ცისკარი
და მთვარეს შემოათენდა!
ტოტი ჩურჩულებს ნიავთან, მზემ სივრცე
შუქით დამეწყრა,
ოდნავ, რომ შეაგვიანდა,
სირცხვილით ლოყა აეწვა!..

მზეს თითქოს თვალებს არიდებს, შუქს ღვრის
ორთავე ძუძუდან!..
მთვარეს ჩასვლის წინ ტანიდან
პერანგიც ჩამოუცურდა...

21. 12. 97.
მოსკოვი. კისილიოვო.

## მეგობრებს

ღამე მოდის ახალი წლის, მაგრამ გულს
ვერ ახარებს!
სული უკვე ვეღარ იწვის
და დემონი ხარხარებს!..

მაინც უნდა მოვილხინო, სანამ ჟამი
დამლექავს!
აგერ დოქით მიდგას ღვინო
და თორმეტიც დარეკავს!..

წარსულს უხვად ტკივილს ვატან,
ღვინო სევდას გარეკავს,
თქვენთან ლხინი მომენატრა
და თორმეტმაც დარეკა!..

31. 12. 97.
მოსკოვი.

## რუსული ღამე

მდუმარეა ტყე-ველი, ქარის არ ჩანს შეტევა,
მთვარე ღამისმთეველი,
საით მიეხეტება?!
ჟამის მკაცრმა სიცივემ გულთან სევდა მირეკა,
მინდვრად თოვლი ციმციმებს
და ვარსკვლავებს ირეკლავს.
გავცქერ სივრცეს უდაბურს და ტყე თეთრად ბრჭყვიალებს,
მხოლოდ თოვლის უდაბნო,
მხოლოდ ყინვის ჭრიალი!..

04.01.98
მოსკოვი, კისელიოვო

## მე რა შემრჩა?!

დრო მჭრელია, როგორც დანა ალმასის!
                    გარეთ ისევ ქარია და თოში...
მე კი შენი ნაფეხური ლამაზი
დავდივარ და ვერ ვიპოვე თოვლში!..
გასულხარ და გაგიხურავს კარები,
                    გავცქერ მინდვრებს თეთრი სევდით მოფენილს,
მე რა შემრჩა? გული ნაიარევი
და ტკივილით სავსე წუთისოფელი!..

05.01.98
მოსკოვი. კისელიოვო

## რატომ შეჩერდა?!

ერთი ფანტელიც არ იკარგება, ისე
ჩამოდის თოვლი
და მაგონდება
დრო გარდასული,
როცა ბავშვური თრთოლვით, –
თოვლში დავრბოდით სვებედნიერნი, ჟამის ვერ
ვგრძნობდით დენას,
ის სიხარული
და აღტაცება,
როგორ გამოთქვას ენამ?
ისე ვგორავდით თოვლში ბავშვები, როგორც
კალთაში დედის,
დღეს მოგონებებს
ვეთამაშები,
ვით თოვლის ფიფქებს მტრედი!..
სად წარიტაცა ჟამმა ჭენებით, ო, იმ
დღეების წყება?
მესმის ჭიხვინი
ჯოხის ცხენების
მძიმედ გადაღლილს წლებით!..
ჩვენი ბავშვობა ფიფქივით თეთრი და
აღტაცებით სავსე,
ველარ გავიგე,
საით გაიქცა
ამ წუთისოფლის გზაზე?!
16.03.98. მოსკოვი

## თოვლის დედოფალი

ჩემს სარკმელთან ნაძვის ხე დგას — თეთრი დედოფალი!
უმკლავდება ყინვას მედგრად
და შეტევას ქარის!..
არყებს შორის ის დგას ცალად, ვარსკვლავების მძივით,
ვერ ერევა ქარის ძალა
და ვერც ღამე ცივი!..
მირხევს მძაფრად სულის სიმებს, მიდის ღამე მრკთალი,
ის დგას თოვლით შემოსილი
და ღიმილით მთვარის!..

02.02.98
მოსკოვი

## არ წამიშალოთ!

შორს გამიტაცეს ფიქრებმა, იმ დღეთა ხსოვნით ვინთები!
არ წამიშალოთ, ფიფქებო,
ნაფეხურები ჩიტების!
შევდივარ ბაღში უჩუმრად და ცვივა თოვლის ყვავილი,
მესმის ფიფქების ჩურჩული —
ზეციდან გამოგზავნილი!..

და ტკივილს გაუნელებელს ვეღარ ვიშორებ თავიდან!
ო, ის მხედარი ჭენებით,
ნეტავი, საით წავიდა ?
არ წამიშალოთ ულონო და ჟამთან შენაჭიდები,
ნაფეხურები ლამაზი
ჩემი პატარა ჩიტების!..

06.02.98
მოსკოვი

* * *

*ჩემს ძმას – გიორგი გაბუნიას*

ვსერავ ფიქრებით ზეცას ოცნების, ასე მოვდივარ
დასაბამიდან...
და მაინც ვრჩები განაოცები,
თუმცა ბავშვობა უკვე წავიდა!..
ჩვენ ორნი დავრჩით უკვე სამიდან და გულს ცრემლები
ჩამოსდის ღვარად!..
ო, ის დღეები უკვე წავიდა!
ო, ის დღეები თვალს მიეფარა!..

11.02.98
მოსკოვი

## დასასრული

აფეთქდება მზე ცაზე, თუ ბუნებამ ინება
და ქათქათა ზეწარზე
სული გაიყინება!..
სადღეგრძელოს ვერ დავლევთ, ისევ ფეხზე მდგომარე,
ვერ მოგვათოვს ზეციდან
შუქს უნაზესს მთოვარე!

და კვლავ ვეღარ შეარხევს ნარინჯისფერ ოლარებს,
სულო, კარგად მენახე,
ო, მაგ თვალთა ოვალით!..

14.02.98
მოსკოვი

## თეთრი ქარები

ვიაროთ, სანამ თბილია თოვლი! სანამ ყვავილი
ფიფქების ცვივა...
თორემ საწუთრო
ჩაივლის ქროლვით
და გულს ჩამორეცხს ცრემლების წვიმა!..
ვიაროთ, სანამ ოცნების დროა, გავეთამაშოთ
მინდორზე ნიავს...
თორემ სიცოცხლე
დაიწყებს კვდომას
და ყველაფერი იქნება გვიან!
გავყვეთ სიცილით ქათქათა ბილიკს, ვუცქიროთ
გრძნობით ფიფქების რიალს...
ვიაროთ სანამ,
თოვლია თბილი
და სანამ თეთრი ქარები ქრიან!

23.02.98
სოხუმი

# ორი ვარსკვლავი

*ორ დიდ მსახიობს —*
*ვ. ტიხონოვს, ო. მეღვინეთუხუცესს*

ხომალდი ისევ მიჰყვება ხომალდს
და ზღვაზე მძიმე იალქნებს გაშლის!..
თქვენს სიდიადეს არა აქვს ზომა
და სულთან სულის
იდუმალ კავშირს!..
გმირები ფილმის ბევრი მინახავს,
როგორც სცენის და ცხოვრების ხიდი!..
სულმა, მხოლოდ თქვენ შემოგინახათ,
ვით ორად ორი
ვარსკვლავი დიდი!..
თქვენ ჩვეულებრივ ნაპირებს გაცდით
და დაიპყარით სიმაღლე ყველა!..
სრულყოფილებით ფიქრის და განცდის,
მაყურებელი საოცრად ღელავს!..
ხომალდი ისევ მიჰყვება ხომალდს
და ზღვაზე მძიმე იალქნებს გაშლის!..
თქვენს სიდიადეს არა აქვს ზომა
და სულთან სულის
იდუმალ კავშირს!..

09.01.87
თბილისი

## ვარსკვლავებს

ღამის ცა თქვენით ელვარებს, შუქს ათოვთ მთებს და მინდვრებს,
ჩემი ოცნების მწვერვალი
თქვენით იშორებს ბინდებს...
ტკივილი აღარ მეშვება! დავხეტიალობ მარტო,
მხოლოდ თქვენ მენუგეშებით,
თქვენი ციმციმი მათრობს!..
ცრემლიან თვალებს გარიდებთ, უკვე ზამთარი მოდის,
თქვენი ღიმილით გამითბეთ
ჩემი საფლავის ლოდი!..

01.03.98
ბანძა

## თოვლის დედოფალი

ქარი რტოებს ისევ ათამაშებს, გაზაფხულმა
გაახილა თვალი!..
და მინდორზე ზამთრის თეთრი რაშით,
სადღაც მიჰქრის თოვლის დედოფალი!..
ცის თავანზე მზე ღიმილით მიიწევს, გაქრა, ო, ის
ნაფეხური მკრთალი,
ვერ იქნა და ვეღარ გადავივიწყე, —
ის თვალები
სიყვარულით მთვრალი!..
ჟამი ისევ ისარს მძიმეს მიმიზნებს
და ტკივილებს აღარ ვუმხელ არვის!
მივალ მარტო წუთისოფლის ბილიკზე
მოგონებით დატვირთული მგზავრი!..

07.03.98
მოსკოვი

## მარტი

ღამით თოვს და დღისით დნება, მზემ გაავლო
ოქროს ხნული...
ვგრნობ სიცოცხლის დაბადებას,
დგას ჩურჩული არნახული!..

სივრცე კვლავაც შუქით თვრება ზამთრის
სუსხით დაზაფრული!..
ღამით თოვს და
დღისით დნება, —
ისევ ფრთებს შლის გაზაფხული!..

10.03.98
თბილისი

## ყვავი

აქ თოვლის საბანს ქარი შლის და მზე
ამოდის ბღავილით,
ზის ყვავი თოვლის ბალიშზე
და იკლებს სივრცეს ჩხავილით!..

საგაზაფხულო რეკავს მზე და ცის
მოარღვევს ნაპირებს,
ეს ყვავი თოვლის ეკრანზე,
ნუთუ დარჩენას აპირებს?

12.03.98
მოსკოვი

## მზე თოვლში

აქ მზე თოვლში მუხლებამდე ჩადგა,
სული ყვირის, ვით ირემი ცალი!..
ქალაქს ტანზე თოვლი შემოადნა
და ქუჩებში ახმაურდა წყალი...
ღელვით მავსებს გაზაფხულის მოსვლა,
თუმც უზომო ტკივილებიც ახლავს!
ფრთები ლაღად გაუშლიათ ფრთოსნებს
და მათრთოლებს
გაზაფხულის მოსვლა!..

16.03.98
მოსკოვი

## რა არის ქვეყნად უცვლელი?

სიკვდილს დიდი აქვს მუცელი, მოდგება
უხმოდ კართან!
ვინ ტოვებს სოფელს უცრემლოდ,
მზე, რომ აიკეცს კალთას!
სიკვდილს დიდი აქვს მუცელი
და მგლის ძლიერი მადა!..
რა არის ქვეყნად უცვლელი, –
ფერიცვალების გარდა?!

20.03.98
მოსკოვი

## ბელურა

რად მოიწყინე ბელურავ, შენი ჟივჟივი მომინდა!
რად მოიწყინე, ბელურავ,
                    გაზაფხული ხომ მოვიდა?!
ქარი არ კივის აშარი, მინდორიც მწვანედ ბიბინებს,
სიომ ხავერდი გაშალა
და როგორც გინდა იფრინე...
შენ ბუჩქზე ზიხარ უჩუმრად და თვალებს რისთვის მარიდებ?
ნიავი მოდის ჩურჩულით,
                    ზამთარი უკვე წავიდა...
რად მოიწყინე, ბელურავ, შენი ჟივჟივი მომინდა!
რად მოიწყინე, ბელურავ,
გაზაფხული ხომ მოვიდა?!

01.04.98
მოსკოვი

* * *

ვინც ამაყვავა, მანვე დამშალა, წარმტაცა შენი
თეთრი ხატება!..
ჩემი ოცნების წყარო დამშრალა
და ვერ ვგრძნობ სივცრის შემონათებას!
აზრი არა აქვს გზებზე ხეტიალს, როცა ვერ უძლებ
ჟამის შეტევას!
გული ტკივილებს დაუსეტყვია
და განშორების ცეცხლი მედება!..
აჰა, ვშორდები ცისფერ სანახებს და სევდამ უკვე
თავი იჩინა!..
ცრემლით დავნამე მინდვრის ბალახი
და შხამით სავსე თასი მიჭირავს!..

07.04.98
მოსკოვი

## სოფელი

მივდივარ სოფლის შუკაზე, ემჩნევა სოფელს სიბერე!
თუმც ჭრიჭინას და სასაკის
გაბმულ ხმებს ისევ იფერებს!..
ძველს ჟამი ანგრევს ულმობლად და უკვე ახალს ასახლებს,
ისევ ამ ნამოსახლარზე
აღიმართება სასახლე!..

20.04.98
ბანძა

## აბაშა

მოჩანს ქალა აბაშის სამოსელით მდიდრულით,
მზის ფერების თამაშით,
მთვარით გადამშვილდული!

ლაჟვარდოვან დინებას ფიქრით ბევრჯერ გავენდე,
მიდის მიეფინება,
ტალღებს მიახავერდებს...

დრო კი იწოვს ყველაფერს, როგორც წყაროს — ქვიშანი,
ვეძებ, მაგრამ ვერ ვპოვე
ჩემი ყრმობის ნიშანი!

შენს ხატებას ველოდი ხშირად მე ამ კბოდესთან,
დრომ კი გამამელოტა
თმაქოჩორა ოდესღაც!

აქ დაცურდა ბავშვობის ნავი მტკიცედ შეკრული,
რომ გამოჩნდა შემდგომში
ნაპირებთან ენგურის!

ჟამი მიედინება და მე ტყვე ვარ ზმანების
და ხსოვნაში რეკავენ
ცისკრის თეთრი ზარები!..

20.05.98
ბანძა

## დროს რა ვუყო დარჩენილს?!

მოველოდი სხვა რამეს და სულ სხვა რამ მოვიდა!
კიდევ ერთი სამარე
მოახლოვდა შორიდან!
ღელვა ისევ მოვარდა! მიქრობს სულის ნათურებს
და თუ კიდევ მომრავლდა,
ვიცი, გამანადგურებს!
სევდა ველარ დავმალე, დროს რა ვუყო დარჩენილს?!
კიდევ ერთი სამარე, —
ჩემი სულის მტანჯველი!..

02.06.98
მოსკოვი

## ძაღლის ტირილი

დალაშქრა ცხრა მთა... ცხრა წყარო.. ბერდია
ერქვა სახელად,
ისე დაბერდა საწყალი
უჭირდა თვალის გახელაც!
ადრე ნადირის ნაკვალევს ეძებდა, ბედიც წყალობდა!
მუხლები ჰქონდა საქარე,
სულ ტყისკენ მიუხაროდა!..
ო, ის ზღაპარი დასრულდა! ძლივს ჩანდა
ჟამის ტილოდან!..
და უკვე მზეგადასული,
ვნახე, რომ ძაღლიც ტიროდა!..

05.09.98
მოსკოვი

## დემონი

ცხოვრებამ სად არ მატარა, მომარბენია სოფელი..
მეც მსდევდა ჩემი სატანა,
ვით ფაუსტს მეფისტოფელი!..
სულს მაინც რაღაც ახარებს,
მუდამ ზვირთებთან ნაომარს!..
დემონი ისევ ხარხარებს
და მახლის არარაობას!..

06.09.98
მოსკოვი

# მოვლენ ბიჭები

*ისევე დაიზრდებიან ალვეთს*
*ლეკვები მგლისანი!..*
*ხალხური*

ჩვენს ნაკვალევზე მოვლენ ბიჭები, სიცოცხლით ჩვენზე
უფრო მთვრალები!..
ჩვენს ნაკვალევზე მოვლენ ბიჭები
დამუხტულები მზით და ქარებით!..

ჩვენს ნაკვალევზე მოვლენ ბიჭები, რომ ამოაშრონ
სევდა მამულის,
ჩვენს ნაკვალევზე მოვლენ ბიჭები,
რომ ცა აანთონ ხმით საამურით!..

ჩვენს ნაკვალევზე მოვლენ ბიჭები სულ სხვა ეშხით და
სულ სხვა იერით!.
ჩვენს ნაკვალევზე მოვლენი ბიჭები,
იყოს ეს მოსვლა ფეხბედნიერი!..

17.09.98
მოსკოვი

## რა შერჩა?

გზებთან ჭიდილმა როგორ დაღალა, სულსაც შემორჩა
იჭვის ნასახი!
მაინც ეძახის იქით ჭაღარა,
მაინც იქითკენ უხმობს ასაკი!..
ცრემლი წამწამებს რად დაეკიდა?
რა შერჩა? – ხსოვნა მოსაფერები!
სულში ტკივილებს
გზადაგზა ზრდიდა შემოღამების
მკრთალი ფერები!..

14.11.98
მოსკოვი

## ქრის არქტიკის სუსხიანი ქარი...

ყინვამ მკლავი შემოსჭიდა ქალაქს და ცამ თეთრი
ჩამოუშვა რიდე...
ქრის არქტიკის სუსხიანი ქარი,
ტანზე ფრთები შეჰყინვიათ ჩიტებს!
მზე ჰგავს თითქოს ბავშვის ფერმკრთალ ნახატს,
გაქრა თოვლში ნაფეხური მთვარის...
ყვავმა ხიდან მჭახედ გადმომძახა...
ქრის არქტიკის
სუსხიანი ქარი!..

22.12.98
მოსკოვი

## შემოღამების შეირხა ფარდა

ო, იმ ბედინერ დღეების აფრებს ახლაც უცქერის
თვალები ნატვრით
და სულში ისეთ სინაზეს აფენს,
როგორც აპრილში რტოები ატმის!..
ო, იმ ლამაზი დღეების წყებას, ძვირფასო, სულ სხვა
სურნელი ასდის!..
შორს გამიტაცეს ფიქრებით წლებმა,
უშენოდ ყოფნამ დაჰკარგა აზრი!
შემოღამების შეირხა ფარდა და ახლა სულ სხვა
დინება მელის!.
ო, იმ უნაზესს ბაგეთა ბადაგს,
რა დამავიწყებს, ძვირფასო მერი!

01.03.99
მოსკოვი

## ვდგავარ სარკმელთან

ვდგავარ სარკმელთან და თოვლის ციმციმს
ბავშვურ თვალებით
გავცქერი ახლაც!..

თუმც მოგონება წარსულის მიმძიმს,
რომ სევდის აღარ
წამლეკოს ტალღამ!..

ვდგავარ სარკმელთან, რაფაზე ფანჯრის
ზის ორი მტრედი —
თეთრი და ლურჯი,

შორს დარჩა სადღაც ფერები მარჯნის
და ცა ნახატი
აპრილის ფუნჯით!..

ვდგავარ სარკმელთან, ფიფქები თრთოლვით
იღვრება, როგორც
ყვავილი ნუშის...

ჩამოდის თოვლი... ჩამოდის თოვლი
და ფარულ სევდას
მიტოვებს სულში!..

02.03.99
მოსკოვი

## წავიდნენ წლები ბედნიერების !..

ტკივილს ულმობელს ვეღარ ვეჩვევი, ამ სიშორეში
ეულად დავრჩი!
წავიდნენ წლები ბედნიერების
და ვგავარ ახლა
უმწეო აჩრდილს!
ვერ უძლებს სული დღეთა ჭკნებას, ისევ მოქრიან
ზვირთები შავი!..
ძვირფასო, მხოლოდ
შენ მეჩვენები
და მაწევს მხრებზე სიმძიმე ჟამის!..
აქედან ვხედავ ეზოს კუთხეში ჩემი ბავშვობის
ყვავის ალუჩა!..
მიქრიან დღენი
ორომტრიალით
და ჩემს წამებას ბოლო არ უჩანს!..

15.03.99
მოსკოვი

## ცა გაზაფხულის ტიროდა!..

ტკივილი გამიათკეცდა, გავცქერ მიდამოს ცარიელს!..
უკანასკნელი სიტყვა თქვი,
უკანასკნელად დალიე!
ცა გაზაფხულის ტიროდა ნაჩვევი მზეს და ფერებას
და გულზე გადამდიოდა
დარდის მდინარე ვეება!..
ქარი ვერხვებთან დაობდა მოსიყვარულე ნიავის,
სული ერთბაშად დაობლდა,
მნახველი ბევრი სიამის.
ტკივილი გამიათკეცდა და მივადექი ბარიერს!
ო, სულმა ფრთები დაკეცა
და გავცქერ ბილიკს ცარიელს!..

19.03.99
მოსკოვი

## ო, ღმერთმა ნუ ქნას!

ო, რა შემზარავ ტკივილებს იწვევს, როს ბოროტება
ფაფარს შლის ლომის!..
მე ვიცი, რატომ ცახცახებს სივრცე,
მე ვიცი, როგორ იწყება ომი!..

ისევ მოუნდათ ამ სისხლით ლოთებს, რომ დააჩოქონ
სული მედეგი!
ო, ღმერთმა ნუ ქნას, რომ განმეორდეს,
ის ჟამი ყველა თავის შედეგით!..

ო, ღმერთმა ნუ  ქნას გახუნდეს ფუნჯი, მშვიდობამ ფრთები
დაკეცოს უცებ!..
და ნანგრევებში ღრუბელი ურჩი,
რომ მიათრევდეს სისხლიან მუცელს!..

ო, ღმერთმა ნუ ქნას, ჩაქრეს სიმღერა, კვნესოდეს მიწა
სისხლდაწრეტილი!..
ო, ეს იქნება ტანჯვა იმხელა!
ო, ეს იქნება ბოლო წერტილი!.

ო, ღმერთმა ნუ ქნას, მიწაზე მხოლოდ ისმოდეს ხმები
ჭოტის, სასაკის
და შემზარავი კვლავ განმეორდეს
ის ხიროსიმა და ნაგასაკი!..

რომ სასაკლაოდ იქცეს პლანეტა, აორთქლდეს ერთობ
ზღვა და ხმელეთი!..
მიწას ეხუროს უზარმაზარი

თერმობირთვული შავი ბერეტი!..

ო, რა შემზარავ ტკვილებს იწვევს,
რომ ბოროტება ფაფარს შლის ლომის!..
მე ვიცი, რატომ ცახცახებს სივრცე,
მე ვიცი, როგორ
იწყება ომი!..

25.03.99
მოსკოვი

## რა იდუმალ კვნესის?!

რა შორს დარჩა ო, ის აღმაფრენა
და ჩემს რწმენას მორღვევია ლიბო!..
მდინარის პირს ვწევარ, როგორც ლიბო
და გავცქერი ცაზე
ღრუბლის დენას...
სულს ედება სევდა შემოდგომის
და ირგვლივ დგას ფოთოლცვენა ხშირი...
არხევს სივრცეს მოყვითალო ჩრდილი, —
მთა და ბარად
უცნაური კვდომის...
ეს ჩიტები ო, რა ზანტად ფრენენ,
არემარე რა იდუმალ კვნესის?!
ასეთია წუთისოფლის წესი,
ღებავს სივრცეს მოლაღურის ფერად!..
რა შორს დარჩა ო, ის აღმაფრენა
და ჩემ რწმენას მორღვევია ლიბო!..
მდინარის პირს ვწევარ, როგორც ლიბო
და გავცქერი ცაზე
ღრუბლის დენას...

27.03.99
მოსკოვი

## ვინ დამილეწა ჩემი კარავი?!

ო, როგორ გლოვობს ჩემი ქვეყანა
და სულში რისხვის ქარი ტრიალებს!..
ჩემი თბილისის და რუსთაველის, —
ნაცვლად არბატზე დავხეტიალობ!..
შიში არა მაქვს ახლა არავის და ჟამთან
მკაცრად ვმართავ დიალოგს,
ვინ დამილეწა ჩემი კარავი,
სად გპოვო აწი, სულის ზიარო?!
მიტევს ცხოვრება დაღლილს, დამაშვრალს
და ლექში ვაძლევ ტკივილს სადინარს...
წარსულის ლანდი გამეთამაშა
და რა უზომო ცრემლი მადინა!..
ო, როგორ გლოვობს ჩემი ქვეყანა
და სულში რისხვის ქარი ტრიალებს,
ჩემი თბილისის და რუსთაველის, —
ნაცვლად არბატზე დავხეტიალობ!..

03.04.99
მოსკოვი

## მე მენატრება ჩემი თბილისი

ბაღში აქა-იქ თოვლი დევს ისევ, და მზე მიიწევს
ცაზე აპრილის,
მე მენატრება ჩემი თბილისი,
მთაწმინდის მთვარე
და მტკვრის ნაპირი!..
ჩემში ტკივილის ქარი ტრიალებს და ცას ედება
კვამლი ყომრალი...
ბედის დემონი
მომსდევს ტიალი
და ყეფით იკლებს
სივრცეს ყორანი!..
დრო კი სამანებს მოარღვევს ქროლვით, რა შემრჩა? –
ცრემლით თვალები სველი!..
სად არის სითბო
პირველი თოვლის,
სად არის შენი
ღიმილი, მერი?!
ბაღში აქა-იქ თოვლი დევს ისევ და მზე მიიწევს
ცაზე აპრილის...
მე მენატრება
ჩემი თბილისი,
მთაწმინდის მთვარე
და მტკვრის ნაპირი!..

13.04.99.
მოსკოვი

## ზღვა იყო ჩემი სტიქია

სული ტკივილით გაფითრდა, თუმც დრომ ვერ დამანაწევრა,
წლები შეტევის გაფრინდა
და ფრთების მიჯირს აწევა!
დღეები ისევ მიქრიან... ცხოვრებას ბევრი ვედავე,
ზღვა იყო ჩემი სტიქია
და ჩემი სულის დედანი!..

21.04.99
მოსკოვი

* * *

დღეს კანტიკუნტად ჩამოდის თოვლი,
ნისლებში ცურავს
ქალაქის ხედი...
დღეს კანტიკუნტად ჩამოდის თოვლი,
ზამთარი უკვე
ფორმაში შედის!..

დღეს კანტიკუნტად ჩამოდის თოვლი,
კვლავ ზამთრის თეთრი
ხომალდი მოდის!..
დღეს კანტიკუნტად ჩამოდის თოვლი,
ვინ იცის, მერე
დამტოვებს როდის?!

დღეს კანტიკუნტად ჩამოდის თოვლი,
ხსოვნა იმ დღეთა
ვერ მოვიცილე!
დღეს კანტიკუნტად ჩამოდის თოვლი
და მე მთავაზობს
სიხარულს მცირეს!..

12.01.92
სოხუმი

## სკვინჩა

თვალთ ცრემლები მიჩანს, მოდის სულ სხვა ხანა,
ჩემი ეზოს სკვინჩავ,
აქ რამ მოგიყვანა?
გულზე დარდა მაწევს, შემცნო შენი კვნესა!
ჟამი მიბარბაცებს
დემონივით ქლესა!..

ვზივარ ბაღში მარტო, რად ღონდები, გულო?
მხოლოდ ნაძვებს ვანდობ
ჩემს დიდ საიდუმლოს!..
აგერ შავი ლანდი ცეკვავს, როგორც კინტო,
შენც ჩემსავით ნაღდად
დევნილი ხარ, ჩიტო!
გადმოლახე ცხრა მთა და მდინარე ბევრი,
იქნებ მოგენატრე
და მეძებდი დევნილს?
თვალთ ცრემლები მიჩანს, მოდის სულ სხვა ხანა,
ჩემი ეზოს სკვინჩავ,
აქ რამ მოგიყვანა?!

02.06.99
მოსკოვი სანატორიუმი „სოსნები“

## პუშკინს

*Я памятник себе воздвиг*
*не рукотворный...*
*А. Пушкин*

ორასი წელი შენს გენიას ვერაფერს აკლებს,
ორასი წელი კვლავ მიიწევ
უსაზღვროდ მაღლა!..

რუსული სულის ჭეშმარიტი შენა ხარ სარკე
და თაობების შენს ბილიკზე
ტალღა ცვლის ტალღას!..

ორასი წელი კვლავ მიარღვევ ბობოქარ სივრცეს,
ორასი წელი მუხლებს იყრის
შენს მაღალ ძეგლთან!

რუსულ მიწაზე, ვით ტიტანი, შენ დგახარ მტკიცედ
და ჟამი ურჩი ვერ გილეწავს
ფოლადის ბეგთარს!

ორასი წელი ზვირთებს ისვრის საშინლად მღვრიეს,
ორასი წელი შენს სტრიქონებს
ოდნავ ვერ კაწრავს!

ორასი წელი შენ ხომ ყველა სიმაღლე სძლიე
და ხალხთა სულში
ჭეშმარიტი ჩაღვარე განცდა!..

დანტესის ტყვიამ რა დაგაკლო ღირსებას მუზის?

სული ვერ მოკლა,
მან ხომ სისხლი
დაღვარა მხოლოდ!

შენმა ხომალდმა ვეებერთელა ჩაუშვა ღუზა
და უკვდავებას ანგელოსთა
გიმღერის ქორო!..

ორასი წელი შენს გენიას ვერაფერს აკლებს,
ორასი წელი კვლავ მიიწევ
უსაზღვროდ მაღლა!

რუსული სულის ჭეშმარიტი შენა ხარ სარკე
და თაობების შენს ბილიკზე
ტალღა ცვლის ტალღას!..

05.06.99
მოსკოვი სანატორიუმი„სოსნები“

## დრო მიდის მრისხანე ნაბიჯით

აღადგენთ ქალაქებს დანგრეულს,
ცხოვრებაც აღდგება როგორმე!..
რა ვუყოთ დაღუპულ პატარებს,
დახოცილ ბიჭებს და გოგონებს?!
დრო მიდის მრისხანე ნაბიჯით
და სივრცეს ხმაური მიარღვევს!..
რა ვუყოთ სიცოცხლის სატკივარს
და ჟამის სისხლიან იალქნებს?!

09.06.99
მოსკოვი

* * *

გავედი მოდიდან არ ვიცი როდიდან?!
ტკივილი მოდიდდა!..
ჩიტი სტვენს ტოტიდან!..

15.06.99
მოსკოვი სანატორიუმი „სოსნები“

## მე თხუთმეტი წლის ვიყავი მაშინ!

მე თხუთმეტი წლის ვიყავი მაშინ,
როცა მეცვალა გზები ცხოვრების!..
როცა სიკვდილი მოგვადგა მარშით,
სიკვდილი მარად
დაუცხრომელი!..
მე თხუთმეტი წლის ვიყავი მაშინ,
შემომიტია ცხოვრებამ მედგრად!..
როცა დემონი ჩამიდგა კვალში,
როცა სიკვდილმა
წამართვა დედა!
მე თხუთმეტი წლის ვიყავი მაშინ,
ჟამს ჩემზე გული ექცა აბედად!
მე თხუთმეტი წლის ვიყავი ბავშვი,
რომ გაზაფხული
შემომაბერდა!..

17.06.79
ბანძა

## მოსკოვი. 1910!!!

ქალაქი კვამლში იხრჩობა, ცა არსად მოჩანს სუფთა!
ქალაქი კვამლში იხრჩობა
და როგორ უჭირს სუნთქვა!
ქალაქი კვამლში იხრჩობა, ისმის კივილი კვნესა,
ქალაქი კვამლში იხრჩობა,
მალე მოგუდავს კრემლსაც!
ქალაქი კვამლში იხრჩობა და მზე უკვალოდ ქრება,
ქალაქი კვამლში იხრჩობა,
ქალაქი უკვე კვდება!..

22.06.99
მოსკოვი

## შემსხვრევა ოცნების კოშკი!

ის წლები გაფრინდა ზღაპრული თოვლივით სუფთა და თეთრი,
ის წლები გაფრინდა, რომ ნიავს
ვარდები მოჰქონდა ჩვენთვის!..
ის წლები გაფრინდა! – ნატერფალს ქარი და წვიმები მოშლის,
დავეძებ შენს ლამაზ ხატებას,
ოცნების შემსხვრევა კოშკი!..
გეძახი, კვლავ  აღარ მოდიხარ და გული რა მძაფრად მიცემს?!
ო, ჟამმა დამღალა ლოდინით
და გავცქერ სევდიან სივრცეს!..

08.07.99
თბილისი

## ფერიცვალების სევდა

მზე ზენიტზე ავიდა და ძირს იწყებს დაშვებას,
ღრუბლებს ზანტად მიმავალთ
ქარი ეთამაშება...
ყვავილები მინდორზე, ნეტავ, რატომ კრთებიან?
სულს კი ფერიცვალების
სევდა დაუფლებია!..
ქრიამული ჩიტების, ხედავ, როგორ ნელდება!
და თვალები ცისფერი,
ისევ ცრემლით სველდება!..
მზით მოთენთილ მდინარეს ტანის უჭირს ტარება!
მიდის და თან იხსენებს
იმ ჟამს, იმ ნეტარებას!..

22.07.99
ბანძა

## არ შეჩერდე!

ჟამმა დღემდე ბევრჯერ გითხრა ქიში,
შენ გულისთქმა მხოლოდ ლექსებს ანდე!..
აღარ შედრკე, გულო, ზამთრის შიშით,
არ შეჩერდე
შემოდგომის დამდეგს!
შენ ძვირფასო, ფიცხიც ხარ და მარდიც,
ეზიდები ტკივილსა და დარდებს!..
მზე და მთავრე სანამ სივრცეს ბარდნის,
ზამთრის აღარ
შეუშინდე ლანდებს!
კვლავ მოზიდე შენ სიმები ქნარის
და ხეივნებს აედევნე თრთოლვით!..
მალე ზამთრის დაუბერავს ქარი
და ფანტელებს
ეთამაშე თოვლის!..
ჟამმა დღემდე ბევრჯერ გითხრა ქიში,
შენ გულისთქმა მხოლოდ ლექსებს ანდე!..
აღარ შედრკე, გულო, ზამთრის შიშით,
არ შეჩერდე
შემოდგომის დამდეგს!..

12.10.81
სოხუმი

## მე შენი სულის ღელვა ვიწამე

მე შენი სულის ღელვა ვიწამე და სურნელება თმების,
შენ ერთადერთი იყავ იმედი
და ბოლო გაშლა ფრთების!..
მაგ თვალებიდან შუქმა იწვიმა, მკერდზე მომეკარ ირთოლვით
და ჩემს მკლავებზე გადავიწვინე
შენი სხეულის თოვლი!..
მე შენი სულის ღელვა ვიწამე და ის თვალები შავი,
შენი ჩრუჩული დაუვიწყარი
და ის შრიალი ღამის!..

05.09.99
მოსკოვი

# რა უფერულად რბიან დღები?!

*მაისის დამდეგს – მშვიდობით ღვინოვ!*
*და ოქტომბერში კი – სიყვარულო!..*
*ბერანჟე*

ერთი ვარსკვლავი მიცქერს ფარულად,.
ცრემლი მისველებს წამწამს!..
დამთავრდა ღვინოც და სიყვარულიც
და სულში
სევდა გაწვა!..
დავეხეტები გზებზე ეულად,
რაშს ვერ ამოვდებ ლაგამს!
რბიან დღეები რა უფერულად
და მე სიმშვიდეს
ვკარგავ!
სუფრა არსად ჩანს და არც თამადა,
ის დრო წავიდა, მორჩა!..
უსიყვარულოდ უკვე ავად ვარ,
ჯვარი საფლავის მოჩანს!..

06.09.99
მოსკოვი

* * *

მე ისევ მღვრიე ცა მახურავს, გზამ ნისლი კვლავ შემოიხვია
და ხშირად სიზმრებსაც ვნახულობ,
სად ჩემი თეთრონი ჭიხვინებს!..
რას უცდი, მოზღვავდი ტკივილო, არა ვარ ვედრებას ნაჩვევი,
გრიგალმა ცა გადიკივილოს,
რადგანაც მიმეტებს გამჩენი!
ცხოვრების ყველა გზა გავლიე, სიმღერით, ბრძოლით და შეტევით
და შევრჩი ბილიკებს ცარიელს,
სხვა ღელვით, სხვა სულისკვეთებით!..

09.09.99
მოსკოვი

## რა იყო დუელის მოტივი?

გავარდა დამბაჩა და თოვლის ზეწარზე
გადაწვა პოეტი ტოტივით!..
ო, სისხლი რუსული
გენიის დაიქცა.
რა იყო დუელის მოტივი?!
პოეტის დაღუპვამ რუსეთი გაღუნა,
გულს ლავა
მოაწვა ცხელი!..
დანტესი ვინ იყო? – ო, მეფის ლაქია,
დანტესი – უბრალოდ მკვლელი!..

14.09.99
მოსკოვი

## გაფრენილო დღეებო!

ის დღეები ლამაზი რა უეცრად გაფრინდა
და ჩხავილით ყორნებმა
ჩემი გული დაფლითა!..
ის დღეები სადღაც შორს, ფრთებს სივრცეში მიარხევს...
მე კი შენი ღიმილის
ხსოვნა გადავინახე!..
ისევ მიექანება აფრა უიმედობის,
გაფრენილო დღებო!
მხოლოდ თქვენ ერთს გენდობით!
სადღაც ნისლი ირხევა, სადღაც ქარი თარეშობს
და ცა გადაიხევა
საოცნებო მხარეში!..
ის დღეები ლამაზი რა უეცრად გაფრინდა
და ჩხავილით ყორნებმა
ჩემი გული დაფლითა!..

09.10.99
მოსკოვი

## ხეივანში შენი ლანდი მიდის

ის დღეები მესიზმრება ისევ,
ზღვაზე თეთრი
იალქნების წყება!..

მე ახლაც იმ ნაფეხურებს მივსდევ,
თუმცა უკვე
შეღამება წვება!

ხეივანში შენი ლანდი მიდის,
ჟამი ველარ
აფერმკრთალებს სურათს!

გაიარა მოგონების ხიდი
და გედივით
სივრცე გადაცურა!..

27.11.99
მოსკოვი

## მზის ჩასვლა ზღვაზე

შორს, სივრცეში კრთის ნისლები ბაცი... სიო ტალღებს
ეფერება თრთოლვით...
მზე ჩადის და ზღვას
ფერები აწვიმს
და ღრუბლების იზმორება თოვლი...

შეღამება მაფენს ჩრდილთა კორომს და თან მძაფრი
ტკივილებით მავსებს!..
სადღაც გალობს ანგელოზთა ქორო
და მზის გვირგვინს
ზღვა იხურავს თავზე...

მოდის ღამე და დღე კეცავს აფრებს, ზღვა ჰგავს ბინდში
ამღერებულ ჯეჯილს...
ნიავს დააქვს
ზღვის სურნელი მძაფრი
და მკვლავებში შეღამებას შევრჩი!..

სიზმარივით მიირწევა ჟამი... უკან რჩება
ნაფეხური ჩუმი...
მესმის ახლა მელოდია ღამის
და მინდორზე
სიო მიჩურჩულებს...

ვდგავარ კლდეზე და მზის ჩასვლას გავცქერ...
დგას ტალღების
იისფერი ჩქამი...

დღე დაღლილი სადღაც მიბარბაცებს, ყველაფერი
სადღაც მიიჩქარის!..
და ეს სული რა საოცრად ფრთონავს,
თუმცა ირგვლივ კვლავ სიჩუმე სუფევს...
თოლიების გუნდმა ჩაიქროლა
და წიაქით ზღვას
აუვსო უბე...

და შორს, იქით ნისლების წევს ხიდი... ვდგავარ ჩუმად
ზღვა სილურჯეს მაღვრის...
სივრცეს უხმოდ ეფინება ბინდი
და ვარსკვლავებს
ელოდება ბაღი!..

მიდის ჟამი და თან ჭიმავას ზონარს, დღე სამოსელს
მთის კალთებზე ჰკიდებს...
ამ ჩემს ღელვას
აღარა აქვს ზომა
და ჩემს სწრაფვას აღარა აქვს კიდე!

შორს, სივრცეში კრთის ნისლები ბაცი... სიო ტალღებს
ეფერება თრთოლვით...
მზე ჩადის და
ზღვას ფერები აწვიმს
და ღრუბლების იზმორება თოვლი...

28.11.99.
ბათუმი

## სააკაძის ხმა სამარიდან

*ვერ მოაწონებთ კარგ ყრმასა,*
*რაც არ უჯდება ჭკვაშია!*
*ვაჟა-ფშაველა*

არ მივყვებოდი დროის ქარავანს, ზოგ-ზოგებს ჩემი
მიტომ არ ესმით!..
და თუ დიდების ღირსი არა ვარ,
მაშინ ამ რაშზე როსტომი შესვით!..
ტანზე მოარგეთ ჩემი ბექთარი, ხმალ-მუზარადიც
შემიწირია!..
მაგრამ ამ ბიჭის მხრები ვიწროა
და თავი კიდევ ძალზე წვრილია!

29.11.99
მოსკოვი

* * *

რა ღრანტეებით მატარა ჟამმა,
იმ დღეთა გამო ო, დღესაც ვნანობ!..
იდგა ჩხავილი ყორნების შავი
და მხოლოდ შენ ერთს,
გეტრფოდი, მანონ!...
შენ იყავ ჩემი იმედი დიდი,
ვიხსენებ წარსულს და გული მეწვის!..
იმ დროს ულმობელს ვერ განვერიდე,
რამდენი ხიდი
დავსძლიე ბეწვის!..
მივდივარ გზაზე ჭაღარა კაცი
და აჰა, გავცდი კიდევაც სამოცს!..
გადმოვცემ უკვე ნანახს და განცდილს
და მიქსოვს ღამე
მთვარისფერ სამოსს!..

14.10.91
სოხუმი

* * *

ჩვენ ვერხვის ძირას ვიდექით, ფოთლებს არხევდა ქარი,
გვეხვია ღამის ბინდები,
ამოდიოდა მთვარე...
ჩვენ ვერხვის ძირას ვიდექით, მიირხეოდა წყარო
და ორი გული ღელავდა
ტრფიალით დაუმცხრალი!..
ჩვენ ვერხვის ძირას ვიდექით და სიყვარულით მთვრალებს,
ფერებს გვათოვდა შრიალით
შორი ცის სიანკარე...

10.08.2000
მოსკოვი

## პატარა უფლისწული

მეც ვცხოვრობდი ზღაპრებით და მითით,
ბევრჯერ რწმენას
გულუბრყვილოდ ვენდე!..

დღეს ცხოვრების მიმაქანებს ზვირთი
და ვიცი, რომ
სადმე მიმახეთქებს!..

მეც პატარა უფლისწული გახლდით
და მივქროდი
დარახტული რაშით!..

თუმც ოცნების დამიმსხვრიეს ტახტი
და ოქროს თმაც
დამეწეწა ქარში!..

24.08.2000
მოსკოვი

## რა მრჩება ახლა ნუგეშად?

გახუნდა მინდვრად ბალახი, გაჭაღარავდა ტყე.
ჟამი ვერ გადამილახავს
და ვარ ტკივილის ტყვე!..
ცა ქარმა გამიუხეშა, ნისლი ედება გზებს,
რა მრჩება ახლა ნუგეშად,
როცა ხუნდება მზეც?!

სივრცე კვლავ უდაბურდება.. გავცქერ მდუმარე მთებს,
ზამთარი ისევ ბრუნდება
და შლის საომრად ფრთებს!..

12.12.2000
ბანძა

* * *

ცა მახვევს ხავერდს მთვარის, გამანახევრეს წლებმა!
და შემოდგომის ქარი
არხევს ალვების წყებას!..
ისმის მდინარის ჩქამი, გზებზე საღამო წვება,
ვიხსენებ დღეებს ჩავლილს
და სევდა მეუფლება!..

14.09.2000
ბანძა

## სიზმარი

წუხელ სიზმარში წიგნებით კარს მივადექი სკოლის,
ეზოში სიო დაქროდა
და ბიბინებდა მოლი!..
ენთო მინდორზე დილის მზე და პირს იბანდა იგი,
ღელესთან იდგა შრიალა
თეთრი ალვების რიგი...

შორს თრთოდა ვერხვი ბებერი, ვუცქერდი
ქარით ნარხევს,
ვერც ჩემი მასწავლებელი,
ვერც ჩემი კლასი ვნახე!..

19.09.2000
მოსკოვი

* * *

განშორების ჟამი რეკავს და გულს სევდა ახრჩობს!
ტყე ირხევა შემოდგომის,
ცვივა მიწის სარჩო...
მზე შორდება მთებს და ველებს, სული კივის მედგრად!..
თვალები აქვს ცრემლით სველი,
ბრძოლით დაღლილ მხედარს!

ის ფერები გაგიხუნდა, რომ ეტფრთოდი მარად!
ყვავ-ყორნები ყეფენ გუნდად
და გულს მწარედ ბზარავს!..

20.09.2000
ბანძა

* * *

*ეჰ, ცხოვრებავ, რა შიგან ხარ,*
*რას გვაბრუნებ, რა ზნე გჭირსა?!*
*შოთა რუსთაველი*

ბევრი მაცინა ტიალმა, ხან კიდევ მწარედ მატირა!
ჩემი ცხოვრების ტრიალი, –
დრამაც არის და სატირაც!
ვწევარ და არ მეძინება! სულს ისევ სევდა მოედო!
ჩემს თავზე მეც მეღიმება, –
შენსავით, ბრძენო პოეტო!

22.09.2000
მოსკოვი

## შეიბრალეთ მგლოვიარე დედა!

წვიმს და გარეთ კვლავ ხმაურობს ქარი,
მწუხარებას უნაპიროს ვხედავ!..
შეიბრალეთ, ძაძიანი ქალი,
შეიცოდეთ მგლოვიარე დედა!
კივის სული მარად დაუმცხრალი,
სისხლის ზღვა დგას
სითაც გაიხედავ!..
შეიბრალეთ ძაძიანი ქალი,
შეიცოდეთ მგლოივიარე დედა!
ხოცვა-ჟლეტას აღარა აქვს ზღვარი,
ვინ აკივლებს მწარედ
დროის მხედარს?!
შეიბრალეთ ძაძიანი ქალი,
შეიცოდეთ, მგლოვიარე დედა!
შორს ხომალდი ანძებს მიაქანებს,
დაბოღმილი არწივები სხედან!..
შეიბრალეთ, ძაძიანი ქალი,
შეიცოდეთ, მგლოვიარე დედა!
ქარიშხალში დაბარბაცებს გარეთ,
და ის შვილის ისევ ეძებს ცხედარს!..
შეიბრალეთ, ძაძიანი ქალი,
შეიცოდეთ, მგლოვიარე დედა!
სული ოხვრით როგორ მოიღალა!
სისხლის ზღვა დგას
სითაც გაიხედავ!..
შეიბრალეთ, ძაძიანი ქალი,
შეიცოდეთ მგლოვიარე დედა!

* * *

მე უკანასკნელ დღეებს ვითვლი აქ შენთან ყოფნის,
იმსხვრევა ტანი, მაგრამ
სული აღარ ბერდება!..
მე რაც გადამხდა, სატანჯველად ალბათ ეს მყოფნის,
ამ ჩემს გულისთქმას
ვანდობ მხოლოდ შემოქმედებას!..
ცხოვრების გზაზე მოვიტოვე რამდენი ხიდი,
მიიგრაგნება ეს მდინარე
მღვრიე ზვირთებად!..
რა სევდიანად გალობს ხიდან პატარა ჩიტი
და გული დარდებს
წუთისოფლის მიეზიდება!..

21.04.11
თბილისი

## მინებდი სიკვდილს!

შენ დაიღალე სიცოცხლით, დაო!.
        ამდენი ღელვით, ფიქრით და განცდით!..
შენ დაიღალე სიცოცხლით, დაო!
და წუთისოფლის ბილიკებს გასცდი!..
უახლოვდები ხავსსა და ჭაობს
        და ღამე ო, რა სისინით მოდის!..
შენ დაიღალე სიცოხცლით, დაო!
და ხეს ცხოვრების
ჩამოტყდი ტოტი!..
შენ დაიღალე სიცოცხლით, დაო!
        გიცქერ მდუმარეს, უკვე ფერმიხდილს!..
შენ დაიღალე სიცოცხლით დაო!
და უშფოთველად
მინებდი სიკვდილს!..

15.10.85
სოხუმი

## ქარი ქრის განახელები

ღრუბელი გადაეფოფრა მინდორს, ჭალას და ხეობას
და ყვავ-ყორნები მეფობენ,
                                        დგას ყველგან მათი ღრეობა!..
ქარი ქრის განახელები, სული ვერ უძლებს ტყვეობას!
მძაფრი კივილი ხეების
მოედო მთებს და ხეობებს!...
ცა ტირის ობლად შთენილი, რომ იგრძნო ღრუბლის მოდება
და სივრცის გადათელილის
ისმის კვნესა და გოდება!..

11.10.2000
თბილისი

* * *

ქართან შეხლილი ტოტი ვარ, ფიქრით
შორს გავიჭრები,
ბავშვობის ბაღში მოვდივარ და
მერე დიდხანს ვრჩები...
აქ ჩემს ბილიკებს დავეძებ, ცვივა ფოთოლი
ჭადრის...
ლანდი ბავშვობის გამექცა,
მზე შემოდგომის ჩადის!...
რატომ დასჩემდა ნეტავი, სულს მწუხარებით
თრობა?!
იმ დღეზე ვფიქრობ, როდესაც
ბაღი დარჩება ობლად!..

12.10.2000
ბანძა

## სად გაქრა შენი ხატება?

ხეებს ფოთლები გასცვივდა, ქარმა
დაჰქროლა ავბედად…
სივრცე შეკრთა და გაცივდა,
ეს ტყეც ერთბაშად დაბერდა!
მზემ რად შესწყვიტა ნათება? ცამ რად
დაჰკარგა სიალე?
სად გაქრა შენი ხატება
და დალალების შრიალი?!

13.10.2000
მოსკოვი

* * *

აქ არის ჩემი მამული სულს რომ
ტკივილით წეწავს!
აქ არის ჩემი მამული,
რომელიც ნავტრად მექცა!..
აქ არის ჩემი მამული, რომ მირხევს
ნისლის მანდილს!..
აქ არის ჩემი მამული,
ცით გადმოსული მადლი!..
და მიდის დრო მოქამული!.. გავცქერ
სევდიან წიწვნარს...
აქ არის ჩემი მამული,
ჩემი ოცნების მიწა!

14.10.2000
თბილისი

## ყვავილების მოზაიკა ჩემს ოთახში

თქვენი ხასხასი ოთახს მივსებს თრთოლვით, ხალისით,
ხან ცისკრის ფერებს ათამაშებთ,
ხანაც დაისის!..
ღამეში კედლებს მთვარის ჩრდილით მომიხავერდებთ,
მე თქვენი ტრფობით
ლექსის წერად ბევრჯერ ავენთე!..
ო, ეს ტკივილი უთქვენობით ვერ გადავლახე,
მივსებთ სინაზით საოცარით
სულის სანახებს!..
მიღიმით, როცა მოვდივარ და კარებს შევაღებ!..
თქვენს ხეივანში ვხეტიალობ,
როგორც მებაღე...
მე ხშირად მესმის თქვენი ჩუმი ხმა იდუმალი!..
მიგაყურადებთ... სიყვარულით
გისმენთ მდუმარი!..
მძაფრი ტკივილით ჩემი სული, როცა ივსება,
თქვენთან მოვდივარ,
თქვენი ნახვა მემაისება!..
თუ ჩემმა გულმა ვერ გაუძლო ჟამის ქარ-წვიმებს,
სათაყვანებო, განშორების
ცრემლი მაწვიმეთ!..
თქვენი ხასხასი ოთახს მივსებს თრთოლვით, ხალისით,
ხან ცისკრის ფერებს ათამაშებთ,
ხანაც დაისის!..

18.10.2000 მოსკოვი

## ორი ალვის ხე

ჩემს სარკმელთან ალვის ხე დგას ორი
და მამღვრევენ
მოგონებით შორით!..

ვერ იხვევენ შუქთა დიადემებს,
ვერც ბავშვობის
აცილებენ გემებს!

წყარო ისევ მოწყენილი მიდის
და სულს მირხევს
ტკივილებით დიდით!..

აქ ხეებზე ყვავ-ყორნები სხედან,
და ჟამი ღვრის
გაზაფხულის სევდას...

ახვევია ნისლის მკრთალი ბადე
და არხევენ
მოყვითალო ლანდებს!..

ჩემს სარკმელთან ალვის ხე დგას ორი
და მამღვრევენ
მოგონებით შორით!..

19.10.2000
ბანძა

## კოსმოსი

რა ძალა განაგებს შენს იდუმალებას?
რიალებ სინათლის
უსაზღვრო შრიალით...

რამდენჯერ დარეკეს საწუთროს ზარებმა,
მაგრამ არ გაშფოთებს
ეგ ორომტრიალი!..

რა ძალა განაგებს მაგ უნაპირობას?
ო, შენსკენ მოქრიან
ფიქრები ხმაურით!..

შენს დუმილს უცნაურს რა უდევს პირობად,
რომ სულაც არ გაკრთობს
ეს აურზაური?!

ფიქრებმა რამდენჯერ წარმტაცეს აღვირი,
მზე ჩადის და დგანან
ღრუბლები ზვინებად...

ირხევა ფერდობზე ნისლები დაღვრილი
და სულის მდინარე
შორს მიედინება!..

20.10.2000
მოსკოვი

* * *

ვერვინ ამოდო დღემდე აღვირი
და შუქზე მზის და მთვარის,
ბარათაშვილის ფიქრით დაღლილი
მიექანება მტკვარი...
მიაგელვებენ ღრუბლებს ქარები,
ბევრჯერ ეცვალათ მხარი !..
და საუკუნე მიექანება,
ო, ხოცვა-ჟლეტით მთვრალი !..
კლდეებს ღმუილი მგლების ასკდება,
სივრცე სავსეა შმორით...
და არის დავა უკანასკნელი
სიკვდილ-სიცოცხლეს შორის!..

17.01.11
თბილისი

## გემშვიდობები მეოცევ!..

გემშვიდობები მეოცევ, – ფიქრით, გრძნობებით ცინცხალით,
გემშვიდობები მეოცევ,
მარადის დაუვიწყარო!..
გემშვიდობები მეოცევ, – ღელვით, წვითა და ოცნებით,
ათასი ღია ჭრილობით, –
არცერთით შენახორცებით!..
გემშვიდობები მეოცევ და სათქმელს ვეღარ გიმალავ,
გემშვიდობები უბრალოდ,
შორეულ გზაზე მიმავალს!..
გემშვიდობები მეოცევ, ბავშვობის წლების ზღაპრით!..
მძაფრი ტკივილით, წამებით
და სულით მიუსაფარი!..
გემშვიდობები მეოცევ, ო, გზებით სისხლით ნაპოხით!..
და ჩემი ქვეყნის სატკივრით
ნუღარ დამძრახავ დაბოღმილს!..
გემშვიდობები მეოცევ, იქნებ ვერ ვამბობ საკადრის,
შენ მამათავარს ომების,
ნგრევის და სისხლის ნაკადის!..
გემშვიდობები მეოცევ, კივილით სივრცეს ვედები!..
ბუხენვალდის და დახაუს
და ოსვენციმის კედლებით!..
გემშვიდობები მეოცევ და სულში ტირის შროშანი,
ო, ნაგასაკის ნანგრევით
და ხიროსიმას კოშმარით!!!
გემშვიდობები მეოცევ, მაგ დიდი აღმოჩენებით,
შენ სწორუპოვარს ოცნებით,

წამებით, რღვევით, შენებით!..
გემშვიდობები მეოცევ, მაგ ვეებერთელა ნახტომით,
გემშვიდობები უბრალოდ,
შენ მშობელ დედას ატომის!..
გემშვიდობები მეოცევ, ო, მაინც რწმენით მომავლის,
ხომალდით ზღვაზე მცურავით,
ქარში ანძებით მტყდომარით!..
გემშვიდობები მეოცევ, გულისთქმას ვეღარ გიმალავ!
გემშვიდობები უბრალოდ,
შორეულ გზაზე მიმავალს!..

22.10.2000
მოსკოვი

* * *

კვლავ ვდგავარ ხეებთან არყის და მოდის
საღმო ფათურით,
ქუჩაში ეცემა ქვაფენილს
სხივები უთვალავ ნათურის...

ფოთლები, ჭაღარა ფოთლები ცვივიან
მიწაზე ოხვრით!..
თვალებზე ცრემლები მედება
ცხოვრებით ნაცემს და მოღლილს!..

მინდორზე ბალახი ხუნდება და ხეზე
ჩიტუნა წივის!..
ზამთარი მოდგება, საცაა,
და ქარიც იკივლებს ცივი!..

კვლავ ვდგავარ ხეებთან არყის, მეხვევა
საღამოს ბინდი...
იღვრება ფოთლები ჭაღარა
და წყალზე ქანაობს ხიდი...

25.10.2000
მოსკოვი

## სიცოცხლევ ჩემო!

არავინ იცის, სად შეხვდები სიკვდილის დემონს
და სად ჩაქრება საუკუნოდ
შენი ხატება!
არ შეგეშინდეს შენ სიკვდილის, სიცოცხლევ ჩემო!
თუ ლექსებს შერჩა
იდუმალი სულის ნათება!..
ამ სამყაროში ყველა თავის განაჩენს ელის!
ზოგი უეცრად აფეთქდება,
ზოგი ბერდება!
სიკვდილს ვერასდროს აირიდებ თვალებით სველით,
ვერ აიცილებ, – რაც
ბუნებით დაგებედება!
რა ვუყოთ შემდეგ, თუკი ჟამი ქაოსად გაქცევს,
ვერ გადაუხვალ შენ ბუნების
მაღალ ბრძანებას!
მოვა მრისხანე ნაბიჯებით სიკვდილის მაცნე
და მინებდები
სამუდამოდ ფერიცვალებას!..

27.10.2000
მოსკოვი

* * *

საითკენ წავიდეს არ იცის! რამდენჯერ
ეცვალა მხარი!
საითაც წავიდა, – წაიქცა
და ბლავის ბებერი ხარი!

სულმა კი აფრები დახარა, ბარბაცებს
ღრუბელი ავი,
დემონი ო, ისევ ხარხარებს
ეულად ბილიკზე მთვარის!..

მან ღამე რამდენი ათია, მშველელი
არავინ არის!
ამაოდ დაეძებს განთიადს
და ისმის ხივილი ქარის!..

29.10.2000
მოსკოვი

* * *

მინდვრის ფერებში აღტაცებით ვცურავდი ბავშვი!
ახლა ღრუბლები ნაცრისფერი
გადამდის თავზე...
მე შენს ნაკვალევს დავდივარ და დავეძებ ბაღში
და გული დამაქვს
უჩვეულო ტკივილით სავსე!..
შენი ხატება რა ულმობლად წარმტაცა ჟამმა?
შევრჩი საწუთროს, საყვარელო,
თვალებით სველით!..
მიდიან ზანტად შემოდგომის ღრუბლები რუხი
და მიაქვთ ქარებს
სიშორეში ფოთლები ხმელი...

30.10.2000
ბანძა

## ქამს შეეხეთქე ყვირილით!..

ბიჭო, საფლავში როგორ სძლებ, იქნებ
გამშვიდებს ზენარი?
იყავ ვეფხვივით გულადი,
მუდამ დღე მოუსვენარი!..
ისმის არწივის ყივილი და შხუის
ფრთები საქარე,
ქამს შეეხეთქე ყვირილით
და ლოდი როგორ გაკავებს?!

31.10.2000
მოსკოვი

* * *

მე მათრობდა მაგ თვალების შეხედვა!..
მიმრთელებდა გულს
ათასჯერ დაკოდილს!
შენ იყავი ჩემი
ბოლო შეხვედრა,
სიყვარულის ჩემი ბოლო აკორდი!..
მოცურავდი, როგორც
მთვარე ვერხვებთან...
დღეს ფოთლების ისმის ჩუმი ქვითინი!..
შენ იყავი ჩემი
ბოლო შეხვედრა, —
მოფრენილი გაზაფხულის ჩიტივით!..

02.11.2000
მოსკოვი

## სიკვდილი

*ცდების და ცდების სიკვდილსა,*
*ვინც არ მოელის წამისად!*
*შოთა რუსთაველი*

სად დაგეწევა ვინ იცის, — ყეფით, ჩხავილით, ღრანით,
მას არ აწუხებს სინდისი,
არც სიბრძნე და არც მორალი!
მოვა და მოულოდნელად ფრთებს დაგაფარებს ყიამეთს,
სადაც მიადგა, მან ყველგან –
თესა შხამი და სიავე!..
ის არის გულქვა ბატონი, რამდენიც გინდა ეფერე!
მას თვალები აქვს დემონის
და ორი კლანჭი ბებერი!
იგი უეცრად გეწევა, შენ ცაში ხარ თუ ხმელეთზე,
მოვა ზავთით და შხუილით,
ვეღარ იხილავ მერე მზეს!
მას ვერაფერი ვერ აკრთობს, არ ცნობს
გზებსა და სადგურებს!
მოვა და თალხით დაგბურავს,
წამისად გაგანადგურებს!..
გამოხედვა აქვს დემონის და ფრთები კიდევ რამხელა!
გინდა გაიგო ვინ არის? —
სიკვდილი ჰქვია სახელად!

03.11.2000
მოსკოვი

# ორი მუხა

ჩემს ეზოში ლურჯ ბექობზე იდგა ორი მუხა
და მიჰქონდა უმოწყალოდ
ქარს ფოთოლი უხვად...
ერთად იდგნენ ბრძოლის ველზე შეკრულები ფიცით!..
მათი ხაფით და ხეთქებით
იმღვრეოდა სივრცე!..
დილით ვნახე არემარე დარბეული შფოთით
და ფერდობზე ყორნისფრთება
ეგდო ქარაშოტი!

04.11.2000
მოსკოვი

## კითხვა-პასუხი

ბრძენს კითხეს – თუ რის შიში აქვს , –
მას ყოვლად გამოჩენილს?
– მხოლოდ უაზრო სიკვდილის –
იყო პასუხი ბრძენის!

07.11.2000
მოსკოვი

## ისევ ხმაურობს ქარი

ისევ ხმაურობს ქარი!.. მე კი ოთახში ვზივარ,
ისევ ხმაურობს ქარი, –
ქმახის თოვლს და წვიმას!..
ისევ ხმაურობს ქარი!.. ისმის ტოტების მსხვრევა
და ცას აკივლებს მწარედ
ღრუბლების შემოსევა!
ისევ ხმაურობს ქარი და სულს რა დააშვიდებს?!
მეც მინდა ჩემი ხომალდი
ზღვაზე იალქნებს შლიდეს!..
ისევ ხმაურობს ქარი!.. მესმის კივილი მძაფრი!..
ისევ ხმაურობს ქარი
და სულს ედება ხაფით!..

09.11.2000
მოსკოვი

## სულო, შეეხმიანე!..

მოლოდინში იანვრის რტოზე ჩიტი წიოდა,
და ჟამთა სვლის სიავემ
სული ამიწიოკა!..
ბაღებს ერთობ დაბურავს... სულო, შეეხმიანე!
მერე თრთოლვით უცქირე
ხეზე თოვლის ხვიარებს...

11.11.2000
ბანძა

* * *

სული ღელვით დამეღალა,გზა ვერ გავიადვილე!
ბევრჯერ ცხარე ცრემლი ვღვარე,
სისხლიც ბევრი მადინეს!..
მდინარის პირს მარტო ვდგავარ, ვარჩევ
ხეებს სატივეს,
ვინც მე ფუჭად შემედავოს,
მაგის დედა ვატირე!

12.11.2000
მოსკოვი

## მოსკოვის ცა

ღამის ცაზე აქ ვარსკვლავებს ველარ ნახავ ჯიშიანებს,
ჩემ სარკმელთან ჩინარებზე
ქარმა გადაიშრიალა...
მთვარეს მცურავს ცის თავანზე ეფინება ნისლის რიდე,
მოგონებებს, ჩემო კარგო,
შენზე ველარ განვერიდე!..
სული, ასე რატომ ოხრავს, ან თვალები ვის დაეძებს?
გული ველარ იტევს ბოლმას
და მივათრევ ფრთებს დალეწილს!..
ღამის ცაზე ვამჩნევ მოღლილს ვარსკვლავების ათინათებს,
ჩრდილოეთის ქარი მოქრის
და შორს ზარებს რეკავს მნათე!..

13.11.2000
მოსკოვი

## გული აწყდება ჯებირს

მე აქ რუსეთში რა მინდა, როცა
სამშობლოს უჭირს?!
მე აქ რუსეთში
რა მინდა, სადაც
ქარი ქრის ურჩი?!
მე აქ რუსეთში რა მინდა, სევდას
ულმობელს ვერწყმი!..
მე აქ რუსეთში
რა მინდა, სიდან
სად გადახვეწილს?!
მე აქ რუსეთში რა მინდა, გული
აწყდება ჯებირს!..
როცა მამულის მინდვრები
მოფენილია ჯვრებით?!

16.11.2000
მოსკოვი

# მიდიან წლები აურზაურით

ჩემო ტკივილო და სიხარულო, მე შენს ცრემლიან
თვალებს ვუცქერი!
შენზე ფიქრებით
მინდა დავხურო
ჩემი ცხოვრების ბოლო ფურცელი!
მიდიან წლები აურზაურით, ჟამს ვერ დავუსვი
ბოლო წერტილი!
ქარი აწყდება
სივრცეს ხმაურით,
მიქრის მხედარი თავაწყვეტილი!..

19.11.2000
მოსკოვი

## ხალხი მიდის ტაძრისკენ

ბოროტებით ამდენით ცა გვემსხვრევა თავზე,
ვის აუნთოს სანთელი
სულმა ღელვით სავსემ?!
ჟამს გავცქერი ამღვრეულს!.. მზეს ღრუბლებში სძინავს,
ჩემი სული ნაღველით,
ეს ვინ დაამძიმა?!

სივრცეს ვემარტოვები, სადღაც მივაბიჯებ,
და შრიალი რტოების
ტკივილს ვეღარ მირჩენს!

გზაზე ორი ნაძვის ხე ჰგავს სევდიან ზღაპარს!
ხალხი მიდის ტაძრისკენ
და ცრემლებს ძლივს ყლაპავს!

ბოროტებით ამდენით ცა გვემსხვრევა თავზე,
ვის აუნთოს სანთელი
სულმა ღელვით სავსემ?!

20.11.2000
თბილისი

* * *

სული ნაქარიშხლევი დღემ ვერ გამიცისკროვნა,
ჟამის მღვრიე მორევში,
ეს ვინ გადამისროლა?!
შენთვის, უსაყვარლესო, ბროლის კოშკებს ვაგებდი,
მაგრამ იგი დამემსხვრა,
ხელში შემრჩა მაკეტი!

ისევ დავეხეტები და გზას ველარ მივაგენ!
ო, რა უცბად დაინგრა
რწმენის ყველა სიმაგრე?!
ცა დამძიმდა უეცრად ღრუბლის თალხი ფერებით,
ვერ ვპოვე ის დალალი,
ჩემი მონაფერები!

სული ნაქარიშხლევი დღემ ვერ გამიცისკროვნა,
ჟამის მღვრიე მორევში,
ეს ვინ გადამისროლა?!

21.11.2000
მოსკოვი

* * *

ამ საღამოს ვერ ისვენებს ქარი და აწყდება
ავბედითად ფანჯრებს!..
ამ საღამოს ვერ ისვენებს ქარი,
სივრცე თითქოს
დაუპყრიათ ქაჯებს!...
ამ საღამოს ვერ ისვენებს ქარი და დალეწილს ყრის
მიწაზე ტოტებს!.
ამ საღამოს ვერ ისვენებს ქარი
და მიდამო
ტკივილისგან გოდებს!..

22.11.2000
მოსკოვი

# საათი

რატომ მახსენებ წკრიალით ზარის, რომ არ ჩერდება
და ჟამი მიდის!...
მე ჩემი დროის
ვარ თანამგზავრი,
მომავლისა და წარსულის ხიდი...
ისევ ცახცახებს შენი ისრები, გარეთ ქარიშხლის
ფრთები ხმაურობს!..
ჩემი სხეული
ღელვით ივსება
და ფიქრი ჩემი შორს მოგზაურობს...

ხშირად მეხლება ტალღა უჟმური და სულს აკივლებს
დროსთან კვეთება!
მე იდუმალი
მესმის ჩურჩული,
თუმც არაფერი მეიმედება!
მითხარ, რა არის აქ ფერუცვლელი და გულს ტკივილთან
შებმა უხდება,
ჩემი ცხოვრების
ყველა ფურცელი
შენით იცლება და იმუხტება!
გავცქერ ცხოვრების უდაბურ ეკრანს, კვლავ აიწყვიტეს
ღამის სულებმა,
შენ ისევ რეკავ!
შენ ისევ რეკავ!
შენ ისევ რეკავ დაუსრულებლად!

24.11.2000მოსკოვი

* * *

ამოდის მთვარე იისფერ ცაზე და შორს ციმციმებს
ვარსკვლავი ქერა,
საით წავიდა ის სილამაზე,
სად გაქრა ნეტავ, ის აღმაფრენა?!

მე ღვინით სავსე დავცალე თასი და სულს უფრორე
მოუნდა ლხენა!..
საით წავიდა ის სილამაზე,
სად გაქრა ნეტავ, ის აღმაფრენა?!

01.12.2000
მოსკოვი

* * *

შორს გაფრენილა ის წლები, კრთის შუქი ალმაცერი,
ბინდში ბილიკი ირწევა
და მე ვიღლები ცქერით...
ზამთრის დღეები იწყება, მაღლობს ნისლები ბარდნის,
შორს გაფრენილა ის წლები,
ჩემი ბოჩო და ბადრი!..

10.12.2000
ბანძა

* * *

თეთრად მოსილი ხეების ფონზე, მივდივარ მარტო
მუხლამდე თოვლში...
მე ჩემი ქვეყნის ტკივილი მამღვრევს
და ჩემი ქვეყნის ცრემლები მომშლის!..

მშობლიურ ზღვიდან შორსა ვარ ახლა, სანატრელ ქუჩებს
ამაოდ ვეძებ!..
ფრთებს მიმსხვრევს ჟამის მრისხანე ტალღა
მოხეტიალეს შორეულ გზებზე...

არც მეგობრების სიცილი ისმის, არც თვალებს ვხედავ
ლაჟვარდით სავსეს!
ლამის ძარღვებში აფეთქდეს სისხლი,
ცა რომ კივილით გადამდის თავზე!

თეთრად მოსილი ხეების ფონზე, მივდივარ მარტო
მუხლამდე თოვლში.
მე ჩემი ქვეყნის ტკივილი მამაღვრევს,
მე ჩემი ქვეყნის ცრემლები მომშლის!

19.12.2000
მოსკოვი

* * *

გადამაფარეთ ჩემი ზეცის ლურჯი ხავერდი,
ჩამოიქროლე ჩემს მინდორზე,
დილის ნიავო!
ვიხსენებ წარსულს და იმ თვალებს, ვისაც გავენდე,
და იმ სიყვარულს,
რითაც გული
დღემდე მზიანობს!..
გადამაფარეთ ჩემი ზეცის ლურჯი ხავერდი,
ო, რასაც სული
საუკუნოდ უნდა მივანდო!
მოვა აპრილი, რომ სიცოცხლე აღარ დაბერდეს,
იტყვის ბულბული
სიყვარულის საგანთიადოს!..

02.02.01
მოსკოვი

## აბაშა

ჩემი ღელვა შენ ერთს განდე, მაგ ჩქერების
ბროლში ვთრთოდი!
შენს მახლობლად დავიბადე,
მაგ ნაპირზე მიმოვრბოდი!..
ცას გავცქერი ფიქრით ნაქსოვს, მოგონების
ცრემლი მწყდება!
ყველაფერი კარგად მახსოვს,
არაფერი მავიწყდება!
დღეს ჭრილობებს ვინღა მომბანს, როცა არ ვარ
შენთან ახლოს?
რა შორს დარჩა ჩემი ყრმობა
და ბავშვობის სამოსახლო?!

06.01.2001
მოსკოვი

## ხელში ტოტით ტირიფის...

გაგიტაცა დინებამ, მოგკიოდა ტყე-ველი,
მოვარდნილი ლანქერი
გახდა დაუძლეველი!
სადღაც მღვრიე ხორხოცით ღელვა მიგაქანებდა,
მერე დიდხანს დაობდა
სივრცე ღამის ქარებთან!..
შენ დალალებს ტირიფის ხელით წაეპოტინე,
წყალი მიგაქროლებდა
ნუშის თეთრი ტოტივით!
ანგელოზის თვალებმა, როცა ციდან ინათა,
შენი სულის ნათელი,
რა შორს გაუჩინარდა!
შენი ლანდი პატარა გაჰყვა ღამის აჩრდილბს
და ღიმილის გოგონა
ვეღარ გადაგარჩინეს!
დილით, როცა ნაპირზე სხივი კრთოდა ირიბი,
სველ ქვიშაზე იწექი
ხელში ტოტით ტირიფის!
შენ, პატარა ასულო, ნიმფას ჰგავდი მძინარეს
და შორს მღვრიე ხმაურით
მიდიოდა მდინარე!..

10.01.01.
მოსკოვი

# თოვლის მორევში

თოვლის მორევში ცურავს ქალაქი და ჩემში აქსოვს
სევდიან მოტივს!
არც მიწა სუნთქავს
და არც ბალახი
და მხოლოდ თოვლი შრიალით მოდის!..
კვლავ თეთრ მორევში ცურავს ქალაქი... ირგვლივ ბრჭყვიალა
რეკლამებს ათოვს...
მესმის სიცილი
და ლაპარაკი,
ქუჩაში ისევ მივდივარ მარტო!..
ვიხსენებ დღეებს უკვე შორეულს, რომ ვხსნიდით თოვლში
თამაშის სეზონს!
ვესაუბრები მე შენს ორეულს
და მასხენდება ბავშვობის ეზო!..
ირეკლავს სივრცე დღეებს გაფრენილს და ჩემს ტკივილებს
ვერავინ შველის!
მე შემრჩა სევდა
სხვა არაფერი
და დამსხვრეული სიცილი შენი!..
თოვლის მორევში ცურავს ქალაქი და ჩემში აქსოვს
სევდიან მოტივს!..
არც მიწა სუნთქავს
და არც ბალახი
და მხოლოდ თოვლი შრიალით მოდის!..

12.01.01.
მოსკოვი

# მარტოსული

ის იყო ერთ დროს თავადის ცოლი და იყო ძალზე
ამაყი ქალი!
მუდამ კოხტად და ფაქიზად მოვლილს,
უყვარდა მზე და ღიმილი მთვარის!..
ახლა მოხუცი ცხოვრობს თავსითვის, მოუკლეს შვილი!
მოუკლეს ქმარი!
სევდიან ფერებს არხევს დაისი
და იცრემლება ცა მინანქარის!..
კართან მდუმარებს ბებერი მუხა, რომელსაც ტოტი
დაემსხვრა ყველა!
მიცურავს ცაზე ღრუბელი რუხი
და სული, როგორც
მდინარე ღელავს!..
ო, რა ულმობლად გათელა ჟამმა! იხსენებს წარსულს და
ფურცლავს ალბომს...
ხან სიხარულის ცრემლებით ნამავს,
ხან მწუხარების ცრემლებით ალბობს!..
შემოდგომია ლანდები უხვად და იხურება
ფურცელი ბოლო!..
ქალი, რომელსაც წარსული უყვარს,
ქალი, რომელიც წარსულით ცხოვრობს!..

15.01.01.
მოსკოვი

## ზვიად გამსახურდიას ხსოვნას

*უმადური სამშობლოვ! შენ*
*ვერ ეღირსები ჩემს ძვლებს!*
*სციპიონ აფრიკელი*

ვეშაპს შეები რამხელას და ჯვარდენი დასცხე,
სანამდის აღარ გააპე
და ძირს არ დაანარცხე!..

შენი ოცნება ათევდა ღამეს მამულის ცაზე,
და ღირსს დიდების გვირგვინის,
ზეცა დაგამხეს თავზე!..

მოგსდევდა ძალა ბოროტი, როგორც მრისხანე ზვავი!...
და დარჩა ნაფეხურები
სისხლიან დინოზავრის!..

კაცმა ამდენის მოქმედმა სხვაგან ჩაჰყარე ძვლები!..
ნუ დაიღლები, ქართველო,
მისი სამარის ძებნით!

საფლავშიც მასზე ილოცებ, ვისაც ეტრფოდი მარად!..
და შენს სამშობლოს წამებულს
ღმერთი კვლავ დაიფარავს!..

16.01.2001
მოსკოვი

## მშვიდობით!

ვემშვიდობები მე თქვენს საფლავებს და გულში
დარდი ვეღარ ეტევა!..
მივდივარ, ისევ მიუსაფარი,
გული განაგრძობს
მედგრად შეტევას!..
სულ უმნიშვნელო დამრჩა სავალი და ცრემლებს ვეღარ
ვმალავ ბალღივით!
არ ვიცი, თუ სად
ვპოვებ სამარეს,
სად გამიწყდება მხედარს აღვირი?!
კვლავ მოსვლას უკვე ვერ დაგპირდებით და გულსაც
აღარ ეიმედება!
აქ თვენს სიჩუმეს
ფარავს ბინდები
და განშორების ღელვა მედება!..
მშვიდობით! ზეცით მოდის ნათელი!... მივდივარ
ჟამით განაწამები!..
დგას ფოთოლცვენა...
იწვის სანთელი!..
და განშორების რეკენ წამები!..

28.01.01.
ბანძა

## ბულბულს

ჩვენ ცა-ფირუზს ულამაზესს, აღტაცებით ვუმზერთ
და ორთავეს მწვავე წყლული
გვამჩნევია გულზე!..
ვთქვით სიმღერა, საყვარელო, უტკბილესი სულზე,
მე ზამთარში ვიგალობე,
შენ კი – გაზაფხულზე!..

16.02.01.
ბანძა

## როცა ამოდის მთვარე!

*როცა მოვკვდები მიმაბარეთ მდინარის*
*ქვიშას, თან ჩამატანეთ გიტარა ჩემი!..*
*გარსია ლორკა*

როცა ამოდის ცაზე ფორთოხლისფერი მთვარე
და ნარინჯების ჭალა
იწყებს იდუმალ შრიალს!..
ფრთებს შლის ნიავი ღამის მინდვრის ფერების ზღვაში
და იადონი გალობს
შეყვარებული ვარდზე,
კვლავ ათრობს არემარეს სულის სიმების რხევით!..
როცა ამოდის მთვარე,
გვადალკვივირი შენი
მთვარის სინაზით სავსე მიათამაშებს ტალღებს...
მიდის შორეულ მხარეს,
როგორც მხედარი ჩქარი...
ხან წყვეტს დინებას თითქოს, გაიტრუნება ისე,
როგორც აკვანში ბავშვი,
რომელსაც ღამის სიზმრები
მიაქროლებენ სადღაც...
როცა ამოდის მთვარე და მთებს იისფერს ათოვს, —
შენ, ფედერიკო, ამოდიხარ მდინარის ქვიშით
და მოგაქვს გული დაკოდილი
ჯალათის ტყვიით!..
ხელში გიჭირავს გიტარა თეთრი, რომლის სიმებზე ანთია ცეცხლი, —
წარსულისა და მომავლის ხმების...
შენ სევილიას, კორდოვის და გრანადის მინდვრებს
უმღერი ტრფობით

და აღტაცებით!..
შენი ძარღვებით შეკრულია ესპანეთის ცა და ხმელეთი
და მაგ ხმის ექო გადაუვლის
მთებსა და მინდვრებს
და იფანტება დედამიწის ყველა მხარეში...
ო, რა იცოდნენ ჯალათებმა,
რომ დაგლეჯილი პოეტის გული
ათიათასჯერ უფრო მძაფრად უმღერის
სიცოცხლისა და
სიყვარულის უსაზღვროებას!..
შენ გვიან ღამით გამოარღვევ მდინარის ქვიშას,
როცა ამოდის მთვარე დიდი,
ფორთოხლისფერი!..
იმღერე, იმღერე, ფედერიკო! შენ ხომ სიკვდილი
დაამარცხე ათიათასჯერ,
გამოარღვიე რკინის საკანი
და დააბიჯებ დედამიწაზე, როგორც
მგზავრი მარადიული, —
გიტარით ხელში!..

21.02.2001
მოსკოვი

# საათი

წიკწიკებს ისარი პატარა და ითვლის
დროის მკაცრ ნაბიჯებს !
ფიქრებმა სად აღარ მატარა,
ჟამს მაინც ვერ გადავაბიჯე!
მე მახსოვს ცისფერი სათავე, ბილიკი
თეთრი და წითელი!
მე მახსოვს თვალები მართალი
და ბევრიც ცოდვების მზიდველი!..
დღეები მიდიან მწკრივებად
და უფრო რთულდება სავალი!
ოცნება სულს დაეწყვილება
და ფეთქავს მზე ამომავალი!..
წიკწიკებს ისარი პატარა და ითვლის
დროის მკაცრ ნაბიჯებს!..
ფიქრებმა სად აღარ მატარა,
ჟამს მაინც ვერ გადავაბიჯე!

24.02.2001
მოსკოვი

## ზღვა და სიყვარული

ნაპირებთან გაისმოდა ჩქამი, გაზაფხულის ზღვა
სუნთქავდა ხარბად!..
ზღვაზე თეთრი ირხეოდა ნავი
და ვუცქერდით თოლიების ფარფატს...
სივრცე იყო ლურჯად მონანავე და გვაღვრიდა
გაზაფხულის ხავერდს!
ზღვაზე თეთრი სრიალებდა ნავი,
მოდიოდა საოცნებო ღამე!..
წყლის სარკეში ტირიფების რწევა, სიშორეში ჩამავალ
მზის ალი...
ვერ მივეცი დღემდე დავიწყებას,
ის ღიმილი და თვალები, ლალი!..

27.09.01.
მოსკოვი

## მზე ჩადიოდა

მზე ჩადიოდა და ძოწისფრად ენთო ნაპირი,
მზე ჩადიოდა და ღებავდა
ზეცის საფირონს...

მზე ჩადიოდა... ლივლივებდნენ ლურჯი ტალღები,
ზღვა იყო სავსე ღრუბლის
თეთრი ბაიარაღებით!

მზე ჩადიოდა... მივცურავდით ნავით მე და შენ
და ენთო სული
სიყვარულის სიმხურვალეში!..

მზე ჩადიოდა.. ცას უმძიმდა შუქის ტარება,
რამ დამავიწყოს ის ღიმილი
და ნეტარება?!

16.10.01.
მოსკოვი

## შორს მოჩანს მზე ალმაცერი

სადგურს სადგურზე ვიცვლიდი, რომ
მომეღწია შენამდე!
შენი თვალები მიცდიდნენ
და სიყვარულით ელავდნენ!..
ახლა ჩემი ცა დამცქერის ერთობ
ნარბევი ქარებით,
შორს მოჩანს მზე ალმაცერი
და სივრცე ნაფერმკრთალები!..
ვხედავ, ანგელოზს ჩამუხლულს
ცრემლით ნაბანი თვალებით!..

12.12.01.
თბილისი

## ერთმანეთს გადავეყრებით

სიკვდილს ვერ დაველოდები, რომელიც ჩემკენ მოჰყვეფს!..
მწარე მოთქმით და გოდებით
არ მინდა ფეხქვეშ მოვყვე!
არა ვარ კაცი მერყევი, ვერც ცრემლი მიწვავს ლოყებს!
ერთმანეთს გადავეყრებით,
როგორც ვეფხვი და მოყმე!..

13.12.01.
მოსკოვი

* * *

ეჰ, რამდენი ცრემლი ვღვარე! ვერ ვძლებ მე
შენს გარეშე!
გული ღელვით დამეღალა
ქარი ისევ თარეშობს!..
ჟამი მიდის უთავბოლოდ, სევდას ველარ
ვიშორებ!
ველარ ვუძლებ დღეთა ქროლვას
და მაგ თვალთა სიშორეს!..

10.02.2002
მოსკოვი

* * *

ვეღარ ითმენს სული დღეთა რიალს,
ხან ქარი ქრის...
ხანაც თოვლი მოდის...

აქ ციკლონებს ციკლონები ცვლიან
და ეს, ნეტავ,
დამთავრდება როდის?!

16.02.2002
მოსკოვი

* * *

*გრიგოლ ორბელიანს*

გულს შემოგენთო ტკივილის ჩაუქრობელი ალები!..
როცა დატოვეს სამზეო
ქვეყნის რჩეულმა ქალებმა!
დაბნელდა საქართველოო, — წამოიძახე პოეტო!
და შენი ოხვრა-გოდება
ცასა და მიწას მოედო!..

19.02.02.
მოსკოვი

## თოფიანი კაცები

თოფიანო კაცებო! გული ქვად რად ქცევიათ?!
თარეშობთ და მიწაზე
მხოლოდ სიკვდილს აპურებთ!..
პლანეტაზე ტონობით სისხლი დაგიქცევიათ
და მიწიერ სამოთხეს
ერთობ აუდაბურებთ!..

15.03.02.
მოსკოვი

* * *

ამაღამ ისევ ხმაურობს ქარი,
ედება სივრცეს
მაღალ ნოტებად...
ამაღამ ისევ ხმაურობს ქარი
და კვლავ კივილით
მიახლოვდება!..
ამაღამ ისევ ხმაურობს ქარი
და ჩემი ბაღის
ისმის გოდება!..
ამაღამ ისევ ხმაურობს ქარი
და მე არ ვიცი
რა მელოდება!
ამაღამ ისევ ხმაურობს ქარი!
და ამსხვრევს მთაზე
მთვარის ობელისკს!
ამაღამ ისევ ხმაურობს ქარი,
მუდამ ურჩი და
დაუნდობელი!

18.03.02
თბილისი

## შენი პატარა ქალაქი

*ჩემს შვილიშვილს — პატარა ანას!*

ფერი ეცვალა ბალახებს, ბაღებს, ხეივანს, ტყეს,
შენი პატარა ქალაქი
მოწყენილია დღეს!..
სხედან მდუმარედ მტრედები, ხეზე ფოთლები თვლემს,
შორს ნისლი მიეხეტება
და ძლივს მიათრევს ფრთებს...
ზანზალაკების ხმა ისმის,ყველგან სიყვითლე წვიმს...
მეწამულ ფრთებს შლის დაისი,
არხევს სევდიან სიმს!..

16.09.02.
მოსკოვი

# მეგობრის საფლავთან

გული გაგყვა დაჭრილი, სული სევდით ნაოსი
და დაღლილი მიწექი
სოფლის სასაფლაოზე!
არც ზარები რეკავენ! არც ქარების ხმა ისმის!
მხოლოდ სოფლის ჩიტები
სხივს კენკავენ დაისის...
შორს, მთა მოჩანს მოლურჯო ღრუბლის თეთრი ქულებით
და ხეები მხედრულად
დგანან გარინდულები!..
შენს საფლავთან მოვედი, ჟამს ვიხსენებ გაფრენილს
და ცა გადგას მაღალი
ჩამავალ მზით ნაფერი...
ო, რა სევდა მოირღვა და ტკივილმა იმატა,
სული გქონდა იმხელა
ცასაც გადაჭიმავდა!
შენი ლანდი ბავშვობის გაჰყვა ჭალებს ატეხილს
და მიჰქონდა მდინარეს
მთვარის თეთრი ნატეხი...
რა შორს დარჩა ის გზები სისხლით, ცრემლით მორწყული
და დუმს შენი საფლავი
მძიმე სევდით მოცული!..
არც ზარები რეკავენ! არც ქარების ხმა ისმის!
მხოლოდ სოფლის ჩიტები
სხივს კენკავენ დაისის...

12.10.02
ბანძა

* * *

იდუმალება ბუნების როგორ გვაოცებს ყველას,
ლივლივებს ფერთა სიმრავლით
და ხან საოცრად ღელავს!..
ის ოთხივე დროს ირეკლავს და თან სამოსელს იცვლის,
მიაყურადე, ცის სიღრმეს
და ვარსკვლავების ციმციმებს!..
ხან ფართო გზებით გახარებს, ხან უყვარს გზები ვიწრო
და სიმაღლეების მიელტვის
და ჩვენს სიყვარულს იწოვს!..
ფეთქავს ურცხვი ყვავილი, ფერთა ღვარი დგას ირგვლივ,
ნუთუ ბუნებას ზღვარი აქვს,
თუ უსაზღვროა იგი ?!

02.04.11
მოსკოვი

## ჩემი ბაღი

ო, რა ზანტად ჩამოდიან ფოთლები
და მიწაზე როგორ
არ სურთ დაშვება?!
ჩემი ბაღი ჟამით შენაშფოთები,
ქარის ფრთებით
ისევ დაილაშქრება!..
მზე ნისლებში მიირწევა ქურდულად,
ზამთრის რისხვას
გაექცევა ვერავინ!
ყველაფერი დროით შემოზღუდულა,
ავბედითად იცქირება
მზვერავი!
ხეივანი მთვარის მოჰგავს ათინათს,
ეს ნიავიც
ჟამმა გამიუხეშა!
შემოდგომამ ო, რა ცრემლი მადინა,
არაფერი შემატოვა ნუგეშად!

22.10.02.
ბანძა

## სასაფლაოზე

*ვუძღვნი ჩემი ძვირფასი*
*მასწავლებლების ხსოვნას*

სასაფლაოზე ჩამწკრივებულან მასწავლებლები ჩემი
და თაობები ცვლიან თაობებს
ბუნების განაჩენით!..
მე თქვენს წინაშე კვლავ ქუდმოხდილი ვდგავარ ო, როგორც მაშინ,
და მხოლოდ ხსოვნა, ხსოვნა აღადგენს
დროთა დარღვეულ კავშირს!..
დროის მდინარე მიდის სავსავით, მწვანე ხასხასებს მოლი,
დავხეტიალობ სევდანასვამი
სიკვდილ-სიცოცხლეს შორის!..

27.10.02
ბანძა

* * *

შენს ტალღებში ვნებივრობდი, შენს ჭალაში მიმოვქროდი,
დრომ დაკეცა ფრთები ყრმობის
და ტკივილის ჟამი მოდის!..
განშორებას შენთან ვნანობ, დამსხვრეული შემრჩა ფრთები!
მე შენს ჩქერებს სათაყვანოს,
ჩემს ხსოვნაში ვეფერები!..
გულო, ეს რა გემართება, ასე მწარედ რატომ ტირი?!
დრო მიდის და სული კრთება,
შენს ნაპირებს მოწყვეტილი!..

09.11.02
მოსკოვი

## ჩემში ტკივილი რეკავს

*ბორია კოტიას ხსოვნას*

ჩვენ ხომ ვიყავით ძმები, როგორც გმირები ზღაპრის,
ო, ისე გაქრა წლები,
როგორც ბუშტები საპნის!..
მახსოვს ღელვათა წყება და ნაბიჯები მწყობრი,
ო, ისე გაქრა წლები,
როგორც სიზმარი ობლის!..
ჩემში ტკივილი რეკავს, მესმის ყივილი ორბის,
მოგონებებით ვტკბები
მე იმ ზღაპრული ყრმობის!..

16.11.02.
ბანძა

## ორი საფლავი

გადაფარული ბალახით, ხავსით, ძლივს მოჩანს
ორი ლოდი სამარის,
და დღეს ისინი არავის ახსოვს –
ვინმე ბოცო და ვიღაც ყაფლანი!
მათი ცხოვრების გავიდა ხანა
და დრომ ორივეს შეხსნა ქამარი,
ახლა ისინი – რა მშვიდად წვანან,
ვინმე ბოცო და ვიღაც ყაფლანი!
როგორც ჩანს, ძველი ჭრილობა დაცხრა
და ცა გამოჩნდა, როგორც ზღაპარი...
ორი საფლავი მდუმარებს მკაცრად
და ზედ ლოდების ხურავთ საბანი...
თქმულება ბევრი წაიღო წყალმა
და თუ ულეწეს ერთურთს ბექთარი,
დღეს ერთმანეთის გვერდიგვერდ წვანან,
ბრძოლით დაღლილი ორი მხედარი!

26.11.02.
მოსკოვი

## მე უკვე ჩემი მიწა მეძახის!..

მე უკვე ჩემი მიწა მეძახის და ის ცისფერი
თვალი მოწყალე,
მე უკვე ჩემი მიწა მეძახის,
ჩემი თუთა და ჩემი მოცხარი!..

მე უკვე ჩემი მიწა მეძახის, ჩემი ბავშვობის
ღელე-სატივე,
მე უკვე ჩემი მიწა მეძახის
და მოგონება ხშირად მატირებს...

მე უკვე ჩემი მიწა მეძახის და გიშრისფერი
თვალი მაყვალის,
მე უკვე ჩემი მიწა მეძახის
და ჩემი ბაღის ლურჯი ზღაპარი!...

მე უკვე ჩემი მიწა მეძახის და მზე მაისის
ციდან ცხრათვალა,
მე უკვე ჩემი მიწა მეძახის
და ჩემი ეზოს ნისლი პატარა!..

მე უკვე ჩემი მიწა მეძახის და ყვავილები
მინდვრის ნატიფი,
მე უკვე ჩემი მიწა მეძახის,
ჩემი ყანა და ჩემი სათიბი!..

მე უკვე ჩემი მიწა მეძახის და სიყვარულით
დედა-ადგილის,
მე უკვე ჩემი მიწა მეძახის

და მოშრიალე თეთრი მანდილი!...

მე უკვე ჩემი მიწა მეძახის და რტო ალუბლის
შუქით ნახევი,
მე უკვე ჩემი მიწა მეძახის,
ჩემი შარაგზა და მოსახვევი!..

მე უკვე ჩემი მიწა მეძახის და სევდიანი
დედის თვალები,
მე უკვე ჩემი მიწა მეძახის,
ჩემი ბავშვობის ნატერფალები!..

30.11.02
მოსკოვი

## ეპიტაფია

გაიყოლეს სიწრფელე ტრფობის
და მკერდს უშვერდნენ
ქარებს მობერილს!..

დე, განისვენონ იმავე გრძნობით,
როგორაც განვლეს
წუთისოფელი!..

12.12.2002
მოსკოვი

## ᲐᲦᲐᲠ ᲓᲐᲜᲔᲑᲓᲔ!

მე სიყვარულით ანთებული შენსკენ მოვიწევ,
თვალცრემლიანი გავცქერ ეზოს
მაღალთოვლიანს!..
ვიცი, რომ მალე განშორება
შენთან მომიწევს,
სამას წელს, სახლო, ო, რა სწრაფად ჩაუქროლია!..
რად მოიწყინე, მშობლიურო ეზოვ, ამგვარად?
მე შენზე დიდი საფიქრალი
ჯერ არ მქონია!..
კვლავ მიირხევა
შუქით სავსე წყარო ანკარა,
აღარ დანებდე, სახლო, დარდს და მელანქოლიას!..

20.12.02.
ბანძა

## სამლოცველო

მდინარესთან სამლოცველო იდგა, ჟამის შიშით
მოცახცახე ტანით!..
მდინარესთან სამლოცველო იდგა
და ძაძებით მოდიოდა ქალი!..
მდინარესთან სამლოცველო იდგა, დახურული
გახუნებულ ყავრით.
მდინარესთან სამლოცველო იდგა
და გასვლოდა სოფლის
ბრუნვით ყავლი!
ის კი მაინც მოდიოდა რიდით და ანთებდა
მოწიწებით სანთელს.
და საოცრად ღმერთს ესმოდა მისი,
და ის იყო მლოცველიც
და მნათეც!
გარეთ ქარი ხმაურობდა ურჩი და ამსხვრევდა
ბებერ ტოტებს ფრთებით,
ანგელოზნი ფარფატებდნენ ჭერთან
და ის იდგა რწმენით ანანთები...
მდინარესთან სამლოცველო იდგა, ჟამის შიშით
მოცახცახე ტანით!..
მდინარესთან სამლოცველო იდგა
და ძაძებით მოდიოდა ქალი!..

08.04.03.
მოსკოვი

## ეს საუკუნე ჩემი არ არის!

ეს საუკუნე ჩემი არ არის და არც ოცნების
მწვერვალი მოჩანს!
ეს საუკუნე ჩემი არ არის,
ო, ის ზღაპარი დასრულდა, მორჩა!..

ეს საუკუნე ჩემი არ არის, არც გაზაფხულის
ფერები მათრობს!
ეს საუკუნე ჩემი არ არის,
სხვა საუკუნის ფიფქები მათოვს!..

ეს საუკუნე ჩემი არ არის, არც მწვანე მოლზე
ხოხბის ყივილი!
ეს საუკუნე ჩემი არ არის,
არც ამ გოგონას თეთრი ღიმილი!

ეს საუკუნე ჩემი არ არის, შეხედე, ჟამი
მიცქერს ქორივით!..
ეს საუკუნე ჩემი არ არის,
არც ეს გუმბათი მოოქროვილი!..

ეს საუკუნე ჩემი არ არის და არც ეს სუფრა
ღვინით კახურით!
ეს საუკუნე ჩემი არ არის,
არც ეს დარბაზი მოჩარდახული!..

ეს საუკუნე ჩემი არ არის, არც იდუმალი
რხევა სიმების!..
ეს საუკუნე ჩემი არ არის,
არც აფრა მთვარით მონასირმები.

ეს საუკუნე ჩემი არ არის, არც წყალში კრთომა
მწვანე ტოტების!..
ეს საუკუნე ჩემი არ არის
და მე გთხოვ: ნურც შენ დამელოდები!

12.04.03
მოსკოვი

* * *

ჩვენ ლირიკაში შევკარით წრედი, სად სამი სული
ძლიერად ფეთქავს!
ჩვენ ლირიკაში შევკარით წრედი
და მე ეს წილად
მარგუნა ბედმა!..
ავანთეთ ქროლვით გულები მძაფრად და ვაგეთ რწმენის
ტაძარი მტკიცე!..
და ზღვაზე სამი გავშალეთ აფრა,
გავითავისეთ ჟამი
და სივრცე!..
ჩვენ ლირიკაში შევკარით წრედი და გულთა შორის
ვპოვებდით კავშირს!..
ო, ამ მიწაზე ვცხოვრობდით ვწერდით
და მას ვერასდროს
ვერავინ წაშლის!

14.04.03
მოსკოვი

## მე იმ ტაძარში რა მინდა?

მე იმ ტაძარში რა მინდა, იქ შესვლას
არც კი ვაპირებ.
მე იმ ტაძარში
რა მინდა,
სად შენ ლოცულობ, ვამპირო!
მე იმ ტაძარში რა მინდა, სად შენ
უჩოქებ სახატეს!
მე იმ ტაძარში
რა მინდა,
სად შენი სული ღაღადებს!..
მე იმ ტაძარში რა მინდა, თუნდ
ზეცა გადამატეხონ!
მე იმ ტაძარში
რა მინდა,
ეშმაკის ფეხის ნატეხო!

მე იმ ტაძარში რა მინდა, ვეღარ
შევდივარ უბრალოდ!
მე იმ ტაძარში
რა მინდა,
აღარ მიწყინო, უფალო!

15.04.03
მოსკოვი

# დუელი

*ბევრი რამ ხდება ჰორაციო, ისეთი ქვეყნად,*
*რომ ფილოსოფოსთ სიზმრადაც არ მოლანდებიათ.*
*შექსპირი*

სეკუნდანტების სინდისზე იყოს, თუ მათ გააჩნდათ
სინდისი ოდნავ!
სეკუნდანტების სინდისზე იყოს,
რაც ტრაგედია რუსეთში მოხდა!..

სეკუნდანტების სინდისზე იყოს, რომ მოეცარა
გენიოსს ხელი!
სეკუნდანტების სინდისზე იყოს,
ო, ეს დუელი მოცული ბნელით!..

რაც მოხდა, იმას მიხვდება ბრიყვიც, თუმც გაჰყვა იგი
შორეულ სიზმარს!..
სეკუნდანტების სინდისზე იყოს
პოეტის ტყვია რომ აცდა მიზანს!

ბოროტი გულის ვინ მოშლის ზრახვებს, ან ქვებუდანთა
შემზარავ სისინს?!
სეკუნდანტების სინდისზე იყოს,
რომ გენიოსის დაიქცა სისხლი!..

სეკუნდანტების სინდისზე იყოს, თუ მათ გააჩნდათ
სინდისი ოდნავ!
სეკუნდანტების სინდისზე იყოს,
რაც ტრაგედია რუსეთში მოხდა!..

20.09.03
მოსკოვი

## გათავდა, მორჩა!

მიზიდვის ძალა მცირდება ჩემს მოლეკულებს შორის
და დაუნდობლად მეძახის
ბლანტი ღამე და შმორი!..
ირღვევა წონასწორობა და შორს სიჩუმე მიხმობს,
ცხოვრებას უნდა დუმილის
ნაპირზე გამომრიყოს!..
ო, ეს რა ძალა განაგებს ამ უთავბოლო რიალს,
ვშორდები ბროლის ვარსკვლავებს
და გაზაფხულის ნიავს!..
ეს განშორება სოფლისგან ო, რა ტკივილად მიჩანს !
რომ ზღვაში ისევ შევცურო,
ვერ დავაწექი ნიჩაბს!
რვა ათეულ წელს გავსცილდი, არ მაქვს უფლება მდურვის,
გათავდა, მორჩა, რაც იყო,
ნუ დამამშვიდებს ნურვინ!
ვემშვიდობები საწუთროს, გულს შერჩა სევდის ხნული,
აწი ვერასდროს მომნახავს
ამ ბაღში გაზაფხული!..

11.09.11
თბილისი

## მე აქ რა მინდა?!

მე აქ მოსკოვში რა მინდა მფლობელს ქართული სამოთხის,
იქ რომ ყაყაჩო იღვრება,
აქ მაშინ თოვლი ჩამოდის!..
მე აქ მოსკოვში რა მინდა? – დევნილობა მაქვს საბუთად!
ნეტავ, რად გადავეყარე
ამ ყვავ-ყორნების საბუდარს?!
მე აქ მოსკოვში რა მინდა, ეს ვინ ჩამიქრო ზღაპარი?!
დავდივარ, დავეხეტები
დევნილი, მიუსაფარი...
მე აქ მოსკოვში რა მინდა, ღმერთო, დემონი დალახვრე!
რომ დავუბრუნდე ზღვის ლაჟვარდს
და საოცნებო სანახებს...
მე აქ მოსკოვში რა მინდა მფლობელს ქართული სამოთხის?
იქ რომ ყაყაჩო იღვრება,
აქ მაშინ თოვლი ჩამოდის!..

11.05.03
მოსკოვი

* * *

ნეტავ, რას ნანობს ცა უსამანო?
ვის ელოდება, ან რას მოელის?
როცა მოვკვდები, –
ჩემი სამარის თავთან
ამინთეთ იასამანი!..

22.05.03
მოსკოვი

* * *

შენა ხარ ჩემი სიყვარულის ალფაც, ომეგაც,
როცა შენთან ვარ
ო, რა გრძნობით მესაუბრები!..
ვით მშობელ დედას, მინდა კვლავაც გულზე მოგეკრა,
შენს ცაზე ხშირად ერთურთ ცვლიან
მზე და ღრუბლები!..
მხოლოდ შენა ხარ ჩემი ღელვა დაუცხრომელი!
შენი ზღაპრული სანახები
მიხმობს, მახარებს!..
ო, გაზაფხულის კვლავ მეღვრება შუქი ცხოველი,
ჩემო სოფელო! თავი ასე
რად შემაყვარე?!

26.04.04
ბანძა

* * *

შენ გამოდიხარ შავი სიზმრიდან,
რომ იგრძნო ქვეყნად მზის ელვარება!..
მე ვნახე იგი ბორკილს იხსნიდა
და ინთებოდნენ შორს მწვერვალები!..
შენ გამოდიხარ შავი სიზმრიდან,
იშორებ ღამის პირქუშ ზმანებას,
დღეს ცა და მიწა ტრფობით გიზიდავს
და ჩამორეკეს რწმენის ზარებმა!..

04.08.2004
ბანძა

# სასაფლაოზე

მე მიმოვდივარ ლოდებს შორის სანთლებით ხელში,
თქვენი ხმა, ძმეობო,
სიშორიდან ო, ისევ მესმის!
მიწის სიღრმეში თქვენი ძვლები ხმაურობს, ხვნეშის,
ჩემში ტკივილმა უსაშველოდ
გაიდგა ფესვი!..
ანათებს მთვარე, მაგრამ იგი სივრცეს ვერ ათბობს,
ო, ამ ლოდებქვეშ
თქვენი სული როგორ ეტევა?
საით წავიდა ის დღეები წრფელი და სათნო?
და გული მაინც იგერიებს
დღემდე შეტევას!..

20.11.04
ბანძა

## ბავშვობის ცა

მე მიტაცებდა ბავშვობიდან მუსიკა წვიმის,
ო, ის დღეები ისევ არხევს
ოქროსფერ ფაფარს...
მე თითქოს ვისმენ იმ პატარა ჩიტუნას წივილს,
რომელსაც წვიმამ დაუსველა
ხასხასა კაბა!..
ვდგავარ მინდორზე, ვსუნთქავ ხარბად ფერების სურნელს
და უჩვეულოდ მოწყენილი
გავყურებ სივრცეს...
მექცა ტკივილად მარტოობა, – ვერ განვიკურნე!
და მოგონებით ო, ეს გული, –
რა მძიმედ მიცემს!..
მზე გაზაფხულის ისევ არხევს ოქროსფერ არფას,
დუმს ჩემი ეზო,
საიმედოს არაფერს ველი!
მდინარის პირას მოწყენილი ჩურჩულებს ბალბა
და ბავშვობის ცას თვალები აქვს
ცრემლებით სველი!..

16.04.05.
ბანძა

## ბედნიერი ხარ!

*ჩემს ძმას – გიორგი გაბუნიას*

გაჟღენთილია ქალაქი სმოგით
და ფილტვებს უკვე
არ ძალუძთ სუნთქვა!
ბედნიერი ხარ შენ, ჩემო გოგი,
რომ ცა გახურავს
მამულის სუფთა!..
ბევრჯერ ოცნებით გავცურე იქით,
ხსოვნით ამიკლეს
ბავშვობის წლებმა!..
სადაც ირხევა ატმების რიგი
და მდინარის პირს
ალვების წყება...
ჩემში ილვრება იმ ფერთა გამა
და გული ისევ
ძალუმად მიცემს!..
მე გზას აცდენილ იმ წეროს ვგავარ,
რომ ვერ პოულობს
მშობლიურ სივრცეს!
ბუნებით ბედის მორჩილი არ ვარ,
კვლავ მივაბიჯებ
ქუჩაში მძიმედ!..
სად გადამაგდო ცხოვრების ქარმა
და შორს, სევდიანს
ვაჟღერებ სიმებს!..
გაჟღენთილია ქალაქი სმოგით,

აქ ფილტვებს უკვე
 არ ძალუძთ სუნთქვა!
ბედნიერი ხარ შენ, ჩემო გოგი,
რომ ცა გახურავს
მამულის სუფთა!..

06.07.06
მოსკოვი

* * *

არ გაიკარე შიში და რისხვა,
ბევრჯერ მოგაწყდა
ქარი მრბეველი!..

ო, ეს რამდენჯერ იფეთქა სისხლმა,
გახდი ბოლომდე
დაუძლეველი!

შენს სიდიადეს უარყოფს ვერვინ,
კვლავ ივლი, სულო,
სიცოცხლის გასწვრივ!..

შენ მთელი გრძნობით უმღერე მერმისს
და გული ტრფობით
ბოლომდე დასწვი!..

14.05.07
მოსკოვი

* * *

ვინ გადურჩება რღვევას და დაშლას,
რა დარჩა უკვე
დასასრულამდე?

შენი ცხოვრების მდინარე დაშრა
და ყოფნის აზრი
დადის ნულამდე!..

შენ ნუთუ ქროლვა ისევ გწყურია,
თუ ელოდები
ბედის განაჩენს?!

სხეული უკვე განწირულია,
ო, იქნებ სული
მაინც გადარჩეს?!

15.05.07
მოსკოვი

* * *

ვერ გამოვედით ჩვენ ამ ნისლიდან,
მივდივართ, მაგრამ არ ვიცით საით?
ვერ გამოვედით ჩვენ ამ ნისლიდან
და ვგავართ ხელებმოცარულ რაინდს!
ვერ გამოვედით ჩვენ ამ ნისლიდან
და ღამეები თქარუნით მოდის!..
ვერ იქნა, ცა ვერ გადაიწმინდა
და არც ის ვიცით გამოვალთ როდის!
მზე კი საყელოს ვნახე იხსნიდა,
ო, თუმცა უკვე ზამთარი მოდის!..
ვერ გამოვედით ჩვენ ამ ნისლიდან,
ვირხევით, როგორც დაღლილი ტოტი!..

10.07.07.
მოსკოვი

## წერილი მეგობარს

რამ შემაყვარა სოფელი ეგზომ!
რად ვეტრფი ასე
მინდვრებს
და ჭალას?!

ჩვენ ორმა ვიცით, ძვირფასო რეზო,
იმ სათაყვანო
დღეების ძალა!..
ო, სულში გრძნობით ირხევა ისევ,
იმ საოცარი
დღეების ხვითო!..

მეძახის, მიხმობს ის სიმაისე
და ყურადღებას
ბავშვივით ითხოვს!..
მინდა, ამ ლექსმა იმდენი შეძლოს,
რომ ხსოვნა
ჟამის,
გადურჩეს წყვარამს!..

ო, რა ყოფილა ბავშვობის ეზო!..
ეჰ, რა ყოფილა
ბავშვობის ჭალა!..

25.07.07
მოსკოვი

* * *

მე პოეტი ვარ, მოვედი მიტომ,
            რომ მკითხველისთვის სიმართლე მეთქვა!..
და არავისგან არაფერს ვითხოვ,
ეს გული სანამ
ღონივრად ფეთქავს!..
მე პოეტი ვარ და ჩემი გზიდან,
            რომ გადამაგდოს ნურავინ ფიქრობს!..
ისევ უბერავს ქარები ზღვიდან,
რომ მოწოდების
სურვილმა იკლოს!..
მე არ მაშინებს გაღება მსხვერპლის,
            თუ დავეცემი დე, ყველამ ნახოს!..
გაიფანტება ეს ჩემი ფერფლი
დიდგორთან, ანდა
კრწანისის ახლოს !..

20.09.11
მოსკოვი

## მზეს

ოთხ-ნახევარ მილიარდ წელს ითვლი, მაინც შენი
შუქსიუხვის გვჯერა!
სიკვდილმა ვერ
დაგაკარა თითი
ცის სიღმრეში მოგუგუნეს ჯერაც!..

მოიხვიე პლანეტების წყება და სიცოცხლის
სალოცავად იშვი,
ვერაფერი ვერ
დაგაკლეს წლებმა,
სიკვდილმა ვერ შემოგბედა ქიში!

სილამაზის შენ სახატე გახდი და ნაპრალებს
გადუქროლე სივრცის,
შენ ხარ ჩვენი
სიყვარული ნაღდი,
აფერმკრთალებ ვარსკვლავების ციმციმს!

კვლავ აწოვებ სიყვარულით ძუძუს ჩემს პლანეტას
სილაჟვარდით სავსეს
და ღრუბლების
არად აგდებ ძუნძულს,
კვლავ იქროლე, არ შეჩერდე გზაზე!...

25.08.07
მოსკოვი

* * *

ჟამმა უღმერთომ სად არ მატარა,
ეს ოცი წელი წამებად მექცა !..
ო, რა ულმობლად მსდევდა სატანა
და ტანზე ყინვის!..
აბჯარი მეცვა.
დრო კი მიღრენდა ავი ძაღლივით
და დამეწეწა ოცნების აფრა!..
ვეღარ მოვთოკე ბედი აღვირით,
თუმც ჩავეჭიდე
ღონივრად ფაფარს!..
კვლავ მივარღვევდი სიბლანტეს ნისლის
და როგორც მნათე ვრეკავდი ზარებს!..
ვეცემოდი და ვდგებოდი ისევ,
ამ ნაფლოქვაზე
დინოზავრების!..
აქ ცა არასდროს იკარებს მერცხალს,
მხოლოდ ჩხავიან მედგრად ყვავები!..
და უკან მრჩება მოსკოვის ზეცა
ო, ყვავ-ყორნებით ანაყვავები!..

19.09.11
მოსკოვი

## დაწყვიტე სიმები მხურვალე!..

***„Прощай, любовь, прощай…”***
***Далида***

კაიროს ღარიბულ კვარტალში დარბოდი
პატარა გოგო!..
ცხოვრების მძიმე
წიგნს გადავშლით
და გვიკვირს – საიდან, როგორ?!
ასეთი ხანძარი ჰანგების, ო, როგორ
მოზღვავდა შენში?!
მოთხოვნით, განგების
გოგონამ
უმღერე სამყაროს შეშლილს!..
და ბოლოს მოგწყინდა საშინლად: ტრფიალიც,
სიმღერაც, როკვაც!
ო, სული დაცხრა
და დამშვიდდა,
თუ იგი ცხვორებამ მოკლა?!
ცურავდი შენ ცეცხლში ტრფიალის და გული
დაფერფლე ერთობ!
მოგბეზრდა ცხოვრება
ტიალი
და გასცდი საწუთროს ფერდობს.
დაწყვიტე სიმები მხურვალე, მინებდი
დუმილის კალთას,
სიმღერით ცას
გადაუარე...

იელვე სამოთხის კართან!..
მზე ტირის... ცრემლს ვეღარ იშორებს.
და მთვარეც —
სევდა რომ ანდე!..
იწამე სიშორე, სიშორე...
და გაჰყევ შორეულ ლანდებს!..

28.08.07
მოსკოვი

* * *

შენ სიურჩეს გაურბოდი მუდამ და ის მაინც
ველარ აირიდე!
დემონების მოგკიოდა გუნდი
და ჟამს ერთობ ჩამოგლიჯე რიდე!..
მდუმარების არაფერი გწამდა! ცხოვრებასთან დავას
ველარ მორჩი!
ეჰ, რამდენჯერ
შეეჯახე ავდარს
და რტოც ბევრი დაგელეწა ნორჩი!
შენ გარეშე ჩამუხლების მიხვალ, ბევრჯერ ბეწვის
გაიარე ხიდი,
ჟამმა მაინც ვერ გაქცია თიხად,
თუმც აგკიდა საუკუნის ტვირთი!..
დროის აღარ მოგდებია ქერჭლი, დღემდე ჟამის არ
მორჩილებ აღვირს!
ქარიშხალი კვლავ მოგკივის დაღლილს
და ნაისრიც გამჩნევია ბეჭზე!
შენ სიურჩეს გაურბოდი მუდამ და ის მაინც
ველარ აირიდე!
დემონების მოგკიოდა გუნდი,
თუმც ჟამს ერთობ
ჩამოგლიჯე რიდე!..

02.09.07
მოსკოვი

* * *

შენ მაქებრად დროს ვერ დაემგზავრე, არ გეჭირა
დუდუკი და სტვირი,
ვერ აჰყევი მის
მეხოტბე მგზავრებს
და ვერც გახდი ჟამის ოქროპირი!
უჩვეულოდ მოიკრიბე ძალა და მოზიდე
ჰერკულესის მშვილდი,
არ მინებდი ოხვრასა
და ვარამს
და არც დროის რისხვას შეუშინდი!
ბრძოლით ბევრჯერ დაგეღალა სული და მაინც კი
არ გატეხე ფიცი!
შენ იწამე ტანჯვის დასასრული
და უმღერე ვარსკვლავების ციმციმს!..
არ შემდრკალხარ შენ არც ერთი წამით,
და მოვარდნა ჟამის ბევრჯერ სძლიე,
მისტიროდი-მარაბდას
და კრწანისს,
დიდგორი კი გამხნევებდა ძლიერ!
შენ მაქებრად დროს ვერ დაემგზავრე, არ გეჭირა
დუდუკი და სტვირი,
ვერ აჰყევი მის
მეხოტბე მგზავრებს
და ვერც გახდი ჟამის ოქროპირი!

03.09.07
მოსკოვი

## როცა ჩამორეკავს!..

*დიდ იტალიელ მომღერალს —*
*— ლუჩიანო პავაროტის*

დროის ქარტეხილი ო, რა ურჩი არის!
ბევრჯერ უცნაურად
ცდება მბრძანებელიც!
ისეთ პედესტალზე შედექ ლუჩიანო,
გახდი სიკდილისთვის მიუკარებელი!
ხალხთა სიყვარული შენში აბელადე,
ხმაში ერთი სიმიც
აღარ გაგწყვეტია!
ტემბრის ჟღერადობით სივრცე აფერადე
და მე რასაც ვამბობ, –
მცირე ნაწყვეტია — იმ დიდ საოცრების
შენ, რომ ამოზიდე
სულის კოსმოსიდან
სიმთა ნეტარებით!.. და შენ იმზირები
სივრცის სიშორიდან,
არვინ გედარება, არვის ედარები!
დიდი მაესტრო ხარ, მაგ ხმით სანუკვარით,
ფეთქავს სილამაზე
ფერით მაჟორულით!..
მხოლოდ სიყვარულის, რწმენის დაუკარით!..
როცა ჩამორეკავს ზარი განშორების!..

07.09.07
მოსკოვი

* * *

მე მზის ხეივანს მოვყევი, მთვარის ბილიკით მივდივარ,
აწმყოდან-მომავლისაკენ, –
ერთი პატარა ხიდი ვარ!..
მე მზის ღიმილით მოვედი დღესასწაულზე ვარდობის,
მათრობდა რხევა რტოების,
რა მეთქმის გარდა მადლობის?!
მე მზის ხეივნით მოვედი და სიყვარული ვიწამე!..
როცა ჟამს გავცქერ გარდასულს, –
ლხინიც მახსოვს და სიმწარეც!..
მე მზის ხეივნით მოვედი, მთვარის ბილიკით მივდივარ,
აწმყოდან-მომავლისაკენ
ერთი პატარა ხიდი ვარ!..

24.09.07
მოსკოვი

* * *

რომ არ ვიყო მადლიერი თქვენი, არ იქნება
გონებავ და გულო!
დავალ კაცი ეჰ, რამდენის მთმენი,
დამაქვს ტრფობის
დიდი თაიგული!
დედამიწამ მეოცნებედ მშობა და მხილველი
ბევრი რამის გავხდი!..
ცა მიგზავნის სიშორიდან ნობათს,
მიტომ შემრჩა
გული ასე ნაღდი!..

03.10.07
მოსკოვი

* * *

არ გაექცე ჟამის რისხვას, არ შეჩერდე გზაზე,
სულის ზეცა იმედს ისხამს,
ეძებს სილამაზეს!..
გრძელ ღამეში მე ჩემს სევდას
მთვარის სხივით ვლამბავ...
და მიამბობს ღამის ჩიტი
ხვალინდელ დღის ამბავს!..

04.10.07
მოსკოვი

## მოხვევია შემოდგომის ნისლი

არასოდეს არ გწყალობდა ბედი, თუმცა ისევ
ტრფობის ცეცხლი გენთო!..
შენ გშველოდა ჩუმი ლოცვა დედის და ის
გზასაც გინათებდა ერთობ...
ვარსკვლავები იასამნის ფერი, ანათებდა
შენს ბავშვობის მინდორს!..
და მერცხლები ცას სერავდნენ ფრენით,
სულში რწმენის ირხეოდა ხვითო!..
ქარმა ისევ მძლავრად დაუბერა და ხეების
მძიმე ოხვრა ისმის!..
და ბავშვობის სიზმრებს ფერად-ფერადს
მოხვევია შემოდგომის ნისლი!..

06.10.07
ბანძა

# ფოთლები

გუშინ შრიალით იდუმალით ავსებდით სივრცეს,
დღეს რტოებიდან
ჩამოდიხართ მოთენთილები!..
ჩემში ეს გრძნობა აურაცხელ ტკივილებს იწვევს,
ირხევა ისევ ხეივანი
ნისლის ფთილებით...
გუშინ მავსებდით სიხარულით განუსაზღვრელით,
დღეს კი მიწაზე სილამაზე
უღონოდ ყრია!
დუმილი გახდა უკვე ჩემი სულის მსაზღვრელი
და მე გავცქერი სევდიანი,
ნისლების ყიალს...

13.10.07
მოსკოვი

* * *

დრო მიდის ურჩი და ის თანდათან
მიმცირებს ბრძოლის
რადიუს-ვექტორს!..
ნუთუ შეტევის ჟამი გათავდა
და გული ოხვრით
მიჰყვება ფერდობს!..
კაცი ჰამლეტის სულისკვეთებით –
ვებრძოდი მუდამ
ავთვალს და ბოროტს!..
საწუთროვ, მაინც მეიმედები,
თუმც უმოწყალოდ
დამამხობ ბოლოს!..

17.10.07
მოსკოვი

## დედის აჩრდილი

შემოიჭრები სიზმარში ხშირად, როდესაც ამ გულს
უზომოდ უჭირს!..
ისევ მიგყავარ მდინარის პირად,
რომ ცა მაჩვენო
ბავშვობის ლურჯი!..
ამ წუთისოფელს ცრუსა და ოხერს, რად მივაჩნივართ
უბრალო ლუკმად?
ვიცოდე, დედავ, საიდან მოხველ,
ან რომელი გზით
ბრუნდები უკან?!

18.10.07
მოსკოვი

* * *

მე ამ ცხოვრებას ცრუსა და მუხთალს
ვეღარ ვუპოვე
თავი და ბოლო!
ის ჩემს არსებას ტკივილით მუხტავს
და ჩასაქოლად
იმეტებს მხოლოდ!..
ვერ ვუპასუხე დარტყმაზე დარტყმით,
ო, ამ დემონებს
უზომოდ ვერავს!..
ჩადენილ ცოდვებს ვერავინ დათვლის
და მაინც ქვეყნად
სიკეთის მჯერა!..

19.10.07
მოსკოვი

* * *

მე ბოროტება იმდენი ვნახე, რომ საუბარი
კეთილზე მიჭირს!
და მიკვირს, რომ არ
დავკარგე სახე, —
ცუდის და კარგის გარჩევის ნიჭი!
ო, არ მსურს, მაგრამ შემომრჩა დღემდე,
ხსოვნა იმ დღეთა
უზომოდ მკაცრის!..
ზვირთებს მღელვარეს ამაოდ ვენდე,
რომელიც უკვე ძალ-ღონეს მაცლის!.
გზაჯვარედინზე ვბარბაცებ კაცი, ცხოვრება ისევ
ულმობლად მიტევს!..
საით წავიდე: მარჯვნივ,
თუ მარცხნივ? —
და ამ წამებას ვერ განვერიდე!

20.10.07
მოსკოვი

* * *

ყოველ არსს თავის ენა აქვს, თავის გრძნობა
და სიგნალი!..
მიექანება ცხოვრება
მთელი სიგრძით და სიგანით!..
ყველაფერს თავის ხიბლი აქვს, ო, ჩვენთვის
შეუცნობელი!..
რტოზე კვლავ გალობს ნიბლია
და მიდის წუთისოფელი!..

21.10.07
მოსკოვი

## როგორ იქნება?!

როგორ იქნება, რომ არ გიყვარდეს
ის ეზო, სადაც
ფეხი აიდგი!..
და დადიოდი მშვილდით, კაპარჭით
და ხმალ-ხანჯალით,
როგორც რაინდი!..
როგორ იქნება, რომ არ გიყვარდეს:
ის წყარო, ბორცვი
და ტყის ზღაპარი!..
მდინარის პირას
ქოხი პატარა,
შენი ბავშვობის თავშესაფარი?!
როგორ იქნება, რომ არ გიყვარდეს:
ო, ის მინდორი,
ჭალა, სათიბი...
სადაც გოგონა ცისფერთვალება
გიცქერდა ტრფობით ბაგენატიფი!
როგორ იქნება, რომ არ გახსოვდეს
შმაგი ჭენება
ჯოხის ცხენების...
და მათი მძლავრი
სუნთქვა-ფრუტუნით,
სივრცე უზომოდ
განახელები?!
როგორ იქნება, რომ არ გიყვარდეს:
ის წყარო, ბორცვი

და ტყის ზღაპარი!..
მდინარის პირას
ქოხი პატარა,
შენი ბავშვობის თავშესაფარი?!

25.10.07
მოსკოვი

* * *

ო, ეს სიკვდილი საიდან იშვა?
არავინ იცის,
ჩემო მანონი!
უშენოდ ყოფნა, არ ყოფნას ნიშნავს,
ყოფნა-არყოფნის
მკაცრი კანონით!
ჩვენ სიცოცხლისგან სიკვდილი გვთიშავს,
აქვს ყოველივეს
თავის პაროლი!..
ნატერფალიც არ შერჩება ქვიშას,
როდესაც ბორანს
დასძრავს ქარონი!..

26.10.07
მოსკოვი

* * *

დროო, სული აღარ ამიჯანყო,
თორემ იგი არ დაცხრება მერე!
სამუდამოდ მიატოვებს სამყოფს,
მარადიულ ქროლვას შეიფერებს...
ო, ყვავივით რას დამჩხავი, ბედო?
გულო, მე გთხოვ, აღარ აჰყვე განცდებს!
დროო, სული აღარ ამიმხედრო,
თორემ იგი ნამსხვრევებად გაქცევს!..

27.10.07
მოსკოვი

* * *

საით წავიდა ის ჟამი თოვლის
ფიფქივით სპეტაკი?!
მე კი ცხოვრებას
ვეტრფოდი
და ხელში შემრჩა სპექტაკლი,
ო, ათასგვარი ოინით
და უცნაური ხლართებით!..
იყო ორბების ბოინი
ჭიუხზე ღამენათევის!..
კუდიანების თარეშმა სოფელი
ბევრჯერ აიკლო!..
ცხადი იყო
თუ ზმანება? –
ვერ დავადგინე რა იყო?!

28.10.07
მოსკოვი

* * *

ჩიტები ბაღში დასტირიან ფოთლებს დაცვენილს,
ვდგავარ ბექობზე კაცი
ჟამით სევდანასვამი!..
მიწას დასცქერის შემოდგომის
მზე ალმაცერი,
მიდის მდინარე სიშორეში ღელვით, სავსავით...
მე მარტო ვდგავარ, უჩვეულოდ
გული ღონდება!..
შეირხევიან ფანტელები
ღრუბლის საცერით...
ზამთარი მოდის.... ქარის ფრთებით გვიახლოვდება,
მოაქვს ტკივილი მძაფრი,
თანაც აურაცხელი!..

30.10.07
მოსკოვი

* * *

ამდენ წამებას, დედამიწავ, ო, როგორ იტან?
ქამის გრიგალი კვლავ აკივლებს
ცისფერ სანახებს!..
შენი მოთქმისგან, ლამის არის იყვიროს რითმამ,
რომ სათაყვანო მკერდი
სისხლით აგიტალახეს!..
კაცობრიობას მკერდში უდევს მხოლოდ აბედი!
ო, მაგ სხეული, დედოფალო,
შხამით აგივსეს!..
გაჩენის დღიდან ბოროტების ნახვით დაბერდი,
შენი ბუნება ვერ იქნა
ვერ გაითავისეს!..

31.10.07
მოსკოვი

## Ო, ᲕᲘᲜ ᲓᲐᲡᲬᲧᲔᲕᲚᲐ?!

მხეცებსაც ძალუძთ, რომ მონახონ საერთო ენა,
კაცობრიობა ვინ დასწყევლა
ასე სასტიკად?!
ამბოხებული სისხლი ზვირთად აწყდება ვენას,
როცა მიწაზე ვხედავ ისევ
კვამლს და სვასტიკას!
ო, ეს პლანეტა ვინ აქცია ძვლების მაღაროდ?!
არის წამება, არის
ჩეხვა დაუნდობელი!..
ამ ცოდვილ სულებს შენ შეუნდე, ღმერთო მაღალო!
და არ არგუნო ახალშობილს
ბედი მშობელის!

01.11.07
მოსკოვი

## თეთრი ტირიფი

სამასი წლის  ხარ შენ, ბებერო ხეო, ტირიფის!
სამასმა წელმა ჩაიარა
ხმაურით, თქეშით!..
გიტევდა ჟამი დაუნდობლად, – მზერა ირიბი,
იდექ ამაყად, – არა როგორც
ცოცხალი ლეში!
სამასმა წელმა ვერ გაქცია, ხეო, არარად,
ბევრჯერ ავდარი ულმობელი
გეკვეთა ზათქით!..
მძლავრი რტოებით
ლაჟვარდისკენ შეჰკარ კამარა
და მესამასედ გადაიგდე
უღელი ზამთრის!..
შენ არ ნებდები, ხეო, დროის უდაბურებას,
უიმედობის არ ყოფილხარ
არასდროს მსხვერპლი!.
მაგ შემართებით
იამაყებს დედა ბუნება,
არც კი განაღვლებს, თუ ოდესმე იქცევი ფერფლად!..
სამასი წლის ხარ შენ, ბებერო ხეო ტირიფის!
სამასმა წელმა ჩაიარა
ხმაურით, თქეშით!..
გიტევდა ჟამი დაუნდობლად,
მზერა ირიბი,
იდექ ამაყად, არა როგორც ცოცხალი ლეში.

10.11.07 მოსკოვი

## ვერ შეაჩერე დროის ქანქარა!

*სიცოცხლის მიწურულს ვაიმარელი ბრძენი,*
*თავის საყვარელ ძველ ციხე-კოშკზე*
*ავიდა და იქიდან ცრემლიანი თვალებით*
*გადასცქეროდა ბავშვობისა და ყრმობის*
*სათაყვანო ადგილებს!*

*„გოეთეს ცხოვრების რომანი“*
*კონსტანტინე გამსახურდია*

რამ აგაცრემლა ღვთაებრივი ჩანგის მსახური!
როცა უძველეს და სანუკვარ
კოშკზე ახვედი?
და ერთხელ კიდევ,
ერთხელ კიდევ მოინახულე,
ო, შენი ყრმობის საოცარი გადასახედი!....
რამ აგატირა, ო, რა ძალამ, ბრძენო, ამგვარად?
როცა კოშკიდან გასცქეროდი
ყრმობის მინდორ-ველს?!
ვერ შეაჩერე შეძახილით
დროის ქანქარა
და მთელ სამყაროს
ქუდმოხდილი დაემშვიდობე!..

14.11.07
მოსკოვი

* * *

ძვირფასო! შენგან შორსა ვარ ახლა
და უშენობას
                    ვერ უძლებს გული!
მიდის ცხოვრება,
ტალღა ცვლის ტალღას
და თვალებს აღარ ედება რული!..
ორი ვარსკვლავი ინთება მაღლა,
იქ, სადაც მეფობს
                    სიმშვიდე სრული!..
სიშორეს ო, რა
ტკივილი ახლავს!
და დამიწყვიტა სიმები სულის!

19.11.07
მოსკოვი

## სიზმარი

სიშორე ტრფობას აძლიერებს და ყრმობის ფერებს,
წუხელ სიზმარში
ყმაწვილობის მინდვრები ვნახე!..
და ჩემი სოფლის მიდიოდა ხმაურით ღელე,
ვუცქერდი რტოებს ყვავილოვანს,
ნიავით ნარხევს!...
ცა ანგელოზთა ფრთებით იყო გადახურული
და აღტაცებით დამიბრუნა
ნანახმა ყრმობა!..
ბექობზე მარტო იდგა მუხა,
როგორც ქურუმი,
და კითხულობდა ჰოროსკოპით
ვარსკვლავთა წყობას!..

20.11.07
მოსკოვი

* * *

*მ — ს*

როგორც რაინდი დაუნდობლად ეკვეთე ვეშაპს,
მსოფლიო გზებზე არ გივლია
ვედრებით, მოთქმით!
არ მოგეშვება, თუკი
აღარ აქციე ლეშად,
შენ მამაცი ხარ, ნაღდად დიდი გიორგის მოდგმის!..
იმედად ერის მოევლინე
ქვეყანას კაცი,
ო, ამოზრდილი
დავითის და თამარის ფესვით!..
და ბრძოლის ველზე არც კი იცი
რა არის მარცხი,
ერის დიდების სადღეგრძელო
ბოლომდე შესვი!..
მაგ შემართებას შეაჩერებს ამ გზაზე ვერვინ,
თუმც ოკეანე, ავბედითად
ბობოქრობს ირგვლივ!..
შენი სახელი საუკუნოდ
გაჰყვება მერმისს
და ერი თავზე უკვდავების
დაგადგამს გვირგვინს!

22.11.07

მოსკოვი

## ჩემი ბაღი

რად გახდა ასე ჩემი ბაღი რუხი და ცივი?
ვინ ახმაურებს ამ
ვეება ზეცის კიდობანს?
ვერ უძლებს სული ჩიტუნების გულსაკლავ წივილს!
ვერ იქნა, იგი
ვერ გაექცა უამინდობას!
გავცქერი ხეებს გამოფიტულს, გრძნობისგან დაცლილს!
ცრემლი მერევა და
ეს გული ვერ მალავს ტკივილს!
ისევ აწყდება შიშველ ხეებს ქარები მკაცრი
და ჩემი ბაღი უცნაური
წამებით კივის!..

28.11.07
ბანძა

* * *

მე შენს ბილიკზე უკანასკნელ ნაბიჯებს ვითვლი,
სანამდის ძალმიძს, მხოლოდ
ტრფობას ავუნთებ სანთელს!..
სანამდის ტანზე მომედება ხავსი და ფითრი,
ჩამოვკრავ ზარებს გამარჯვების,
ერთგული მნათე!..
რა ვუყოთ მერე, თუ ბუნება ხშირად გულუხვი,
მისგან ნაბოძებ სილამაზეს
უკანვე მართმევს?!
მე შენს ბილიკზე უკანასკნელ ნაბიჯებს ვითვლი,
სანამდის ძალმიძს,
მხოლოდ ტრფობას
ავუნთებ სანთელს!..

28.11.07
მოსკოვი

# ციცერონი

*ბედისწერა ყოვლისშემძლე არარაობაა,*
*მას, მის წინაშე ჩამუხლულები მიჰყავს,*
*ხოლო, ჩაუმუხლელებს მიათრევს.*
*სენეკა*

მარკუს ტულიუს! ულმერთობის სულაც არ მიკვირს!
როცა ამ მიწას ეუფლება რუხი ქაოსი!..
ბრძენს და ოქროპირს თავზე უნდა ადგამდნენ გვირგვინს
და შენ ტახტრევნით
მიგიყვანეს სასაკლაოზე!..
უკანონობა, რადგან უკვე, კანონად იქცა!
ხმელეთს კი არა, წყალსაც
უნდა მოედოს ცეცხლი!..
რად არ გადიქცა ნამსხვრევებად ბებერი მიწა,
ო, როცა ქრისტე გაიყიდა
ოცდაათ ვერცხლად?!
რა სიშორიდან მოდის ახლა შენი ხმის ექო?
მაგრამ რად გინდა, —
მიაყარე კედელზე ცერცვი!..
რწმენის ზარებმა განუწყვეტლივ, რაც უნდა რეკონ!
ო, ამ მიწაზე ბოროტებას
ვერავინ შეცვლის!
მარკუს ტულიუს! ულმერთობის სულაც არ მიკვირს!
როცა ამ მიწას ეუფლება რუხი ქაოსი!..
ბრძენს და ოქროპირს თავზე უნდა ადგამდნენ გვირგვინს
და შენ ტახტრევნით მიგიყვანეს სასაკლაოზე!..

07.12.07
მოსკოვი

# თოვლის მორევში

აქ იდგა ჩემი ცისფერი სახლი
ზამთრის ქარბუქში, თოვლში მუხლამდე!..
და ირხეოდნენ გაძარცული ხეები ბაღის,
ამოდიოდა რუხი ფერის
კვამლი ბუხრიდან...
ისევ მომივლის არაერთხელ სურვილი ნახვის
და გული მტკივა,
რომ ის გახდა უკვე ყოფილი !..
მე მახსოვს ჩემი ცისფერი სახლი,
ირგვლივ ვერცხლისფერ
ლოლოებით შემოღობილი.
თოვლის ხავედზე აღტაცებით გავრბოდი ბავშვი
და მე საკენკი გამომქონდა
ჩიტების თხოვნით !
ვდგავარ და გავცქერ ყოველივეს დარღვეულს, დაშლილს
და მე ვიხსენებ
იმ ცისფერ სახლს
მორევში თოვლის!..

10.02.10
ბანძა

## გულს!

არ გაქცევიხარ არასოდეს ღელვას, კვეთებას!
იყავ ერთგული და
ბრძოლაში შეუპოვარი!..
საითაც მივალ, მხოლოდ შენი ცეცხლი მედება
და მაპოვნინე, მეგობარო,
გზა უპოვარი!
იტვირთე სევდა და ტკივილი მთების ოდენა!..
დღემდე ვერ შევძელ
დამეწერა შენზე ბალადა!
თუ ჩაიმუხლე სადმე გზაზე მოულოდნელად,
არ ჩაგეთვლება, მეგობარო,
იგი ღალატად!

14.12.07
მოსკოვი

* * *

ჩვენ მივდიოდით ქუჩაში ორი ო, ანთებულნი
ფარული გრძნობით!..
ფეთქავდა სირვცე ზამბახისფერი
და გავცქეროდით მიდამოს ტრფობით...
სახურავიდან ფაფუკი თოვლი ჩამოგვეშალა
ორივეს თავზე
და უჩვეულო ვიგრძენით თრთოლვა
თოვლის ფანტელის სინაზით სავსე!..
და ორი მტრედი შრიალით ფრთების გაუჩინარდა
თებერვლის ცაში...
ჩვენ მოგონებით ო, ახლაც ვთვრებით
და დღემდე თოვლი შემოგვრჩა თმაში!..

15.02.07
მოსკოვი

* * *

ზღვის იმ ნაპირზე, მეგობრებო, ვერასდროს მოვალთ!
ვერც ლამაზები გვეწვევიან
ღიმილ-სიცილით!
ო, იმ ანძებმა სიბერისგან დაიწყეს ტყდომა,
ის ჟამიც გაქრა
მოჭიხვინე თეთრი კვიცივით!..
მივდივარ გზაზე და რამდენი მიმაქვს ტკივილი!..
რუხი ნისლები ირხევიან
ველზე ბორცვებად,
სანამდე ვზიდო, მეგობარო, ეს სიმძიმილი
და სამუდამოდ სხივჩამქრალი
ო, ეს ოცნება?!

01.01.08
მოსკოვი

## რად მომენატრა?

რად მომენატრა გაზაფხულის წვიმა შხაპუნა
და მთვარიანში მოშრიალე
                                    ლურჯი ყანები?
კერასთან ჯდომა
მეგობრებთან მამაპაპურად
და ოჯალეშის ღვინო მარად სათაყვანები!
რად მომენატრა მდინარის პირს
                                    ჯდომა ჩინართან
და ჰორიზონტზე
ჩუმი რხევა
                                    ლურჯი ხავერდის...
ჩემი ბავშვობის წლები სადღაც გაუჩინარდა
და ვერც გავიგე, მეგობარო,
ისე დავბერდი!

02.01.08
მოსკოვი

* * *

დროო, შენ ასე უჩვეულოდ საითკენ ილტვი?
ვერ იქნა, პირზე ვერ ამოგდე
რკინის ლაგამი!
ვაწყდები სივრცეს დღენიადაგ
დაღლილი ფიქრით,
მეცლება თვალწინ
რღვევა-დაშლით ტრფობის საგანი!
ნუთუ ბუნება ყოველივეს აუფასურებს
და დღეს არსებულს,
ხვალ ერქმევა უკვე ყოფილი?!
ეტრფის სინორჩეს და იშორებს
ის მზეგადასულს,
ნახე, განდეგილს დაამსგავსა კეთილშობილი!

03.01.08
მოსკოვი

## მეტროპოლიტენის ფონზე

თქვენ ამოდიხართ და ჩვენ ჩავდივართ,
დიალექტიკის
ვმორჩილებთ კანონს!..
მიდის ცხოვრება, რომ ვთქვათ მარტივად,
გული, ტკივილი,
არ გაიკარო!
ო, სულ ცოტა ხნით ვფეთქავთ, ვანთივართ,
ხან ვიცრემლებით!..
ხან კიდევ ვხარობთ!..
თქვენ ამოდიხართ და ჩვენ ჩავდივართ,
კვლავ განახლების
იქროლე ქარო!..

06.01.06
მოსკოვი

* * *

*სულდიდ ქმნილებას არ შეშვენის*
*ის, რომ იტანჯოს!*
*შექსპირი*

ამდენი ტანჯვა-ვაება სანამდე უნდა ეზიდა?!
დატოვა ხსოვნა!
კაცურად გავიდა ასპარეზიდან!..
გაცლა არჩია თანხმობას,
წაიღო ტრფობა მარადად
და ვარსკვლავების მახლობლად,
სადღაც, შორს დაიბანაკა!..

15.01.08
მოსკოვი

* * *

ისევ მიზიდავს ფერთა მრავლობა,
წყალს ველარ მიაქვს
ოქროს ქვიშანი!
და ლექსი რჩება შთამომავლობას
მხოლოდ პოეტის
ხმა უშიშარი!

20.01.08
მოსკოვი

## ჩემი ბერჩიტა!

მე მიყვარს მხოლოდ თოვლი თებერვლის
და ფანტელები
                    დიდრონ-დიდრონნი!..
და თოვლში მდგარი მუხა ბებერი,
ჩემი ბავშვობის
თეთრი მინდორი...
ვიხსენებ ისევ ჩემს კარ-მიდამოს,
სულში იჭრება
                    სევდის სინდრომი!..
ქამთან სინამდის უნდა ვიდავო,
რომ მოვიშორო
უამინდობა?!
სხივი გულს სწვდება ხსოვნის ბეჭდიდან
და ისევ მწყალობს
                    დღემდე ლოგოსი!..
კვლავ მენატრება ჩემი ბერჩიტა, –
ეს ჩიტთა შორის
ფილოსოფოსი!

30.01.08
მოსკოვი

* * *

ამ ბოროტებას რა უნდა ერქვას?
როცა ურჩხულმა
ერთობ დამტორა!..
როცა ერთბაშად მოვარდა დელგმა
და დასაღუპად
გამიმარტოვა!..
ეს გული ისევ ძალუმად ფეთქავს
და არ ვმორჩილებ
დროის ნაბოდვარს!
ჟამს ერთხელ კიდევ შევუტევ მედგრად,
მერე მაქციოს
თუნდაც ნაფოტად!..

08.02.08
მოსკოვი

# ჩიტი

გაზაფხულის საგალობელს ამბობ,
ატმის რტოზე
შემოჯდარო, ჩიტო!
სიყვარულით მზეს უგზავნი ამბორს,
რომ ფერებით
ბალი მოგიჩითოს!..
სივრცეს ისევ თოვლის ქურქი მოსავს
და ფანტელებს
ქარი თავზე გაყრის!..
საიდან გრძნობ გაზაფხულის მოსვლას,
რომ ჟღურტულით
ამიყვავე ბალი?!

20.02.08
ბანძა

* * *

მთებს გავცქერ მაღალმხრებიანს,
ვიშორებთ თოვლის შრიალს!
ო, რა ჟივჟივით ხვდებიან
ჩიტები მარტის დილას!..
მზე გასცდა ზამთრის ორღობეს,
ხეები მშვიდად დგანან!..
სადღაც იყივლა ხოხობმა,
მოდის ლამაზი ხანა!..

01.03.08
ბანძა

* * *

შენი თვალები საიდუმლოს რად მიმალავენ?
ღრმად გაცქერდები,
მაგრამ იგი ვერ ამიხსნია!
ისევ გადმოდის გაზაფხული ჩემთან ალავერდს
და მივსებს ისევ ალტაცებით
ამ გულს ნისლიანს!..
ჩამოვიშორე გზიდან ბევრჯერ სიმუხთლე ჟამის
და ჩემზე მაინც
საუკუნემ შური იძია!..
მე შევღაღადებ ვარსკვლავებით დაცხრილულ ღამეს,
შენი ტრფიალით ანთებული,
ჩემო ძიძია!

07.04.08
მოსკოვი

* * *

შენს გამოჩენას ველოდი, დრო
მიდიოდა სავსავით,
მთები მოჩანდა მელოტი
და სივცრე სევდანასვამი!..
სულს მხოლოდ რწმენა შველოდა და იგი
კვლავაც მხნედ არის!
შენს გამოჩენას ველოდი
ბრძოლით დაღლილი მხედარი!
ჩიტი თებერვლის გალობდა და მეც
სიმღერა მომინდა!
გულს შენკენ მიუხაროდა
და გზაფხულიც მოვიდა!..

10.04.08
მოსკოვი

## სიცოცხლის თვალები

რატომ დასცვივდა ფურცლები ვარდის,
გული კვლავ რამდენ
                    სატკივარს მალავს!..
მე მწუხარების ცრემლები დამსდის,
როცა გაზაფხულს
ეცლება ძალა!
დროის დინებას რა სწარაფად მიაქვს
ო, ეს ზღაპრული სილამაზე, —
                    არა აქვს რიდი!
სიცოცხლეს რჩება თვალები ღია,
როცა ის
წუთისოფლიდან მიდის!..

04.06.08
მოსკოვი

* * *

როცა ცხოვრების ასპარეზს ვტოვებთ,
თვალები მზის შუქს
კვლავ ვეღარ დალევს!
ვერც სიო დილის დაგვირხევს რტოებს,
საყვარელ ხელის
ვერ ვიგრძნობთ ალერსს!
ამ ცას და მიწას ვერასდროს ვნახავთ,
ვერც ბახს მოვისმენთ
და ვეღარც რაველს!
სულო, მითხარი, საითკენ წახვალ,
ო, როცა გაშლის იალქნებს ნავი!

09.06.08
მოსკოვი

## თოვლის ნაფეხურები

გაზაფხულმა ფრთების გაშლა ინება,
ბაღში ისევ
აჩურჩულდნენ ხეები!..
თოვლი უხმოდ სადღაც მედინება,
და ქარი ქრის
სივრცით განახელები!..
მზე ამოდის და მე ბაღში მარტო ვარ
და იღვრება ციდან
შუქი ულევი!..
თოვლმა ბაღი, რა უეცრად დატოვა,
დარჩა მხოლოდ
თეთრი ნაფეხურები!

10.08.08
მოსკოვი

## ჩამოიქროლე დროზე!

ისე არ დამაუძლურო მაკრთობდეს შიში დღეთა,
ისე არ დამაუძლურო,
ვერ ვგრძნობდე სოფლის სევდას!
ისე არ დამაუძლურო, რომ ვსძულდე ცას და ხმელეთს,
ფეხზე ხუნდს ნუღარ დამადებ
და ნუ შემიკრავ ხელებს!
ისე არ დამაუძლურო, რომ დამავიწყდეს მოძმე,
ფერიცვალების ქარო,
ჩამოიქროლე დროზე!

31.08.08
მოსკოვი

* * *

დგას ქარვისფერი რხევა მტევნების,
მინდვრად შრიალებს ჩალა...
კვლავ სიყვარულით ავედევნები
ჩემს ხეივნებს
და ჭალას...
მე აქ ყველაფერს თავზე ვევლები,
გული ვერ მალავს ვარამს...
და ცის სიღრმიდან ღამის მთევლები,
კვლავ შუქს
აღვრიან ყანას!..
და შემოდგომის ქარებს თავნებას,
მოაქვთ ტკივილი თანა!..
მე სიყვარულით მივესალმები,
ჩემს ალვის
ხეებს ტანადს !

26.10.10
ბანძა



# სურათები

* * *

ვიხსენებ იმ დროს და მე გრძნობას ვეღარ ვერევი,
შენ თრთოდი, როგორც გაზაფხულის თეთრი ასული!..
ვიყავი მოწმე ქვეყნად შენი ბედნიერების
და ყველაფერი წამიერად როგორ დასრულდა?!

მაგ ნორჩ ბაგეზე ვარდფურცლობის დაჭკნა ყვავილი,
შენში ყოველი ბედისწერის ზღვართან მისულა!
ცის ლამაზ ფონზე ყვავ-ყორნებმა გადიჩხავილეს
და ლურჯ ხავერდზე გარდასულის ლანდი მიცურავს!..

მას შემდეგ გულმა დღემდე ვეღარ გაიზაფხულა,
მოდის დაისი უცნაურად ნაფერმკრთალები!
ბედმა ულმობლად ყველა შენი გზები დახურა
და უჩვეულოდ ცრემლიანი შეგრჩა თვალები!..

ვინ მოგისაჯა ასე უღვთოდ სულის ობლობა?
ან რა ვუწოდოთ ბედის ამგვარ დაუნდობლობას?!

10.05.64
ბანძა

* * *

მე ის დღეები სიკვდილამდე მემახსოვრება,
დავხეტიალობ ბილიკებზე, როგორც ყარიბი!..
უკვე დაიწყო ფოთოლცვენა ჩემი ცხოვრების
და მე შემომრჩა უშენობით სივრცე ღარიბი!..

შეხედე ვარსკვლავს, ცაზე როგორ მიდის ციმციმით,
იქნებ, ეგ შუქი მაგ თვალების ათინათია?!
ახლა მარტო ვარ, მწარედ ვიგრძენ ჟამის სიცივე,
სული ვერ უძლებს უშენობას, ჩემო ნათია!

ყივის მამალი, ჟამთა სვლის ეს მესაიდუმლე
და სანახები გამიძარცვეს ულვთოდ ქარებმა!..
დროის ტალღაზე დღე ქანაობს, როგორც ფიტული
და ყველაფერი თითქოს სადღაც მიექანება!..

მე ზღვასთან ვდგავარ, ზღვა ხმაურობს ფაფარაშლილი,
ისევ მოდის და მეფერება შენი აჩრდილი!..

14.07.65
სოხუმი

* * *

შავი ზღვა იყო იმ საღამოს საოცრად ლურჯი,
ამ შეღამებამ, მეგობარო, რამდენი გვითხრა!..
მზე ჩამავალი ცის გუმბათებს ხატავდა ფუნჯით,
ჩვენ კი ნაპირზე ვჩურჩულებდით, ძვირფასო, დიდხანს!..

შემოდიოდნენ ხომალდები ბღავილით პორტში
და შეღამება ქლიავისფერ იალქნებს შლიდა!..
ჩვენს ზემოთ პალმის ირხეოდა ლამაზი ტოტი,
და მიცურავდა მთვარე ისევ სივრცეში მშვიდად...

შორს, ვარსკვლავები სიყვარულით ახელდნენ თვალებს
და მთის კალთებზე გამჭვირვალე ნისლი ეფინა...
კვლავ მიდიოდა ქვეყნად ბევრის მნახველი მთვარე,
ჩამოიქროლა ლურჯი ფრთებით მთიდან ზეფირმა...

ო, ის საღამო, რომ არ იქცეს დროის ტარიგად,
იგი, ამ ლექსმა საბოლოოდ დაათარიღა!

14.05.72
სოხუმი

* * *

გაფრინდა ო, ის ყრმობის წლები სისწრაფით ელვის,
გული კვლავ ღელავს ჭაბუკური ცეცხლის მოდებით!..
მოდიხარ ზღვასთან, სადაც უკვე არავინ გელის,
მაგრამ გარდასულს მთელი გრძნობით უახლოვდები!..

მოცურავს ისევ ხეივანში სექტემბრის მთვარე,
ნიავი თრთოლვით გადაუვლის ფერმკრთალ ფშიარებს...
აქ, ღამე ისევ ახამხამებს იისფერ თვალებს
და ირგვლივ მხოლოდ ფოთოლცვენა დადის შრიალით!..

ვის ეძებ ახლა ფეხაკრეფით მავალი მგზავრი,
ო, როცა უკვე ჰორიზონტზე არავინ არ ჩანს?!
ეს მეთორმეტედ რეკავს უკვე საათის ზარი
და ქარი ისევ აშრიალებს ქარვისფერ ფარჩას...

შენ კი ამაოდ ეჭიდები დრო-ჟამის ფაფარს,
წავიდა ის დროს და ზღვა ვრცელი გაცურა აფრამ!..

28.09.72
სოხუმი

* * *

ო, როგორ სწრაფად ჩაიქროლეს წლებმა ბავშვობის,
და შეწყდა ჩვენი ჟრიამული ჟამის წინარე!
შეხედე ფოთლებს, მზის სხივებზე რომ თამაშობენ,
ფრთები ქარიშხლის რა უეცრად აუჩინარებს?!

ქარმა გაჰფანტა ვარდფურცლობის ნაზი სურნელი
და ატმის რტოზე მაფშალიას შეწყდა გალობა!
მე შემრჩა მხოლოდ ტკივილები განუკურნელი,
ნუთუ ეს არის, რომ ვეძახით გარდუვალობას?!

მზე მუქ ქსოვილში იძირება შემოღამების
და მეწამული შუქით კოცნის ზეცის საფირონს...
ჩემი ბილიკი მე გავლიე ღელვით, წამებით,
შეუერთდება ჩემი სული ცას უნაპიროს...

თუ ერთი ლექსიც შემოტევას გაუძლებს ჟამის,
გადამილახავს დავიწყების მდინარე შავი!..

22.07.75
ბანძა

* * *

მოდის კივილით ქარიშხალი ისევ ტრამალის,
გადავერჩვიე, მაგ შენს ჩურჩულს, ჩემო ზეფირო!
მზე კი აწყდება მაღალ მწვერვალს ამომავალი,
რომ შემდეგ მთა-ბარს აღტაცებით შემოეფინოს!..

სული გაარღვევს ჟამს უდაბურს და თან საშინელს,
რომ შეიყვაროს საუკუნოდ ცა უნაპირო!...
ჩემო ძვირფასო, დრო განგაშით ნუღარ გაშინებს
და ულმობელი ეს სისინიც ბნელში ვამპირის!..

გაუთავებელ მწუხარებას გული ვერ იტანს,
ვერც დიდხანს ყოფნას ამ მიწაზე განმარტოებით!
შენთან შეხვედრამ კვლავ აღმანთო, ჩემო მელიტა,
და გაზაფხულის აშრიალდნენ სულში რტოები!..

ეგ შენი თრთოლვა სილამაზით ასე საჩინო,
თუ არა ტრფობამ, სხვა რამ უნდა გადაარჩინოს?!

22.01.76
ბანძა

* * *

*სამამულო ომის ორდენის ორგზის კავალერის*
*არსენ დარჯანიას ხსოვნას!*

შენზე ძვირფასი, მეგობარო, მყავდა არავინ
და მაგ თვალებში ბევრჯერ ჩუმი ცრემლი მინახავს!..
შავი მდინარე ბობოქარი და შემზარავი
მღვრიე ღამეში მარტოდმარტო გადაგილახავს!

ახლა, როდესაც მომეძალა წლები ვერაგი,
თუმც არ ხარ, მაგრამ, შენი ნაღდი მზერა მდარაჯობს!..
მე მეჩვენება სისხლიანი თეთრი პერანგი
და ბრძოლის ველზე დაგლეჯილი შავი ფარაჯა!

შენი თვალების საოცარი გამონათება
წკვარამ ღამეში მოგანგაშე სივრცეს გააპობს!..
დაიღვენთება შენი სულის თეთრი სანთელი
და მიღმეთიდან სიცოცხლისკენ გაჭრის კალაპოტს...

შენ კაცი იყავ და კაცური გზებით იარე,
მაგ შენს კაცობას მხოლოდ ლექსით შევეხმიანე!..

30.09.81
სოხუმი

* * *

როგორ მათრობდა თეთრი შუქი შენი ღაწვების,
როცა სივრცეში გაზაფხულის იდგა სინაზე!..
სადღაც, შორს დარჩა ის დღეები ზღვა ალტაცებით
და იმ ბავშვობის ნატერფალი ქამის სილაზე!..

ცრემლის წვეთებში ილანდება ჩემი წარსული,
შენთან შეხვედრა, ვიცი, ახლაც დამაიმედებს!..
ო, ის დღეები, ნეტავ, რომელ გზებით წასულან,
ჩვენ, რომ ოდესღაც სიყვარულის თვალით მივენდეთ?!

ქარმა დაფხრიწა აფრა ჩემი ყმაწვილკაცობის,
ვერ იქნა, სწრაფვა ყოფას ველარ მივუსადაგე!
როცა ვიგრძენი გადაღლილმა სულის დაცხრომა,
ჟამმა ხელიდან გამომტაცა ყველა სადავე!..

დრო მიდის სადღაც და არ ვიცი, რას ვემართლები?
ოღონდ ამას ვთხოვ, არ ჩამიქროს სულის სანთლები!

15.08.83
სოხუმი

* * *

შენ არ გივლია გათელილი გზებით მიწაზე,
არც ისე ჩუმად, როგორც დადის ლანდი მავანის!..
შენი ღიმილი და ლამაზი თრთოლვა ვიწამე
და ვარსკვლავებით მოქარგული ზეცის თავანი...

თვალს მიეფარა საოცარი წლები ბავშვობის
და ჭაბუკობის მოქათქათე აფრა გაშალე!..
იყავ, ძვირფასო, ზეცის მკვიდრი, მიწის ნაშობი,
გააპე ზვირთი და გამოღმა კვალი წაშალე!

შეები სივრცეს, ბედისწერამ ასე ინება
და სამუდამოდ მიწიერი გზები დახურე...
შორს, უგზო-უკვლოდ შენი სული მიეფინება
და მე კი ტანჯვა უსაშველო დავიმსახურე!..

შენ წახველ სულო, შეუერთდი სივრცეს უჩუმესს,
აქ, შენს ბილიკზე გაზაფხულის ქარი ჩურჩულებს!..

22.10.85
სოხუმი

* * *

ვერ უძლებს სული ფარულ ოხვრას შემოღამების
და ტკვილებმა ჩემი გული მწარედ დასერა!..
არ ვიცი, რატომ მომისაჯა ღმერთმა წამება
და ძველ სანახებს ცრემლის წვიმით რატომ ვასველებ?!

მეგონა ის დრო ფოთოლცვენის გაჰყვა მდინარეს
და ვერ გაუძლო ჟამის უღვთო ცვალებადობას!
განვშორდით ერთურთს, განშორების ცრემლით ვინამეთ,
მაგრამ სიყვარულს არ სცოდნია თურმე დანდობა!

მე რა ვიცოდი, სულის ღველფში ცეცხლს რომ ვმალავდი,
დროის დინებით თურმე იგი არ დაიძლევა!
ფერს იცვლის ხშირად, მაგრამ გულში რჩება მარადის
და ვულკანივით კვლავ სცოდნია გამოღვიძება!..

რადგან ყვავილი ჩემში ტრფობის მარად მზიანობს,
ის ზამთრის სუსხმა აღარ მინდა დააზიანოს!

10.12.87
სოხუმი

* * *

რა ვქნა უშენოდ, სამზეოზე ახლა მარტო ვარ
და ორღობეებს მივსდევ სივრცე შემოძარცული!..
დრომ შენთან ყოფნა, საყვარელო, აღარ მადროვა
და ჩემში ჟამის შავი ნისლი ისევ დაცურავს..

ვიცი, ამ ქვეყნად საზეიმოდ არ გავჩენილვარ,
თუმცა, ძვირფასო, შენთან ყოფნა დიდხანს მეწადა!
უშენოდ ახლა, ერთი მითხარ რა დამრჩენია? –
შავი ფრინველი ბედისწერის გამომეცხადა!..

ჩემი ხომალდის ზღვის გრიგალში ტყდება ანძები,
აჰა, საცაა, ალბათ კიდეც ჩაიძირება!..
მზე გაზაფხულის შეიმოსა ჩემთვის ძაძებით,
რა ვქნა, ძვირფასო, ბედისწერამ ასე ინება!

თუ ზღვის სიღრმეში დაინთქმება ჩემი სხეული,
სული ზეცისკენ ფრთოლვით წავა სხივშეფრქვეული!..

27.06.88
სოხუმი

* * *

ქუჩაბანდებში ვხეტიალობ თვალცრემლიანი!..
ვინ შემაჩვია ჩურჩულსა და განმარტოებას?
გავცქერი სივრცეს,ვარსკვლავების მოჩანს ცხრიანი
და გულს ტკივილის უსაშველო ღამე მოება!..

ჩვენ ბედისწერამ უჩვეულო გზებით გვატარა,
რასაც აქ ვხედავთ, ჟამის ზვირთით გაითელება!..
ღამით ფრთებს თრთოლვით გვაფარებდა დედა პატარებს
და ჩვენ ვხვდებოდით ჟრიამულით დღის გათენებას!..

მახსოვს, ღამეში უჩვეულო შენი ქვითინი,
სიკვდილის ლანდის შემაზრზენი თვალის ცეცება...
ვიცი, ეს ხსოვნა შემორჩება ამ ლექსს მითივით,
ჩემი სხეული, როცა ქარში დაილეწება!

მოვა ჟამი და ყველაფერი გაიფანტება,
მაინც ლექსს ვანდე სიყვარულით შენი ხატება!..

18.07.88
ბანძა

* * *

სიკვდილს ათასჯერ გავაშიშვლებ, სანამდის იგი
აზავთებული მთელი ძალით გადმოვა ჩემზე!..
მე თავზე დაფნის სამუდამოდ დავიდგამ გვირგვინს
და მარჯანივით ასაფრენად შევდგები ცერზე!..

რას დამაკლებენ დემონები ისრების ტყორცნით,
კვლავ ვერსაოდეს ვეღარ მოვალ ამ ბაღის კართან!
ამოიზრდება, სადმე, ველზე ცისფერი ბორცვი
და ცა დუმილით დამაფარებს ცრემლიან კალთას.

ხსოვნა ფრთებს გაშლის, შეერევა ცისფერ ნათებას
და გახუნებულს მოიშორებს სამოსელს ერთობ!
ტანზე ფერები ვარდფურცლობის შემომადნება
რომ სული მხოლოდ სიყვარულის სიმბოლოდ ენთოს!..

ვეთაყვანები, საყვარელო, მე იმ მაისებს,
ვდგავარ ზღვის პირას და ირხევა ცა მოდაისე...

24.08.88
სოხუმი

* * *

ისევ ირხევა მდინარესთან ალვა ტანადი,
შენთან შეხვედრა, ჩემო მერი, როგორ მომინდა!
შენ, ცაო ჩემო, ნუთუ ისე დაპატარავდი,
რომ ხელმეორედ აღტაცებას ვეღარ მომიტან!

ო, აწი ვინღა დამიბრუნებს იმ ფერებს ცინცხალს,
მომიახლოვდი, რატომ დუმხარ, ღამის აჩრდილო!
ჩემო ოცნებავ, სიმაღლეებს შეები ფიცხლად,
ჟამთა დინებამ საბოლოოდ, რომ არ დაგჩრდილოს!

სანამ სიკვდილი ნაკუწ-ნაკუწ გაქცევდეს, მინდა
იმ დღეთა ხსოვნა სტრიქონებში შუქად ჩავღვარო!..
მერე ამ ლექსებს ვერაფერი ვერ გადაბინდავს
და შემიფარებ შენს ლურჯ ფრთებქვეშ, ცაო მაღალო!..

შენი თვალების სილაჟვარდე მე გზას მინათებს!.
ო, ის დღეები ნეტავ, საით გაუჩინარდნენ?!

20.10.88
სოხუმი

* * *

შორს, გაზაფხულის საოცარი დღეები თვლემენ...
რა ვარ მე ახლა? – წუთისოფლის ლანდი ფერმკრთალი!
ქრის ქარიშხალი, მაგრამ ჯერაც ვერ გადამთელა
და მეფინება სევდიანი ღიმილი მთვარის...

მე უჩვეულო მჭმუნვარება შემიპყრობს ხშირად
და ოხრავს სული ზამთრის გზებზე მიუსაფარი!..
რბიან ზვირთები... უცნაურად ზღვა ისევ ქშინავს
და დუმს მიდამო, როგორც ლურჯი ლოდი საფლავის!..

დღეებს გაფრენილთ მივსდევ ისევ სტვენა-ყიჟინით
და განშორების უჩვეულო ცეცხლი მედება!..
ბალახბულახში ბეღურების ისმის ჟივჟივი,
არ მინდა სევდამ დამიტბოროს შემოქმედება!

ჩამოიქროლე ერთხელ კიდევ, ლურჯო ზეფირო,
რომ ჩემს სტრიქონებს ცა მაისის გადმოეფინოს!..

28.11.88
სოხუმი

* * *

ნაზამთრალ მინდვრებს გაზაფუხლი ეწვია ისევ
და ცის თავანზე მზე ოქროსფრად ისევ ღაღანებს!..
ხევში ხმაურით გადაეშვა ზვავები მქისე,
ორთქლი გადასდით მოცისფერო მინდვრებს საყანეს...

შენი თვალები იცრემლება ცასავით სუფთა,
ხსოვნა წარსულის ამიკივლებს იმ ძველ იარებს!..
ირგვლივ მინდვრები საოცარი სინაზით სუნთქავს,
როცა მთებიდან დაეშვება თრთოლვით ნიავი.

ყველა ჭრილობას ტკივილამდე ერთობ ვაშიშვლებ,
ძვირფასო ჩემო, არ მშორდება შენი ხატება!..
არ ვიცი რა ვქნა, ვერ ვიშორებ ფიქრებს საშინელს,
მიდის დღეები... სევდა სევდას კვლავ ემატება!..

მზე გაზაფხულის და მინდვრების ჭრელი კალთები,
უშენოდ რაა? – სულს მიმღვრევენ სუსტი ნათებით!..

26.03.89
სოხუმი

* * *

ის დღე ძვირფასო, შენთვის გახდა უკანასკნელი
და სული ისვრის სტრიქონებად ტკივილს ნაფეთქარს!..
ახლა ჩემს ყოფას – ამ მიწიერს ციდან დასცქერი
და შენზე ფიქრით, მეგობარო, გული დაბერდა!..

მეტეორივით გაიქროლე ცაზე არსობის,
ლაჟვარდთა წიაღ უცნაურად გაუჩინარდი!..
ანგელოზები გიგალობენ ცაში ასობით,
მიგაცილებენ უცხო გზებით მიწის ბინადარს!..

შენს ნაფეხურებს დავცქერ მთვარით მოვარაყებულს
და ზღვის ტალღები ძველ ნაპირებს აწყდება ისევ…
მე მახსოვს, ქარში გადახსნილი შენი საყელო
და გაზაფხულის ვარდფურცლობა და სიმაისე!..

შენი აჩრდილი წუხელ ისევ გამომეცხადა,
ვერ გითხარ ლექსი შესაფერი, რაიც მეწადა!.

16.07.89
სოხუმი

* * *

ტყემ მიიძინა... დგას ტალღების ლურჯი შრიალი,
მოვდივარ მარტო, ტირიფებთან ვდგები მდუმარი!
შორი მთებიდან მთვარის ლურჯმა შუქმა იალა
და ხსოვნის სიმებს არხევს მძაფრად ხმა იდუმალი!..

წავიდა ის დრო!... ცრემლიანი შევრჩი სანახებს
და ვხეტიალობ კაცი გულზე ცეხცლის მოდებით!..
ო, ერთხელ კიდევ მაგ თვალების შუქი მანახეთ
და სიყვარულით ანთებული განვმეორდები!..

მივაყურადებ... ზღვაზე ანძის მესმის ჭრიალი,
გემი დაბმული ბაგირებით, ისევ ქანაობს...
ჩქერი ტალღების მთვარის შუქზე ისევ ბრჭყვიალებს
და ფიქრი ჩემი უჩვეულოდ შორს მიქანაობს...

დროო, რა მიქენ, რა უღმერთოდ გამიმარტოვე,
რად განმარიდე ო, იმ ქალებს და ქალბატონებს?!

15.08.89
სოხუმი

* * *

იმ შადრევნებთან აწი უკვე ვერასდროს მივალთ
და ვერც ყვავილებს, სიყვარულით მოვისვრით წყალში.
მივდივარ მარტო უჩვეულო ტკივილი მიმაქვს,
რომელსაც ჟამის სივერაგე ვერასდროს წაშლის!

იმ დღეთა ხსოვნა იდუმალი ხეივნებს შერჩა,
ციდან ჩამოღვრილ ვარდფურცლობის ფერადი შუქით!..
დღეებს დარჩენილს მე რა ვუყო, უმწეოს, ბეჩავს,
რომ ტანზე ნისლის სამოსელი ჩაუცვამთ მუქი!..

დამთავრდა ჩვენი საოცარი დღესასწაული,
არ ვიცი, უკვე საიმედო რა ვუთხრა მერმის?
რბიან დღეები, ფრთებს უხეშად მახლის ზღვაური,
გული ვერ უძლებს შემოტევას ულმობელს, მერი!

ვით რტო ნოემბრის გამიძარცვა სული ბუნებამ,
ამაოდ ვცდილობ გარდასულის შემობრუნებას!.

24.09.89
სოხუმი

* * *

ო, ეს სამყარო ჟამთა დენის გარეშე ვერ ძლებს,
ყველაფერს სადღაც იმ ერთი გზით მიეჩქარება!..
დავდივარ, ვწუხვარ და იმ ცისფერ სიმაღლეს ვეძებ,
რომელიც ერთობ გამიძარცვეს ჟამის ქარებმა!..

ვდგავარ მაღლობზე, გადავცქერი ტალღების რიალს,
არ ვიცი, თუ სად დამთავრდება ჩემი წამება!
ვეღარ დავხურე, საყვარელო, ჭრილობა ღია
და შეეჩვია სული მღვრიე შემოღამებას!..

წუთისოფელმა შენთან ყოფნა აღარ მადროვა
და გაზაფხულის ტალღამ მხოლოდ გაითამაშა!..
წახვედი ჩუმად, დრომ რამდენი სევდა მათოვა
და ახლაც მიტევს გამძაფრებით დაღლილს, დამაშვრალს!..

დაგეძებ ოხვრით, ის თვალები არა და არ ჩანს!
მხოლოდ ტკივილის მოზღვავება... სხვა რაღა დარჩა?!

16.10.89
სოხუმი

* * *

ვნახე, ქარიშხალს რომ შეება მუხა ბებერი,
შეუპოვრობა მე ამგვარი ჯერ არ მინახავს!
იბრძოდა იგი რაინდული სულისკვეთებით,
ამდენი ძალა ნეტავ როგორ შემოინახა?!

ტოტებდარბეულს არ აკრთობდა შიში სიკვდილის,
ცას გადაკვროდა შემზარავი ფერი გუდრონის!
ო, ჯერ არავის არ უნახავს ის ფერმიხდილი,
თუმც ბევრჯერ რისხვით დაემუქრა ჟამი უნდობი!

ვეება სივრცე ირგვლივ, როგორც კოშმარი იწვა,
იმუქრებოდა ღრუბლის დელგმა ცეცხლის მოდებით!
ის კი ტოტებით ეხებოდა მშობლიურ მიწას,
როცა გრიგალი შეუტევდა გაბოროტებით!

მზე კვლავ ჭრილობებს უშუშებდა ღამით ნაომარს,
ჟამთან კვეთებით გაურბოდა არარაობას!

22.11.89
სოხუმი

* * *

ვერ აღვადგინე ჩემს ხსოვნაში შენი ხატება,
მხოლოდ ხმის ტემბრი შერჩა სმენას გაუხუნარი!..
როცა ტყემალი გაზაფხულზე იწყებს ნათებას,
რად მავსებს იგი უცნაური თრთოლვის უნარით?!

რად გავხდი ასე ხმის ხავერდით კაცი ძლეული,
ან გარდასულ წლებს მტკივნეულად რატომ მახსენებს?
მივდივარ მარტო... სმენას მიკრთობს ის ხმა რჩეული
და ჩემს წამწამებს დღენიადაგ ცრემლი ასველებს!..

ცას ვევედრები ის სიზმარი რომ დამიბრუნოს
და გამიფანტოს ო, ამ დღეთა სევდა უძირო!..
ჟამის ტკივილით სული ვინღამ გადამიბურა,
იზმორებიან ღამეები ტანჯვით, უძილოდ!..

იმ დღეთა გამო ჩემში ღელვამ დაისადგურა,
ეს ვინ ამინთო სულში სევდის ლურჯი ნათურა? !

24.11.89
ბანძა

* * *

*ჰოი, დედანო, მარად ნეტარნო,*
*კურთხევა თქვენდა, ტკბილ-სახსოვარნო!..*
*ნ. ბარათაშვილი*

მახსოვს, მსოფლიო უჩვეულოდ განახელები,
ბარბაროსები მოვარდნილი ცეცხლის ღვარებით!..
მე თვალწინ მიდგას დაძარღვული თქვენი ხელები
და ტკივილებით დანაღმული სივრცე თვალების!..

არ ნებდებოდით ბედის მწარე უიმედობას,
ხელში გეჭირათ ხან თოხები, ხანაც ბარები!
დასტრიალებდით ჯეჯილებს და მინდვრის დედოფალს,
მოჩანდა ყველგან მხოლოდ თქვენი ნატერფალები!..

მაგ შემართებას ვერ დაიტევს ალბათ ტომებიც,
მსგავს სიმამაცეს ვერ იხსენებს მიწა ბებერი!
თქვენ მახსენდებით, ჩემი სოფლის ქალბატონებო,
და ის დღეები ერთგულებით უბერებელი!

ვერ დაგიწერეთ შესაფერი ჯერაც ბალადა,
აქ იყო თქენი დიდგორიც და თქვენი მარაბდაც!.

12.06.90
ბანძა

* * *

ვერ შეეჩვია უშენობას ჩემი არსება,
ვდგავარ ბექობზე და არ ვიცი, ვის ველოდები!.
არ დამიწყია მე ცხოვრება წერით ოდების,
მიყვარდა ღამე მთვარის შუქით გადანასერი...

დრომ ვარდფურცლობის რა უეცრად გადიშრიალა,
თან გაიტაცა უჩვეულო შენი ნათელი!..
და შემატოვა უღიმღამო დღე დღევანდელი,
პირშეუმშრალი, ძოწისერი მწვავე იარით!..

და ბოკვერივით გული მკერდქვეშ ველარ ეტევა!
ნუთუ ამაოდ შევარხიეთ გრძნობის ზონარი?
დარჩეს ის ჟამი, როგორც მარად მოსაგონარი
ქუჩაბანდებში მთვარის თეთრი ორნამენტებით!..

დღეს იმ მიდამოს სევდიანი ღამე დაჰყურებს
და წყლის სარკეში ტირიფებთან არხევს საყურეს!..

20.08.90
სოხუმი

* * *

რა სწრაფად იცვლის ზომებს შენი ტყავი შაგრენის?
ამ დღეთა სრბოლას სრულებითაც ვერ ეგუები
ფერიცვალების კარუსელით განაბრუები, –
მის შეჩერების საიდუმლოს ვერ მიაგენი!..

შენ მოიტოვე სამი ჟამი მძიმე ფიქრებით
და მეოთხისკენ უჩვეულოდ მიექანები!..
რა შემზარავად ახმაურდნენ ზღვაზე ქარები?
და ყოველივე, შენ ერთბაშად თვალწინ გიქრება!..

ჯადოსნურ ტყავის ვერ გაექეც პირქუშ ზმანებას,
დროის დინება ნუთუ ქვეყნად ამ ერთს მორჩილებს!
მოგლიჯე კედელს, თითქოს ჟამი დაიმორჩილე,
მაგრამ მეოთხედ ჩამორეკეს მკაცრად ზარებმა!..

გადაისროლე, მოიშორე გზიდან ჩვენება!
და მაინც გარბის ჟამი, სადღაც შეუჩერებლად!..

12.09.90
მოსკოვი

* * *

ჩვენი შეხვედრა ეს რა ძალამ განაპირობა?
შენ გახდი ჩემი საოცარი ღელვის მიზეზი!..
რამ დამავიწყოს იმ დღეების უნაპირობა
და ბაგე ვარდის ფურცელივით უფაქიზესი!..

მახსოვს, ის ბაღი მოგალობე ჩიტებით სავსე
და სურნელება ვარდფურცლობის დაჰქონდა ნიავს...
მე არ მინახავს სინატიფით დღეები მსგავსი
და სილაჟვარდით ასე სავსე თვალები, ლია!

დღესაც მოვდივარ მთვარის შუქით ნაფერებ ბაღში
და ხეებიდან მოყვითალო ფოთლები სცვივა!..
ის წყაროც თითქოს თვალებს იფშვნეტს ხელებით ბავშვის
და სანახევროდ შიშველ ხეებს ასველებს წვიმა...

საით წავიდნენ ის დღეები ჩუმი და სადა,
კალმახებივით რომ დამისხლტნენ ხელიდან სადღაც?!

22.10.90
სოხუმი

* * *

ვდგვარ ზღვის პირას, გავცქერ ღელვას ლურჯი მორევის,
ო, ეს ტკივილი უჩვეულო ვინღამ მოდენა?
დაიწყო ცვენა ცის სიღრმიდან მეტეორების,
შენ რად დაღონდი, გულო ჩემო, მოულოდნელად?!

წავიდა ის დრო ალტაცების, და შემოდგომის
ცივი ქარები მიაფრენენ ფოთლებს ხმაურით!..
გახუნდა სივრცე და ფერი აქვს ამაღამ ქრომის,
ზვირთები ჯებირს აწყდებიან აურზაურით!..

საით მიაფრენს ფერმკრთალ ფოთლებს ავყია ქარი?
ამ ჩემს ტკივილს და მწუხარებას არა აქვს ზომა!..
როგორ დაიმსხვრა უმოწყალოდ ცა მინანქარის,
ნუთუ ზეცაში ვარსკვლავებმაც დაიწყებს კვდომა?!

ბუნების წესით, ვისაც მოსვლა დაებედება,
შიში რღვევის და დავიწყების რატომ ედება?!

25.10.90
სოხუმი

* * *

ჩვენ მივდიოდით, მივყვებოდით ო, ამ ხეივანს
და ზღვის ხავერდზე ირწეოდა მთვარე ეული!
შენ ერთი იყავ მხოლოდ ჩემი გულის რჩეული
და აღტაცებით დაგვცქეროდა ცა მოზეიმე!..

ახლა გავცქერი იმ ნაპირებს გაძარცულს ქარით,
რტოები რხევით, რომ გვათრობდა, მიწაზე ყრია!.
ვდგავარ უმწეოდ, თვალს ვადევნებ ნისლების ყიალს,
და ის ლამაზი ნაფეხური გამქრალა მთვარის!

მოდის ზამთარი... შემოდგომა ტოვებს სავარძელს,
ზღვაზე აფრებმა სევდიანად დაუშვეს ფრთები!
ჟამის წინაშე, ჩანგო ჩემო, შენ რაზე კრთები?
ვინ დაგიმსხვრია ბროლის კოშკი ზეცის თავანზე?!

ბებერი მთვარე კრიალოსანს გზადაგზა მარცვლავს,
რა შემრჩა ხელში იმ ლამაზი დღეების ნაცვლად?!

14.11.90
სოხუმი

* * *

ამ განშორებამ ჩემი გული დაფლითა მწარედ,
ვერ შევეჩვიე ტკივილსა და სულით ობლობას!
მეტირება და კიდეც ვტირი, ძვირფასო, ცხარედ
და მარტოობის ბადეს მიქსოვს ჟამის ობობა!

აწყდება სივრცეს ბედისწერის შავი გრიგალი
და გაზაფხულის გუმბათები სცვივიან ზათქით!..
მე ამ ცხოვრების ვერ გავზომე სიგრძე და განი
და მოდის უკვე შეტევაზე დღეები ზამთრის!..

ამ განშორებამ ჩემი გზები ყველგან მოშალა,
სიყვარულს მუდამ ბედისწერის დასდევს ფურია!..
შეხედე, მინდვრად როგორ ჭკნება თეთრი შროშანი,
ნუთუ ყველაფერს ქვეყანაზე დასასრული აქვს?!

მაგრამ დაცემას სულით მაინც აღარ ვაპირებ,
შევხვდებით სადმე, — ხელმეორედ გავიაპრილებთ!..

17.11.90

სოხუმი

* * *

რა ნებივრად ბანაობდნენ ბეღურები წყალში
და გარშემო აქ ჟივჟივი ჩიტუნების იდგა!..
მაღლა ტოტი ქარის ფრთებზე ირხეოდა ვაშლის
და ფოთლები მოყვითალო მოცურავდნენ ხიდან...

მზეს სივრცეში მოწყენილად გაეშალა აფრა,
გავცქეროდი ბაღს მთვლემარეს უხმოდ, დანანებით!..
ხიდან ყვავი მივიწყებულს დასჩხაოდა საფლავს
და ტალღები ჩუმი თრთოლვით ეხლებოდნენ ჯებირს...

ყველაფერი მძაფრი კრთომით იდგა ზამთრის კართან,
ბაღს ჩაეცვა სამოსელი ტანზე მინანქარის!..
შემოდგომას გაეშალა ისევ ჭრელი კალთა
და მინდორზე ფოთლებს სადღაც მიაფრენდა ქარი...

ვიდექ წყლის პირს, გავცქეროდი შორს ტალღების დენას...
რად ჩამიკლა ჟამმა უღვთოდ ო, ის აღმაფრენა?!

24.11.90
ბანძა

* * *

მიაყურადე ამ იდუმალ გამოღვიძებას,
ეს ცა და მიწა საოცარი ძალით ინთება!..
უზენაესო, შენს სიუხვეს მარად დიდება,
რომ ყველაფერი სხივნათელი ძალით ირწევა!..

სივრცეს კვლავ ათრობს ხმით ფერადით ფრინველთ გალობა,
მთა იშმუშნება... ზღვის თვალები ელავს ზღაპრული!..
მოჩანს კლდეები ჩანჩქერებით ჩამოქაფული,
ეს ყველაფერი არის მხოლოდ შენი წყალობა!

შეხედე, ამ ბაღს რა ლამაზად იცვლის სამოსელს
და მზემ დალეწა ყინულეთის ყველა ურდული!
ო, ეს ბინულიც ჩემს ბაღებში გადის ჟღურტულით
და მიმიწვიეს ამ ზეიმზე მეც მესამოცედ!

ლაჟვარდებიდან მოცისფერო კრთიან თვალები,
არ დამივიწყო, სათაყვანოვ, გემუდარები!..

12.03.91
სოხუმი

* * *

იმ შეხვედრების მე ვიხსენებ ყოველგვარ წვრილმანს,
გულს უხარია და გრძნობასაც ველარ ვერევი!
ხან მზე გვათრობდა, ხან აპრილის ფერადი წვიმა.
და ირწეოდა სივრცე ჩვენი ბედნიერების!..

რაც იყო იმას აწი უკვე ნუ ველოდებით,
წლების დინებით ის სადღაც, შორს გაუჩინარდა...
წავიდა ის დრო, რომ ვფეთქავდით შუქის მოდებით
და ვშრიალებდით ისე, როგორც მზეზე ჩინარი!..

მოდის საღამო... მოაქვს სევდა აურაცხელი,
რომლის ატანა, საყვარელო, გვიჭირს ძალიან!
მწუხარე თვალით დავცქერთ ხშირად ფოთლებს დაცვენილს,
მაგრამ ცოტა ხანს სიკვდილისთვის აღარ გვცალია!

ისევ ვუცქიროთ აღტაცებით მზეს და ლიანებს,
არ გვიწყენს ჟამი თუ კი ცოტას დავიგვიანებთ!

15.04.91
სოხუმი

* * *

*ვახტანგ მეფე ღმერთს უყვარდა*
*ციდან ჩამოესმა რეკვა!..*
*ხალხური*

შენ ქედს იხრიდი მხოლოდ ღვთის და ერის წინაშე,
სხვა სალოცავი სამზეოზე აღარ გყოლია!
მოსეულ მტერზე, ვით ლომგულმა ბევრჯერ ილაშქრე
და ბრძოლის ველზე დაუძლეველს ჰგავდი გოლიათს!

წაღმა აბრუნე იბერიის ბედის ბორბალი
და საალაფოდ არ აქციე ყორან-ყვავების!
მამულს დაკოდილს მამაცურად წყლული მოჰბანე,
გახდი, მეფეო, კაცი ერის სათაყვანები!..

აღარ დაინდე ორგულები – ქვეყნის დამქცევნი,
შენმა მარჯვენამ მტრები ერთობ მოსრა-მიახრჩო!
იყავი ქვეყნის ხმლით და სიბრძნით, მეფევ, დამცველი,
აღარ დაუთმე ქართლი მომხდურს საპიტიახშოდ!

დალეწე ყველა, შერკინება, ვინც კი შეგბედა
და სიცოცხლეში უკვე იქეც კაცი ლეგენდად!..

25.12.91
სოხუმი

* * *

*გიორგი სააკაძეს*
*ის იყო საომარი თალპიონის*
*სწორუპოვარი ხელოვანი.*

*ლ. სანიკიძე*

ორმა ვეშაპმა საქართველო ვეღარ გაიყო,
ჯვარცმულს სიკვდილი სიცოცხლეზე ასჯერ ერჩივნა!
შენ, ერთადერთმა ვეებერთელა მსხვერპლი გაიღე,
რომ შენი ერი დაღუპვისგან გადაგერჩინა!..

ებრძოდი მედგრად შინ და გარეთ უკუღმართობას,
ფარნავაზის და გორგასალის ქვეყნის სატკივარს!..
შენი სახელი ელვარებდა, როგორც მნათობი,
იყავ გენია ბრძოლის ველის, რომ ვთქვათ მარტივად!

უნაგირიდან ვერ მოგისხლეტს დრო ულმობელი,
შენ ორ დიდ ვეშაპს – ქარიბდას და სცილარს ეომე!..
ეს იყო ომი მრისხანე და დაუნდობელი
და საქართველო კვლავ ფერფლისგან აღდგა მეორედ!..

შენისთანები ეწირება მამულს საჩინოდ,
ოღონდაც სული, ერის სული გადაარჩინონ!

28.12.91
სოხუმი

* * *

შემოიჭრა ღრუბელი და მზე ააცახცახა,
ქარის ფრთებზე მდინარე შიშით მიედინება...
სულს წუხილი მოედო უსაშველო, – ცალსახად
და ბუნებამ ყოველი, ნუთუ ასე ინება?!

ცის უდაბურ ტრამალზე წერომ გადიკივლა,
მზე კი ღრუბლის ტევრებში სადღაც მიილანდება...
და მთა-ბარი შებოჭა შემზარავმა ტკივილმა,
როგორ გაუჩინარდა, ცაო, შენი ხატება!...

ო, რა მწარედ ტირიან შემოდგომის ფერები,
სივრცე ხდება მრისხანე და თან დაუნდობელი!
ვეღარ იტევს დრო მკრთალი სევდას მინდორ-ველების
და იდგამენ შორს მთები მხრებზე ბროლის ობელისკს...

დღეებს ოხვრით მიმავალს ღელვით ვემშვიდობები,
ჟამი ისე ცივია, ვით საფლავთა ლოდები!

30.12.91
სოხუმი

* * *

შენ არ იცოდი, მეგობარო, რა იყო მოღლა,
მაგრამ ცხოვრებამ გულზე ლომის მოგარტყა თათი!
ამიერიდან აწი უკვე ვერასდროს მოხვალ
და ძველ ბილიკზე შენი თეთრი აჩრდილი დადის!..

გაიყოლიე ვარდფურცლობის ფერების წვიმა,
გზას გინათებდა შენ, შორეულს ვარსკვლავთა ხომლი...
დავდივარ მარტო და ეს გული საშინლად მტკივა,
ვერავინ შესძლებს, მეგობარო, მორჩენას რომლის!

აწი უშენოდ ამ მიწაზე რა მინდა ნეტავ?
ზღვა ღელავს ისევ, ეხეთქება ზვირთები ჯებირს!..
ვინ დამიბრუნებს შორს გაქცეულ იმ დღეთა წყებას
და ცრემლით ვტბორავ მიწას ძლეულს საფლავის ჯვრებით!..

ისე მივდივარ, თითქოს მხრებზე ლოდები მადევს
და სამრეკლოზე ზარებს რეკავს ნაღვლიანს მნათე!..

08.06.92
სოხუმი

* * *

ო, ის ნაბიჯი გახდა შენთვის საბედისწერო!
მწუხარე ცაზე გავცქერ მთვარის მოლურჯო ქსოვილს...
მე მომისაჯა ღმერთმა მხოლოდ ლექსები ვწერო,
როცა შემარხევს ტკივილამდე სიმები ხსოვნის!..

გაარღვევს კედელს ყრუს, შემზარავს სიტყვების ჯერი,
მიარღვევს სივრცეს შენი სულის ობოლი წერო!..
არ დაგივიწყებს, მეგობარო, სიმღერა ჩემი,
თუნდაც იქროლონ გრიგალებმა ათასი წელი!..

საწუთროს ბრუნვა  სულაც აღარ აშფოთებს გამჩენს,
მოისურვებს და ჩამოუშვებს შემზარავ ფარდას!..
სიკვდილის შემდეგ ქვეყანაზე რა უნდა დარჩეს,
სიყვარულის და სათნოების ნაყოფის გარდა?!

თუკი დარჩება, ეს ორივე მშვენება კაცის,
ვერ დაამარცხებს მაგ შენს სახელს სიკვდილი მკაცრი!

15.08.92
სოხუმი

* * *

დროის დინება ნუთუ ქვეყნად ყველაფერს აქრობს
და დავიწყების ბინდი უხმოდ მოეფინება?!
შენი მშვენება, საყვარელო, როგორ არ ვაქო,
როდესაც ღმერთმა ის საჩუქრად ჩემთვის ინება!..

შემოეძარცვა გაზაფხულის შუქი მინდორ-ველს
და ფოთოლცვენის ლანდი უხმოდ დაეხეტება!..
იმ დღეთა ხსოვნას, მე როგორც განძს, ჩემთვის ვიტოვებ
და მას ვერაფერს ვერ დააკლებს ჟამის შეტევა!

შენი სინაზე მოეფინა ლექსის სტრიქონებს,
თუმც განშორების სიო ჩუმად მეჩურჩულება!..
შენ ამ მიწაზე სილამაზედ გადაიქროლე
და პოეზიის ცაზე რჩები, როგორც თქმულება!..

ამ ჩვენს სიყვარულს ჟამთა დენა ვერასდროს წაშლის,
თუნდ უჩვეულო სიძულვილით ჩაგვიდგეს კვალში!..

26.09.92
სოხუმი

* * *

ეს მერამდენედ ჰაემანზე მოვდივარ შენთან,
მაგრამ აქ ახლა მხოლოდ სრული სიჩუმე სუფევს!..
ეს ხეივანი უკვე დარდის ქცეულა გუბედ
და არხევს სივრცეს მოყვითალო ფოთლების სევდა!..

ისმის ჯებირთან გადაღლილი ტალღების ჩქამი
და შეუცნობი, იდუმალი ტკივილით მავსებს!..
აქ მოგონება მწუხარებას უზომოდ მასმევს,
ვიხსენებ დღეებს გაზაფხულის, ლამაზად ჩავლილს!..

ო, ვინ ჩამიქრო უცაბედად სხივები რწმენის
და გული ახლა თითქოს დანით დასერილს მიგავს!..
გაუტაცნია ო, ის წლები ულმობელ გრიგალს
და მივაბიჯებ ხეივანში... არავის ველი!

იდუმალ გრძნობით ხმას გარადსულს მივაყურადებ,
მშვიდობით მეგი!.. იმ შორეულ გაზაფხულამდე!..

02.10.92
სოხუმი

* * *

ო, როგორ კარგავს სილამაზეს ეგ შენი სახე,
ჩემი თვალებიც უკანასკნელ ნაპერწკლებს ისვრის!..
საცაა, ღამე შემოდგომის ნისლებში გაგვხვევს,
უკვე ზღვის პირას ქარის ავი სისინი ისმის!..

ჩვენ კი ერთმანეთს სევდიანი თვალებით ვუცქერთ
და დღეთა სრბოლას უკვე აღარ ვეიმედებით!
ჟამი მრისხანე ო, იმ დღეთა დახურავს ფურცელს
და ჩვენი ზეცა სამუდამოდ გადიფერდება!..

შეხედე, ბილიკს ხეივანში – იმ ლამაზ დღეთა,
როგორ იმშვენებს, საყვარელო, ნაკვალევს მთვარის?
საცაა, გაშლის ეს მთაც ზამთრის იალქნებს თეთრად
და რა დარჩება? – ნაფეხური ქვიშაზე მკრთალი!..

ვინ იცის, ამ გზით, მეგობარო, უვლია რამდენს?
დრო არხევს ჩვენი განშორების ცრემლიან სანთელს!..

15.10.92
სოხუმი

* * *

გამოვეთხოვე გაზაფხულის დღეებს საოცარს,
სულს მიღრღნის ახლა ჩუმი სევდა დაუფარავი!..
მე ვეფერები მაგ შენს თვალებს მარად სალოცავს,
შორს დარჩა სადღაც, ჩვენი ტრფობის თეთრი კარავი!..

გვითვალთვალებდა ბუჩქებიდან ცელქი ამური
და ხელში უხმოდ დაჭიმული მშვილდი ეჭირა!..
ღამეს უნაზესს ჰქონდა ფერი სიასამურის,
რომ ჩვენი სულის სილამაზე გადაერჩინა!..

და ვარსკვლავები გვიგალობდნენ ციდან საამოდ,
მხრებზე კი შენი თაფლისფერი თმები მეღვარა!..
ასე ვხვდებოდით აღტაცებით ყოველ საღამოს,
ჩვენი გვეგონა, საყვარელო, მთელი ქვეყანა!..

ახლა უშენოდ ეს ქვეყანა მეუცხოება...
და ასე მიდის უფერულად ჩემი ცხოვრება!..

22.10.92
ქუთაისი

* * *

როგორ იქნება მოგონებამ არ აგაცრემლოს!
მითხარი, დროო, თუ საითკენ მიექანები?
საით წახვედით, ჩემი სოფლის ბერიკაცებო,
დამუხტულებო გაზაფხულის მზით და ქარებით?!

შორს, ცის სიღრმეში, უთვალავი იწვის სანთელი
და მოირხევა სიშორიდან შუქი ღვარებად!..
ჩვენ გზას გვინათებს თქვენი სიბრძნის დიდი ნათელი,
რომ არ დავნებდეთ სიბილწეს და გადაგვარებას!

რწმენის გარეშე სავალს ვეღარ გაიადვილებ,
თქვენმა ოცნებამ კვლავ ძლიერი ფრთები მოისხა!..
თუმც ჟამი ყმუის ბილიკებზე, როგორც ნადირი,
მაგრამ ის ვეღარ გაექცევა ჯომარდ მოისარს!.

მიიზვირთება ეს ცხოვრება მრავალხმიანი,
მაგრამ გვამხნევებს – კვლავ თქვენი ხმა ომახიანი!..

24.10.92
ბანძა

* * *

*ო, ეს ცხოვრება გამოდგენა ყოფილა დიდი!..*
*უილიამ შექსპირი*

თვალს მიეფარა წლები მძაფრი ახალგაზრდობის
და ვარდფურცლობის ერთობ შეწყდა სიმთა წკრიალი!
ამ ქვეყანაზე ბევრი ვნახე ოინბაზობა
და შემზარავი მხეცობა თუ ორომტრიალი!..

ვრცელი ბაზარი მოვიარე ამაოების,
თუმც ფაუსტივით აღარ მახლდა ჩემი მრჩეველი!
გულს მწუხარება, როგორც ზამთრის ღამე მოება,
არ დამრჩენია არაფერი შეუმჩნეველი!..

რაც ვნახე იგი სულს მარადის ემახსოვრება,
ნანგრევის ბორცვზე მზე ოცნების უკვე დაეშვა...
ჟამის ყრუ კედლებს ეხეთქება ჩემი ცხოვრება
და გული უკვე ვეღარ უძლებს ამდენ კაეშანს!..

მოდის ზამთარი!.. კრთის ბაღები ფერნაყვავები
და ტოტებიდან ვისმენ ჩხავილს მხოლოდ ყვავების!..

20.11.92
სოხუმი

* * *

იქ ყვავ-ყორნები ვერასოდეს ვერ შემოაღწევს,
სად არწივები ბასრი მზერით სივრცეს ზვერავენ!..
რად უსველდება ამ ჩემს მთა-ბარს ცრემლით ღაწვები?
ან სევდიანად რად ღიღინებს ზღვაზე მენავე?!

აქ, ხომ სიცოცხლის იდგა ღელვა და ჟრიამული,
რომელიც ახლოს არ იკარებს ბნელს და სიბერეს!
რატომ ატირდა უცაბედად ჩემი მამული,
მუდამ გმირულად შემართული – მიწა იბერის?!

ნაფლეთ-ნაფლეთად საით მიაქვს ქარს მოთარეშეს
დროის ქარიშხლით დაწეწილი სული ქართული?!
ვერ დავიბრუნებთ ვერცერთ მტკაველს ომის გარეშე,
თუ არ გავედით ბრძოლის ველზე ხმალშემართული!

თუკი მომხდური სიტყვით ველარ შემოირიგე,
შენც ხმლით და ცეცხლით მედგრად უნდა აჰყვე ბილიკებს!..

15.08.93
სოხუმი

* * *

შენ ატირებდი დაწყვეტამდე სიმებს გიტარის!..
მდინარის პირას – ფონზე მკრთალი სილუეტების...
ვინ მოთვლის იმას, რაც შენ მაშინ გადაიტანე,
და ყველაფერი ეს დამთავრდა გულის შეტევით!

შენ იყავ მსხვერპლი ავბედობის, არაკაცობის,
რომელიც ახლა ქვეყანაზე ყველგან ბოგინებს!..
ვერაფერს გახდი, ვერც სიმედგრით და ვერც დაცხრომით,
ვერ გაარღვიე სივრცე მკაცრად შემოღობილი!

მიხვალ დაღლილი და ჟამისგან მიუსაფარი,
წამებით სავსე, მისი სული იხსენ უფალო!..
იქვე, წყლის პირას დაგახურეთ ქვიშის საბანი
და ზედ აღვმართეთ მეგობრებმა ჯვარი უბრალო!

შენ თქვი სათქმელი მოყვითალო ფონზე ფერების
და მე შემომრჩა მწუხარება დაუბერები!..

25.11.93
ბათუმი

* * *

ეს მერამდენედ ამექოჩრა თვალებზე ცრემლი,
ო, როცა თქვენთან განშორების დადგა წამები!..
მღვრიე ზვირთების უჩვეული მოვარდნას ვწყევლი
და ვხეტიალობ უსაშველოდ განაწამები!..

თქვენ გეფერებათ ჩემი სული ჩუმი ალერსით,
მე არ მყოლია მეგობარი თქვენი ბადალი!
ამინთეთ გული სიყვარულით უმხურვალესით,
სამყაროს გზებზე საოცარი ფრთებით მატარეთ!..

მშვიდობით აწი!... მე რა მეთქმის მადლობის მეტი,
მიმაფრენს აფრა, მაგ თვალების შუქით ნაფერი!..
გზებით გადაღლილს დამფართფატებს ფიფქები თეთრი
და ქრის ქარები სივრცეებში... სხვა არაფერი!

თქვენი სიმაღლე იყო ჩემი სულის სავანე
და ვიცი უკვე უთქვენობა დამასამარებს!..

09.01.94
ბათუმი

* * *

*უსიყვარულოდ არ არსებობს არც სილამაზე,*
*არც უკვდავება არ არსებობს უსიყვარულოდ!*
*გალაკტიონი*

ჩემს სარკმელს ფრთებით ეხლებიან თეთრი მტრედები,
მალე მინდვრები ყვავილებით მოიჩითება!..
მე გაზაფხულის მოსვლა ისევ მეიმედება,
რომ მერე დიდხანს იგალობონ ბაღში ჩიტებმა!..

მზე კვლავ ამოდის უჩვეულო ფერთა თამაშით,
ფრთები მოისხეს ალტაცებით მთებმა, ქედებმა!
შენთან შეხვედრა კვლავ მომინდა დაღლილს, დამაშვრალს,
გულს სიყვარულის დაუშრეტი ცეცხლი ედება!..

უსიყვარულოდ სულიერის ვერ სძლებს ნასახიც,
რადგან მოხვედი, გზები ქროლვით უნდა მოლიო!
ო, ეს სამყარო არის მხოლოდ ტრფობის სასახლე,
იმსხვრევა სული უსივრცო და უჰარმონიო!

იქროლე მედგრად, სიყვარულის ფრთებით ძლიერით
და რას დაგაკლებს სივერაგე გადამთიელის!

08.02.94
მოსკოვი

* * *

*ჩემი ძვირფასი მეგობრის —*
*ბორის ზარქუას ხსოვნას!*

ჟამმა მუხთალმა დაგვაშორა ერთმანეთს, ბიჭო,
და მოგონება უსაშველო ტკივილად მექცა!..
უშენოდ ყოფნას, მეგობარო, არ ყოფნა მიჯობს,
და მეც შენსავით მიწის შავი პერანგი მეცვას!..

ახლა შენს სხეულს აქუცმაცებს ჟამი ტიალი,
რომ ლექსად არ ვთქვა, ალბათ, სადმე დამახრჩობს ბოღმა!..
მე ვერაფერი ვერ გავიგე სოფლის ტრიალის
და ისიც, ვიცი, რომ ეს სული ამაოდ ოხრავს!...

მოვიდა ღამე!... ღამე ბერწი, ქვეგამხედვარი
და შენს საფლავთან შემზარავი დუმილით მიწვა!..
ბედნიერი ვარ, რომ ვერ ვნახე შენი ცხედარი
და ვერც ცრემლებით დაგისველე საფლავის მიწა!

მშვიდობით ძმაო! – სულს თუ არ ჰყავს სიკვდილი მეკვლედ,
მაშინ ზარები დავიწყების ამაოდ რეკენ!..

18.10.94
ბათუმი

* * *

*მწერალ ვლადიმერ მისაბიშვილის ხსოვნას*

ცხოვრების გზაზე ღელვით დაღლილს შემოგაღამდა,
შემოგიტია უცაბედად სიკვდილმა ძლიერ!..
ო, ასეთია მეგობარო, ხვედრი მაღალთა,
როცა ცხოვრების ოკეანე ბობოქრობს მღვრიე!..

ვერ აიტანა გულმა დღეთა ორომტრიალი,
მზე გაზაფხულის ბოროტებამ კვამლში გახვია!..
ისევ გამოჩნდა ყორნის ფრთებით ჟამი ტიალი
და სისხლიანმა ქარიშხალმა სივრცე გახია!..

გაუტანლობას, შურს და ღალატს ბევრი ედავე,
თუმც ეს ცხოვრება დასაბამით ასე რიალებს!..
შენ არასოდეს არ ყოფილხარ გაუბედავი
და შეუპოვრად ეკლიანი გზებით იარე!..

მშვიდობით ძმაო! გეთხოვებით ჟამით გათელილს!.
მაგრამ აქ რჩება კვალი შენი მარად ნათელი!..

24.10.94
ბათუმი

* * *

*შოთა ლაზარიშვილის ხსოვნას*

ხედავდი მამულს ფრთებდალეწილს და გულში დაჭრილს,
ჟამს გამოხედვა ჰქონდა ურჩი და თავხედური!..
ვაჟკაცი იყავ და ბოლომდე ვაჟკაცად დარჩი,
გაითავისე, მეგობარო, გზა უბედურის.

მიაბიჯებდი ნანგრევებში მხედარი მტკიცედ,
ბოლმამ ერთბაშად გადმოხეთქა ყველა ჯებირი!..
შემოგბღაოდა დაშრეტილი თვალებით სივრცე
და მზე სიცოცხლის — ათასობით გადაჯეგილის!..

და ბარიერთან ბოროტების პირისპირ დადექ,
გეფინა შუბლზე უკვდავების შუქი ძლიერი!..
ამიერიდან შეუერთდი მამაცთა ლანდებს,
ვეფხვის ნახტომით დაასრულე გზა მიწიერი!..

არ გინაღვლია განშორება სულის და ხორცის,
სული გაფრინდა!.. და აქ დარჩა საფლავის ბორცვი!

17.12.94
ბათუმი

* * *

*მეგობარ პოეტ ქალს – ყუყუნა ხაჯიშვილს*

შინდისფერ თასებს სცლიდა ღამე განაფითრები,
მიირწეოდა ლაჟვარდისკენ ჭერი გალობით!..
სიმები ქნარის მთვრალი იყო შენი თითებით
და ცა და მიწა საოცარი შენი ქალობით!..

ქარი არხევდა შემოდგომის ქარვისფერ ხაზებს,
და მთვარე ლოცვად მუხლმოყრილი ვნახე ნაძვებთან...
სულმოუთქმელად ცლიდა ღამე შინდისფერ თასებს
და მერე სადღაც, დასავლეთით მიბარბაცებდა!..

ათრობდა სივრცეს პოეტური სულის ნათება.
და სიმებს ჩანგის ღვთაებრივი შუქი ემოსა!..
ოდნავ ფეთქავდნენ მოთენთილი მთვარის ჩრდილები...
ჩვენ ლექსებით და სიმღერებით ღამეს ვათევდით.

დაფარფატებდნენ ფრთქებქათქათა ანგელოზები...
და მერე ლოცვით ცისკენ გაჰყვნენ შუქის დინებას...

16.04.95
ბათუმი

* * *

თუ განშორების ულმობელი დარეკავს ჟამი,
ეს ზეცა, ვიცი, გაზაფხულის ცრემლს რომ მაწვიმებს!...
მოვა აჩრდილი საიდუმლოდ, მთვარიან ღამით,
რომ მოგაგონოს გაფრენილი ის სიყმაწვილე!..

ღამეულ სივრცეს გააჯერებ მხურვალე ლოცვით,
ანგელოზების ხმები ზეცას მოახავერდებს!..
მერე, ძვირფასო, გეტკინება სულიც და ხორციც,
რომელსაც მთელი მგზნებარებით ასე გავენდე!..

დაღლილ რტოებთან იქანავებ ოქტომბრის თვეში
და შეერევი ფოთოლცვენის იდუმალ ლანდებს!..
მერე დაფარავს შეღამების ღრუბელი მრეში
ჩვენი ლამაზი სიყვარულის საოცარ სანთლებს!..

მოვა ზამთარი, უჩვეულო ძალას რომ იკრებს
და ჩვენი სული იქნებ თოვლის ჩამოჰყვეს ფიფქებს?!

28.08.95
ბათუმი

* * *

ქარი ქრის და ზღვის ოქროსფერი შრიალებს ქვიშა...
ვიხსენებ იმ დროს და ტკივილით იმღვრევა სული!..
ნუთუ ეს ხსოვნა, მეგობარო, არაფერს ნიშნავს
და კივის სივრცე უჩვეულოდ ფერგადასული!..

ამაოდ ვეძებ მე შენს ღიმილს გაფანტულს ქარში
და მწუხარებით მოქანცული ქვიშაზე ვწევარ...
ვიცი, საწუთრო ულმობელი მეც მალე დამშლის
და ცას გაარღვევს ჩემი სულის ობოლი წერო!..

ვემახსოვრები უცნაურად გარინდულ ალვებს
ჩამწკრივებულებს მოდუდუნე მდინარის პირას...
ვიცი, ტკივილით მონუსხული ეს ჟამიც წავა,
სიკვდილ-სიცოცხლის ღმერთი უხმოდ გადახრის პინას!..

შემოღამების ცაზე მოჩანს ღრუბელი მომცრო,
მიქრიან დღენი, მაგრამ სული იმედით ცოცხლობს!..

19.09.95
ბათუმი

* * *

მე გული ისევ, საყვარელო, შენსკენ მიმიწევს,
შორს დარჩა უკვე ის დღეები და ზღვის ნაპირი!..
ო, გაზაფხულო, ასე რატომ გადამივიწყე,
რად არ მეძახი სიშორიდან, მზეო აპრილის?!

რად მექცა ხსოვნად ყოველივე, რასაც ვეტრფოდი,
რატომ მომაწვა სიმძიმილი ულმობლად გულზე?
დღეო მომავლის, ვიცი, ახალს ვერაფერს მეტყვი,
ნუთუ შენს რხევას, მთვარევ, უკვე ამაოდ ვუმზერ?!

ცისკრის ჩიტუნავ, ნუ მახსენებ დღეებს გაფრენილს,
მზის ამოსვლის წინ, ასე რატომ შეირხა ტოტი?
რა ვუყო გულზე უმოწყალოდ სევდას დაფენილს,
ვეღარ ვაშორებ ჩანგის სიმებს მწუხარე მოტივს!..

ჭრილობის ხანძარს, მეგობარო, ვერავინ მიქრობს,
დავდივარ უხმოდ და არ ვიცი, თუ რაზე ვფიქრობ!

14.07.96
ბათუმი

* * *

აწი გაზაფხულს ერთად ვეღარ შევეგებებით,
არც შემოდგომის უჩვეულო ფერიცვალებას!
ჩვენ არც ბღავილი მოგვაწყდება ზღვიდან გემების,
საფლავის ლოდი სველი ხავსით დაიფარება!..

საით გაფრინდა მოლაღურის ფრთების შრიალით
ეგ შენი სული, ღვათებრივი ნაზი არსება?!
უშენოდ, ვხედავ, იცრემლება მინდვრად ნიავიც
და ჩემი ყოფნა ხეს ფუტუროს დაემსგავსება!..

ბევრი გეფერე, არ მინდოდა შენი გაშვება,
დარდით მოქანცულს, ამ სხეულის მიმძიმს ტარება!
ახლა უშენოდ ვხეტიალობ ამ ბნელ ღამეში,
ვიგონებ ცრემლით გარდასულ დროს, იმ ნეტარებას!..

ვიცი, ვერასდროს დავიბრუნებ იმ დროს თავიდან,
ასე ყოფილა მეგობარო, დასაბამიდან!..

21.07.96
ბათუმი

* * *

როგორ ვთვრებოდი მაგ ბაგეთა ნაზი სურნელით?!
და მთვარე ციდან შუქს გვაფრქვევდა ვარდივით ქორფა...
შემორჩი ჩემს სულს, ვით ჭრილობა განუკურნელი
და განშორებამ, — რა უსაზღვრო ტკივილი შობა?!

მაშინ, ძვირფასო, გვიტაცებდა ფერები შინდის,
ო, იმ ყვავილმა რა უეცრად დაიწყო ჭკნობა?!
თუ ატმის რტოდან გვიგალობდა ზღაპრულად ჩიტი,
ახლა მიგზავნის შემოდგომა მწუხარე ნობათს!..

დროის დინებამ რა უზომო სამსალა მასვა
და ჩემს გარშემო ყველაფერი როგორ ხუნდება?!
თითქოს ბუნება გადაიქცა უსულო მასად,
წავიდა ის დრო და არასდროს არ დაბრუნდება!..

მივდივარ მარტო, როგორ მიჭირს სევდის ტარება!
საით წავიდა ის ღიმილი და ნეტარება?!

24.09.96
თბილისი

* * *

მოვა ჟამი და დავშორდებით ერთმანეთს ხორცით,
მაგრამ სულები აინთება ვარსკვლავთა წიაღ!..
დარჩება ჭალა და ცისფერი პატარა ბორცვი
და ყვავილები თამაშით რომ გადააქვს ნიავს!..

ჩვენ რომ გვიყვარდა ის დღეები გაფრინდა სადღაც
და ის ვარდები ჟამის ურჩი ქარებით დაჭკნა!
ამ სამზეოზე ჩვენი ყოფნის თავდება ვადა,
უნდა გავფრინდეთ, მეგობარო, სხვა რაღა დარჩა?!

ცოცხალთა შორის ვინ მიხვდება, რა ხდება იქით?
შეუცნობია ჩვენთვის მარად განგების ძალა!..
ჩვენ იმ სივრცეებს ვეღარ ვწვდებით მოკვდავნი ფიქრით,
ყველაფერს, რაღაც იდუმალი ბურუსი ფარავს!..

და თუ სხეული სულთან ერთად მტვერია მხოლოდ,
მაშინ მითხარი, საყვარელო, რა რჩება ბოლოს?!

02.10.96

თბილისი

* * *

გაზკამერისკენ მიმავალთა იდექი რიგში
მეოცე ნომრით, ნაწამები პატარა გოგო!
ნუთუ ამ ქვეყნად, საყვარელო, ტანჯვისთვის იშვი,
გართმევდა სუნთქვას ჟამის დელგმა ვარდისფერ კოკორს!

გაქცევა სცადე, და ის კაცი ხალათით თეთრით
ყელში გწვდა შვლის ნუკრს, შეგაბრუნა მწყობრისკენ მარცხნივ!
დაგეპნა მძივი სამახსოვრო, საყვარელ დედის,
ხოლო სურვილი სამუდამოდ დამთავრდა მარცხით!

იქ ჩაგაყენეს, სად გიცდიდა ჯიუტად რიგი,
ბრდღვინავდა მხეცი კაცის სახით, მართლაც წყეული!
ვეღარ გაუძლო გულმა ეკრანს! გამოვრთე იგი
და ავცახცახდი ტკივილისგან მთელი სხეულით!

ექიმო კაცო! ვინ გაგხადა ასე სასტიკი?
ვინ შეგიცვალა მკერდში გული შავი სვასტიკით?!

16.03.97
მოსკოვი

*  *  *

აწი, სად ვპოვო ის ღიმილი საოცრად თბილი?
დავეძებ, მაგრამ არაფერი შეიმეცნება!
ვეღარ ვშორდები ჩემი ყრმობის გაძარცულ ბილიკს,
დრო მიდის, მაგრამ მწუხარება აღარ ბერდება!

ვერ იქნა ჩემში სატკივარი ვეღარ დაძველდა,
დავცქერი ლოდებს სამუდამოდ გაჟღენთილს სევდით!
ამოდის მთვარე, კვლავ ჩერდება მაღალ ნაძვებთან
და მელანდება სათაყვანო აჩრდილი დედის!..

დავდივარ მარტო, აქ ჩემს გარდა არავინ არის
და სული მექცა ამოუშრობ წუხილის გუბედ!..
ისევ იღვრება სიშორიდან სხივები მთვარის
და ჩემს გარშემო იდუმალი სიჩუმე სუფევს!..

თქვენ მაგონდებით ამ მთვლემარე ფონზე ლოდების,
როცა მეც წავალ, ნუთუ ვინმეს მოვაგონდები?!

10.10.97
ბანძა

* * *

ხმით სევდიანით ისევ არხევ სივრცეს შორეულს,
მღერი გოგონა და ტირიან ვარსკვლავნი ღამის!..
გისველებს ღაწვებს ჩუმი ცრემლი გრძნობამორეულს,
ვინ ჩაგიღვარა მაგ სხეულში ანგელოზის შხამი?!

იქნებ ცხოვრების ეჭიდები ვეება ბაგირს
და მწუხარების მთელი ძალით გაშალე აფრა!..
შენ მღერი მარტო, არხევ სიმებს ღვთაებრივ ჩანგის
და სიყვარულით კვლავ ეძახი ბავშვობის ზღაპარს!..

იქნებ დღეებმა შეგარხიეს, კივილით მძაფრით
და მღვრიე ზვირთი უსაშველო მორევში გითრევს!
მითხარ, ასულო, ასე ძლიერ რად ღელავ, მარქვი,
იქნებ ტრფიალის აუტანელ სატკივარს ითმენ?!

იქნებ დემონის უსახური ლანდი გაშინებს
და სული ციურ ანგელოზებს დაუკავშირე?!

21.06.99
მოსკოვი

* * *

ყინვაში, თოვლში, ქარიშხალში ცეცხლით, მახვილით,
გზას მიარღვევდით, არ იცოდით, რა იყო შიში!
სიკვდილს ხვდებოდით ვაჟკაცური შემოძახილით
და გამარჯვების მზე დიადი კივილით იშვა!..

იმ დღეთა ქროლვას დრო ვერასდროს გადაივიწყებს,
ის უებარი მამაცობის სიმბოლოდ იქცა!
ზღვას ჰგავდა ქარში სულის ღელვა, სულის სიფიცხე
და ინერციით დღესაც დუღს და ბობოქრობს მიწა!..

სამოცი წელი გაჭიმულა, როგორც ზონარი,
მაგრამ ქვემეხთა დღემდე ვეღარ გაცივდა ლულა!
ეს ომი იყო მრისხანებით გაუგონარი,
კაცობრიობას სამუდამოდ რომ ექცა წყლულად!..

ყველამ გაიგოს, ეს იცოდეს ყველა თაობამ!..
შემდეგი ომი მიწას აქცევს არარაობად!

17.06.01
მოსკოვი

* * *

რად გახდა ასე პროზაული ჩემი ცხოვრება?
დღეებს მიმავალთ, თითქმის უკვე მხარი ავუბი!
შენი ხატება, სულო, მარად შემახსოვრება,
ო, ის ლამაზი ღიმილი და ტონი საუბრის!..

ის ხეივანი გახდა უკვე ცივი და მკაცრი,
ფერთა თამაშით მიილია დღეები მწველი!..
რაც კი გვებოძა, ჟამი ისევ ხელიდან გვაცლის,
რა შეგვრჩა? – მხოლოდ მოგონებით თვალები სველი!..

მივათრევ დღეებს ულიმღამოს და როგორ მიჭირს,
ჩამოიქროლე, ერთხელ კიდევ, ლურჯო ნიავო!
საით წავიდა ის პატარა, ლამაზი ბიჭი,
რომ შორს გაქცეულს ეწეოდა ველზე ნიამორს?!

გულს მძიმედ დაღლილს – ეს რა მძიმე სევდა მოება!..
სად გაქრა ო, იმ სილამაზის უსაღზვროება?!

12.09.01
ბანძა

* * *

იმ პირქუშ დღეებს თქვენი მკაცრი დუმილი აზის,
როცა განვშორდით ჩვენ ერთმანეთს, გული მეტკინა!
არ ვიცი, ხშირად რად იმარჯვებს ბოროტი აზრი,
უთქვენოდ ქვეყნად სიცოცხლეც ვერ წარმომედგინა!

ჩემო წიგნებო, დაფერფლილნო ჯალათთა ხელით,
ვინ დამიმსხვრია საუკუნის ფრთები ძლიერი?
მოვდივარ სახლში, მაგრამ უკვე არავინ მელის,
მხოლოდ დამსდევენ დემონები შურისძიებით!..

სული მშფოთვარე, ვით გაუძლებს ამდენ სიმძიმილს,
არ შემრჩა ძალა, რომ იმდენი სისხლი მადინეს!
ო, ჩემში თქვენი საოცარი შუქი ციმციმებს,
უთქვენოდ გზები აწი ვინღამ გამიადვილოს?

დრო მიდის, მაგრამ ყველაფერი მეუცხოება
და თქვენს ხსოვნაში იფერფლება ჩემი ცხოვრება!..

17.04.02.
ბანძა

* * *

ვდგავარ კბოდეზე და გარშემო არავის ვხედავ,
მხოლოდ ტალღები უჩვეულო ხმაურით მიდის!..
რატომ ამკიდე სიყვარულის ვეება ტვირთი
ჟამთან ჭიდილში, ბრძოლის ველზე გადაღლილ მხედარს?!

სად გაქრა, ნეტავ, ჟრიამული ბავშვობის წლების?
იმ დღეთა შუქით ო, ეს ზეცა რატომ არ ბრწყინავს?!
ო, ეს მთებიც და ეს მინდორიც სხვა იყო წინათ
და სულში უკვე უბოლოო ტკივილი წვება!..

ვუცქერ და გული მწუხარებით მევსება თითქოს,
მინდა, კვლავ ერთხელ ვეამბორო მაგ ცისფერ ნათელს!
დრო რეკავს ზარებს დაუცხრომლად, ვითარცა მნათე
და ბუჩქებიდან იცრემლება ბავშვობის ხვითო...

აბაშავ ჩემო! მთელი გულით მე შენი ტყვე ვარ!
გემშვიდობები! სისხლი ღელვით აწყდება ვენას!..

10.10.02
ბანძა. აბაშისპირი

* * *

აჰა, ვშორდები ჩემს ეზოს და სანუკვარ მინდვრებს,
რომელსაც აწი, მეგობარო, ვერასდროს ვნახავ!
წინ ნისლიანი საცალფეხო ბილიკი მიდევს
და ჟამი გულზე რა ულმერთოდ მიმიზნებს ლახვარს!

მე ვეფერები კოშკს ოცნების, რომელიც ვაგე,
ვით მინდვრის ყვავილს ეფერება ნიავი დილის!
გზებზე მოფანტულს ვხედავ ჩემი ცხოვრების ნანგრევს
და ჩემი ლანდი სიყმაწვილის საბრალოდ ტირის!..

სევდიან მზერით შორს მიმავალ იალქნებს მივსდევ
და მივაბიჯებ მშობილური ჭალისკენ ოხვრით!..
ჩემო აბაშავ, უჩვეულო ტკივილებს მისევ
შორეულ გზებზე ხეტიალით უზომოდ მოღლილს!

ო, ერთხელ კიდევ ჩავისუნთქავ შენს ჰაერს ხარბად
და მერე თვალებს განშორების ცრემლეით განვბან!..

12.11.02
ბანძა

* * *

ისევ მოვედი, მომენატრა ჩემი სახლ-კარი,
დრო მიისწრაფის, ეზო სევდას ვეღარ იფერებს!
ნუთუ ყველაფერს აცამტვერებს ჟამი მსახვრალი,
ჩემი ატმის რტო, ღმერთო, ასე რად დამიბერე?!.

მინდა ჩემს ჭალას მოვეფერო! იქითკენ მივალ
და გზაზე თითქმის აღარ მხვდება სახე ნაცნობი!
მივდივარ მარტო, ყველა ძარღვი საოცრად მტკივა
და ლამის ღელვამ ამომიგდოს გულის საცობი!

მინდვრებს საყანეს მოსდებია ხშირი წალამი!
რამ დააყრუა ეს შარა-გზა, როგორც ტრამალი!
ცაზე ჰკიდია მოწითალო ღრუბლის ალამი
და სოფლის ბოლოს სევდიანად ყივის მამალი!..

თვლემს ჩემი ჭალა და აბაშა მიდის დუდუნით,
სად გაიტყორცნა ის დღეები დროის შურდულით?!

18.11.02.
ბანძა

* * *

თითქმის ყოველდღე რადიოდან გვესმოდა მარში,
ასე რამ შეკრა ეს ქვეყანა ერთ დიდ სხეულად?!
ჩვენი ყველა გზა მიდიოდა ფრონტისკენ მაშინ,
ჩემი სოფელიც იდგა ფეხზე გამორჩეულად!..

და კიდით კიდე მძაფრად რეკდნენ რწმენის ზარები,
არ ჩაუხრია სოფელს მუხლი თითქმის წამისად!
მსხვრევით, ხმაურით მოდიოდნენ დინოზავრები,
თვალს მიეფარა, სამუდამოდ ის დრო წავიდა!..

გუთნის სახელურს ძლივს ვსწვდებოდით მაშინ ბიჭები,
მაინც სახეზე ყველას რწმენის შუქი გვეფინა!..
იმ წლების ხსოვნა ჩემში ახლაც მძლავრად იჭრება,
რა ძალა იყო შემართების, გამაგებინა?!

ო, სიმამაცე ჩემი სოფლის მყოფნის მოტივად,
მე შენს წინაშე კვლავ ქუდს ვიხდი, როცა მოვდივარ!

17.11.02
ბანძა

* * *

ჩემი ბუხრიდან ძლივს ამოდის ფთილები კვამლის,
აჰა, საცაა აქ სიცოცხლის გაწყდება ძარღვი!
როგორ არ მინდა, ისევ შეწყდეს ყივილი მამლის
და ნასახლარზე შემზარავად აყმუვლდეს ძაღლი!..

არ მინდა ოხვრით დადიოდეს ადგილის დედა,
ეხუროს თავზე მგლოვიარეს მანდილი შავი!
შორს, ჩაქრეს ცაზე, ვარსკვლავების საამო ფეთქვა.
და დასჩხაოდეს ეზოს ხიდან ბებერი ყვავი!..

მზარავს მამის ხმა სიშორიდან წამებით სავსე.
ედება სივრცეს ცრემლიანი დედის ქვითინი!..
ო, მთვარე ისევ სევდიანი მიცურავს ცაზე,
ჩვენზე თქმულება შემორჩება სოფელს მითივით!..

ო, ალბათ მალე აქ სიცოცხლის შეწყდება რხევა,
რომ არ მესმოდეს ეს ტკივილი, — ფუტურო ხე ვარ?!

25.11.02.
ბანძა

* * *

*ჩემი ძვირფასი ლექტორების ხსოვნას*

გარბიან წლები დარბეულნი ჟამის ზღვაურით
და საოცრად ვგრძნობ იმ შორეულ დღეთა ნათებას!..
ზღვა ძველ ნაპირებს კვლავ აწყდება აურზაურით
და თქვენ ანთიხართ მწვერვალებზე ხსოვნის სანთლებად!..

ვინ შეაჩერებს უთავბოლო ზვირთთა კვეთებას
ან ვინ ჩააქრობს სამუდამოდ თვალებს სატანის?!
თქვენ არ ხართ, მაგრამ ცოცხლობს თქვენი შემოქმედება,
ნეტავ, სად ვპოვო, სად ვეძებო, თქვენი ბადალი?!

რა ულმობლად ცვლის ჟამს აღმასვლის, ჟამი დაცემის,
რაც მოხდა ალბათ სულს წამებად ესეც ეყოფა!..
სადა ხართ ახლა, სათაყვანო ერისკაცებო,
რომ ბოროტებას მთელი ძალით გადაეღობოთ!..

იყავით მუდამ სულით, საქმით ერის მსახურნი
და არ იცოდით, თუ რა იყო სხვა სამსახური!

20.04.03
მოსკოვი

* * *

*ჩემი ძვირფასი ლექტორის, ცნობილი ფიზიკოსის*
*ვიქტორ ბეშიძის ხსოვნას!*

მოვიდა სხვა დრო, სხვა ფიქრებით, სხვა გატაცებით,
თქვენი ამაგი ო, მე მუდამ მემახსოვრება!..
როგორ მომრავლდნენ ქვეყანაზე არაკაცები,
რასაც ებრძოდი შემართებით მთელი ცხოვრება!..

მოვიდა სხვა დრო, სხვა ფერებით სუნთქავს ქალაქი,
რაც იყო,იგი საუკუნოდ დარჩა თქმულებად!..
თქვენს საფლავზე კი ნაზამთრალი ფეთქავს ბალახი
და გაზაფხულის სიო ლურჯი ეჩურჩულება...

მოვიდა სხვა დრო! და ამაზე წუხდი ნიადაგ!
იმ დიდ წარსულთან ამ დღეების არ ჩანს მსგავსებაც!
დროთა კავშირის ვხედავ უკვე აყრილ ლიანდაგს,
ღირებულების უღვთოდ ხდება გადაფასება!..

წავიდა ის დრო და ვერასდროს მოვა მეორედ,
მაგ სულის ღელვას კვლავ ვერავინ გაიმეორებს!.

21.04.03
მოსკოვი

* * *

ლამანჩელივით მეც დავრახტე ჩემი თეთრონი,
ტანს კი ბექთარი მიმშვენებდა, თავს მუზარადი!..
გავიჭერ გზაზე, რომ მომესპო ეს უღმერთონი
და ბრძოლის ველზე ხმლით და ხაფით ბოროტს ვზარავდი!..

მეც მახლდა სანჩო, მეაბჯრე და ერთგული მოწმე
და დაჭრილს ბევრჯერ დამაფარა ტანზე ზეწარი!..
მეც სისხლით ქარის წისქვილების მინდორი მოვრწყე
და ვლეწე მტერი ჯერ ბოლომდის დაულეწავი!

გადავცქეროდი გზებს და მინდვრებს სახით მჭმუნვარით,
სწორუპოვარი მეომარი და შორსმჭვრეტელი!..
მეც ღმერთმა მომცა ქვეყანაზე ბრძოლის უნარი
და სული მქონდა დაუღლელი, დაუშრეტელი!..

მე რაც გადამხდა, ის საქვეყნოდ გახდა ცნობილი
რა ვიყავ ნეტავ? – რაინდი თუ ძე შეცდომილი?!

28.07.03
მოსკოვი

* * *

რატომ გჩვევია გულგრილობა ხშირად, ბუნებავ?
ო, როცა შენგან უჩვეულოდ ბევრს ველოდებით!..
თუ მოისურვებ სულს აგვიკლებ კვნესა-გოდებით,
როცა სიკვდილი ათასჯერ სჯობს დაძაბუნებას!

შენ ხომ ვერავინ ვერ შეგზღუდავს მეფურ ბრძანებით,
მოგაქვს ზვირთები ულმობელი, მთებისოდენა!..
მთელ დედამიწას ფერს შეუცვლი მოულოდნელად,
როცა სურვილი უჩვეულოდ მოგეძალება!..

სამყაროს ბრუნვას გასაოცარს მარტო განაგებ,
გავცქერი სივრცეს და სული გრძნობს ციურ ნათებას!..
ხანაც იმედი სანთელივით შემოგვადნება,
გაგვიცამტვერებ რუდუნებით კოშკებს ანაგებს!..

არ ვიცი, ასე რად იქცევი ხშირად დილემად,
რატომ გაურბი, ყოვლისშემძლევ, უკვდინებას?!

30.09.03
მოსკოვი

* * *

*ჩემი მეგობრის – ბორის ზარქუას ხსოვნას!*

ო, რა ლამაზი იყო ჩვენი ძმური კავშირი!..
ვიცი, ეს გული მოგონებას ვეღარ აიტანს!
გელოდებოდა ნავი პორტში აფრაგაშლილი
და ჩვენც გელოდით ჩვენი ნავის უცვლელ კაპიტანს

შენ კი ხიდისკენ გაემართე ნაბიჯით დინჯით,
ზღვა ბობოქრობდა... შენ ამაყად დადექ საჭესთან...
არ შეუშინდი ზღვას ამღვრეულს მამაცი ბიჭი,
როცა სივრცეში უცაბედად ქარიც გაჭენდა!..

შორს, მივარღვევდით ჩვენ სტიქიონს აბობოქრებულს,
იდგა გუგუნი და ზვირთი კი ზვირთზე გარბოდა!..
ეხეთქებოდნენ ნავის კედლებს მძლავრი მოქნევით
და ზღვამ მღელვარემ ვერ გვაქცია მაინც ნაფოტად!

შენმა სიმხნევემ, შემართებამ გადაგვარჩინა,
რომ არ ვიქეცით ჩვენ სამთავე ღამის აჩრდილად!

28.08.03
მოსკოვი

* * *

ფიქრით პლანეტას შეაბერდი, იცხოვრე რწმენით,
რა გულუბრყვილო ბატკანი ხარ მამა-აბრამის?!
ბიბლიურ კაცის რა საოცრად გამშვენებს წვერი,
არც დასასრული ვიცით შენი, არც დასაბამი!

მე ბოღმა მახრჩობს ამ გულიდან გაუდინარი,
რომ შენს ღირსებას ვეღარ შევხვდი, ძვირფასო, ქებით!
ო, ეს ცხოვრება  მიდის, როგორც მღვრიე მდინარე
და გავიწაფე კაცი უკვე სროლაში ქვების!..

დემოკრატიის სამშობლო ხომ ათენი გახლდათ,
დიდი სოკრატე იყო მისი პირველი მსხვერპლი!
და ყველამ ვიცით, თუ რა ბნელი დაეშვა ფარდა,
დარჩა უდღეურ ნაკვალევზე მტვერი და ფერფლი!..

დემოკრატია ჩვენთან ნაღდი იმპორტი გახლავთ,
ყველგან ქაოსი შემზარავი, – საითაც წახვალ!..

02.01.06
მოსკოვი

* * *

*შ—ს*

შენი ტკივილის არ გიყვარდა სხვისთვის მოხვევა
და მეგობრებში იყავ მუდამ გამორჩეული!
არც იმას ჰგავდი, ვინც ერთბაშად დაიბოღმება
და ცხოვრების ზვირთს შეასკდება მთელი სხეულით!..

შენ გაურბოდი დღენიადაგ სულით ობლობას,
იგერიებდი პირქუშ დღეებს თითქოს ლაღობით!..
მტრების მიმართაც გაურბოდი დაუნდობლობას
და დაიპყარი ჩვენი სულის ყველა მაღლობი!..

მოკვდავთა შორის იშვიათად იბადებიან
შენისთანები! — გადმოფენენ სულის სიუხვეს!..
მერე კი ხსოვნის თბილი შუქით იბადრებიან
და მას ვერაფერს ვერ დააკლებს ჟამის სიმუხთლე!

შენ კაცი იყავ, სული გქონდა სულ სხვა ყალიბის,
შენისთანების წასვლით ვხვდებით მუდამ ღარიბი!

03.09.03
მოსკოვი

* * *

უიმედობას მეგობარო, აღარ დანებდე,
შეხედე, ჟამი ხელუკუღმა ისვრის კამათელს!
იდექ ამაყად, აღარ აჰყვე შიშს და ზმანებას,
თორემ სიკვდილი სულ უბრალოდ დაგაშამათებს!

დღეების რისხვით ნურასოდეს ნუ გაყუჩდები,
უღრან ღამეში მხოლოდ რწმენის შუქი აინთე!..
დაშლას და ქაოსს ხომ ვერავინ გადაურჩება,
მოვა ჟამი და ის ფსკერისკენ ბრუნვით ჩაგითრევს!..

ვერ გადალახავ დავიწყების კლდეებს ციცაბოს,
თუკი ფარანი დიოგენის გზას არ გინათებს!..
დასაბამიდან მიზნისაკენ უნდა ისწრაფო
და ბრძოლით უნდა მოიპოვო მუდამ სინათლე!

დრო ვერ ამარცხებს ბრძოლის ველზე კაცს შუბლოფლიანს,
ო, ასთია ამ ცხოვრების ფილოსოფია.

14.09.03
მოსკოვი

* * *

*ერთი წავა და სხვა მოვა,*
*ტურფასა საბაღნაროსა.*
*შოთა რუსთაველი*

სამოცდაათ წელს გავცდი კაცი უკვე თამამად
და ფინიშისკენ კვლავ ტკივილით მივექანები!..
უიმედობამ თავი უკვე ვეღარ დამალა,
რა ურჩი ქროლვით მიკივიან სივრცეს ქარები!..

გზადაგზა თითქმის მეგობრები შემომეცალნენ
და უკვე ჟამით გაძარცული ლექსებს ვენდობი!..
ჩემს ცაზე რწმენის შემოფრინდა წყვილი მერცხალი,
როგორ არ მინდა გავხდე მსხვერპლი უიმედობის?!

მინდა გულისთქმას სიმძიმილი არ გავაკარო,
აჰა, საცაა, ვიცი ულვთოდ გავითელები!..
მზე ჩადის... რტოზე შემოდგომის სხივი კანკალებს
და მაინც ველი სიყვარულით დღის გათენებას!..

ვინ შეაჩერებს გაფრენილი დროის მირაჟებს,
ქედმოუხრელად ვდგავარ ისევ მე შენს წინაშე!..

15.09.03
მოსკოვი

* * *

ვერ შემიცვნია წუთისოფლის გზები ტიალი,
ან ეს პლანეტა როგორ ბრუნავს ძალიან მიკვირს!
დასაბამიდან აქ იმდენი ცოდვა ტრიალებს,
საოცარია, დღემდე როგორ გაექცა სიკვდილს?!

თანამგზავრებით მზეო, საით მიექანები?
მიწას სირცხვილით უკვე თვალის გახელაც უჭირს!
ცა ვარსკვლავებით ფეთქავს, როგორც ლურჯი ზმანება
და დედამიწა ცოდვით სავსეს მიათრევს ხურჯინს!..

ო, ამ სამზეოს უკვე ქცეულს არარაობად,
აფორიაქებს ბოროტების ფრთები საზარი!..
ჟამი ვერ უძლებს დემონების ამ გულზვაობას,
ლამის დაკეცოს მზემაც ფრთები უზარმაზარი!

ცა მადგას თავზე შემოდგომის შუქით დაცლილი
და გორმახებში სტვენით გარბის სადღაც მაცილი!..

17.09.03
მოსკოვი

* * *

*დედას*

როცა შენ წახველ, თხუთმეტი წლის ვიყავი მაშინ,
ჩემი ბავშვობის ოქროს ხანა დამთავრდა ამით!
სოფლის ბოლოში ჯოხის თეთრი დავტოვე რაში,
მხოლოდ სიზმარში მოდიოდი, ძვირფასო, ღამით!..

უკანასკნელად გულდაწყვეტით შემახე ხელი
და მაგ თვალებში განშორების მოჯარდა ცრემლი!..
ეზოში კრთოდა შემოდგომის ნისლები თხელი
და იდგა მხოლოდ მოყვითალო ფოთლების ცვენა!..

მერე ცხოვრებამ ჩამითრია ხმაურით, ზათქით,
მღვრიე ზვირთებმა მიმახეთქეს რამდენჯერ ჯებირს!..
ო, რა კივილით მოდის ახლა დღეები ზამთრის,
მივყვები ბილიკს – შენი შვილი დაღლილი წლებით!..

დროის მდინარე ისევ ღელვით მიედინება!..
მე ის დღეები მასხენდება და მეტირება!..

04.10.03
მოსკოვი

* * *

როცა ჩემს კუბოს სახურავი დაეხურება,
ვერ მივადევნებ თვალებს ჩემი ზეცის სილურჯეს!
ნუ შეშფოთდები უცნაურად, სულო იყუჩე,
რადგან ინება, ყოველივე ასე ბუნებამ!..

წუთისოფიდან საიდუმლო მიმაქვს რამდენი,
რას იზამ? – ქვეყნად ყოველივე ასე ხუნდება!
მიწის სირღმეში ჩემი ძვლებიც ახმაურდება
და ცის სიღრმეში აინთება წყვილი სანთელი!..

ობოლი წერო ჩემს სამარეს გადიკივილებს,
როცა ვერ ვნახავ მაგ თვალების ლამაზ ნათებას!
რატომ დაღონდი, გულო ჩემო, რა გემართება,
რადგანაც მოხველ, აიტანე ყველა ტკივილი!..

რა მოხდა გულმა თუ დაკარგა ბრძოლის უნარი,
სული დარჩება ამ ლექსებში გაუხუნარი!..

05.10.03
მოსკოვი

* * *

შევედი ბაღში შემოდგომის ქროდა ნიავი,
არხევდა სივრცე გაძარცული სევდიან სიმებს!..
მიაბიჯებდა ბერიკაცი ბილიკზე მძიმედ
და ირგვლივ მხოლოდ ფოთოლცვენის იდგა რიალი!..

ნისლებში კრთდა უცნაურად მზე ალმაცერი
და ხეზე იჯდა გაზაფხულის ჩიტი მდუმარი!..
ბაღის სიღრმიდან მოდიოდა ხმა იდუმალი
და ჩემ წინ კრთოდა ხე ბებერი ქარით ნაცემი!..

ღელავდა ირგვლივ ქარვისფერი სივრცე ფოთლების,
ქროდა ნიავი შემოდგომის მოუსვენარი!..
და ირწეოდა წყლის პირს ლერწმის ტანი კენარი,
ფერიცვალების სივერაგით შენაშფოთები!..

ო, მეც ავტირდი ფოთოლცვენა როცა დასრულდა
და ჩემს ლოყაზე განშორების ცრემლი დაცურდა!..

06.10.03
მოსკოვი

* * *

სიცარიელეს ვგრძნობ ძალიან უშენოდ ახლა,
დავდივარ მარტო, თუმცა ხალხით სავსეა ქუჩა...
ამ ჩემს ტკივილს და მწუხარებას ბოლო არ უჩანს,
საცაა ჟამი უმოწყალოდ მაძგერებს ლახვარს!

დრომ მოაზღვავა ჩემს გარშემო ლანდები ურჩი,
ასე გულუხვად, რომ მაჩუქა წყეულმა ბედმა!
ცხოვრების ზვირთი — ეს რამდენჯერ მეკვეთა მედგრად,
მაგრამ ამ შეხლას მერამდენედ კვლავ გადავურჩი!

მოვსულვარ მისთვის, რომ ვეომო უკუღმართობას,
თუ დავეცემი ძეგლს ამიგებს ხელთუქმნელს მუზა!
ცხოვრების ზღვაში მე უშიშრად ჩავუშვი ღუზა,
რომ ციდან შუქი დამაღვაროს თრთოლვით მნათობმა!..

შენ ჩამომშორდი და ღიმილი არ მეკარება,
სიმშვიდე სულის დამირბიეს ჟამის ქარებმა!..

12.10.03
მოსკოვი

* * *

კვლავ ეფინება საოცარი შუქი მინდორ-ველს,
სიომ მაისის ლერწამს ტანი გადაუზნიქა!..
მე შენზე ფიქრი, საყვარელო, იმედს მიტოვებს,
რომ ყველაფერი ფერფლად იქცეს, რჩება მუსიკა!..

დასაბამიდან მირიადი გავიდა წელი,
სიცოცხლეს ბევრჯერ ჟამთა დენამ მწარედ ქუსლი ჰკრა!
ისევ ვინთები სიყვარულის უსაზღვრო რწმენით,
რომ ყველაფერი ფერფლად იქცეს, რჩება მუსიკა!..

ქარიშხლის ფრთებზე ეს სამყარო ბევრჯერ აზვირთდა
და დედამიწა ქანაობდა, როგორც ხომალდი!..
სულმა იმედი უსაშველოდ მაღლა აზიდა
და მზის ფერები ამ მიწაზე ისევ მომრავლდა!..

ხშირად სიყვარულს ჩანასახში ზამთრის სუსხი კლავს!
რომ ყველაფერი ფერფლად იქცეს, რჩება მუსიკა!..

30.10.03
მოსკოვი

* * *

შენ არ ხარ, მაგრამ მე ისევ გთვლი ცოცხალთა შორის,
დავცქერი საფლავს და თვალებში თითქოს გიყურებ!
ო, აქ რა გინდა, სადაც მეფობს ხავსი და შმორი,
ეს შავი ლოდი ადრე რისთვის გადაიხურე?!

ამ სიჩუმეში ვდგავარ მარტო ფიქრით დაღლილი,
ო, რამ ჩააქრო ასე უღვთოდ შენი ცხოვრება?
ეშვება მძიმედ სიშორეში მზე გადახრილი
და მდუმარება რა საშინლად მეუცხოება!

რამ შეაჩერა გული ღელვით დაუცხრომელი,
მეგონა, ამ გზას გავივლიდით ერთად ბოლომდის!
ეს რა უეცრად ჩაქრა შენი შუქი ცხოველი
და სატკივარი თითქმის გასცდა ყველა მოლოდინს!

ვიხსენებ წარსულს და აიკლო სული ზმანებამ,
დე, რეკონ ჩემში უსაშველოდ მწუხრის ზარებმა..

07.11.03
ბანძა

* * *

თქვენ გინდათ, რომ აქ ნაკვალევიც არ დარჩეს ჩვენი,
ლამის დუღაბი გადაასხათ, რაც იყო წინათ!..
აქ, ამ მიწაზე გუშინ სისხლის დაუშვით წვიმა
და ყველაფერი მტვრად აქციეთ ბოროტთა რჩევით!

ეს მერამდენედ აუჯანყდით მშობლიურ კერას
და ეს ედემი კართაგენის ნანგრევად იქცა!..
შეხედეთ, თუ რა შემზარავად ცახცახებს მიწა,
რომ მოგვევლინეთ: მოღალატედ, ჯაშუშად, მკვლელად!

დავდივარ, მაგრამ აქ თქვენეულს ვერაფერს ვხედავ,
შეხედეთ, ამ ხეს, რომ ეხვევა ჩიტები გუნდად!..
შეხედეთ, ამ ზღვას მზე რომ ათრობს, ქართულად სუნთქავს,
უგუნურებამ ო, ეს მხარე აქცია ცხედრად !

ეს ცა და მიწა არ ეგონოს ვინმეს ტრამალი,
აღარ დარჩება ბოროტების აქ ნატამალიც!

10.11.03
მოსკოვი

* * *

ეს მერამდენედ ჩამოვკარი სიმები ჩანგის,
გულისთქმა ჩემი მოგანგაშე, რომ ყველას ვამცნო!..
დღემდე რად რჩება ეს პლანეტა სამყაროდ ჩაგვრის,
ესმოდეს ყველას — კიდით კიდე უცნობს და ნაცნობს!..

ხვეწნა-მუდარით ამ ვეშაპთან ვერაფერს გავხდით,
შეხედე ერთი, მოთმინება სანამდის გვეყო?!
ჩემს სამშობლოში ბარბაროსმა დაიდგა ტახტი,
სწვდება ყველაფერს შემზარავი, მისი ხმის ექო!

სურს დაამსხვრიოს ჩემს მამულში სიმაგრე ყველა,
ამ მთებს და მინდვრებს, მწუხარების ნისლები ათოვს!..
და ოკეანე, უცნაურად სიცოცხლის ღელავს,
ო, ლამის არის ყველა ქიმი დაემსხვრეს მნათობს!

ბოროტი ძალა ამ პლანეტას ახსოვს მრავალი,
მაგრამ არასდროს ო, ასეთი ქვეწარმავალი!

31.12.03.
მოსკოვი

* * *

შავი ბერეტი ბოროტების თავზე გახურავს,
დასაბამიდან ყოველივეს სპობ და ინელებ!..
სად მზე ყვაოდა, იქ ამეფებ მხოლოდ სიბნელეს,
ძარცვავ სინაზეს, სილამაზეს აუსახურებ!..

ბაგე, რომელიც უღიმოდა დღის ელვარებას,
თვალი, რომელიც ჯადოსნურის იყო მხილველი!..
სული, რომელიც დაფრინავდა, როგორც ფრინველი,
ჩამოსცილდება მხოლოდ შენით ციურ ზმანებას!..

შეხედე წყაროს, მოხასხასე ამ ლურჯ ფერდობზე,
უსმინე ჩიტებს, რომ ათრობენ სივრცეს გალობით!..
ეს ყველაფერი იძარცვება შენი წყალობით
და ხდება მსხვერპლი სიმახინჯის, უიმედობის!..

აქ,ხომ ყველაფერს დროის მკაცრი ბეჭედი აზის!
რა რჩება? – ლექსი, მხოლოდ შერწყმა გრძნობის და აზრის!.

22.12.03

მოსკოვი

* * *

ერთხანს იდექი, კეისარო, წინაშე სფინქსის,
პირამიდებთან მძლავრი სუნთქვა გესმოდა მისი!..
თუ რა უთხარით თქვენ ერთმანეთს – არავინ იცის,
მის ცივ თვალებში კრთოდა მხოლოდ ფარული ნისლი!..

უმზერდით ერთურთს – შენ მგზნებარე, ის მკაცრად მშვიდი!
ვეღარ გაუძელ მის ჩუმ ღიმილს, მზერას ალმაცერს!..
შენ კეისარო! – საუკუნის იალქნებს შლიდი,
ის – მარადიულს!.. და ამიტომ ვერ დაამარცხე!

შენ წარმავლობა აქ იგრძენი დიდების ჟამის,
რომელიც დროის გრიგალ-ქარებს ამაოდ უძლებს!
შებრუნდი მისგან მოქანცული ფიქრებით შავით
და მიხვდი უმალ, რომ ულმობლად შეგერყა ფუძე!..

ის დღესაც იქ დგას, სივრცისა და დროის დარაჯად,
როდესაც შენი მკრთალი ლანდი უკვე არა ჩანს!

11.01.04
მოსკოვი

* * *

არ ჩაგითრიოს სიყვარულმა ცალმხრივმა თორემ,
ის სამუდამო ტკივილად და ტანჯვად გექცევა!..
ვეღარ გაარღვევ, რომც ეცადო, ულმობელ მორევს,
შეეწირები ლამაზმანის თვალის ცეცებას!..

თუ ვერ დასძლიე დროზე იგი, მაშინ უცილოდ
ივლი ამ ქვეყნად უჩვეულოდ განაწამები!..
დღე კი გექნება სავსე ღელვით, ღამე–უძილო,
რადგან ცალმხრივი სიყვარულის ქსელში გაები!..

იწამე სული ერთობ სავსე გრძნობით, ღიმილით
და სიყვარულის უნაზესი ცეცხლის მოდებით,
რომელიც ჟამის მუდამ უძლებს რბევას, მოსევას!
ცალმხრივი ტრფობა მოიგლიჯო უნდა ღილივით,

თორემ შენი გზა მწუხარებით შეიმოსება
და ხელმეორედ ვერასოდეს განმეორდები!

28.01.04
მოსკოვი

* * *

თუ გაუცინებ სიყვარულით ცხოვრებას მაშინ,
შენც არ დაგაკლებს ღიმილსა და ფერთა სიალეს!..
და თუ მონახავ მეგობართან სულიერ კავშირს,
შენს მწვანე ველზე გაზაფხული გადიშრიალებს!..

ვერას დააკლებ ჟამს ულმობელს ოხვრით, წუხილით,
სადმე უეცრად და გულცივად გაგინაპირებს!
ზედ გადაგივლის ღვარცოფებით, ჭექა-ქუხილით,
ან მიგახეთქებს სამუდამოდ პირქუშ ნაპირებს!..

გახდები მსხვერპლი უსუსური, უიმედობის,
ამ ქვეყნად მოსვლა ო, რა მწარედ დაგენანება!
და შენი ლანდი დაცურდება სადმე ფერდობზე
ადევნებული იმ შორეულ ფერად ზმანებას.

გწამდეს ცხოვრების, თუმც გულწრფელად ნუღარ ენდობი,
მას დამრეცი აქვს, მეგობარო, ყველა ფერდობი!

04.02.04
მოსკოვი

* * *

ყველა შემოქმედს სდევდა გრძნობა უკმარისობის
და მეც ამ გრომძნობამ უცნაურად ამიყოლია!..
ჩემი არსება დაიხვრიტა იჭვის ისრებით,
თუმც ლექსზე უფრო საიმედო არვინ მყოლია!

ნუთუ ეს არის ყოველივე, რაზეც ვღელავდი
და ფრთების გაშლა უფრო მძლავრად რჩება სურვილად!..
ვინ დამიხურა ჭაბუკობის გზები ფერადი
და ცა ლამაზი ვარდფურცლობის ოქროცურვილი?!

ო, ეს რამდენჯერ აბობოქრდა ჟამი მრისხანე,
შმაგი კივილით – ეს რამდენჯერ შემომიტია!..
ჩემი ფიქრები მარადმწვანე რტოებს ისხამენ
და სულში მაინც უკმარობის გრძნობა მინთია!.

ვეცადე, მაგრამ ვერ გავედი იჭვის ველიდან,
გაორებული ვრჩები კაცი ამიერიდან!..

09.02.04
მოსკოვი

* * *

სადღაც გაფრინდა მომღერალი ჩიტების გუნდი
და მე შემომრჩი შემოდგომის ყვითელ ნაპირებს...
ვერ იქნა, დღემდე ჟამის ვეღარ დავლეწე ხუნდი
და დარდმა ბევრჯერ მომამწყვდია, გამინაპირა !

უკვე დაკეცა გაზაფხულმა აფრები მწვანე
და მოხასხასე გაიხადა სივრცემ მანტია.
გულს მისუსხავენ ფოთოლცვენის ქარები მწარედ
და სული ვეღარ ეგებება ლხენით განთიადს!

დღეთა დინება ვერ მიფანტავს მღვრიე კაეშანს,
მინდორზე უხმოდ მოყვითალო ნისლი მოცურავს...
აიკლო სული უსაშველოდ ქარის თარეშმა
და ვდგავარ ჩემთვის ფოთოლცვენით გარემოცული!..

უშენოდ, ნეტავ, სანამ უნდა ვიხეტიალო,
მოდი, ეს გულიც ამომგლიჯე, ბარემ, ტიალო!

22.02.04
მოსკოვი

* * *

შენზე, ძვირფასო, ლამის არის გადავყვე ფიქრებს,
ვერ იქნა, ველარ მოვიშორე ძალა ბოროტი!
რაღაც ვიყავი, ახლა უკვე არარად ვიქეც,
ვერ გავარღვიე, რის გარღვევაც მსურდა ბოლომდის!

ბორგავდა სივრცე ჩემს გარშემო დაუნდობელი,
მაინც არ ვგავდი, მეგობარო, შიშით ატანილს!
მეც მაბრუნებდა უცნაურად ჟამის მორევი
და მაწყდებოდა ეს ცხოვრება ფრთებით სატანის!..

მეფინებოდა სიშორიდან შუქი დიადი
და ანგელოზის ფრთებს არხევდა შენი ხატება!..
სიმს აღჟერებდა უჩვეულოდ ცა განთიადის
და ვგრძნობდი ჩემში გაზაფხულის შემონათებას!..

ეს ზეცა იყო, თუ ღრუბლიდან ელვამ ინათა?
ვდგავარ ტკივილით დაცხრილული რუსულ ჩინართან!..

03.03.04
მოსკოვი

* * *

მე მთაწმინდიდან გავცქერ ახლა მთვარის ნახევარს
და ჩემი ქვეყნის გასაჭირი ცეცხლად მედება!
თქვენი შვილობა მამულს მუდამ ეამაყება,
და თქვენი ჩანგის ფერუცვლელი შემოქმედება!

ძველი წავიდა, საუკუნე მოდის ახალი,
მაგრამ ტკივილი შემზარავი ჯერაც ვერ დაშრა!
ქვეყნად არასდროს არ ბერდება აზრი მაღალი,
რადგანაც იგი არ მორჩილებს რღვევას და დაშლას!

ათიათასჯერ ჩავიმუხლებ თქვენს საფლავებთან,
სანამდე ქვეყნად მზე ქართლოსის ცაზე ანთია!
ხვალინდელ დღეზე მწარე ფიქრით გული დაბერდა,
ვეთაყვანები მამულის ცას მრავალსანთლიანს!..

კარგად იცოდით რას ნიშნავდა, ერის შვილობა,
სიცოცხლის ფასად უშუშებდით მამულს ჭრილობას!

14.05.05.
თბილისი

* * *

ისევ მიდიან, ო, რა ზანტად ღრუბლები გვალვის,
დახეთქილია დედამიწა მზის მხურვალებით!..
შეხედე, როგორ გატრუნულან ხეები ალვის
და იმზირება ტყე უზომოდ ნაფერმკრთალები!..

მდინარე ერთობ დაუფარავს შლამსა და ბალახს
და ლამის არის, რომ შეწყვიტოს ღელვა-დინება!
ირმები მთიდან ჩაორბიან მწყურვალნი ბარად,
ნუთუ სიცოცხლე გადაიქცა უკვე დილემად?!

აიკლო სივრცე მზის ჩანჩქერის მკაცრმა თარეშმა,
ადგილის დედას რად ჩაუცვამს ტანზე ძაძები?!
სიცოცხლის ფრთები დამსხვრეული უკვე დაეშვა
და სივრცეს უხმოდ მოსდებია სევდა ნაძვების!..

ვინ გაიმეტა სასიკვდილოდ ო, ეს ზღაპარი?
რად აიკიდე, მზეო, ცოდვა ჩემი მთა-ბარის?!

07.08.05
ბანძა

* * *

დადიხარ მარტო და ღრმა ტკივილს არავის უმხელ,
ამ ქვეყნად ყოფნა, ვინ გიქცია ასე დილემად?!
მდინარის პირას ტირიფებთან იდექი წუხელ,
ცხოვრება, თუმცა კვლავ თავის გზით მიედინება!..

მზე გაზაფხულის გაფერმკრთალდა ღრუბლების ტევრში
და ორღობეში დღე უმწეოდ მიილანდება...
რა უცნაურად მიირწევა ნისლები მრეში,
შენთვის არასდროს არ თენდება და არც ღამდება!

და სამზეოზე დასასრული არ უჩანს ტანჯვას,
არც კი ინაღვლებ, თუ ჩაქრება შუქი მცირედი!
ნუთუ შემოქმედს არ ჰქონია უბრალო განსჯაც,
რომ ასე უღვთოდ ჩაგიღვენთა ყველა იმედი?!

დადიხარ კაცი ზღვა ტკივილით მიუსაფარი,
რადგანაც ჩაქრა, ჩაიფერფლა ტრფობის საგანი!..

03.09.05
თბილისი

* * *

სული ვერ უძლებს მოსკოვური ყვავების ჩხავილს,
დრო გულს მისერავს, ულმობელი სევდა მერევა!..
აჰა, საცაა, დაიწყება ქარ-ყინვის ჩქამი,
და ამაზე მეტს რას ინატრებ ბედნიერებას?!

ჩემს მინდორ-ველზე ვარდ-ყვავილებს მზე ჰყავს გუშაგად,
აქ ყველაფერი კვლავ ცახცახებს შიშით ყინულის!..
ხედავ, სიცოცხლეს ჟამმა, ფრთები გადაუშავა,
იქ, ჩემს მამულში ფეხშიშველა გარბის ბინული!..

მე ღელვა მიპყრობს, რომ სული არ გაუდაბურდეს,
ვით ავიტანო ო, ეს ტანჯვა აუტანელი?!
შენ ჩემი ქვეყნის გზა ნათელი ბევრჯერ დაბურდე,
ჭუჭყში სცურავდი, რჩები კვლავაც დაუბანელი!

უსმინე არყის ტოტებიდან ჩხავილს ყოვების,
მშვიდობით! — უკვე დგება ჟამი გამოთხოვების!..

29.09.05
მოსკოვი

* * *

მოვედი მაშინ, მეგობარო, როდესაც მიხმე,
ვინ მოთვლის ჩემში თუ რამდენი ტკივილი სახლობს!..
ცხოვრება ისევ ცოფიანი ძაღლივით მიღრენს,
როცა ჩავუვლი გაბედული ნაბიჯით ახლოს!..

ნისლები რატომ ეფინება ბავშვობის მაღლობს,
მივდივარ მარტო, სანუგეშოს ვერაფერს ვხედავ!
უფერულ დღეთა სრბოლა უკვე არ მინდა ვნახო,
რატომ ჩამომდის თვალებიდან ცრემლები მხედარს?!

ვერ იქნა ველარ გავეცალე უაზრო ჭიდილს,
რწმენის სანთელი ნუთუ დღემდე ამაოდ ვანთე?
მსურს ბარიერთან,რომ დავცალო ეს ბოლო მჭიდიც,
საგანთიადო ზარებს რეკავს შორიდან მნათე!..

ჩემი ტკივილი უსაშველო შეწყდება მაშინ,
როცა სიკვდილი მომადგება კარებთან მარშით!..

12.10.05
მოსკოვი

* * *

*ვინ იტყვის ახლა, რომ ვცხოვრობდით*
*ჩვენ ქვეყანაზე?!*
*გარსია ლორკა*

შენ წახველ უკვე!.. ხელმეორედ ვერასდროს მოხვალ!
და შეუერთდი სულით ზეცას მრავალსანთლიანს!..
ამ განშორებას ო, რა მძიმე ტკივილი მოჰყვა,
დავდივარ, ჩემში შენი ნაღდი ხსოვნა ანთია!..

ეს ვინ ჩაგვიქრო ჭაბუკობის სივრცე ფერადი?
დრო, რომც ეცადოს მაინც ვეღარ გაგვაქილიკებს!
რომ ყოფილიყავ, ერთხელ კიდევ შევუბერავდით,
მერე ყიჟინით გავცდებოდით სოფლის ბილიკებს!..

იმ ჟამს გარადსულს ვეფერები მძაფრი ტკივილით
და სიო არხევს ტირიფებთან ისევ ლელიანს!..
სიკვდილსაც შეხვდი, მეგობარო, თურმე ღიმილით,
თუმც ამ ღიმილში ეჰ, რამდენი სევდა ერია!..

მივათრევ ახლა ბებერ მხრებით დღეებს დარჩენილს
და იცრემლება სული, როგორც ღრუბლის ნაჭერი!..

20.10.05
მოსკოვი

* * *

მძიმე სევდა ჩემს გულისთქმას იკლებს
და დღეები კვლავ მიდიან ხვნეშით!..
ეს მკლავები ისევ ძალას იკრებს,
უშენობა მე უთუოდ შემშლის!

კვლავ გავცქერი მინდორს ნავენახარს,
თვალებიდან უხვად ცრემლი დამდის!..
ამ ჩემს ფიქრებს რა ტკივილი ახლავს,
ისევ მოდის შენი თეთრი ლანდი!..

სული ბორგავს და აწყდება სივრცეს,
გული მკერდქვეშ ისევ მიცემს ძლიერ!
მე დუელში საუკუნეს ვიწვევ,
და რა ვუყო, თუკი ველარ ვძლიე !

ჟამი ისევ სიმებს უკრავს ყრმობის
და ვინთები უჩვეულო გრძნობით !

14.08.08
მოსკოვი

* * *

მე კოლიბრივით სხივებს ცისკრის მოვყევი ციდან,
ვარდ-ყვავილებში ვერც კი ვგრძნობდი მიწის იარებს!
მერე ცხოვრება დაუნდობლად გზადაგზა მცდიდა,
ჟამთან კვეთებით სიხარული გავანიავე!..

მოლიპულ გზაზე არაერთხელ დავცურდი მწარედ
და მაწყდებოდნენ მოვარდნილი ქარები ზღვიდან!..
ო, რა შორს დარჩა გაზაფხულის მინდვრები მწვანე,
სატკივარს ჩემსას დრო და სივრცე საოცრად ზრდიდა!..

და ახლა, როცა მომეძალა ჟამი სიბერის,
რომ დავიწყების ნისლი ერთობ შემომახვიოს!
ფერად სამოსელს, მეგობარო, ვეღარ ვიფერებ,
არ მინდა კაცი დავემსგავსო ცირკის მსახიობს!

მინდა კაცურად, რომ გავიდე ბრძოლის ველიდან,
რომ ცას და მიწას შევრჩე ხსოვნად ამიერიდან!..

12.11.05
მოსკოვი

* * *

ვიყავით მიწა, გადვიქცევით ისევე მიწად,
მაგრამ ვაი, რომ შენთან იგი რა ადრე მოხდა!
გაფრინდა ჟამი ქალწულივით მორთული კოხტად
და ხავერდოვან ბილიკებზე ნისლები მიწვა...

მზეც გაფერმკრთალდა, ძველებურად ისიც არ ფეთქავს,
ამაოდ ვუხმობ ო, იმ დღეთა აფრების წყებას!
რაც იყო კარგი, უმოწყალოდ წამართვეს წლებმა,
გული ვერ უტევს, მეგობარო, ჯებირებს მედგრად!

მოზღვავდა ღელვა ულმობელი, რომელიც ცდილობს,
რომ რღვევა-დაშლას შეგვაგუოს ამიერიდან!
ო, ის დღეები მენატრება, ჩემო მელიტა.
ვეცადე, მაგრამ დრომ ტკივილი ვერ ამაცდინა!..

არყოფნამ თუკი ყოფნის კვალი ადრე მოშალა,
მაშინ პლანეტა გადიქცევა მხოლოდ კოშმარად!..

04.12.05
მოსკოვი

* * *

სოფელს ერთგულად შენ ბოლომდე ედექი მხარში
და არ იცოდი თუ რა იყო შიში და კრთომა!
ყოველ ნაბიჯზე ბოროტებას იწვევდი ხმალში
და განაგდებდი სოფლის გზიდან ურწმუნო თომას!

ეზიდებოდი ვაჟკაცურად უღელს ღირსების,
არ დაგიგდია წეს-ჩვევები მამა-პაპური!
სული დიადი ჟამით აღარ დაინისლება
და ის თაობებს შემორჩება ქროლვით ზღაპრულით!

სიკვდილმა ადრე დაგიმსხვრია ანძა საქარე,
რატომ და რისთვის ვრჩები დღემდე განაოცები!
ღირსეულ შვილებს, დროო, უღვთოდ სად მიაქანებ,
რომ სოფელს მარჯვედ შეუკვეცო ფრთები ოცნების!

შენ არ ხარ, მაგრამ არ გვშორდება მზერა კაცური
და სიშორიდან კვლავ გვამხნევებ ხმით მამაცურით!..

20.12.05
მოსკოვი

* * *

გუშინ აქ იყო და დღეს უკვე შორს, სადღაც მიქრის,
როგორ გაუძლოს გულმა ამდენ მსხვრევას, წამებას?
შენგან ბუნებავ, ყოვლით ბრძენო, ძალიან მიკვირს,
ასე უმლობლად რად ამძაფრებ ფერიცვალებას?!

ვინ გადაუვა ქვეყანაზე მაგ შენს ბრძანებას,
რას გვათამაშებ ასე უღვთოდ ძალით ზენარის?
ვუხმობთ სიცოცხლეს და სიკვდილი მოგვეძალება,
ო, მუდამ ურჩი და სასტიკად მოუსვენარი!

გაჩენის დღიდან ჩვენ რღვევისკენ რატომ ვისწრაფით?
გზაჯვარედინზე ვდგავართ, როგორც ბავშვი უძლური!
დრო მიქრის ისევ სიშორეში ვეფხვის სისწრაფით,
ხან კი ფერდობზე დაეშვება დათვის ძუნძულით!

დაჰბერავს ქარი და იმღვრევა ცა მოსარკული,
საითაც წახვალ, გიდარაჯებს თვალი მზაკვრული!..

24.12.05
მოსკოვი

* * *

შენ განშორების სევდა უკვე ველარ დამალე
და წამწამებზე მოგეჯარა ცრემლის კურცხალი!..
ბედის სიურჩეს მკაცრად ბრძოლა გამოუცხადე,
მშობლიურ მინდვრებს  გასცდი კიდეც, გაიტრამალე!..

ახლა ბავშვობის აგიხდა შენ ო, ის სიზმარი,
სად არ დაძრწოდი დევნილი და მიუსაფარი!..
სადღაც, შორს დარჩა მშობლიური მინდვრის ზღაპარი
და ის სახლკარი, — გისროლია სადაც ისარი!

დახეტიალობ, უკვე ბოლმას ველარ იშორებ,
და, რა საოცრად გენატრება ფაცხა მეგრული!
ვერ იქნა, ველარ გადალახე ზვირთი ენგურის
და მშობლიური სანახების მღვრიე სიშორე!..

სულში ხანდახან რწმენის მცირე შუქი იალებს,
ასეა კაცი, – ბედისწერის წრეში ტრიალებს!..

31.12.05
მოსკოვი

* * *

*ჩემი ძვირფასი მეგობრების:*
*ბ. ზარქუასა და ა. რურუას ხსოვნას !*

ჩვენ მეგობრული სამკუთხედი შევკარით მტკიცედ,
რომელსაც ჟამი, რომც ეცადოს, მაინც ვერ დაშლის!
და საკუთარი, მხოლოდ ჩვენი, გაგვაჩნდა სივრცე,
სად ოცნებების მივაფრენდით იალქნებს გაშლილს!..

ის სილამაზე სტუდენტური იქცა სიმბოლოდ.
ნაღდი ბიჭობის, სიყვარულის და ერთგულების!
თუმც გაზაფხულმა რა უეცრად გადაიქროლა
და შემატოვა საუკუნოდ სევდა ულევი !..

ხმა არსიდან მეგობრული არ მესმის ახლა,
მივათრევ სევდას სიშორეში ჭაღარა კაცი!..
მივდივარ მარტო და მტანჯველი სიჩუმე მახლავს,
მივდივარ უკვე შეპყრობილი უზომო განცდით !..

როგორც, თქვენ ძმებო, ო, მეც სადმე დავისადგურებ,
როცა ჩამიქრობს ეს საწუთრო ჟამის ნათურებს!

20.04.10
მოსკოვი

* * *

მოსკოვის ცაზე მერცხლებს თითქმის ვერასდროს ნახავ
და მის ბაღებში არც ბულბულის გალობა ისმის!
ყველგან ყვავების ჩხავილ დგას, საითაც წახვალ,
მიარხევს ქარი მღვრიე ტალღებს კვამლის და ნისლის...

ატეხილ ჭალებს კვლავ ვიხსენებ აბაშის პირის,
რომელიც ტრფობით და შრიალით მიხმობენ იქით!..
ჩემი მთებიდან ახლაც ვისმენ ირმების ყვირილს
და სიშორეებს უდაბურებს მივარღვევ ფიქრით!..

იქ, მზე ამოდის გაზაფხულის თამაშით ფერთა
და მიწა როგორც სერაფიტი სამოსელს იცვლის!..
იქ, ყველაფერი სიყვარულის სინაზით ფეთქავს
და ეფერება უბოლოო ვარსკვლავთა ციმციმს!..

გუდა-ნაბადი, მეგობარო, ავიკრა უნდა,
დამესევიან ყვავ-ყორნები სანამდის გუნდად!

25.04.06
მოსკოვი

* * *

*მილიცა კორიუსს*

ლექსი მთლიანად ვერ გადმოსცემს ჩემს ნაოცნებარს
ო, ვერც მუსიკა, ვერც სკულპტურა და ვერც ფერწერა!
დარჩები მუდამ ცის და მიწის შენ გაოცებად,
როცა სიცოცხლეს მოაწყდება ვალსის მეწყერი!..

ცოტაა შენთვის, რომ გიწოდონ ვენის ტყის ნიმფა,
ანდა მუსიკის ნიავქარში მცურავი გედი!..
შენი ხმის ტემბრი  და სილაღე თაობებს ხიბლავს
და სულში იგი ღვთაებრივი სინაზით შედის!..

ო, შენს ღიმილში ვარდფურცლობის იღვრება თოვლი
და ის სიცოცხლის სილამაზეს უსაღზვროდ ერწყმის!..
იქნებ მიწაზე ჩამოფრინდი ღმერთების თხოვნით
და ისევ უკან დაუბრუნდი სამოთხეს ზეცის?!

შენი ხმის ექოს ო, არასდროს ეცვლება ფერი,
ეს არის სულის უკვდავება, – სხვა არაფერი!

22.03.07
მოსკოვი

* * *

ყოფნა-არყოფნის სევდა ასე რად დაგეუფლა?!
ო, ეს სამყარო ხან ჩაქრება, ხანაც ინთება!
განვვლე მოკლე გზა, მაგრამ მაინც მადლობა უფალს,
რომ დავიწყებით ის არასდროს დაიბინდება!

უტევდი მედგრად ამ ცხოვრების პირქუშ გრეხილებს,
ისევ აწყდება სივრცეს ყეფით ლიუციფერი!..
შენ ძელქვა იყავ გრიგალ-ქარით გადატეხილი,
რომ ვეღარ იტანს სიბეჩავეს, შურს და სიბერეს!

გზები განვლილი სიჭაბუკის ისევ მახარებს!
საით წახვედი ამდენ ღელვას ნაზიარევი?!
ო, ვარსკვლავებო! თქვენი შუქი გადმომაღვარეთ
და გამაგონეთ შორეული რეკვა ზარების!..

რატომ მარგუნა ყოვლის შემძლემ სულით ობლობა?
ვინ გაექცევა ქვეყნად ბედის დაუნდობლობას?!

26.03.07
მოსკოვი

* * *

ჩემი ფერმკრთალი ჩიტი მალე შეწყვეტს გალობას
და გაფრენილი გაზაფხულის ვიგრძნობ სიმძიმეს!
ბუნებავ ჩემო! ნუ მოგვაკლებ მაგ შენს წყალობას,
ო, უმუსიკოდ რაა ცაზე ვარსკვლავთ ციმციმი?!

დღეებს მაისის ვეფერები ისევ ოცნებით,
ეს გაზაფხული ალბათ დიდხანს მემახსოვრება!..
ისევ შემეხსნა ჭრილობები შენახორცები,
მონაცვლეობით დღის და ღამის მიდის ცხოვრება!..

ხან მზის შადრევნებს ვეტრფით, ხანაც მთვარის ხეივანს,
ხანაც მდინარე ვეებერთელა მიიზვირთება!..
მერე მთავრდება ამ მიწაზე სულის ზეიმი
და ჩვენი ყოფნის ისტორია რჩება მითებად!..

ერთი მითხარი, რაა ქვეყნად დაუბერები?
რაა დინება? — მხოლოდ შეცვლა დროის ფერების!

08.06.09

მოსკოვი

* * *

შენ გამაჩინე, შენ აღმზარდე და რღვევა-დაშლაც
ჩემი, უთუოდ, შენ მოგიწევს მოლეკულებად!..
ღელვა-კვეთებით ეგ სხეული ამაოდ დაშვრა,
განშორების ჟამს მე უცრემლოდ მიჭირს ყურება!

ბექობზე მდგარი კვლავ ჭიხვინებს ზერდაგი კავშა
და ჩემს ყოფნის ველს რად ედება ნისლები შავი?!
მე გულქვაობა ამ ცხოვრების შევიგრძენ ბავშვმაც
და ახლა უკვე მეფინება ზმანება ავი!...

სულო, მითხარი, დღენიადაგ საითკენ მიქრი,
ნუთუ ამაოდ ვჭიმე დღემდე ჟამის ზონარი?
ყოფნა-არყოფნის საკითხებზე დამღალა ფიქრმა
და მე მედება ტკივილები გაუგონარი!

შენ დასაბამით გახდი უკვე ჩემი მესია!
თუ გადამარჩენს — შენი ტრფობა და პოეზია!

05.06.09
მოსკოვი

* * *

გუშინ ყვაოდა თვალწარმტაცად და სურნელებას
აფრქევდა ირგვლივ, და დღეს უკვე უეცრად დაჭკნა!
ფერიცვალების ის დანებდა ულმობელ ნებას,
ვეცადეთ, მაგრამ დახმარებამ ვერაფრით გაჭრა!

გუშინ მის რტოზე ჩიტუნები გალობდნენ დინჯად,
დღეს კი ყვავილი დასცვივდა და ბერდედად იქცა!
ვერ იქნა, იგი ვერ გასცილდა სიკვდილის მიჯნას
და ახლა უკვე განშორების სამოსელს იცვამს!

მეტირება და დამდის კიდეც ცრემლების წვიმა!
ო, ეს ზღაპრული სილამაზე ასე რად გაქრა?
ხსოვნა ძვირფასო, ეჰ, ვინ მოთვლის რამდენი მიმაქვს,
ცხოვრებამ ჭანგი შხამიანი რამდენჯერ გამკრა!

მივდივარ გზაზე მწარე ხსოვნით დაღლილი კაცი
და ვხედავ უკვე, რომ გრძნეული მსხვერპლი ვარ განცდის!

08.06.09
ბანძა

* * *

არ დაგენანოს, რომ შენ მიხვალ და სხვა რომ მოდის,
ეს ხომ ბუნების კანონია მარტივად თქმული!
გადაიხურე მდუმარების პირქუში ლოდი,
გზა გაიარე უმნიშვნელო, თუ ძალზე რთული?

ფერიცვალება განახლების მდინარეს მოაქვს,
რომ აღარ იქცეს სამუდამოდ ჭაობად მიწა!..
უნდა წახვიდე, მეგობარო, თუ წასვლის დროა,
არ დაემდურო ამ ბუნებას, – შენს ლამაზ ძიძას!

ფერიცვალების განუწყვეტლივ ირხევა ველი,
ნუღარ იდავებ, მას ვერასდროს, ვერავინ შეცვლის!
ახალი მოდის! სამუდამოდ ირღვევა ძველი,
ვერც ბულბულის ხმას გაიგონებ, ვერც ჭიკჭიკს მერცხლის!

ფერიცვალების ასეთია მუდამ ბუნება,
თვითონ სიკვდილიც განახლებას ემსახურება!

27.07.09
მოსკოვი

* * *

*ჟაკლინ კენედიმ სიკვდილის*
*წინა დღეებში თავისი მდიდარი*
*არქივი ერთიანად ცეცხლს მისცა!*

შენ ბედისწერამ რა ულმობლად გაგაპარტახა,
იგი მოგსდევდა დაუნდობლად, როგორც მსტოვარი!..
შემორჩი ხსოვნად სამუდამოდ იმ დიდ ნატახტარს,
როგორც პრინცესა, როგორც ლედი სწორუპოვარი!

არ შეატოვე შენს დიდ არქივს რამე მცირედიც,
შენი ცხოვრების საიდუმლო აქციე ფერფლად!..
ფერიცვალების ხელებს მერე უხმოდ მინებდი,
ამგვარ განაჩენს, მე არ ვიცი, რა უნდა ერქვას?!

იმ კოშმარულ დღის ახლაც მესმის ზარების რეკვა!..
ყუმბარებივით ფეთქდებოდნენ თითქოს წამები!..
სისხლიან ხელით შემართული შემორჩი ეკრანს,
ო, ბედისწერის სივერაგით განაწამები!..

რად მოსპე ასე ისტორია შენი ცხოვრების?
საუკუნეებს, ვით ჯვარცმული ემახსოვრები!..

24.07.09
მოსკოვი

* * *

ცახცახებს მიწა მოლოდინში კოშმარულ ჟამის,
ვდგავარ ტკივილით გათანგული, ვერაფერს ვამბობ!
თეთრაფრიანი ზღვაზე ისევ მიცურავს ნავი
და მე სიცოცხლეს და სიყვარულს ვუგზავნი ამბორს!..

როცა დასწყდება ბილიკები და სული ქროლვით
დატოვებს საზღვრებს დედამიწის განცდებით მძაფრით!..
აქ, ვერასოდეს შეირხევა წვიმა და თოვლი
და გახუნდება სამუდამოდ სიცოცხლის აფრა!

რატომ დამჩემდა, რომ მზის ჩასვლას ვუცქირო მშვიდად,
როცა აისი მიტაცებდა თამაშით ფერთა?!
თუ ჩემში ადრე გაზაფხული მწვანე ფრთებს შლიდა,
დღეს გული ჩემი ო, რა მწარე ტკივილით ფეთქავს!..

მივდივარ! უკვე განშორების მუსიკა უკრავს!..
და მე ამაოდ ვიხედები, ძვირფასო, უკან!

20.12.92
სოხუმი

# ლირიკული პოემები

## ვერხვი

მე მახსოვს, შენი ტანი თეთრი და მიმზიდველი,
ვინ შეგაჩვია ამ ულმობელ
ქარებთან ჭიდილს?
სივრცე ტოტებით იდუმალით დახლართე ვრცელი
და გახდი მიწის ბინადარი, —
მშვენება დიდი!..
შენ ერთნაირად ეკუთვნოდი ცასა და მიწას
და შენზე უკეთ ვინ უწყოდა
სიცოცხლის ფასი?!
ცა ვარსკვლავებით მოჭედილი შენს მხრებზე იწვა
და სადღეგრძელო მზის ფერების
შეგისვამს თასით!..
მთვარის სარკეში შეარხევდი საოცარ ლანდებს,
შენ ხე კი არა, უძლეველი
იყავი კოშკი!
ირეკლებოდა მაგ შენს შუბლზე რამდენი დარდი,
აშრიალებდი მზით დაფერილ
სიცოცხლის დროშას!..
გედავებოდა: ქარიშხალი, წვიმა და თოვლი,
არ დაგიკარგავს არასოდეს
იმედი ხვალის!
მიირხეოდი ლაჟვარდისკენ მარადი თრთოლვით
და ირეკლავდი მკერდზე მღვრიე
ქარების ბღავილს!..
შენ ცის და მიწის იდუმალი იყავი ხიდი
და შენი სულის ჩირაღდანი

იწვოდა, თრთოდა!..
ქვეყნად რამდენი სიხარული, ტკივილი ზიდე
და მიკვირს, მაინც
რა უსაზღვრო სილაღე გქონდა?!
შრიალი შენი გალაქტიკებს სწვდებოდა თითქოს,
მოქროდნენ შენსკენ ვარსკვლავები
ქათქათა ფრთებით...
იცხოვრე ქვეყნად, ეს რამდენი დაღვარე სითბო,
და ჟამმა მაინც გაგიხუნა
ხუჭუჭა თმები!
ხან მლოცველივით სახტად იდექ ღამეში მარტო,
სად ყველაფერი შენს გარშემო
საოცრად დუმდა!..
გადაშლილიყო მაგ შენს მხრებზე სამყარო ფართო,
მთვარის სხივები ფუტკარივით
გეხვია გუნდად...
იმზირებოდი, სადღაც შორს, შორს, ხილულის იქით,
სად ვარსკვლავები ჩიტებივით
გალობდნენ ტკბილად,
შენ კი მიქროდი ლაჟვარდისკენ მარადი ფიქრით,
და შენს ტოტებზე ირწეოდა
ღამეც და დილაც...
აინთებოდა შენი შუბლი მზის სხივზე დილის,
ბრინჯაოსფერი შენი ტანი
აფრქვევდა სითბოს!..
შენ ღუღუნებდი, ღუღუნებდა ეგ შენი ჩრდილიც,
ჟღერდა სივრცეში ჯადოსნური
ათასი სიმი!..

ვინ ამოავსებს ვეებერთელა ცარიელ სივრცეს?
ბინული, სადღაც თავდაღმართზე
გარბის და მოთქვამს,
ნუთუ ვერასდროს შეებმები მაგ ავდარს ფიცხელ
და ირეკლება სადღაც შენი
დუმილი, შფოთვაც!..
დასაამიდან ფრთებს უმსხვრევდი ქარს და ქარაშოტს
თავზე კი მთვარის საოცარი
გვირგვინი გედგა...
ახლა მინდორზე გარდასულის ლანდი თამაშობს
და გიცქერ, როგორც ბრძოლის ველზე
დაცემულ მხედარს!..
მე დავფორთხავდი შენს კალთაზე პატარა ბავშვი,
ზედ შენი ჩრდილის ვერცხლისფერი
შრიალი მადგა...
ახლა შენს სხეულს მე ვუცქერი უმწეოდ დაშლილს
და სული ჩემი დაამძიმა
უზომო დარდმა!..
ო, ვხედავ, ახლა მაგ ჟანგისფერ დახეთქილ სხეულს
დაქუცმაცებულს და დამსხვრეულს
იისფერ რკალში,
როგორ არ მოსტყდა ჟამის გრიგალს ბოროტი ფრთები
რას ვხედავ უკვე? – ცის და მიწის
დარღვეულ კავშირს!..
შენი ხატება იქნებ ლექსმა გადასცეს მერმისს?
ნუთუ შენც ჟამის
ულმობელი უღელი გედგა?
შენ ხე კი არა, ვეებერთელა იყავი გემი,

აფრაგაშლილი მიარღვევდი
სივრცეებს მედგრად!..
ახლა, როდესაც ყველაფერი გათავდა, მორჩა!
და შუქი ცათა ვერ აანთებს
ვერცხლისფერ გვირგვინს,
მე გავცქერ სივრცეს, – სადაც შენი ხატება მოჩანს
და ჩემს ხსოვნაში ასეთივე
დარჩება იგი!..

15.06.97
ბანძა



# სიშორის ნათელი

ო, იქ იწყება შენი სათავე, სადაც მთარდება
ძველის მეფობა,
ბუნებას უყვარს ეს სისადავე,
როგორც მეგობრის
სული მეგობარს!..
ჩვენ რა ვართ? – მზის და მიწის ნაწილი,
ელემენტების შერწყმა დიადი,
შეხედე როგორ
ყივის არწივი,
უსმინე — ეს რა ხმა აქვს იადონს?!
უხსოვარ დროდან მოვდივართ რწმენით, სულში
იმედის ჩიტი ნავარდობს.
მოვდივართ ქროლვით,
იმსხვრევა ძველი
და მზე მოარღვევს ცისფერ კაბადონს!..
სადღაც, შორს დარჩა ის უღრანები, და აღარ გავხდით
ბედის მორჩილი,
მიწა ირწყვოდა
სისხლის ღვარებით
და გზებიც ბევრჯერ გვქონდა მოჭრილი!
ვლეწეთ კლდეები მიუდგომელი და გადავევლეთ
მაღალ ქარაფებს
და მკერდს ვუშვერდით
გრიგალს მობერილს,
რომელიც ქვიშად კლდესაც განაბნევს!

გზები გაქრილი დროის ტილოზე, მაგ სიმედგრეზე
როგორ ღაღადებს?
ო, წინაპარო,
შენზე ვილოცე,
თუმც მარტო ლოცვა ვერას აღადგენს!
ბევრჯერ იყავი სისხლდაწრეტილი, მიწაზე მაინც
ფესვი გაიდგი,
წინ უძღვის
შენს გზას მრავალწერტილი,
სულო მითხარი, მოხვალ საიდან?!
მეისტორიევ, ხმა ამოიღე, უხსოვარ დროში
ვითხოვ ჩახედვას,
ო, იმ შორეულ
ვიწროებს მიჰყევ,
სადაც მდინარემ ღორღი ჩახვეტა!..
კარგად გაშიფრე ძველი ფირფიტა და გზა განვლილი
მკაცრად მოხაზე,
ვიღაც მეძახის
ჟამის სიღრმიდან
და ჩამოცურდა ცრემლი ლოყაზე!..
გვახსოვს, რამდენი ათასწლეული, ვერ მივაგენით
მაინც სათავეს!..
ვინ გაარღვია
ბნელი წყეული?
ვინ მოუჭირა მერანს სადავე?!
თქვენ, მნათობებო, იცით ყოველი და საიდუმლო
ჩუმად მიამბეთ,
ერთი ვარსკვლავი

მიცქერს შორიდან,
სადღაც სიღრმეში სხივმოკიაფე!..
მეისტორიევ, გასჭერ ბილიკი, მითხარ, ეს შენი
სიბრძნე სად არის?!
რომ არ ვიქროლოთ
გზებზე პირიქით,
რას ყოფნის ამ სულს მცირე „ნადავლი"?!
საიდან მოდის ეს ხმა მზარავი? ან ეს ჩიტები
რას მიგალობენ?!
გავიხედავ და
არ ჩანს არავინ,
წუთით შეჩერდი, ჟამის გრიგალო!
სარკოფაგებში სძინავთ რაინდებს და სერაფიტი
ურხევს მარაოს...
ეს ხმა ლამაზი
მოდის საიდან?
გზაზე რამდენი ლანდი ქანაობს!..
მიდის მეოცე მძიმედ დაღლილი, ახალო, შენი
აზრი გამანდე!..
ო, კივის ყველგან
სისხლი დაღვრილი,
ჟამი აგორებს დინჯად კამათელს!..
შენ საუკუნევ კიბერნეტიკის, მეისტორიეს
რომ აქილიკებ!
კაცობრიობის შექმენ მეტრიკა
და მოაშორე ხავსი ბილიკებს!
გამოარღვიე ბნელი საკანი, დაშალე მთელი
ნაწილ-ნაწილად,

მერე გავიგებთ
რაა საგანი,
სულს მოაშორე იჭვის ბაცილა!
ვიცი, მიკვლევა, ძალზე ძნელია, ვერ შეიმეცნებ
მთელს სრულყოფილად,
ახალს რას ვამბობ,
ეს ხომ ძველია?
მას ვიმეორებ, რაც კი ყოფილა!..
ისევ მოითხოვს ხსოვნა ხეტიალს, შორს მიზოზინებს
ნისლი პატარა,
სივრცე ქარიშხლებს
გადუხვეტიათ,
იქნებ იძია შური სატანამ?!
იქნებ გვატარა გზებით მაცდურით, როგორც
ფაუსტი მეფისტოფელმა?
ღრუბლის კოშმარი
ისევ დაცურავს,
უკუღმაც იცის ბრუნვა სოფელმა!..
მიწიერი ხარ თუ ზეციური? — იჭვით სავსეა
შენი ბუნება,
ეს ვარსკვლავები
ასე ხნიერი,
წარსულზე რად არ გვესაუბრება?!
შენ, სულო, მითხარ, საით მიიწევ, იქნებ სულაც არ
მალავ ხვაშიადს!
ფრთებით ძლიერით
სივრცე მილეწე,
თურდაც გაგიჩნდეს ბზარი ხმაშიაც!..

რა სიშორიდან მოდის ნათელი წლებით სინათლის, –
ეს რა ხანია!..
მე ღამეები
ფიქრში ვათენე,
ახლა განთიადს ვხვდები ქარიანს!..
გახედე ირგვლივ ქუჩებს, მოედნებს, სამყარო ერთობ
ღელავს ხალისით,
მიწას შორდება
უკვე კომეტა,
მიაყურადღე, ეს რა ხმა ისმის?!
მწვერვალს ეფარვის მთვარე ფერმკრთალი, მზე
მოგუგუნებს ცხოველმყოფელი!..
გარბის დემონი
შიშით შემკრთალი,
როცა განათდა ირგვლივ ყოველი!..
მე კვლავ ოცნებით მაღლა მივიწევ, მწვერვალს ავლია
შუქის არშია,
ვიღაც მეძახის –
ნუ დამივიწყებ,
მერე გაუჩნდა ბზარი ხმაშიაც!
მე ვხედავ ირგვლივ კლდეებს, ჩანჩქერებს.. და კიდევ იქით
ნაპირს ქვებიანს,
რა დიადი ხარ,
ქვეყნის გამჩენო,
რომ არხევ სივრცეს ლაჟვარდფრთებიანს!..
ეს საუკუნე, ჰა, იწურება!... იფერებს
ჟამი ფერიცვალებას!
ვეღარ გაუძლო

გულმა ცდუნებას,
თუმცა ტკივილით მომეძალება!
კიდევ ცოტა და სხივი ცინცხალი შუქით აავსებს
ქუჩებს, მოედნებს!..
მე მინდა ვნახო
შენი ცისკარი,
რომელიც უკვე მწვერვალს მოედო!..
მე მინდა ვნახო ის თოვლის პაპა, რომ მოგვილოცავს
ახლის დაწყებას
და გაზაფხულის
ხასხასა კაბა
მზის ალერსით რომ მოიქანცება!..
მე მინდა ვნახო ჩემი მამული, როგორ შეარხევს
ფრთებით განთიადს
და იმ რაინდებს
ვუთხრათ შენდობა,
რომელთა ხსოვნა ჩვენში ანთია!..
მინდა ის ღელვა გავინაწილო, რომ მოაქვს ხშირად
ახლის მოლოდინს,
ახალო, ჩემი
სულის ნაწილო,
შენს სადღეგრძელოს შევსვამ ბოლომდის!
მე მინდა შევხვდე რღევას ბნელეთის, მზერამ თამამმა
უნდა იალოს,
ატომმა, რომ არ
წარღვნას ხმელეთი,
პლანეტა რომ არ გაატიალოს!

მოვდივარ ჩანგით, კარი გამიღე, გაშალე თეთრი
ფრთები ნიავო!..
შენს მოსვლას
ლექსით დავათარიღებ,
რომ გულზე შვებით გადამიარო!..
ქვეყნად არ დარჩეს ბომბი არცერთი და არც
ღრუბელი რადიაციის,
ჩემი პლანეტა
რომ არ გაცივდეს,
არ იხარხაროს ბედის მაცილმა!
ამ ბინსაწყობებს ბოლო მოეღოს, იკურთხოს
ძალა მხოლოდ ბუნების,
ზვირთთა ლაშქარი აღარ მოირღვეს,
რომ გვემუქრება განადგურებით!
და მიწის თითქმის ყველა მტკაველი ზღვა აღტაცებით
შეხვდეს გაზთიადს,
რომ ზეიმობდეს
ჩემი მთა-ველიც, –
გოჩა, გიორგი, ნანა, ნათია!..
მინდა აღზევდეს ხალხთა ოცნება, ჩაბარდეს ყოფილს
წლები დაცემის
და სყვარულის
ენთოს კოცონი
გულიდან გულზე გადანაცვლებით!..
ო, რა მძლავრია ძალა ბუნების, მას ვერ დაამხობ,
ვეღარ შებოჭავ!
ის ითხოვს
მხოლოდ თავისუფლებას

და უყვარს სულში მძლავრად შემოჭრა!..
თავისუფლების რეკავს ზარები და ის ედება
სივრცეს მთლიანად,
შეხედე სხივთა,
ფეთქავს ღვარები,
რომ მოუშუშოს მიწას იარა!
თავისუფლებას მოუხმობს ყველა — ერი დიდი და
ერი პატარა,
თავისუფლება, —
მსოფლიო ღელავს,
რომ არ დასძლიოს სული სატანამ!
საკვირველი ხარ, მოდგმავ ადამის, სიბრძნის უშრეტი
ხმები ღაღადებს,
უნდა დაემხოს
ყველა სოდომი,
უდროოდ რომ არ შემოგვაღამდეს!
და რასაც შექმნის კაცის გენია, იყოს
სიცოცხლის საკეთილდღეოდ,
გულო, წყლულები
რად გაგჩენია? —
მარად ღიმილით იდინე, დღეო!..
მოისხას მიწამ უხვად ნაყოფი და ყველამ
ძმურად გავინაწილოთ,
ო, ვის სჭირდება
რასად დაყოფა,
პლანეტავ, ჩემი სულის ნაწილო!
სივცრე აივსოს მხოლოდ სიუხვით და ქვეყნის
ყველა კარი გაიღოს,

ხარობდეს ყველა
გზა და ჭიუხი
და კაცის ჭირი კაცმა გაიყოს!..
დღეს სიახლოვე ისე გვჭირდება,ო, ძვირფასებო,
როგორც არასდროს!
ჩვენ მწვერვალები
გველის დიდების,
მაგრამ მოსპობის ნაღმიც გვდარაჯობს!..
ხომ ყველამ ვიცით ძალა ატომის, – რა ელის
მერე ბისოსამყაროს?
თერმობირთვები
რატომ ბატონობს,
შენ სად ხარ ნეტავ, აზრო მაღალო?!
ბოლო მოეღოს ერთობ ყველაფერს, რაც შეუქმნიათ
ოდით თაობებს?
უნდა იმედის
შუქი ელავდეს,
რომ არ დავნებდეთ არარაობას!
საკმარისია ერთი ქეტონიც და სულ უბრალოდ
ცეცხლის გაჩენაც,
ველარ უშველის
მერე ბეტონიც,
თუ გაგვიმეტა ერთხელ გამჩენმა!..
